БІБЛІОТЕКА
К 2580/3

მოგზაურობა

წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ

დეკანოზის პეტრე დავითის ძის კონჭოშვილისა,
სკოლის მოძღვრისა ამიერ კავკასიის ქალწულთა ინსტიტუტისა

იმპერატორის ნიკოლოზ I-სა.

ტფილისი, 1901
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, ნიკ., ქ., № 21.

91(3)
1/3-788
3681(1)

მოგზაურობა

წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ

დეკანოზის პეტრე დავითის ძის კონჭოშვილისა, სჯულის
მოძღვრისა ამიერ კავკასიის ქალწულთა ინსტიტუტისა

იმპერატორის ნიკოლოზ I-სა.

ტფილისი
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, ნიკ. ქ., № 21
1901

Печатать разрѣшилъ Епископъ Кирiонъ, 10 Сентября 1900 г.

წინასიტყვაობა.

იყრმით ჩემიდგან, რაც-კი თავის ცნობაში მოვსულ-ვარ, რაც-კი ჩემ საყვარელ მშობელთაგან შემისწავლია პირჯვარის გამოსახვა და შევიძელ ხსენება და გამოთქმა სახელისა ყოვლად ტკბილისა უფლისა იესო ქრისტესი, და შემდეგ სასულიერო სასწავლებელში ცნობიერად შევისწავლე წმ. სახარების მოთხრობანი ქრისტე მაცხოვრის ქვეყნიერს ცხოვრებაზედ, იმ დროიდან მარად-ჟამს ჩემთვის სანატრელი შეიქმნა მიმოხილვა და მოლოცვა იმ წმიდა ადგილთა, სადაც ყოვლად მოწყალე უფალმა იესო ქრისტემ, ძემან ღმრთისამან, სათნო-იჩინა ხორციელად შობა ყოვლად წმიდისა ქალწულისა მარიამისაგან, და დაჰყო ქვეყანაზედ ხილულად ᲛᲗ წელნი, ვიდრემდის შეასრულა ცხოვნება კაცთა ნათესავისა თავის ჯვარცმითის სიკვდილითა, დიდებულის აღდგომითა და ხორციელად ამაღლებითა თვისითა ზეცად. სიყმაწვილიდგან ჩემისა ამ სანატრელს დღესა, გულითადის ჩემის საღმრთო წადილის შესრულებას ღირსმყო მე ყოვლად სახიერმა მაცხოვარმა, თვისის მიუთხრობელის მადლიერ-ებითა და მოწყალებითა, მხოლოდ ჟამსა მოხუცებისა ჩემისასა, როდესაც უკვე შევასრულე, მისისავე განუზომელის მოწყალებითა, ორმეოცნი წელნი ჩემის მსახურებისა წინაშე წმ. დედა ეკკლესიისა და საშობლოჲსა. სამადლობელად მოვლინებულთა ჩემზედა მოწყალებათა უფლისა მიერ ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა ვიდრე აქამომდე, საღმრთო ვალად დავუდგინე ჩემს თავსა წასვლა და მოლოცვა წმ. ქალაქ იერუსალიმისა, საიდგანაც აღმო-

ბრწყინდა ნათელი ქრისტეს სარწმუნოებისა და საიდგა-
განაც „ეოგელთა კიდეთა ქვეყანისათა იხილეს მაცხოვრება ღმრ-
თისა ჩვენისა“ (წარდგომა ჯვარის ამაღლების დღესასწაულ-
ისა ცისკრად). ამავე დროს მოვისურვე მოლოცვა წმ.
ათონის მთის სავანეთა, ვითარცა მართლმადიდებელის
ეკკლესიის ბურჯისა, სადაც არს ივერიის კარისა ღვთის
მშობლის მონასტერი, რომელშიაც აწ სცხოვრებენ ბერ-
ძენთა მონაზონნი მამანი

გარდა დაკმაყოფილებისა ჩემის გულითადის სარწმუ-
ნოებრივის გრძნობისა და მისწრაფებისა, ჩემს მოგზაუ-
რობას პალესტინაში ჰქონდა მეორე საგნად პედაგოგიუ
რი მნიშვნელობაცა. აგერ, წყალობითა ღვთისათა, უკვე
განვვლე 35 წელნი სამღვთო სჯულის მოძღვრებაში, და
ახლა, შემდეგ მიმოხილვისა და მოლოცვისა წმიდა ქვეყანისა,
პალესტინად წოდებულისა, თვალსაჩინოდ წარმოვიდგინე
წმ. დაბადების და სახარების მოთხრობანი ანუ უმთავრესიში-
ნაარსი ძველისა და ახალის აღთქმისა. ეს ცხადი ჭეშმარიტე-
ბაა, რომ წაკითხვა მხოლოდ იმ სისრულით ვერ გარდმოგვ-
ცემს ცხადს ცნობასა, ისრე ნათლად ვერ დაგვიხატავს საგანსა,
ვითარცა თვალით ხილვა მისი. როდესაც წმ. თომა მოცი-
ქულმა თვალხმიერად იხილა ხელთა იესოსთა სახე იგა სამს-
ჭვალთა და განგმირული გვერდი უფლისა იესო ქრისტესი, მაშინ
ჭეშმარიტად ირწმუნა აღდგომა ქრისტესი და ღაღადჰყო:
„უფალი ჩემი და ღმერთა ჩემი!“ (იოან. 20; 25—28).

ქართულს ენაზედ შემხვედრია სახელმძღვანელო საღ-
მრთო სჯულისა, რომელშიაც უმეცრებით ნაჩვენები იყო
გეთსიმანიის ბაღი, ვითარცა ადგილი ქრისტე მაცხოვრის
საფლავისა, როდესაც, სახარების მოთხრობით, იგი საფლა-
ვი იყო გამოკვეთილ კლდეში იოსებ შვენიერის მტილში
(ბაღში), ხოლო ეს უკანასკნელი ადგილი შორავს გეთსი-
მანიას არა ნაკლებ ერთის ვერსის მანძილისა. რუსულს
ენაზედაც წამიკითხავს სახარების განმარტებაში, რომ ვი-

თომც საცხოვრებელი ადგილი წმ. ზაქარია მღვდელისა, წმ იოანნე წინამორბედის მამისა, იყო ქალაქი ქებრონი, რომელიცა შორავს იერუსალიმს სამხრეთად 30 ვერსით; წმ. ლუკა მახარებელი კი მოგვითხრობს, მის მიერ დაწერილს სახარებაში, რომ ყოვლად წმიდა ქალწული მარიამი, შემდეგ ანგელოზისა მიერ ხარებისა, წარმოვიდა სანახავად ელისაბედისა, ზაქარია მღვდელის ცოლისა, ნაზარეთიდან მთად კერძო ქალაქად იუდასსა (ლუკ. 1; 39, 40). ხოლო ეს უკანასკნელი ადგილი შორავს იერუსალიმს რვა ვერსით დასავლეთისკენ; ამ ადგილს ეხლაც უწოდებენ მთად კერძოდ (нагорная), სადაც არის სამი მონასტერი—ერთი იოანნე ნათლისმცემელის შობის ადგილზედა რომის კათოლიკეთა, ხოლო მეორე იმ სახლის ადგილზედა, სადაც მიეგება მართალი ელისაბედი ყოვლად წმიდა ქალწულს მარიამს და მოიკითხა იგი შემდეგის სიტყვებით: „კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა! და გინა (საიდგან) ჩემდა ესე, რათა მოვიდეს დედა უფლისა ჩემისა ჩემდა?“ (ლუკ. 1 თავ. 42 44). ამ ადგილზედ არის ახლად დაფუძნებული დედათა მონასტერი, რომელშიაც მოღვაწეობენ 80 დანი რუსნი, და მესამე მონასტერიც მეზობლად რუსებისა არის კვალადცა რომის კათოლიკეთა იმ ადგილზედ, საიდგან ელისაბედი წყალს ეზიდებოდა წყაროსას სახმარად.

მესამედ, ჩემს მოგზაურობას პალესტინაში და წმ. ათონის მთაზედ ჰქონდა სხვათა შორის ეს გულითადი წადილიცა, რათამცა მომეხილა დიდებულნი სავანენი და წმ. ტაძარნი, აღშენებულნი მეოთხე საუკუნიდგან დაწყებული ვიდრე მე-18 საუკუნის დასრულებამდის ქართველთა მეფეთა, მღვდელ-მთავართა, თავად-აზნაურთა და სრულიად კეთილ-მორწმუნეს ქართველის ერისაგან, ვითარცა ძეგლნი (სახსოვარნი) ჩვენის ცხოველის სარწმუნოებისა და მართლმადიდებლობისა, ეროვნულის ძლიერებისა და დი-

დებისა. გარნა, სამწუხაროდ, რაც ყოვლისა შემმუსრველს დროთა და ჟამთა ვერ დაუკლიათ მათ დიდებულთა ნაშთთათვის, ამას ასრულებენ დღეს, ჩვენის გულის მოსაკლავად, სხვა-და-სხვა ერთა მკრეხელნი ხელნი.

ეს აღწერა წმ. ადგილთა, შეძლებისაებრ ჩემისა, და გამოცემა მისი ბეჭდვით ვიკადნიერე მისთვის, რათა მივსცე მცირედი შემწეობა ჩვენს პროვინციის სამღვდელოთა და დაბალს ქართველს საზოგადოებას, ვითარცა მოკლებულთა სულიერის საზრდოჲსა, რათამცა ისარგებლონ ამ წიგნის წაკითხვითა დასაკმაყოფილებლად თვის სარწმუნოებრივის გრძნობისა, რომელიც უღვივით მათ გულში ვითარცა ნაპერწკალი ხოლო მე, მიმბაძველი ქრისტეს მოციქულისა, ვიტყვი: „წადილი გულისა ჩემისა და გედრება ჩემი დმრთისა ძმართ არს საცხოვრებელად ქართველის ერისა და ტომთა მასთა, რომელთაცა უბედურ ისტორიულითა გარემოებათაგამო ძალდატანებით უარჰყვეს სარწმუნოება ქრისტესი 17 და 18 საუკუნეში. ღმერთმან ინებოს, რათამცა ნაპერწკალი ცხოველის სარწმუნოებისა ქართველის ერის გულში აღგზნებულიყოს (ანთებულიყოს) ცეცხლად ქრისტე მაცხოვრის სიყვარულისა, და განდგომილნი ტომნიცა ქართველის ერისა ღვთისა წინამძღვანის მადლითა კვალადცა შემოუერთდენ თვის ქრისტეს მორწმუნეთა ძმათა. გაძოვდინე, უფალო, ამათზედაცა ნათელი შენი და ჭეშმარიტება შენი; ესენი მიმიყვნეს და მიმაყვანეს მე მთასა წმადასა შენსა და საყოფელთა შენთა“ (ფსალმ. 42, 3.)

ამის მსგავსნი აღწერილობანი წმ. ადგილებისა არა მცირედ მოიპოვებიან რუსულს ენაზედ. მაგრამ ქართულ ენაზედ მე არ შემხვედრია არც ერთი. მე-18 საუკუნის ნახევარში მოუხილავს წმ. ადგილები ორს ქართველს მღვდელ მთავარს: ტფილელს მთავარ-ეპისკოპოზს ტიმოთე გაბაშვილსა და რუისის მიტროპოლიტს იონა გედეონიშვილსა, და ამათ აღუწერიათ კიდეც თვისი მოგზაურო-

ბანი, რომელნიც 1852 წელსა დაუბეჭდია უკვე პლატონ იოსელიანს. მაგრამ ეს წიგნები ძვირად საპოვნელია ამ დროში და ენითაც ადვილი გასაგები არ არის, ვითარცა დაწერილი ას ორმოც და ათის წლის უწინარეს. ასე რომ მით სარგებლობა ვერ შეუძლიან ჩვენს მდაბიო საზოგადოებას. თავადს გიორგი ავალიშვილს 1820 წელს მოულოცნია ქრისტე მაცხოვრის საფლავი და რაოდენიმე სხვა სიწმიდე პალესტინისა. მრთელი წელიწადი გაუტარებია ამ მოგზაურობაში. საქართველოდან გასულა იგი ივლისის თვეში 1819 წელსა და იერუსალიმში მისულა 1820 წელს დიდმარხვაში და აღდგომის დღესასწაულებს დასწრებია. აღუწერია კიდეც დაწვრილებით თვისი მოგზაურობა. ეს ხელნაწარი არის დაცული ეხლა ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაცავში. ამ აღწერაში თავადი ავალიშვილი იმოდენად წმ. ადგილებზედ არა სწერს, რაოდენადაც აღწერავს იგი უცხო ქვეყანათა ეროვნებათა და ბუნებასა და თავის მგზავრობის შემთხვევათა. ენითაც ადვილი გასაგები არ არის ეს აღწერილობა; დაბეჭდილიც რომ იყოს, ამით სარგებლობა არ შეუძლიან ქართველს მდაბიო ერსა, ანუ საშუალო საზოგადოებასა.

1883 წელსა მოიარა პალესტინა, სინა და ათონის მთა ბ-ნმა ალექსანდრე ანტონის ძემ ცაგარელმა, ღირსადპატივცემულმა პროფესორმა პეტერბურგის უნივერსიტეტისამ, მინდობილობითა რუსეთის პალესტინის მართლმადიდებელის საზოგადოებისა და სამგზავრო აღწერილობანი, როგორც თვისი მეცნიერული გამოკვლევანი შესახებ ქართულის მწიგნობრობისა და ნაშთთა პალესტინაში, სინაზედ და ათონის მთაზედ, გამოსცა რუსულად 1884 წელსა. ამითაც სარგებლობა არ ძალუძს ჩვენს მდაბიო საზოგადოებას, როგორც რუსულის ენის უცოდინარობით, ეგრეთვე ამ წიგნის სიძვირითა.

1899 წელსა მოუვლია აგრეთვე წმ. ათონის მთა ღირსად პატივცემულს პროფესორს მარს და ათონის ივერიის (საქართველოს) მონასტერში დარჩენილა 40 დღე გამოსაკვლევად ქართულის არხეოლოგიურის ნაშთებისა ამ სავანეში, მაგრამ ამის გამოკვლევათაც მეცნიერული ხასიათი აქვს და მით ვერ ისარგებლებს ჩვენი მდაბიო ერი. ხოლო სანუგეშებელად მრავალთა ქართველთა, შოსურნეთა მოლოცვისა ქრისტე მაცხოვრის ცხოველმოსილის საფლავისა და სხვათა სიწმიდეთა პალესტინისათა, რომელთაც ნივთიერი შეძლება ხელს არ უწყობს იმ სიშორეზედ მგზავრობისათვის, მათ ქრისტეს მოყვარეთა და მოსავთა მოვახსენებ შემდეგთა სიტყვათა ღირსთა მამათასა: „სასიქადულო ის კი არ არის, რომ მოიხილო იერუსალიმი, არამედ რათამცა იცხოვრო იერუსალიმში სათნოებითა. ნუ წარმოიდგენ, რომ შენი ცხოვრება საშიშს მდგომარეობაშია მხოლოდ იმისათვის, რომ შენ არ გიხილავს იერუსალიმი, და ნუ ჩამთვლი მე უმჯობესად ამისათვის მხოლოდ, რომ მე იქ ვსცხოვრებ. სადაც უნდა იყო შენ — იქ ანუ აქ, სასყიდელი (ჯილდო) განიზომება ღმრთისა მიერ საქმეებითა“ (ნეტარი იერონიმე). თვითონ ამ ნეტარს მამა იერონიმეს განუტარებია 30 წელნი ქალაქს ბეთლემში, ქრისტე მაცხოვრის შობის მღვიმეში, სადაც მან სთარგმნა დაბადება (საღმრთო წერილი) ებრაულის ენიდან ლათინურად, ვულგატად წოდებული, და ბოლოს აქვე აღასრულა თვისი ქვეყნიერი ცხოვრება მღვდლის ხარისხში 30 სეკტემბერსა 420 წელსა, მე-90 წელსა შობიდგან თვისისა

„ეოგელგან — შეოფასა ძამარო მაგლენ სიეკარულათა და არა გეშითა“ (ნეტარი აგვისტინე) ეს ღირსი მამა აგვისტინე იყო ეპისკოპოსი ქ. იაპონისა, აღესრულა იგი 28 აგვისტოსა 430 წელსა, შობიდგან თვისისა 76 წლისა. წმ. გრიგორსა, ნოსელ ეპისკოპოზსა, დიდი ვასილის უმცირესს ძმასა, კე-

თილმოწიწებითის სიხარულითა მოუხილნია წმ. ადგილები პალესტინაში; მაგრამ მას ზედა მძიმე და უსიამოვნო შთაბეჭდილება მოუხდენია რომელთამე უწესოებათა და უთანხმოებათა პალესტინის მცხოვრებთა, რომელნიცა იყვნენ აღელვებულ სხვა-და-სხვა მწვალებლობათა მიერ. ამ გვარი მძიმე გრძნობის გავლენის ქვეშ გრიგორი სწერავდა ერთს განდეგილსა, რომელსაც ჰსურდა თაყვანის-ცემა წმ. ადგილთა პალესტინაში: „აქებდით უფალსა იმა ადგილთა შინა, სადაც იმყოფებით! ადგილის გამოცვლა არ დაგვაახლოვებს ჩვენ ღმერთსა. სადაც უნდა იმყოფებოდე შენ, უფალი მოვალს შენდა, უკეთუ სავანე შენის სულისა აღმოსჩნდებაᲐ ისრეთი, რათამცა დაემკვიდროს იგი შენ შორის და იცხოვროს შენ შორის; ხოლო უკეთუ შენი შინაგანი კაცი სავსეა ბოროტთა გულის-თქმათა მიერ, მაშინ შენ გინდᲐ იმყოფებოდე გოლგოთაზედა, გინდა ზეთის-ხილთა მთაზედა, ანუ საფლავსა ქვეშე აღდგომისასა, შენ იმოდენადვე არ ძალგიძს შეწყნარება შენ შორის ქრისტესი, რამოდენათაც მათცა, რომელთაც დასაწყისიც არ დაუდვიათ თვისის აღმსარებლობისა... ნუ თუ წმ. სული მრჩობლად გარდამოვალს მხოლოდ იერუსალიმელთა ზედა, ხოლო ჩვენდა არა ძალუძს მოსვლა?..“

მაუწეე მე, უფალო, გზაᲐ, რომელსაცᲐ ვიდრᲐდე, რამეთუ შენდაში აღვიღე სული ჩემი (ფსალ. 142, 8).

სარჩევი.

თავი		გვერდი
I.	ტფილისიდამ სტამბოლამდე	1—5
II.	წმ. სოფიას ტაძარი კონსტანტინეპოლში	5—8
III.	ისევ სტამბოლში.	8—10
IV.	ქართველთა მონასტერნი საქართველოს გარეთ	10—14
V.	სტამბოლიდან იერუსალიმამდე	15—24
VI.	ქ. იერუსალიმი და მისნი სიწმიდენი .	24—35
VII.	დღესასწაულობა წმ. ცეცხლის გამოჩენისა	35—52
VIII.	წირვა მშობელთა მსოფლიო მოხსენებისა	52—57
IX.	წირვა მის უნეტარესობის იერუსალიმის პატრიარქისა	57—60
X.	ადგილი საიდუმლო სერობისა . . .	60—66
XI.	ბეთლემი	67—69
XII.	რძიანი მღვიმე ყოვლადწმიდისა ღვთის-მშობელისა.	69—70
XIII.	ღელე მწყემსთა	70—73
XIV.	ქ. ქებრონი, მამბრეს მუხა და მათი მნიშვნელობა	73—75
XV.	ქართველთა შესანიშნავი ჯვარის მონასტერი.	75—84
XVI.	ლოტის ანუ მკვდარი ზღვა	84—87
XVII.	მდინარე იორდანე და დაბა იერიქონი	87—93
XVIII.	მთა-ყერძო-ადგილი შობისა წმ. იოანნე ნათლის-მცემელისა	93—94
XIX.	წმ. მოციქ. იაკობ ზებედეს მონასტერი	94—99
XX.	ნაზარეთი	99—102
XXI.	თაბორი	102—103
XXII.	ტიბერიის ზღვა.	103—107
XXIII.	ლავრა წმ. საბასი	107—111

XXIV. წმ. საუფლო საფლავის ბერძენთა ძმობის დაარსება იერუსალიმში და მოქმედებანი მისნი . . . . . 111—114
XXV. წმ. მთა სინა . . . . . 114—115
XXVI. ქქ: პორტ-საიდ, ალექსანდრია, ქაირი. 115—118
XXVII. სინას მონასტერი . . . . . 118—121
XXVIII. წმ. ადგილები სინას გარეშემო. . . 121—124
XXIX. განსხვავებანი საღმრთო წესების შესრულებაში იერუსალიმისა და რუსეთის ეკკლესიათა შორის . . . . . 124—132
XXX. დაბრუნება პალესტინიდგან . . . . 132—134
XXXI. თუში მონაზონი ათონზედ . . . . 135—139
XXXII. წმ. ათონის მთა. . . . . 139—142
XXXIII. რუსთა წმ. პანტელეიმონის მონასტერი და სხვანი რუსთა სავანენი წმ. ათონის მთაზედ. . . . . 142—154
XXXIV. ათონის ძველი ივერიის მონასტერი და ახალი ქართველთა სავანე წმ. მოციქ. და მახარებელისა იოანნე ღვთისმეტყველისა და მათი ურთიერთშორისი დამოკიდებულება . . . . . 154—163
XXXV. წარწერა ათონის ივერიის მონასტრის კარისა ღვთისმშობლის ხატზედა . . 163—175
XXXVI. ივერიის მონასტრის დამფუძნებელის თორნიკე ერისთავის—ღირსი მამის იოანნეს ხატის მოსპობა ბერძენთაგან 175—178
XXXVII. შეძენა მამულისა ათონის მთაზედ ქართველთა ძმათაგან და დავის გამოცხადება მათგან ივერიის მონასტერზედ . . . . . 178—179
XXXVIII. ათონის ივერიის მონასტრის ქართულს დაბადებაზედ . . . . . 180—181

XXXIX. ქართული გალობის მდგომარეობა ათონზედ . . . . . 181—182
XL. ბოლგართა სკიტი ღირსისა მამისა იოანნე რილელისა. . . . . 182—183
XLI. ბერძენთა ვატოპედის მონასტერი. . 183—188
XLII. ხილანდარის მონასტერი . . . . . 188—194
XLIII. ათონის ზოგრაფის მონასტერი. . . —194
XLIV. ქართველთა სოფელი იერისო . . . 194—195
XLV. დაბრუნება ქართველთა სავანედ, გამომშვიდება ქართველთა ძმებთანა და კვალადცა მობრუნება რუსთა პანტელეიმონის მონასტრად . . . . 195—196
XLVI. მგზავრობა კონსტანტინეპოლიდან ქ. ოდესსამდის . . . . . 196—198
XLVII. განგრძობა მგზავრობისა ოდესსიდამ სუხუმამდის . . . . . 198—200
XLVIII. ქ. სუხუმის მცხოვრებელთა ქართველთა სარწმუნოებრივი და ზნეობრივი მდგომარეობა . . . . . 200—203
XLIX. საფუძველნი, ძალი და მნიშვნელობა მშობლიურს ენაზედ ღვთისმსახურების შესრულებისა და ℳსახარების ქადაგების მოსმენისა . . . . . 203—205
L. ჭოროხის ხეობაში მცხოვრებელთა ძველთა ქართველთა აწინდელი სარწმუნოებრივი და ზნეობრივი მდგომარეობა . . . . . 205—213
LI. დაბრუნება სამშობლოდ . . . . . 213—214
LII. დროა ბოლო მოეღოს . . . . . 214—221
LIII. რუსის გენერალის შთაბეჭდილება მიმოხილვის დროს ქართველთა წმიდათა სავანეთა პალესტინაში და წმ. ათონის მთაზედა . . . . . 221—222
LIV. წერილი ათონის ქართველთა სავანის ძმათაგან 10 ივნისს 1900 წელსა . 222—223

მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ.

ტფილისიდან სტამბულამდე.

აისის 16 დღესა 1899 წლისას, კვირა დღეს, გამოვემშვიდობე დედა-ქალაქს ტფილისსა, ვახსენე უფალი ღმერთი, რათა წყალობა მისი თანამავალ ჩემდა ყოფილიყო ვითარცა ამ მოგზაურობაში, ეგრეთვე ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა და წარვემართე რკინის გზის სადგურად. სადგურამდე გამომაცილა ორმა ქართველმა მღვდელმა და ერთმაც ახალგაზდა მოხელე თანამოსამსახურე რუსმა. ჩავჯეგ ვაგონში მარტოდ, ობლად, დაღონებული, მაგრამ გზა, რომელსაც წარვემართებოდი, და საგანი მგზავრობისა მახალისებდა, მამხნევებდა.

ერთს ვაგონში შემხვდა ორი ახალგაზრდა, როგორც აღმოჩნდა შემდეგ, ქართველნი ტომითაც, გვარითაც და სამშობლოს სიყვარულითაც. ვიდრე გამოველაპარაკებოდი, ერთმა მათგანმა აზრით უკვე მიცნო და მკითხა: „თქვენ იერუსალიმს ხომ არ მიემგზავრებით“? ნამდვილად, მაგრამ თქვენ საიდგან იცით ჩემი განზრახული მგზავრობა, როდესაც პირველად გხედავ? მან მიპასუხა: „მამა ჩემმა გ. ქ – მა, რომელიც თქვენ კარგად გიცნობთ, მითხრა, რომ იერუსალიმს მოგზაურობას აპირებთ“. სჩანს, ღირსეულს მამულიშვილს ღირსეულად აღუზრდია თვისი შვილები. ეს ახალგაზრდანი მიესწრაფებოდნენ ს. ატენს, რათა დასწრებოდნენ დღესასწაულობით ქარხნის გახსნას, სადაც მო-

ამზადებენ ხის ყოველ-გვარ მასალას და სადაც, პარაკლისის გარდახდის შემდეგ, ქართული ჩვეულებრივი ლხინი ექმნებოდათ. ჩემის მხრივ ვუსურვე სასარგებლო საქმისათვის კეთილი წარმატება. ამ დროს შემოვიდა ვაგონში მესამე ქართველი ახალგაზრდა, ჩაცმული ქართულს ეროვნულს გემოვნებაზედ, და უთხრა ქ—შვილებს, რომ ერთს განათლებულს ინგლისელ ქალს სურს დაესწროს ს. ატენში ქართულს ლხინს, მაგრამ მომავალს სამშაბათამდის დრო არ ექმნებაო. შემდეგ ჩვენ დავშორდით ერთმანერთს ქ. გორის სადგურზედა, და აღარ ვიცი, როდის გარდახადეს ატენში ლხინი.

რიონის სადგურზედ შემხვდა ორი ფრანგი, რომელნიც მისდევდნენ ერთს გურულს მებატონეს მის მამულის სანახავად და შესასყიდად. სამწუხარო იქნება, თუ საქართველოს მამულები გადავიდა სხვა ტომთა ხელში და ჩვენი ერი კი დარჩა შემდეგ ბოგანოდ. უკეთუ ჩვენმა ერმა დაიცვა თავისი არსებობა აქამდის, ეს სხვათა მიზეზთა შორის იმისათვის, რომ თავისს მამულზედ, მის წინაპართა სისხლით მორწყულზედ, იყო იგი მტკიცედ დამკვიდრებული.

16 მაისს, ღამის ცხრა საათზედ, მოვედით ქ. ბათუმს მშვიდობით, და პირდაპირ ცეცხლის გემ „ცესარევიჩ გიორგი“-ზედ გადაველ, რომელიც ერთის საათის შემდეგ გაემგზავრა ოდესისაკენ.

17 მაისს დილით მოვედით ფოთის ნავთსადგურში, სადაც გაჩერდა ცეცხლის გემი დილის ათს საათამდე. აქ მუშაობდა მანქანა, რომლითაც იღებენ ქვიშას ზღვის ძირიდგან ნავთსადგურის დასაღრმავებელად. აქ ერთი უბედური კაცი ზღვაში ვარდებოდა თავის დასარჩობად, მაგრამ ადრე შენიშნეს და დაიხსნეს სიკვდილისაგან; ვინაობა ამ უბადრუკისა ვერ შევიტყე, ჩოხა ემოსა და თავისის ვინაობისა არა სთქვა-რა. ბათომიდგან წამოსული აქ

შემხვდა ერთი სომეხი, სოხუმში მოვაჭრე, რომელმაც გარდმომცა, რომ ქუთაისის სომეხთ არ ესმით თავისი სამშობლო ენა, და ამის დასამტკიცებლად მითხრა შემდეგი შემთხვევა: შევედი ქუთაისის სომეხთა ეკკლესიაში და სომხურად ვთხოვე ერთის აბაზის წმ. სანთელი მოეყიდნათ ჩემთვის, მიღდისამ ვერ გაიგონა ჩემი თხოვნა და ქართულად მითხრა: რა გინდაო? და შემდეგ სხვებმა ქართულად უთარგმნეს მიღდისას ჩემი სურვილი და მხოლოდ მაშინ მომყიდა სანთელი. ეს სომეხი თითონ ოსმალეთიდგან ახლად გადმოსახლებული იყო და არ იცოდა ქართული.

18 მაისს შემხვდა გემზედ თანამოგზაურად ნოვოროსიისკიდამ კერჩამდის ახალგაზრდა ინჟენერი რუსი, რომელმაც მკითხა: „На какой службѣ состоите Вы, на русской или грузинской? ვუპასუხე: совмѣщаю ту и другую вмѣстѣ —Какъ это возможно? მივუგე: ვისაც სწავლა მიუღია რუსულს ენაზედ, მას შეუძლიან ემსახუროს რუსეთის სახელმწიფოს, გვარტომობის მიუხედავად. მე თითონ ქართველთ ეროვნებისა ვარ და ვმსახურებ რუსულს სახელმწიფო სასწავლებელში, ისე, როგორც თვით რუსნი.

კვალად მკითხა: რა განსხვავებაა რუსთა, ქართველთა და ბერძენთა ეკკლესიათა შორის? მივუგე: არსებითი (უმთავრესი ანუ დოგმატიური) გარჩევა მათ შორის არა არის რა. იგინი არიან შეერთებულ ერთ გვარის სარწმუნოების აღსარებითა და ლოცვათა და საიდუმლოთა ერთობითა ანუ ზიარებითა. მცირედი განსხვავება მათ შორის შეიძლება იყოს წესებში, მაგრამ ამ გვარი გარჩევა წესებში სრულიად არ დაარღვევს ერთობასა სარწმუნოებისასა მათ შორის, მაგალითებრ: მცირე ანუ ქვემო რუსეთის ეკკლესიაში, ეგრეთვე ბერძენთა ეკკლესიაში, მიღებულია წესად, რომ სახარების კითხვის დროს წირვაზედ მღვდელი ანუ დიაკონი მიიქცეს პირით ერისაკენ, ხოლო დიდს რუსეთში-კი მობრუნდება მღვდე-

ლი აღმოსავლეთისაკენ, ვითარცა საქართველოს ეკკლესიაშიაც მიღებულია. შემდეგ განაგრძო: ვიყავი ბერძენთა ეკკლესიაში და სხვა წესები ვნახე. მე ვკითხე: სახელდობრ რომელნი? მან მიპასუხა: „ვერც ერთი საგალობელი სლავიანურს კილოზედ ვერ მოვისმინე ბერძენთა ეკკლესიაშიო“. ამის პასუხად ვუთხარ: საეკკლესიო გალობა რვა ხმად ანუ კილოდ განიყოფება ეს შემოღებულია მერვე საუკუნიდგან ქრისტეს შობისა. ყველა მართლმადიდებელთა ეკკლესიათა რვა ხმაზედ აქვთ დაწყობილი გალობანი თვისს ეროვნულს კილოზედ, ანუ გემოვნებაზედ; ამისათვის ცხადია, რომ ერთის ენის კილო მეორეს უცხოდ ეჩვენება. მაშასადამე საქართველოს და ბერძენთა ეკკლესიასაც თვის ეროვნულს კილოზედ აქვს შემოღებული და დაწყობილი საეკკლესიო გალობა.

აი ასეთი შემცდაო წარმოდგენა აქვთ რუსის ზოგიერთ მეცნიერთა სხვა ეროვნულს საეკკლესიო გალობასა და საგანზედ.

„ცესარევიჩ გიორგი“-ს გემზედ, რომლითაც ვიმოგზაურე ბათომიდამ ოდესსამდის, იყვნენ ორნი ძმანი, შობილნი ქართველ დედისაგან (გურიიდგან) და ზანგის მამისაგან; კარგად იციან ამათ ქართული და რუსული ენა, ერთი ზღვაოსნად ჰმსახურობს ამავე გემზედ, ხოლო მეორე—მზარეულად. ქართველთ გვარტომობის იერი ეტყობათ.

ამავე გემზედ შემხვდა ბერძნის სახლობა, რომელსაც წამოეყვანა ბათომიდგან ერთი ათის წლის ქართველი ქალი გურიიდგან. ამ ქალისთვის ეთქვა ერთს ჩემს თანამოგზაურს სომეხს ჩემი ვინაობა, მაშინვე მოვიდა ჩემთან და მთხოვა ლოცვა-კურთხევა; მაშინ უკვე მოვედით ოდესის ნავთსადგურზედ და დროება არა მქონდა დაწვრილებით გამომეკითხა ამ ქალისათვის მისი ვინაობა, მხოლოდ ის-კი მითხრა, მივყავართ სტამბოლსაო, და აღარ

შემხვედრია სხვა გემზედ, როდესაც გავემგზავრეთ ოდესიდამ სტამბოლისაკენ.

ამავე გემზედ შემხვდა ახალგაზდა სომეხი ერევნიდგან პ. ნიკ. აფ—ნი; თავის ხარჯით მიემგზავრებოდა ვენას ბუნების მეტყველების მეცნ ერების შესასწავლად. მეორედ მიდიოდა ამ აზრით სამხღვარ გარედ. ოდესიდამ გაემგზავრა რკინის გზით. რამდენადაც პირველი შემთხვევა სამწუხაროა—მცირე წლოვანის ქალისა უცხო ქვეყანაში და უცხო ტომის სახლობაში მსახურება, რადგანაც იგი ადვილად დაივიწყებს სამშობლო ენას უცხო ქვეყანაში და სრულიადაც გადაგვარდება, ეგოდენ მეორე ამბავი სომხის ახალგაზრდის მისწრაფება მეცნიერების შესასწავლად, ვითარცა მწყურვალისა წყალზედ დასაწაფებლად, სანუგეშებელი და სასიხარულოა სამშობლოსათვის. იგი თავისუფლად ჰლაპარაკობდა ფრანგულად და ესმოდა ინგლისურიცა.

ქ. ოდესაში მივედით 22-ს მაისს და ამავე რიცხვის საღამოს ხუთს საათზედ გავემგზავრეთ კონსტანტინეპოლისაკენ „აზოვი"ის ცეცხლის გემით. 23-ს მაისს, საღამოს 7 საათზედ, მივედით სტამბოლს. 24 მაისს მოვიარე სტამბოლი ანუ კონსტანტინეპოლი, მოვიხილე წმ. სოფიას ტაძარი, ოდესმე დიადი შვენება ქრისტეანობისა და აწ მეჩითად გარდაქცეული.

წმ. სოფიას ტაძარი კონსტანტინეპოლში.

ირველს შვიდთაგან ბორცვზედა სტამბოლისა, ძველს მოედანზედ „აგვისტეონისა", ბრწყინავს დიდებული ტაძარი წმ. სოფიასი,—დიდებული, წარჩინებული ხელოვნება ბიზანტიისა, გვირგვინი ხელოვნებისა და კანონი საეკკლესიო ხუროთ-მოძღვრებისა. ეს ტაძარია აკვანი რუსთა სარწმუნოებისაცა: ამ ტაძრიდამ აღმობრწყინდა მაცხოვარებითი ნათელი ქრისტეანობრივის მართლმადიდებლობისა;

ამ ტაძარში მოისმინეს წირვა მთავარ ვლადიმირისა მიერ მივლინებულთა, და არ იცოდნენ ამ დროს, ცაში იყვნენ, თუ ქვეყანაზედ. აქ გაბრწყინდნენ ნათლითა ჭეშმარიტის სარწმუნოებისათა და გარდაიტანეს იგი სარწმუნოება შემდეგ რუსეთში.

წმ. სოფიას ტაძარი აღშენებულია ბრწყინვალე მეფობაში იუსტინიანე იმპერატორისა. კონსტანტინე დიდმა პირველმა აღაშენა კონსტანტინეპოლში ეკკლესია სახელ. სა ზედა ღვთისა სიბრძნისა (სოფია ბერძნულად ჰნიშნავს სიბრძნესა), მაგრამ ეკკლესია ესე ხის სახურავითა დაიწვა აღრეულობისა დროსა, რომელიც მოჰხდა მიზეზისა გამო განდევნისა წმ. იოანნე ოქროპირისა, მხოლოდ არა სრულიად: საკურთხეველი დარჩა უვნებლად. ამასთანავე იყო გადარჩენილი სამღვდელმთავრო სელი (კრესლო) ოქროპირისა, რომელიც არის აწ საპატრიარქო ეკკლესიაში სტამბოლს. განახლებული იმპერ. თეოდოსი მცირისაგან (401—450 წ.). ეკკლესია წმ. სოფიასი კვალადცა გადაიწვა მეორე აღრეულობის დროსა 532 წელსა. მაშინ იმპერატორმა იუსტინიანემ გარდასწყვიტა აღშენება ახალის ტაძრისა, რომლითაც უნდოდა დაებნელებინა დიდებაშარავანდედი სოლომონის ტაძრისა. აღშენება დაიწყო 23 თებერვალსა 533 წელსა და დასრულდა ხუთის წლის, ათის თვის და ორის დღის განმავლობაში. კურთხევა ახლად აღშენებულის ტაძრისა შესრულდა 22 დეკემბერსა 537 წელსა, მინა პატრიარქის დროსა, როდესაც იუსტინიანემ წარმოსთქვა შემდეგი შესანიშნავი სიტყვები: „ჰი, სოლომონ, მე გარდაგემატე შენ“! აღშენება ტაძრისა დაჯდა 2 მილიონი და ოცი ათასი თუმანი. ეს ჯამი ფულისა შედარებით ჩვენს დროებასთან შეეთანასწორებოდა დაახლოვებით სამას მილიონ მანეთსა. გუმბათი წმ. სოფიასი თავის მოყვანილობით აღემატება ყოველთა გუმბათთა დიდებულთა ტაძართასა. გუმბათს აქვს 32 ფან-

ჯარა. ეს გუმბათი არის გაშლილი და ისრე მოსჩანს თითქოს სივრცეში ეკიდოს და ყოველის მხრით სჩანს ძირამდის. მრთელი შენობა არის კვადრატი (ოთხკუთხი) 240 ფუტი (105 ადლი) სიგანით, და 269 ფუტი სიგრძითა (118 ადლი).

ტაძარსა აქვს ასი კამარა (კოლონა) 40 დაბლა ტაძარში და 60 ხორაზედ. იგინი არიან აღგებული უძვირფასეს ფერად მარმარილოს ქვითა.

შინაგან კედლები გადაკრულია აგრედვე მარმარილოთი, ხოლო ჭერი არის მოფენილი ფერად-ფერადის კენჭით დასურათებულ სხვა და სხვა მხატვრობითა, რომელთაც უმეცარი ოსმალები დროგამოშვებით შელესავენ ხოლმე კირითა. შესანიშნავია სიტყვანი სულთან აბდულ-მეჯიდისა, რომელნიც უთხრა მან ხუროთ მოძღვარსა, განმაახლებელსა სოფიას მეჩითისა 1849 წელსა; „შეღებეთ მოზაიკა, რაც შეიძლება, სუბუქად, რომ შესაძლებელ იყოს ყოველთვის წაშლა საღებავისა. ვინ იცის, შესაძლებელია, ჩემმა მოადგილემ ისურვოს სრულიად გამოჩენა მათი . იუსტინიანეს დროს წმ. სოფიას ტაძარში მსახურობდა სამღვდელოთა დასი 1000 კაცამდე.

შემდეგ იმპერატორმა ირაკლიმ შეამცირა ეს რიცხვი და დააწესა სამსახურებლად ამ ტაძარში: მღვდელნი 80 კაცი, დიაკონნი 150 კაცი, კერძო დიაკონნი 70 კაცი, დიაკონისსები დედანი—40, მკითხველნი 160 კაცი., მგალობელნი 25 კაცი, მეკარენი 75. სულ 600 კაცი.

წმ. სოფიას ტაძარი იქმნა გარდაქცეულ მეჩეთად მაჰმად მეორის მიერ შემდეგ დაპყრობისა კონსტანტინეპოლისა. როდესაც დამპყრობელი ძლევამოსილად შევიდა ქალაქში, წარემართა უწინარეს ყოვლისა წმ. სოფიას ტაძარსა, და, განკვირვებულმა მის დიად მშვენიერებით, იქვე უბრძანა მოლლასა მაღალის ხმით წარმოთქმა ისლამის თაყვანისცემისა. ეს პირველი მუსულმანთა ლო-

ცვა შესანიშნავს საქრისტეანო ტაძარში იყო შესრულებულ საკურთხეველში წმ. ტრაპეზსა ზედა, სადაც შევიდა თვით მაჰმადიც. ეს იყო 29 მაისსა. შემდეგ პირველს ივნისს 1454 წელსა, პარასკევსა წმ. სოფიას ტაძარში შესრულებულ იქმნა პირველი სრული სარწმუნოებრივი მსახურება წესისამებრ მაჰმადიანთასა!..

კურთხეულ არს განგება ღვთისა! მაისის 11-ს იყო დაფუძნება კონსტანტინეპოლისა და ამავე თვის 29-ს მოჰხდა მისივე დამხობა; და მაგიერ ცხოველმყოფელის ჯვარისა წმ. სოფიას გუმბათზედ აწ ბრწყინავს ნახევარ მთოვარე.

ვითარცა შვენის ამ ტაძრის დიდებას, ისრე სუფთად ვერ ინახავენ ოსმალონი. ხორაზედ რომ აველი, ვნახე, რომ ფრინველთა სკინტლით იყო სავსე იქაურობა.

ასოცი დიდად მშვენიერი ხომლი და ექვსი ათასამდე ლამპარნი, მათზედ ზევიდან მიბმულ სირაქლემის კვერცხებითა, ანათებენ მეჩეთსა ზოგადის ლოცვის დროსა, ხოლო „ბაირამის და რამაზანის“ დღესასწაულებზედ რიცხვი სანთელთა ორკეცდება თითქმის.

ისევ სტამბოლში.

ივისის 24-სა მოვილოცე ბერძენთა ეკკლესიები: საპატრიარქო, ვლაქერნისა, წყარო ყოვლად წმიდისა ღვთის მშობლისა, და რამდენიმე სხვა.

ამ დღესვე შევედი რუსთა ათონის პანტელეიმონის მონასტრის მეტოქში (სადგურში), სადაც ვისადილე; აქედგან აცილებდნენ იერუსალიმით მობრუნებულთა მლოცავთა რუსთა ორასამდე კაცსა, და ახლად მიიღებდნენ ამავე მეტოქში და ორს სხვა რუსთა მონასტრების სადგურშიაც ოდესიდამ ზოსულთა „აზოვ“-ის გემით სამასამდე სულს, რომელთა შორის ერთი ქართველი მე ვიყავ. სა-

ქებელია რუსთა დაბალრის ხალხის ასეთი სარწმუნოებრივი მისწრაფება წმ. ადგილების მოსალოცავად. ერი, ბერი, მღვდელი, ქალი და კაცი, მოხუცი და ჭაბუკი ერთნაირად მიისწრაფებიან სალოცავად იერუსალიმს, და იერუსალიმიდგან მობრუნების შემდეგ მამაკაცნი მიდიან წმ. ათონის მონასტრებში მოსალოცავად, ხოლო დედანი ბრუნდებიან სამშობლოში. ქართველს ერს, მე-4-ე საუკუნიდგან დაწყებული ვიდრე 16—17 საუკუნემდე, ჰქონია ამ გვარი მსვლელობა იერუსალიმს იქაურ წმ. ადგილთა მოსალოცავად. მეცნიერი ისტორიკოსი 18 საუკუნისა ბატონიშვილი ვახუშტი მოგვითხრობს შემდეგსა: სულთან სულეიმანმა წარმოუგზავნა ელჩი სამთა მეფეთა: გიორგი IX ს ქართლის მეფესა, ბაგრატს იმერეთისას და ლევანს კახეთისას, და შემოუთვალა: „იერუსალიმი, აკვანი თქვენის სარწმუნოებისა, დაპყრობილია ურწმუნოთაგან, გარნა მე მომიცია იგი თქვენდა, წარვედით, განდევნეთ იგინი და უფლებდეთ თქვენ“. ამ გვარის წინადადების შემდეგ, ეს მეფენი, რადგანაც სცხოვრობდნენ კეთილის ურთიერთობით, დაუყოვნებლივ შეიკრიბნენ, შეჰკრიბეს ლაშქარნიცა და ზოგად წარემართნენ საბრძოლველად. მათ შეუერთდა ეგრეთვე ყვარყვარე ათაბეგიცა. როდესაც იგინი მიუახლოვდნენ იერუსალიმსა, მცხოვრებნი ამ ქალაქისა ჰკითხვიდნენ: „გამოგვიცხადეთ—უკეთუ თქვენ მტერნი ჩვენნი ხართ, მცირედნი ხართ თქვენ; ხოლო უკეთუ სტუმარნი, მაშინ ძალიან ბევრნი ხართ?“ მეფეთა რაინდულად მიუგეს, რომ იგინი საკმაო ძალით მოსულან საბრძოლველად. მაშინ დაიწყო სისხლ-მფრქვევი ომი, ქართველთ შემუსრეს იგინი, უკან აბრუნეს, შევიდნენ ქალაქში, გაცარცვეს იგი, აიღეს მრავალი დავლა-ალაფი და ტყვენი. სულთანმა ამისათვის მისცა მათ წმიდანი ადგილნი: „საფლავი უფლისა, გოლგოთა, ბეთლემი და ჯვარის მონას-

ტერი. შემდეგ ამისა სამნივე მეფენი და ყვარვარე მობრუ-ნდნენ გამარჯვებით თითოეული თავის სამეფოში. ეს მო-ხდა ვახუშტისაებრ 1525 წელსა. ამ დროს ლევანს კა-ხეთის მეფეს მოუსვენებია იერუსალიმიდან ნაწილი ცხო-ველ-მყოფელის ჯვარისა, რომელიც აწცა დაცულია კა-ხეთის ალავერდის სამიტროპოლიტო ტაძარში და ჯვარი იგი შეუმკია მასვე მეფესა ფას-დაუდებლის უძვირფა-სესის თვლებითა.

მეჩვიდმეტე საუკუნეშიაც ასეთის ღირსებითა და პა-ტივის ცემით მიიღებდნენ ქართველთა მლოცავთა, იე-რუსალიმს მიმავალთა, შეიწყნარებდნენ მათ არა ქედმო-დრეკილად მაჰმადიანთა წინაშე, არამედ პატივისცემით, ვითარცა ძლევა-მოსილსა ერსა; დროშა-ბაირაღ გაშლილ-ნი, სრულიად შეჭურვილნი, საომარის იარაღით მოსილ-ნი თავიდგან ფეხამდის, ხარკ-გარდაუხდელად შევიდოდ-ნენ ქართველნი იერუსალიმს, და ესრედ დიადი იყო სახე-ლი ქართველთა ერისა! ამავე დროს სხვათა ეროვნება-თა ქრისტეანობის სარწმუნოების აღმსარებელნი ევროპი-ელნი, ანუ აზიელნი, საომარს იარაღს აიყრიდნენ, დაწესე-ბულს ხარკს გარდაიხდიდნენ ფულითა, და შემდეგ ეღირ-სებოდნენ იერუსალიმში შესვლას და ლოცვასა. ქართ-ველს ერს პალესტინაში ჰქონია ოდესმე 19 მონასტერი და აწ არცა ერთისა მქონებელია.

ქართველთა მონასტერნი საქართველოს გარეთ.

პალესტინაში:

1. მონასტერი წმ. ჯვარისა.
2. წმ. მოციქულთა, აღშენებული საქართველოს მეფის გიორგი 1-მიერ.
3. მართალის მამამთავრის აბრაამისა, განახლებული თავად გიორგი აბაშიძის მიერ 17 საუკუნეში.

4. წმ. ნიკოლოოზისა, აღშენებული საქართველოს დედოფლის ელენას მიერ.
5. წმ. მოციქულისა და მახარებელისა იოანნესი, აღშენებული სამცხეს ათაბეგებისა მიერ.
6. წმ. ვასილისა, აღშენებული თავად ამირინდო ამილახვარისა და თაქოს მიერ.
7. მეორე სავანე წმ. ნიკოლოოზისა, აღშენებული პაატა და ქაიხოსრო წულუკიძეთა მიერ.
8. წმ. თეოდორესი, აღშენებული მზრუნველობითა ბეჟან და ბაადურ თავად ჩოლოყაშვილთასა.
9. წმ. პირველ-მოწამისა თეკლასი, აღშენებული ქრისტეფორე ხედგინიძისა მიერ.
10. წმ. მთავარ-მოწამისა გიორგისა, აღშენებული თავად დადიანის მიერ.
11. დედათა მონასტერი პატივად მირქმისა უფლისა, აღშენებული რაჭის ერისთავისა მიერ.
12. წმ. მთავარმოწამისა დიმიტრისა, აღშენებული ქსნის ერისთავის შალვას მიერ.
13. ქართველთა დედათა მონასტერი წმ. ქალწულ-მოწამისა ეკატერინას სახელზედა, აღშენებული თავად ამილბარ ციციშვილის და თავად მაჩაბლისა მიერ 17 საუკუნეში.
14. ტაძარი ქრისტეს აღდგომისა გოლგოთაზედა.
15. მონასტერი წმ. წინასწარმეტყველისა სამოელისა.
16. წმ. მოციქულისა იაკობ ზებედესი, სადაც ეხლა სცხოვრობს სომეხთა პატრიარქი.
17. ღირსისა მამისა საბა განწმედილისა.
18. წმ. და მართლისა სვიმეონ ღმრთის მიმრქმელისა, იერუსალიმიდან 4 ვერსზედ დაშორებული, სადაც ზაფხულობით სცხოვრობს საგარაკოდ ბერძენთა პატრიარქი იერუსალიმისა.
19. წმ. იოანნე ნათლის მცემლისა იორდანის პირზედ.

მონასტერნი სირიაში და სხვაგან.

20. ღირსისა მამისა სვიმეონ მესვეტისა.
21. ყ^დ წმ. ღვთის მშობელისა—კალიპოს, მახლობლად ალეპპო ქალაქისა.
22. მონასტერი კვიპროსის კუნძულზედ.
23. სინას მთაზედ.
24. ქ. ტრაპეზონში.
25. შავმთაზედ სირიაში.
26. ივერიის კარისა ღვთის-მშობლისა ათონის მთაზედ.
27. წმ. ფილოთეოზისა ათონზედვე.
28. ეკკლესია ყ^დ წმ. ღვთის მშობელისა შობასა წმიდასა ოლიმპოს საბერძნეთისასა, ქვაბსა საყოფელთა ქართველთასა.
29. ბოლგარიაში მონასტერი წმ. მოციქულთა სწორის ნინოს სახელზედ, მთაში, ოცის ვერსის დაშორებით ქ. ფილიპპოლიდგან, რომელსაც აქამდის უწოდებენ ქართველთა სავანედ.
30. 1870 წელს დაფუძნებული სავანე ქართველთა ძმათაგან წმიდისა იოანნე ღვთისმეტყველისა ათონის მთაზედ, სადაც მოღვაწეობენ აწ 35 ძმანი ქართველნი.
31. მთავარ ეპისკოპოზი ტიმოთე, რომელსაც მოუხილავს პალესტინა 1752 წელსა, ამბობს თვისს მოგზაურობაში, რომ ქართველებს ნაზარეთში ჰქონიათ ოთხი მონასტერი.
32. მონასტერი იერისო სალონიკის მახლობლად, სადაც ამ ოცის წლის წინად ქართული წარწერა ყოფილა ეკკლესიის კარების თავზედ, რომელიც ბერძნებს მოუსპიათ.
33. მონასტერი კონსტანტინეპოლში, რომლის ეკკლესიაში არიან დაკრძალულ წმ. ნაწილნი ღირსისა მამისა ჩვენისა ილარიონ ქართველისა, საკვირველმოქმედისა.

განსაცვიფრებელია და საკვირველი ასრეთი სიმრავლე სავანეთა და ეკკლესიათა, ქართველის ერისაგან შენებულთა საქართველოს გარეთ. იგინი აქამომდის წარმოადგენენ დაუვიწყართა ძეგლთა ქართველის ერის ღრმა სარწმუნოებისას, კეთილმსახურებისას ჯ ეროვნულის ძლიერებისას. ჭეშმარიტად, ამ ღმრთისა მიერ კურთხეულს ერს შეიძლება მიეწეროს წმ. მოციქულის სიტყვანი: „ეოგელსა ჭეეკნასა განხდა ხმა მათი და კიდეთა სოფლისთა სიტეკვანი მათნი.“ ახლა რამდენი მოიპოვებიან დანგრეული სავანენი და ეკკლესიანი საქართველოს გარეთ, რომელთა სახელები არ შეგვინახა ისტორიამ. ჩემის აზრით, საეკკლესიო და სამოქალაქო ისტორია ვერ წარმოადგენს ამის მსგავსს მაგალითსა, რომ რომელსამე ერსა ჰქონდეს ეგოდენი სავანენი და ეკკლესიანი გარეშე თვისის სამშობლოისა.

„და იყვნენ უკანასკნელნი პირველ, ხოლო პირველნი იყვნენ უკანასკნელ“ (ლუკ. 13, 30). ესრედ დამართვია ჩვენს ერსა, სარწმუნოებისათვის მრავალ-წამებულსა.

25 მაისს კვლავ დავათვალიერე სტამბოლის შესანიშნავი ადგილები. ამავე დღეს წავედით რკინის გზით ქ. სან-სტეფანოს, სადაცა დაიწერა პირველი პირობა რუსთა და ოსმალთა შორის შერიგებისა 1878 წელსა. აქ ვნახე ახალი ეკკლესია, აღშენებული რუსეთის მთავრობისაგან იმ ადგილზედ, სადაც არიან დაკრძალულ ძვალნი რუსეთის ძლევა-მოსილ მხედართა, სარწმუნოებისა, მეფისა და სამშობლოსათვის მოწყვეტილთა 1877 – 1878 წელს. ეკკლესია სიმაგრის მსგავსად არს აღშენებული, გარს ქვითკირის გალავანი აქვს შემორტყმული, რომელშიაც დატანებულია სათოფეები მტერთა მოსაგერებლად.

ეს ეკკლესია აკურთხეს 6 დეკემბერსა 1898 წელსა, მაგრამ საკუთარი სამღვდელო დასი არა ჰყავს დანიშნულ და ირიცხება სამხედრო უწყებაში. მცველად ამ ეკკლესიისა იყო ერთი შავმთიელი ვაჟკაცი, ქართველი კი მე

იქ არავინ შემხვედრია, თუმცა მითხრეს, რომ ვითომ ამ ეკკლესიის უფროსი მცველი ქართველიაო. ეკკლესია იგი შიგნით დახატულია, მხოლოდ არა ფერადის საღებავითა.

სტამბოლიდან იერუსალიმამდე.

მაისის 25-ს, გემზედ გარდასვლამდე, შემხვდა სტამბოლში მღვდელი მ. იასე შელია სამეგრელოდან. ამას უკვე მოელოცნა იერუსალიმი და სხვა წმ. ადგილები პალესტინისა, სადაც მთელი ზამთარი გაეტარებინა და აწ ოდესისაკენ მიემგზავრებოდა ქალაქ კიევისა და ჩერნიგოვის სიწმიდეთა მოსალოცავად. ძვირფასია უცხო ქვეყანაში თვისის სამშობლოს კაცის ნახვა. ეს მ. შელია 1877 წელს ტყვედ ყოფილა წაყვანილი აფხაზეთიდგან, სადაც იგი ჰმსახურებდა იმ დროს მედავითნედ ტყვეობაში გაეტარებინა ორი წელი ქ. ტრიპოლისში. შერიგების შემდეგ ოსმალთა ტყვეებში იქმნა გამოცვლილ და დაბრუნებულ სამშობლოში.

„აზოვ"-ის გემზედ იყო რამდენიმე სახლობა ურიათა, საქართველოდამ იერუსალიმს მიმავალთა და ქართულად მოსაუბრეთა. შემდეგ ვნახე იგინი იერუსალიმში, ფულს ახურდავებდნენ.

26 მაისს დილით გემზედ გარდავიხადეთ ცისკარი პასექის დღესასწაულის წარგზავნისა. ამ შემთხვევაში წარმოვიდგინე პირველ ქრისტეანობის ჟამნი, როდესაც დევნულნი სარწმუნოებისათვის ქრისტიანენი, გემზედ შეკრებილნი, შეასრულებდნენ ღვთის-მსახურებას. მერვე საგალობელი პასექისა: „აღიხილენ თვალნი შენნი გარემო, სიონ, და იხილენ, რამეთუ აჰა მოვიდენ შენდა, ვითარცა ღვთივ ბრწყინვალენი მნათობნი, დასავალით, ჩრდილოთ, ზღვით და აღმოსავალით, შვილნი შენნი, კურთხევად

ქრისტესა საუკუნოდ“, ცხადად წარმომიდგენდა ამ წინასწარმეტყველების შესრულებასა ამა შემთხვევაშიაცა (ისაია 60 თავი, მუხლი 4). აგერ ჩრდილოეთით რამდენიმე ასი რუსი და აღმოსავლეთით ერთი მე ქართველი, მიმავალნი სიონ-იერუსალიმსა სადიდებელად ქრისტეს ცხოველს-მყოფელის საფლავისა. დღის სამ საათზედ მოვედით მიტილენის ქალაქს; იგი მშვენივრად არის გაშენებული ზღვის ნაპირზედა, ბაღებით შემკობილი. ამავე საღამოზედ ცეცხლის გემზედ შევასრულეთ მწუხრი და ცისკარი ამაღლების დღესასწაულისა.

27 მაისს, ამაღლების დღეს, ვიყავი სმირნის სამიტროპოლიტო ეკკლესიაში, შევნიშნე ტრაპეზი არა თანასწორის ზომისა ყოვლის მხრივ. ვითარცა კონსტანტინეპოლში, აგრეთვე სმირნაში, სახარება პირქვე იყო დადებული ტრაპეზზედ, ვგონებ უფრო დაუდევნელობით და არა რომელისამე საფუძველით. წინად ვფიქრობდი, რომ არაბული სახარება იქმნებოდა, რადგანაც არაბული წერა და ბეჭდვა იწყება ვითარცა ურიული მარჯვენის მხრიდგან მარცხენისაკენ, და ამისათვის, მათს ენაზედ დასტამბული თავი ანუ დასაწყისი ჩვენებურად ბოლოდ გამოჩნდება, მაგრამ სახარება გადავშალე რამდენსამე ადგილს და ბერძნული აღმოჩნდა; ოდიკსაც არა ჰქონდა გარედან ილიტონი, ანუ შესახვევი ხელ სახოცი, ანუ, უკეთუ ჰქონდა, ზედ იყო მიკერებული, როგორც სარჩული.

სმირნაში ვნახე ამაღლების დღეს მიტროპოლიტი ვასილი, ლოცვა-კურთხევა მივიღე მისგან; იგი სცხოვრობს სახლში მარტივად, ვითარცა პირველ ქრისტეანობის დროის მწყემსმთავარი.

სმირნაში ითვლება 150 ათასი მცხოვრები. სმირნა ეკუთვნის კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსა. პალესტინასა და ასურეთში, ანუ აწინდელ სირიაში, მომეტებული

ნაწილი მართლ მადიდებელთა ქრისტეანეთა არიან არაბ-ნი; ამათ მღვდელნი და ეპისკოპოსნი თვისის ეროვნობისა ჰყავთ და ისინი არაბულს ენაზედ აღასრულებენ ყოველს ღვთის-მსახურებასა. ეკკლესიებშიც და წმ. ხატებზედაც წარწერანი არაბულს ენაზედ არის. წარსულს წელს გარდა-იცვალა პატრიარქი ანტიოქიისა, ამოირჩიეს ერთი არაბ-თა მღვდელ-მთავართაგანი პატრიარქად მაგრამ ეს არჩე-ვანი არ შეიწყნარეს სხვა პატრიარქთა ბერძენთა, რომელ-თაც ჰსურთ, რომ ბერძენთაგანი იყოს ამორჩეული, მაგ-რამ ანტიოქიის სამწყსოს და სამღვდელოთა უნდათ თვი-სის ტომის პატრიარქი, და არა უცხო ეროვნებისა. რო-მელსაც არ ესმის ადგილობრივი ენა და არ იცის ადგი-ლობრივი ჩვეულებანი სამწყსოსი.

ამ გვარსავე შეივიწროვებულს მდგომარეობაში იმყო-ფებოდა ბოლგართა ეკკლესია 1870 წლამდის. ამათ ჰყავ-დათ ბერძენთა ეპისკოპოსნი, რომელთაც არ იცოდნენ თვისის სამწყსოს ადგილობრივი სლავური ენა და ერს არ ესმოდა მწყემს-მთავართა ენა. ამისათვის ბოლგართა აღი-მაღლეს ხმა. მოსთხოვეს კონსტანტინეპოლის პატრიარქს განთავისუფლება ბოლგართა ეკკლესიისა. პატრიარქს არა ჰსურდა მათი განცალკევება და ბოლოს რუსთა მთავრო-ბის დახმარებით და სულთანის თანხმობითა განთავისუფ-ლდა ბოლგართა ეკკლესია ბერძენთა პატრიარქის დამო-კიდებულებისაგან და მიენიჭა უფლება თვისის მიტრო-პოლიტის და ეპისკოპოსთა აღმორჩევისა.

სმირნაში გავიცანი სტუდენტი კიევის აკადემიისა, შობილი სმირნის ქალაქისა, არაბის ტომისა, უკვე კურს-დამთავრებული; იგი უკვე დაენიშნა მიტროპოლიტს იე-როკირიქსად ანუ საზოგადო მქადაგებელად ეკკლესიებში.

სმირნიდგან წამოვიდა სხვა სტუდენტი მოსკოვის უნი-ვერსიტეტისა, არაბთაგანივე, შობილი იაფფის ქალაქსა, სადაც იგი მოდიოდა მშობელთა სანახავად.

სმირნაში უჩიოდნენ კრიტიდგან გამოდევნილ ოსმალთა მხედართ, რომ იგინი აწუხებენ ქრისტიანებს ამ ქალაქშიო.

ვითარცა ვნახე და მოვისმინე ზარის რეკვა სმირნასა, სტამბოლსა და საზოგადოდ პალესტინასა, ამ სახით სრულდება: ზარის ყურზედ არის მობმული თოკი და, როდესაც თოკს ჩამოსწევენ, მთელი ზარი ქანაობს და ისე ირეკება; ენას კი არა სცემენ ზარის გვერდებსა, არამედ გვერდები ქანაობის დროს ხვდება ენას და უსიამოვნო ხმა გამოდის; ამ სახედ მცირე ზარების რეკვა კიდევ შესაძლებელია, მაგრამ დიდი ზარებისა, რამდენისამე ათ და ას ფუთიანისა, შეუძლებელია და არც მოიპოვება დიდი ზარები აღმოსავლეთის ქვეყნებში. აქ წარმოდგენა არა აქვთ ხმაზედ განწყობილის ზარების რეკვისა, ვითარცა რუსეთის ქალაქებშია, მაგალითებრ კიევსა, პეტერბურგსა, იაროსლავში, სადაც ზარებზედ მოწყობილის ხმით მთელი საგალობელი ატკბობს მსმენელთა ყურთა, ვითარცა ლოცვისა „აცხოვნე უფალო, ერი შენი“ და სხვათა საგალობელთა.

სამოსის კუნძულზედ ითვლება 60 ათასი სული მცხოვრებელი; მათ ჰყავთ ოსმალეთის გუბერნატორი, რომელიც არ იღებს მონაწილეობას შინაგან მმართველობის საქმეში, მხოლოდ ხარკსა ჰკრებავს. სამოსის კუნძულზედ ქალაქ „ვიტტის“ ღვინო სახელ-განთქმულია მთელს არქიპელაგის კუნძულების ღვინოებში, ვითარცა კახეთის ღვინო სრულიად საქართველოში.

28 მაისს, საღამოს რვა საათზედ, გამოვიარეთ „როდოსის“ კუნძულთან; აქ გემი არ გაჩერებულა; აქედგან იწყება შესვლა ხმელთა შუა ზღვაში. ეს კუნძული დასახლებულია ებრაელებით, რომელნიც გადმოსულან ისპანიიდგან, და ეგრეთვე ბერძენთა მცირე რიცხვით. ეს ებრა-

К 2580/3

ელნი არიან ტანით წამოსადეგნი და მისდევენ, როგორც ნავოსნობას, აგრეთვე მიწის მოქმედებას.

„ხიოსის“ კუნძული ითვლება სამშობლოდ ჰომიროსისა. გარდმოცემაა, რომ აქ გარდაგდებულ იქმნა ზღვაში იონა წინასწარმეტყველი და შთანთქმულ ვეშაპისაგან. ხმელთა-შუა ზღვა ფერით ემსგავსება ფირუზსა და ამისათვის თვალთათვის დიდად სასიამოვნოა იმისი ყურება.

„აზოვის“ გემზედ, რომლითაც ვიმგზავრეთ ოდესიდამ იაფამდის, შემხვდა ბერძნულის ენის მასწავლებელი პეტერბურგის ერთის გიმნაზიისა. იგი მიემგზავრებოდა ქ. ათინას, ბერძენთა ძველის განათლების ბუდეში, სოკრატის, პლატონისა და არისტოტელის დედა-ქალაქში. მას ჰსურდა იქ ადგილობრივ შეესწავლა ძველი ბერძნული ენა. როდესაც დავიწყე მასთან საუბარი რუსეთის უნივერსიტეტებში მომხდარ უწესოების შესახებ, მან გამოსთქვა ის აზრი, რომ იმ არეულობაში არიან მომეტებულად ბრალეულნი ის სტუდენტები, რომელნიც დაბალის წოდებიდგან წარმოსდგებიანო. მე ამ აზრს არ დავეთანხმე, რადგანაც შთამომავლობით დაბალის წოდების სტუდენტები შეძლებით ხელ მოკლენი არიან მომეტებულად, და ამისათვის ვერ იქონიებენ იმდენს გავლენას თავისს ამხანაგებზედ, რომელნიც შთამომავლობით მაღალის წოდებიდგან წარმოსდგებიან, და ამიტომ წინამძღვრობას ვერ გაუწევენ მათ ამ არეულობაში. შემდეგ ამავე მასწავლებელმა წარმოსთქვა ის აზრი, რომ ვიდრე ხალხი გაუნათლებელია, ამ გვარი უწესოება ხშირად მოჰხდება უმაღლეს სასწავლებელთა შორისაო. ამასაც, რასაკვირველია, ვერ დავეთანხმე, რადგანაც დაბალს ერს არავითარი გავლენა არა აქვს უნივერსიტეტზედ, როგორც პირდაპირ, აგრეთვე შვილებზედ გავლენით.

29 მაისს მთელი დღე ხმელთა-შუა ზღვით სიარულში გავატარეთ.

30 მაისს, შუადღის შემდეგ, სამს საათზედ, მივედით ტრიპოლის ქალაქს. ეს ქალაქი განიყოფება სამ ნაწილად, რომელიც ზღვის ნაპირზედ არის გაშენებული; ამისათვის ამ ქალაქს ეწოდება „ტრიპოლი“, რაიცა ბერძნულს ენაზედ ნიშნავს: „სამს ქალაქსა“. გამოიტანეს ამ ქალაქიდგან გემზედ გასასყიდად: კიტრი, ჭერამი, არა უკეთესი ტფილისისა, ლიმონი და ფორთოხალი. ამ ქალაქის ციხეში იმყოფებიან პყრობილნი პატიმარნი დასასჯელად, როგორც რუსეთიდგან იგზავნებიან ციმბირში. აქაურნი მცხოვრებნი მომეტებულ ნაწილად არაბნი არიან; არაბულ ენაზედვე სრულდება აქ წირვა და ლოცვა და ყოველი ღვთის-მსახურება. აქვე იწყება ლიბანის მთები. უწინარეს ქრისტეს შობისა ეს მთები იყვნენ მოსილ ხშირის უდაბურის ტყეებით, ვითარცა დავით მეფე—წინასწარმეტყველი მოიხსენებს თავისს სალმრთო ფსალმუნში: „მართალი ვითარცა ფინიკი აყვავდეს და ვითარცა ნაძვი ლიბანისა განმრავლდეს“. ამ მთებიდგან მიეზიდებოდნენ სოლომონ ბრძენის მეფის დროს კვიპაროსისა და ნაძვის ხის მასალას ღვთისა ტაძრისა და სამეფო სახლის აშენებისათვის, ხოლო აწ ეს მთები წარმოადგენს გაშიშვლებულს გორებს, მოკლებულს ყოველს მცენარეულობას; ხოლო თითონ ქალაქ ტრიპოლში მშვენიერი წალკოტებია ფორთოხალისა, ლიმონისა და სხვათა ხილთა, და აგრეთვე ვენახები.

31 მაისს, დილის ექვს საათზედ, მივედიო ქალაქ ბეირუთს. ამ ქალაქში მთავარ-მოწამე გიორგიმ მოჰკლა ვეშაპი და დაიხსნა მეფის ასული ვეშაპის შთანთქმისაგან. პირველად შევედით ამ დიდებულის ძლევა-მოსილის ეკკლესიაში, შემდეგ ვნახეთ ის ადგილი, სადაც წმ. გიორგიმ დასცა ვეშაპი; ამ ადგილზედ არს ეხლა მაჰმადიანთა სამლოცველო; უეჭველია, უწინარეს აქ იქმნებოდა ქრისტეანეთა სამლოცველო, მაგრამ შემდეგ მაჰმადიანთა ძალმომრეობით წარუტაცნიათ ეს ადგილი. ამ სამლოცვე-

ლოში მოასვენეს საკრებულო ტაძრიდგან წმ. გიორგის ხატი, მოგვცეს ნება სამლოცველოში შესვლისა, შემდეგ ფერხთ გახდისა, აღვანთეთ სანთელნი წინაშე წმ. გიორგის ხატისა, ვიგალობეთ ტროპარი წმ. გიორგისა და ვემთხვივენით მისს ხატსა. საკვირველია ასეთი ერთობა ამ ადგილზედა ქრისტეანეთა და მუსულმანთა შორის; ვგონებ ამისათვის შეთანხმებულან იგინი ერთმანეთში, რომ ორივენი სარგებლობენ მლოცავთა საწირავით. ამ სამლოცველოსთან არს ჭა, საიდანაც ამოიღეს წყალი და შევსვით; არს პატარა მოგრძო ქვა, რომელზედაც მჯდარა მეფის ასული, როდესაც მოელოდებოდა ვეშაპის გამოსვლას ტბიდგან; ეს ტბა ეხლა დამშრალია და შიგ ჰბუდობენ მრავალნი ქვემძრომნი.

ამ ქალაქის სახელიდამ, შესაძლებელია, იყოს აღებული წოდება სოფლის ბრეთისა, რომელიც მდებარებს ქართლში; აქაურს ტაძარში, რომელიც აღშენებულია წმ. მთავარ მოწამე გიორგის სახელზედ, განისვენებენ წმ. ნაწილნი ღირსისა მამისა პიროსისა, ერთის ათცამეტთაგანის კაპპადოკიელთა მამისა, რომელნიც მოვიდნენ საქართველოში შემდეგ წმ. მოციქულთა სწორისა ნინოსი, მეექვსე საუკუნის ნახევარში.

ამ ქალაქში ირიცხება 20 ათასი მცხოვრები, არის რამდენიმე სასწავლებელი სხვა-და-სხვა სარწმუნოების აღმსარებელთათვის. რუსეთის საპალესტინო საზოგადოებას აქვს ამ ქალაქში დაარსებული ხუთი სკოლა, რომელშიაც სწავლობს 500 ყმაწვილი, ქალი და ვაჟი.

ამ სკოლებს განაგებს დიდად პატივცემული მარიამ ალექსანდრეს ასული ჩერქასოვისა, უკვე მოხუცი; 12 წელია სცხოვრობს თურმე ბეირუთში, შეუსწავლია არაბული ენა. აქაურს მართლ-მადიდებელთ უმრავლესობას შეადგენენ არაბნი. სამშობლო ენასთან რუსულსაც ასწავლიან ყმაწვილებს, მხოლოდ სალმრთო სჯულს ასწავლიან ყვე-

ლა კლასებში სამშობლო არაბულს ენაზედ. როდესაც ჩემმა თანამოგზაურმა რუსის დეკანოზმა ი. სოლომინმა ჰკითხა ქ ნ ჩერქასოვისას, რატომ რუსულს ენაზედ არ ასწავლით საღმრთო სჯულსა და საეკლესიო გალობასაო, მან გონივრულად უპასუხა: ამათთვის უსარგებლო იქმნება უცხო ენაზედ შესწავლა საღმრთო სჯულისა, რადგანაც ეკლესიაში თავის მშობლიურს ენაზედ ისმენენ ღვთის მსახურებასა და საზოგადოებაც ადგილობრივ არაბულს ენაზედ ლაპარაკობსო. ჭეშმარიტად, რომ ასეა და კარგი იქმნება, ყველა ასე უცქეროდეს ამ საგანს.

ქ. ბეირუთში ღვთის-მსახურებას ასრულებენ არაბულს ენაზედ და ადგილობრივი მოავარ-ეპისკოპოზი ემორჩილება ანტიოქიის პატრიარქსა. მართლ-მადიდებელთა არაბთა აქვსთ აქ ცხრა ეკლესია.

ხმელთა-შუა ზღვის აღმოსავლეთის მხრივ, ალექსანდრეტტას და ბეირუთის ქალაქებ შორის არის პატარა ქალაქი ლოტოკია, შემკობილი მშვენიერის ლელვის და ზეთისხილის ბაღებითა. იქ არის ერთი მართლ-მადიდებელთა ეკლესია და რამდენიმე ნახევრად დარღვეული ციხეები; მათ შორის უჩვენებენ ერთსა, რომელშიაც ოდესმე ვითომც დამწყვდეული ყოფილა თამარ დედოფალი. ჩემის მოგზაურობის დროს იერუსალიმს და აგრეთვე იქიდან დაბრუნების შემდეგ არ გამოუვლია გემს ამ ქალაქის ნაპირზედ, და მე თვითონ არ მინახავს ეს ქალაქი. არ ვიცი, საიდგან ამოუღია ეს ცნობა თამარ დედოფალზედ რუსის მოგზაურს მღვდელს მ. ალექსანდრე ანისიმოვს, რომელსაც ორგზის მოულოცნია იერუსალიმი და სრულიად პალესტინა 1875 და 1881 წლებში. ვინ ყოფილა ეს თამარი, როდის და რად ყოფილა დამწყვდეული, ამაზედ არას მოგვითხრობს ეს ზემოხსენებული მ. ანისიმოვი თავის წიგნში, რომელიც გამოსცა 1899 წელსა.

ეს ზემოხსენებული დედოფალი თამარი იქმნებოდა

ასული (ქალი) საქართველოს დედოფლის რუსუდანისა. ეს უკანასკნელი მისთხოვდა მაგიდ ედდინს, რომელიც იყო შვილი ყილიჯ არსლან III-სა, არზრუმის სულთანისა. რუსუდანს ამ გაქრისტიანებულ თათრისაგან გაუჩნდა ორი შვილი—თამარ და დავითი. ეს თამარი იყო შვენიერი სახითა და კეთილი ზნეობითა, მსგავსი თავის ბებიის დიდის თამარისა. დედა მისმა მიათხოვა იგი, წინააღმდეგ მისის სურვილისა, გაიათ-ედდინსა, ქაიხოსრო II-სა, მცირე აზიის სულთანსა. გრიგ. რჩეულიშვილი თვისს ისტორიულს რომანში, არ ვიცი, რა საფუძვლით უწოდებს თამარის ქმარს ყიასდინს სულთნად სტამბოლისა, როდესაც 1354 წელსა, ჟამსა მის ისტორიული რომანის დასრულებისა, სტამბოლი ჯერ კიდევ ბიზანტიის იმპერატორის ტახტის ქალაქს შეადგენდა, და ოსმალთა დაიპყრეს იგი მხოლოდ 1454 წელსა. თამარ ბატონიშვილს, უწინარეს თავის გათხოვებისა გაიათ ედდინზედ, მიეცა ფიცით სიტყვა გათხოვებაზედ შალვასათვის, ქართველ თავადიშვილისა. თუმცა თამარმა გამოუცხადა ეს საიდუმლო თავის დედასა, მაგრამ რუსუდანმა იძულებით დაარღვევინა თამარს ეს ფიცით მიცემული სიტყვა, პოლიტიკურის მოაზრებითა, რათამცა სიძე მისი, ვითარცა მახლობელი მოსამზღვრე საქართველოს სამეფოსი ყოფილიყო მომხრედ და შემწედ ქართველის ერისა მტერთა შემოსევის დროს.

რომ მოცილე არა ჰყოლოდა რუსუდანის შვილს დავითსა საქართველოს ტახტის მემკვიდრეობაზედ, ამისათვის რუსუდანმა მოაშორა საქართველოს თავის ძმისწული დავით, გიორგი ლაშას შვილი, პირდაპირი კანონიერი მემკვიდრე საქართველოს მეფობის გვირგვინისა, და გააყოლა თან ეს დავითი, ჯერეთ ისევ ყმაწვილი, თავის სიძესა და ქალსა უცხო ქვეყანაში, რათამცა მისთვის მოესპოთ როგორმე სიცოცხლე. მაგრამ სიძემ და თამარმა დიდად შეიყვარეს იგი, ვითარცა ძმა და შვილი. მაინც



რკინის გზის ვაგზალი იერუსალიმში.

არ დასცხრა რუსუდან თავის მზაკვარის აზრის განსახორციელებლად; მან კვალადცა მისწერა თავის სიძეს, რომ შენს ცოლს თამარს უყვარს თავისი ბიძაშვილი დავითი არა ნათესაობრივის სიყვარულითა, და შენ დაბრმავებულხარ და ვერა ჰხედავ. ამ საშინელს ცილისწამებას დაერწმუნა სიძე, და ბრძანა ჩაგდება ზღვაში დავითისა; ღვთისმშობელმა, რომლისა წმ. ხატი ყელზედ ეკიდა დავითსა, დაიხსნა დარჩობისაგან; შემდეგ ჩაგდებინა იგი სიძე სულთანმა გველებით სავსე ხაროში. ყოვლად მოწყალე ღმერთმა დაიცვა უვნებელად იგი, ვითარცა ძველ აღთქმაში დანიელ წინასწარმეტყველი ლომთა პირისაგან. შესაძლებელია, რომ ამ დროს, როდესაც დავით ბატონიშვილი იტანჯებოდა ყოვლად უსამართლოდ, თამარიც იქენჯნებოდა და ნამდვილ ამ მდგომარეობაში იქმნებოდა დამწყვდეული თავის ქმრის სულთანის ბრძანებით საკუთრად ციხეში ზღვის პირად, რომელსაც ზეპირ გარდმოცემა აქამდის უწოდებს თამარის ციხედ.

ლოტოკია შემდეგ გადარქმეულა ლაოდიკიად ასურეთის მეფის ანტიოქ II-საგან პატივსადებელად თვისის ცოლისა უწინარეს ქრისტეს შობისა. ეს ქალაქი მოხსენებულია იოანნე მახარებელის გამოცხადებაში, შვიდს ეკკლესიათა შორის მცირე აზიისა: „ვიცანი საქმენი შენი, რამეთუ არცა ტფილი ხარ და არცა გრილი. მეგულვების აღმოგდება შენი პირისაგან ჩემისა“. ესრეთ აუწყებს იოანნე მახარებელი, ქრისტე მაცხოვრის პირით, თავის წმიდა გამოცხადებაში ანგელოზსა (ეპისკოპოზსა) ლაოდიკიის ეკკლესიისას (გამოცხ. იოან. 3, 15—16).

ლაოდიკიის ქალაქი მდებარეობდა ფრიგიის სამფლობელოში. ეხლა წარმოადგენს ერთს ლარიბს სოფელსა, სადაც მოსჩანს 20-დე სახლი ძველის შესანიშნავის ნანგრევებითა დიდად შვენიერთა ძველთა შენობათა.

ვითარცა ვუწყით საეკკლესიო ისტორიიდამ, ლაო-

დიკიაში იყო ადგილობრივი (помѣстный) კრება წმ. მამათა 367 წელსა შემდეგ ქრისტეს შობისა, რომელზედაც დაადგინეს 60 კანონი შესახებ ეკკლესიების კეთილ წესიერებისა და სამღვდელოთა ცხოვრებისა. ქრისტეანობრივი სარწმუნოება დათრგუნვილია ეხლა აქ, დავიწყებული და არ მოიპოვება არცა ერთი ქრისტეს მორწმუნე; ხოლო მაჰმადის სჯულს ღრმად გაუდგამს ძირკვი, რის თვალსაჩინო დასამტკიცებელად მოსჩანს ხუთი მეჩეთი.

31 მაისს ღამით ზღვის ღელვა და ფრთონა იყო და გამომაჩნდა ზღვის სნეულება კურთხეულ არს განგება უფლისა! ორის კვირის განმავლობაში სრულიად არ შემ ხვედრია ღელვა და უკანასკნელს ღამეს, ხმელეთს რომ მიუახლოვდით, მხოლოდ მაშინ შემხვდა.

პირველს ივნისს, დილის რვა საათზედ, მივაღწიეთ იაფფის ქალაქის კიდესთან. ნავთსადგური არ არის აქ. ცეცხლის გემიდგან ნავებით გავედით ნაპირზედ. ღელვა აქანებდა ნავს ერთის საქენის სიმაღლეზედა. ქალებმა და ზოგიერთმა კაცებმა, ზღვის ზვირთების მნახველებმა, ტირილი დაიწყეს, მოელოდნენ ზღვაში დაღუპვას; მადლობა ყოვლად მოწყალე უფალსა, ყოველნი მშვიდობით გავედით ხმელეთზედ. ამავე დღეს პირველ საათზედ წარვედით აქედგან რკინის გზით და საღამოს ექვსს საათზედ, მადლითა ღვთისათა, შევედით წმ. ქალაქს იერუსალიმს.

Ძ. ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲜᲘ ᲡᲘᲬᲛᲘᲜᲓᲔᲜᲘ.

ᲒᲐᲠᲓᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡᲐᲔᲑᲠ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲔᲠᲗᲐ, Ქ. ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲘ ᲐᲦᲐᲨᲔᲜᲐ ᲓᲘᲓᲛᲐ ᲛᲦᲕᲓᲔᲚ-ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲛᲐ ᲦᲛᲠᲗᲘᲡᲐᲛ ᲐᲦᲚᲘᲡᲐᲛ ᲛᲔᲤᲔᲛ ᲡᲐᲚᲘᲛᲘᲡᲐ ᲛᲔᲚᲥᲘᲡᲔᲓᲔᲙᲛᲐ. ᲬᲝᲓᲔᲑᲐ „ᲡᲐᲚᲘᲛᲘ“, ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲘᲡᲐᲔᲑᲠ ᲬᲛ. ᲞᲐᲕᲚᲔ ᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲘᲡᲐ, ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐᲡ. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲒᲐᲠᲓᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡᲐᲔᲑᲠ, ᲛᲔᲚᲥᲘᲡᲔᲓᲔᲙᲛᲐ ᲒᲐᲓᲛᲝᲐᲡᲕᲔᲜᲐ ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲨᲘ ᲒᲕᲐᲛᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲗ-ᲛᲐᲛᲘᲡᲐ

ჩვენისა ადამისი, რომელიცა იყო დაკულ ნოეს მიერ კიდობანში წარღვნის დროს და დაფლა იგი გოლგოთაზედ. შემდეგ, დაეფუძნება-რა შემდგომს მუხლზედ შექმნათა წიგნისა: და ცხონდა სემ (იცოცხლა) ხუთას წელ და შუნა ძენი და ასულნი (შექმ. ია, ია), გარდამოცემა ამტკიცებს, რომ სემ, ძე ნოესი, ცხოვრებდა კვალადცა აბრაამის დროსაც და რომ ეს სემ იგივე მელქისედეკია, ვინაიდგან სიტყვა მელქისედეკ აღნიშნავს „მეუფესა სიმართლისა“ (ებრ. 7, 2) და ესე არს იგი სახელწოდება, რომელიც შესძინა თავსა თვისსა სემმა თვისის მართალის ცხოვრებითა. ხოლო რომელ დროიდან იწყო წმ. ქალაქის წოდება იერუსალიმად, არა არს უწყებულ. სალმრთო წერილში სახელი იერუსალიმ პირველად მოიხსენება ისუ ნავეს წიგნში (10, 23): „და გამოიყვანეს მისდა ხუთნი მეფენი ქვაბით და მეფე იერუსალიმისა“... იებუსელნი, შთამომავალნი ქანაანისანი, ძისა ქამისნი, ფლობდენ სალიმით ძველის დროიდან ისრაიტელთა მოსვლამდის ქანაანის ქვეყანაში; მათ აღაშენეს ციხე სიონის მთაზედ. შემდეგ დავითის გამეფებისა მან გამოდევნა იებუსელნი იერუსალიმით 1050 წელსა ქრისტეს შობის უწინარეს. მან თვისი სამეფო ტახტი გარდმოიტანა აქ და უწოდა ამ ქალაქს „დავითის ქალაქი“.

რავდენი საიდუმლო, საკვირველ-დიდებული შეერთებულია სახელწოდებაში იერუსალიმ! მელქისედეკ, მეუფე სიმართლისა, და ძველი აღთქმის მღვდელ-მთავარი, პირველ-მომასწავებელი ქრისტე მაცხოვრისა, სიტყვისაებრ წინასწარმეტყველისა დავითისა, „შენ ხარ მღუდელ უკუნისამდე წესსა ზედა მელქისედეკისსა“ (ფსალმუნი 109, 4), აშენებს „ქალაქსა მშვიდობისასა“ და დაჰფლავს მას შინა გოლგოთაზედა დაცემულს ადამსა. ახალის აღთქმის საუკუნო მღუდელ-მთავარი — ძე ღუთისა ამ ქალაქსა მშვიდობისას გოლგოთაზედვე თვისის ნებსითის სიკვდილით შეა-

რიგებს შემოქმედთან დაცემულს ქმნილებას ღუთისას და მესამე დღეს აღდგომითა თვისითა მშვიდობას სოფელსა მოანიჭებს! იერუსალიმ, ქალაქო წმიდაო! განგსწავლა (დაგსაჯა) შენ უფალმან საქმეთა შინა ხელთა შენთასა, და კვალად შეიწყალნეს შვილნი მართალთანი. წარმართნი შენდამი შორით მოვიდენ და, ძღუნთა მტვირთველნი, თაყვანის-ცემდენ შენ შორის უფალსა ღმერთსა (ტობ. 13; 11, 14). ეს წინასწარმეტყველება იერუსალიმზედ აღსრულდა და სრულდება დღეინდელადმდე. გარნა წარსულითა და აწმყოთი არ განისაზღვრება მნიშვნელობა იერუსალიმისა. არს ყოველგან გავრცელებული აზრი, რომელ მეორე მოსვლა უფლისა – განსჯად ცხოველთა და მკვდართა იქმნება აქვე, სადაც მან სათნო იჩინა მიღება ჯვარცმითის სიკვდილისა ჩვენისა ცხოვნებისათვის. ეს აზრი დაფუძნებულია იოველ წინასწარმეტყველის სიტყვებზედ, რომელიც უფლის პირით ამბობს: „აღდგედ და აღვიდოდედ ყოველნი ნათესავნი ღელედ მიმართ იოსაფატისსა, რამეთუ მუნ დავსჯდე განსჯად ყოველთა ნათესავთა გარემოთა“ (იოვ. 3, 12).

რომაელთა მფლობელობის დროს, იმპერატორ ადრიანმა (136 წელსა), რათამცა ამოეფხვრა ურიათა ხსოვნიდან ძველი იერუსალიმი, შეუცვალა ეს სახელი, და უწოდა წმიდა ქალაქსა „ელია-კაპიტოლია“, საკუთარის თვისის გვაროვნობითის სახელწოდებისაებრ და აღშენებულსა იერუსალიმში ტაძარსა ზებეს კაპიტოლიისაებრ. სამასის წლის განმავლობაში, ვიდრემდის იერუსალიმი წარმართთა მფლობელობაში იმყოფებოდა, აქაურნი ეპისკოპოსნი იწოდებოდენ ელიის ეპისკოპოსებად: მხოლოდ კონსტანტინე დიდმა დაუბრუნა მას ძველი თვისი ისტორიული სახელი—იერუსალიმი.

მეორე დღეს, 11 საათზედ, წარვემართენით ქრისტე



ტაძარი ქრისტე მაცხოვრის აღდგომისა იერუსალიმში.

მაცხოვრის აღდგომის ეკკლესიად. სამწუხაროდ, კარები დახშული დაგვხვდა.

ამ დღეს მოვილოცეთ წმ. აბრამის მონასტერი, რომელიც არის აღშენებული ქართველ მეფეთაგან და მოღვაწეობდნენ იქ ქართველნი მამანი და შემდეგ ამ მონასტერს დაჰპატრონებიან ბერძენთა მონაზონნი მამანი. აქ უჩვენებენ ადგილსა, სადაც აბრაამ შესწირავდა მსხვერპლად ღმერთსა ძესა თვისსა ისაკსა. ამ მონასტერში აღმოუჩენიათ ხუთის წლის წინად წყლის საცავი, წმ. ელენე დედოფლისაგან აღშენებული თაღებით, 15 საჟენი სიგძით და 6 საჟენი სიღრმით. შიგ ეხლაც ბევრი წყალია კლდიდან ნაჟონი; შემოდგომასა და ადრე გაზაფხულზედ მარტის გასვლამდის წვიმებისაგან უფრო ემატება, და იგი შეადგენს წყლის საგზალს ამ სავანეში მცხოვრებთათვის, რადგანაც მდინარე და წყაროები იერუსალიმში არ მოიპოვება და ჭეებში წვიმისაგან შეკრებილ წყლით კმაყოფილდებიან, ვითარცა საქართველოს წმ. სავანეთა შინა დავით გარეჯელისა და იოანნე ნათლის-მცემელისა.

ერთს მდიდარს ინგლისელს ქალს ამ ორის წლის წინად უთხოვნია ნება-რთვა ოსმალთა მთავრობისათვის თავის საფასით წყალის გამოყვანისა იერუსალიმში, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ გამგებლობა ამ წყლის სარგებლობისა მის ხელში ყოფილიყო. ოსმალთა მთავრობას არ შეუწყნარებია მისი თხოვნა, უარი გამოუცხადებია და უთქვამს მისთვის: ჩვენ მოგვეცი ოცი ათასი თუმანი და ჩვენ გამოვიყვანთ წყალსაო. ეს ქალიც არ დათანხმებულა ამ წინადადებაზედ. ეხლა აღუშენებია ამ ქალს იერუსალიმში ორი დიდი ვრცელი სამ სართულიანი სახლი, და ჯერ არ გამოუცხადებია, რა დანიშნულებას მისცემს ამ სახლებს.

1820 წელსა, აპრილის 2-სა, თავადს გიორგი ავალიშვილს იერუსალიმში წმ. მამამთავრის აბრამის მონასტერ-

ში წაუკითხავს ქვაზედ შემდეგი წარწერა ქართულად: „მე მონამან ღმრთისა და მსახურმან ბატონისა ჩემისა თავადისა იოანნე აბაშიძისამან, გიორგი ჩიკოიძემ, წარმოვლენილმან ქართლით მის მიერ საფასეჲთა მისითა განსაახლებელად წმიდისა ამის მამათ მთავრისა აბრაჰამის ტაძრისა ხარჯსა ზედა მისსა, აღვასრულე ბრძანებული თავადისა მისა, ბატონისა ჩემისა, განმაახლებელმან სამწირველოჲსა ამის, საუკუნოდ სახსენებელად სულისა მისისა, სახლეულთა და ერთ-სისხლთა მისთა, ხოლო საოხადცა ჩემ ცოდვილისათჳს სულისა, გეველდრებით ყოველთა მართლ-მადიდებელთა ქრისტეანეთა, აღმომკითხველთა წერილისა ამის, ლოცვათა შორის თქვენთა დაუვიწყებლობასა თავადისა იოანნე აბაშიძისა და ყმისა მისისა, აზნაურისა, გიორგი ჩიკოიძისა. ჩფჟთ-სა წელსა, სეკდემბერსა ია-ს დღესა“.

ეხლა ამ მონასტერს ჰფლობენ ბერძნები და სრულიად მოუსპიათ ეს ქართული წარწერა, ვითარცა სხვა ეკკლესიებშიაც, რომელნიც ოდესმე ქართველებს აღუშენებიათ პალესტინაში.

2 ივნისს, ოთხშაბათს, შუადღის შემდეგ, სამს საათზედ, წარვსდგებით მისს უნეტარესობის წინაშე იერუსალიმის პატრიარქისა დამიანესა. ჩემთან იყვნენ სამნი სამღვდელონი: ერთი დეკანოზი, ერთი მღვდელი და ერთიც მღვდელ-მონაზონი, რუსთაგანნი. მიგვიღო ყოველნი

განმ. ამისათვის ნებას არ მაძლევდა წირვისას. დავარწმუნე მისი უნეტარესობა, რომ ქართველი ვარ, კახეთში შობილი და ვიცი ის ადგილი და სოფელი „აღდგომა", რომელიც კახეთის მეფეს ლეონს შეუწირავს ქრისტეს საფლავისათვის მეთქი. მაშინ ბრძანა, რომ „მე თვითონ ვყოფილვარ სოფელს აღდგომაშიო". დასარწმუნებულად ჩემს პიროვნებისა კვალადცა მოვახსენე, რომ მე, ვითარცა საქართველოს საეპარქიო სასწავლებულთა საბჭოს წევრმა, ვუწყი, რომ ამ წლის დამდეგს ჩვენმა საბჭომ წინადადება მისცა თქვენს წარმომადგენელს ტფილისში, იერუსალიმის (ჯვარის მამის) ეკკლესიის წინამძღვარს არქიმანდრიტს სოფრონსა, რათამცა გაემართა ეკკლესიის ეზოში საძრევლო სკოლა; მან თვისის მოვალეობისამებრ მოახსენა ეს ჩვენი წინადადება თქვენს უნეტარესობას და წარსულს აპრილში უკვე მოვისმინეთ ჩვენს საბჭოში, რომ თანხმა არა ხართ ჩვენს წინადადებაზედ. აწცა კვალად უმდაბლესად გთხოვ, დაგვითმოთ ერთი ოთახი ჯვარის მამის ეკკლესიის ეზოში სკოლის დასაარსებლად-მეთქი. ხოლო მის უნეტარესობამ აღმითქვა, რომ კვალად განვიხილავთ ჩვენს სინოდში ამ თხოვნასა და შეავსრულებ თქვენს წინადადებასაო. ამ საუბრის შემდეგ მისი უნეტარესობა დარწმუნდა ჩემს პიროვნებაზედ და ნება-დამრთო მღვდელ-მოქმედებისა, ვითარცა იერუსალიმში, ეგრეთვე გარეშე ეკკლესიებში, სადაც მოვისურვებდი. შემდეგ ჩვეულებრივის წესით პატივი გვცა შარბათითა და ყავითა. საღამოს ოთხ საათზედ, ორს ივნისს, ოთხშაბათსა, ღირს ვიქმენით პირველად თაყვანისცემას ქრისტე მაცხოვრის ცხოველს-მყოფელის საფლავისასა, რომელიც საეკკლესიო საგალობელის გამოხატვით არს „უმშვენიერეს სამოთხისა და უბრწყინვალეს სამეფო სასძლოისა, ვითარცა წყარო ჩვენის აღდგომისა". თითონ ქრისტეს საფლავი წარმოადგენს პატარა ეკკლესიას, დიდს ტაძარში მდებარესა. ბერძნები უწოდებენ ამ ცხოვე-

ლს მყოფელ საფლავსა უფლისასა „წმიდა კუვუკლიად“, რა-ჯცა ჰნიშნავს: განსასვენებელსა ანუ სამეფო საუნჯესა, რა-დგანაც აქ განისვენა სამი დღე ხორცითა, ვითარცა მკვდა-რმან, მაცხოვარმა კაცთა ნათესავისამ. შესავალი კარი მი-სი ძლიერ დაბალია, ასე რომ შესვლის დროს თავი უნდა მოიდრიკო სრულიად მუხლებამდე. ზედ საფლავზედ არის დაფარებული მარმარილოს ქვა. ამ ადგილზედ ასვენია სა-მი აღდგომის ხატი, საშუალო — ბერძენთა, მარჯვნივ — რო-მის კათოლიკეთა და მარცხნივ — სომეხთა. ამ ქრისტეს სა-ფლავზედ შეასრულებენ ყოველ ღამე წირვასა ღამის 12 საათის შემდეგ, პირველად ბერძენნი ანუ მართლ-მადიდე-ბელნი, მეორედ — სომეხნი და უკანასკნელ - ფრანგნი. ხო-ლო როდესაც მოისურვებენ რუსნი ანუ ქართველნი წირვის შესრულებასა ამ წმ. ადგილზედ, ამათ საკუთრად ნებას არ აძლევენ წირვისას ქრისტეს საფლავზედა და შეუძ-ლიანთ სწირონ მხოლოდ ბერძენთა სამღვდელოებასთან ერთად. ეშინიანთ როგორღაც, რომ უფლების პირველო-ბას არ შეეცილნენ რუსნი ანუ ქართველნი. კოპტებს გა-რედგან დასავლეთის მხრით მიუშენებიათ ქრისტეს საფ-ლავის სამლოცველოზედ თვისი სამწირველო. შიგ ეკკლე-სიაში სცხოვრობენ სენაკთა შინა მონაზონნი მამანი ქრი-სტეს სარწმუნოების აღმსარებელნი: ბერძენნი, სომეხნი და ფრანგნი.

თაყვანივეცით ქრისტეს საფლავსა. გამოუთქმელია მორწმუნე გულისათვის ის საღმრთო წამი, როდესაც ქრისტეანე პირველად ეღირსება ამ სულიერს ნუგეშსა და სიხარულსა. შემდეგ მივმართე ჩემს თანამოგზაურს ორენ-ბურგელს მ. დეკანოზს ი. სოლომინს და ვუთხარი: გამოვ-თქვათ ჩვენი აწინდელი სარწმუნოებრივი გრძნობანი-მეთქი. მკითხა მან, რითაო? შესაბამის გალობითა, ვუპასუხე მე. შემდეგ მკითხა: ნებას მოგვცემენო? მე მივუგე: ვის შეუძლიან აღგვიკრძალოს? მაშინ ვიწყეთ ჩვენ გალობა

შემდეგთა საგალობელთა: „მშვენიერმან იოსებ ძელისაგან გარდამოხსნა თვით უხრწნელი ხორცი შენი...“ „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით ; „აღდგომასა შენსა, ქრისტე მაცხოვარ, ანგელოზნი უგალობენ ცათა შინა“; „აღდგომა ქრისტესი ვიხილეთ“; „ანგელოსი ღაღადებს: ფიმადლებულო წმ. ქალწულო, გიხაროდენ“; „განათლდი, განათლდი, ახალო იერუსალიმ“; „ხორცითა მიიძინე, მაცხოვარ...“ შემდეგ გვანიშნა ხელით ბერძნის მღვდელ-მონაზონმა, იქ მდგომარემ. რომ ჟამი არს ამიერ განსვლისაო. გამოვედით რა ქრისტეს საფლავის სამლოცველოდგან, ვიხილეთ მუნ მდგომარენი ფრანგთა სამღვდელონი მონაზონნი, უკვე შემოსილნი, რომელნიც ელოდებოდნენ ჩვენს გამოსვლასა. როგორც შევნიშნეთ, სასტიკად შემოგვხედეს და ვითარცა შემდეგ ვცანით, იმისათვის იყვნენ უკმაყოფილონი, რომ ნახევარ საათის განმავლობაში ვისარგებლეთ მათთვის დანიშნულ ჟამით; შემდეგ დამშვიდდენ, როდესაც გაიგეს, რომ ჩვენ ბერძენნი არ ვიყავით, ჯრამედ ახლად მოსულნი მლოცავნი რუსეთით და საქართველოით. უფროსი ფრანგთა სამღვდელო შეეიდა ქრისტეს საფლავის სამლოცველოში, ხოლო სხვათა მონაზონთა გარეშე საფლავისა დაიჩოქეს, რადგანაც შიგნით საფლავის წინაშე ოთხის კაცის მეტი ვერ გაიმართება.

დაიწყეს ლიტანია გალობით, რამაც ნახევარ საათს გასტანა. და შემდეგ გალობის წართქმით წარემართნენ მარჯვენა მხარეს, სადაც თავისი დაჩემებული სამლოცველო აქვთ, რომელიც უწინარეს ქართველების საკუთრება იყო.

ქრისტეს აღდგომის ეკკლესია იკეტება ოსმალთაგან დანიშნულ მეკარესაგან ყოველ საღამოს შვიდს საათზედ და განიღება მისგანვე დილის ხუთს საათზედ, შემდეგ წირვის შესრულებისა ბერძენთაგან. თვით ამ ეკკლესიაში აქვთ ბინა მცველთა ოსმალთა. ვითარცა სჩანს, აქვე აღა-

სრულებენ ოგინი თვისს ჩვეულებრივს ლოცვასა, „ნამაზად“ წოდებულსა. დადებულია ფასი ეკკლესიის კარის გაღებისათვის: ერთი კარისთვის ორი მანეთი ყოველ დღე და ორივე კარებისათვის—სამი მანეთი. როდესაც თვით პატრიარქი სწირავს დღესასწაულში, მხოლოდ მაშინ გააღებენ ორივე კარს სამწუხაროდ ჰმოქმედებს მორწმუნე ქრისტეანის გულზედ, როდესაც ამ მდგომარეობაში ჰხედავს ქრისტე მაცხოვრის აღდგომის ეკკლესიასა, ყოველთა წმიდათა უწმიდესსა ადგილსა.

სამხრეთის მხრით არის დიდი შესავალი კარები ქრისტეს აღდგომის ეკკლესიაში, ხოლო მეორე კარები ამავე მხრით ოსმალთ ამოუშენებიათ.

ამავე ეკკლესიის გუმბათს ქვეშ არის გოლგოთაც სამხრეთის მხრივ, ის ადგილი, სადაც ჯვარს აცვეს უფალი იესო ქრისტე; აქაც აღშენებულია სამწირველო ტრაპეზი მართლ-მადიდებელთაგან. აქვე ტრაპეზს უკან აღმართულია დიდი ჯვარი, ჯვარცმულის უფლისა იესო ქრისტეს ხატითა, გარემო მისა მდგომარენი სრულის ტანით მარჯვენით დედა ღვთისა მგოდებელი და მარცხენით—საყვარელი მოწაფე ქრისტესი იოანნე მწუხარე სახით. ქვის გულიც შეძრწუნდება და მოვა ლმობიერებაში ამ სურათის ხილვით. დავვარდით წინაშე ჯვარცმულისა მეუფისა, მაცხოვრისა კაცთა ნათესავისა, თაყვანი ვეცით და ვიგალობეთ წინაშე მისსა: „ჯვარსა შენსა თაყვანის-ვცემთ, მეუფეო“; „აცხოვნე, უფალო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი, ძლევა ჯვარითა ბარბაროსთა ზედა კეთილმორწმუნეს ხელმწიფესა ჩვენსა იმპერატორსა ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძესა მოანიჭე“, და საგალობელი პატივად იოსებ მშვენიერისა, რომელმან ძელისაგან გარდამოხსნა უხრწნელი გვამი ქრისტესი და დაფლა იგი თვისსა მტილსა შინა, თავისათვის კლდეში გამოკვეთილსა საფლავსა“. რადგანაც ეს საგალობელი არ არის ქართულს ენაზედ,

ამისათვის ეთარგმნე იგი სლაჭურიდამ პირდაპირ: „მოვედით, ვნატრიდეთ ირსებს მარადის მოსახსენებელსა, რომელი ღამით მოვიდა პილატესსა, და გამოსთხოვა ცხოვრება იგი ყოველთა; მომეც მე უცხო იგი, რომელსა არა აქვს, სადა თავი მიიდრიკოს, მომეც მე უცხო იგი, რომელიც ბოროტმან მოწაფემან განსცა სასიკვდილოდ; მომეც მე უცხო იგი, რომელსა დედა, ხედვიდა რა ჯვარსა ზედა დამოკიდებულსა, მგოდებელი ხმობდა და დედობრივ ღაღადებდა: ვაი მე, შვილო ჩემო, ვაი მე, ნათელო ჩემო და საშოო ჩემო საყვარელო! რამეთუ სვიმეონის მიერ წინასწართქმული ეკკლესიასა შინა დღეს აღსრულდა: გულსა შენსა მახვილი განვიდეს. თაყვანისვცემთ ვნებათა შენთა, ქრისტე, თაყვანისვცემთ ვნებათა შენთა, ქრისტე, თაყვანისვცემთ ვნებათა შენთა, ქრისტე, და წმიდასა აღდგომასა შენსა“.

ამავე ეკკლესიაში არის სვეტი, რომელზედაც მიბმულ იყო ქრისტე მაცხოვარი დაშოლტვის დროსა. აქვე უჩვენებენ ადგილსა, სადაც განიყვეს მხედართა საუფლო სამოსელი და კვართსა მისსა ზედა განიგდეს წილი (ფსალ. 21, 18).

ადგილი ქრისტეს საფლავის ქვაბისა შეადგენს თითქმის ოთხ-კუთხიანს საქენს (კვადრატს); მისი სიგრძე იმოდენია სიერცით, რამდენზედაც დაეტევა გაშლილი გვამი მიცვალებულისა; თავისუფალი ადგილი საფლავსა და ქვაბის კედელს შუა შეადგენს ერთსა და ნახევარსა ნაბიჯსა. კლდის სარეცელი, რომელზედაც განისვენებდა ყოვლად უხრწნელი გვამი იესო ქრისტესი, მდებარებს მარჯვენა მხარეს შესავლიდან; იგი შემოსილია მარმარილოთი არა იმოდენ შვენებისათვის, რავდენათაც დასაფარავად თაყვანისმცემელთა კეთილმსახურის წადილისაგან, რომელნიც მოსტეხავდნენ საფლავისაგან ნაწილებსა სახსოვრად. გარშემო ქრისტეს საფლავის ქვაბისა ამოჭრით წარწერილია

ტროპარი წმ. იოანნე დამასკელისა: „ვითარცა ნათლითშემოსილსა და ვითარცა უშვენიერესსა სამოთხისასა, ესრეთ გიცნობთ შენ, რომელი გამოსჩნდი მხსნელად ყოველისა სოფლისა, აღსდეგ. უბრწყინვალესი ყოველთა ნათელთა ქრისტე, ღმერთი ჩვენი, და გამოჰსჩნდა საფლავი შენი, ვითარცა წყარო ჩვენისა აღდგომისა“. მარმარილოს ფიცარი, რომელიც ჰფარავს წმიდა საფლავსა, გახერხილია შუაზედ ორად, თითის სიღრმეზედ; ორ ნაირად ჰხსნიან ამ გახერხილს: პირველად, რადგანაც სალადინ სულთანი მარმარილოს ეზიდებოდა აღდგომის ტაძრიდან მეჩეთისათვის, ამისათვის წმ. საფლავის მონაზონთა (ბერებმა) შიშის გამო, რომ სულთანმა არ წაართვას ეს წმ. საფლავის მარმარილოს ქვაც, გახერხეს იგი ნახევრად შუაზედ; მეორე მიზეზად ამბობენ, რომ ამ მარმარილოზედ იყო მიჭედილი ნაპირებზედ რკინის ლურსმებით, ტყვიით შედუღებული, ოქროს ფიცარი, რომელიც ჰფარავდა ქრისტეს საფლავსა ზევითის მხრიდამ.

როდესაც გარემოადგა იერუსალიმსა ჯარითა სალადინი, მონაზონთა, შიშის ზარისაგან შეპყრობილთა, რათამცა ეს ოქროს ფიცარი, საფარებელი წმ. საფლავისა, არ ჩავარდნოდა ხელში ქალაქის დამპყრობელსა, ისწრაფეს აგლეჯა მისი მარმარილოსაგან, მაგრამ რადგანაც ვერ შესძლეს აგლეჯა ტყვიით შედუღებულის ლურსმებისა, მაშინ გახერხეს მარმარილო და ამ სახით მოაშორეს მარმარილოს ოქროს ფიცარი, და ამასთანავე მოამტვრიეს მარმარილოს ქვის ოთხი კუთხეცა.

თაღიდამ ჩამოშვებულნი ლამპარნი ანათებენ ქრისტეს საფლავის სამლოცველოსა; მათგან 13 ლამპარი ეკუთვნის მართლ-მადიდებელთა, მათ შორის ქართველ მეფეთაგანაც იქმნება შეწირული, 13 ეკუთვნის რომის კათოლიკეთა, 13 სომეხთა და 4-ც კოპტებსა. თვითონ წმ. საფლავზედ ანთია დღე და ღამე განუქრობლად დაუშრეტე-

ლნი ლამპარნი: სამი, ესე იგი თვითოეულის ეროვნობისაგან, ბერძენთა, სომეხთა და ლათინთა, როდესაც წმ. ბჭენი დახშულ არიან, და ექვსი, როდესაც წმ. ბჭენი გაიღებიან ღვთის-მსახურებისათვის. ტაძარში ორი ბერძენი მონაზონი, ლამპართა აღმნთებელნი წმ საფლავზედ, დანიშნულ არიან სულთანის ბრძანებით და იგინი უელიან მორიგობით „კუვუკლიას" ანუ ქრისტეს საფლავის სამლოცველოსა.

ქრისტე მაცხოვრის საფლავის სამლოცველო განიყოფება ორ განყოფილებად: პირველი შესავალშივე—იწოდება სამხრედ ანგელოზისა, რომელიც ახარებდა სახარულევანსა ქრისტეს აღდგომასა მენელსაცხებელთა დედათა. სამხრე წმ. ანგელოზისა შეადგენს სწორე ოთხ-კუთხიანს ოთახსა, რომლის თანასწორნი მხარენი ხუთ ადლამდის არიან. საშუალ ამისა სდგას მაღალი მარმარილოს ვაზა; ამ ვაზაში შთადებულია ნაწილი იმ ლოდისა, რომლითაც დაფარულ იყო შესავალი უფლის საფლავისა, და რომელიც შემდეგ აღდგომისა გადმოგორებულ იყო ანგელოზისაგან კარისა მისგან საფლავისა. წირვის დროს ეს ვაზა იხმარება ტრაპეზად; ხოლო შიგნით განყოფილებაში წმ. საფლავის საფარებელი მარმარილოს ქვა იხმარება სამკვეთლოდ. ვაზას თავზედ არიან დაკიდებულნი დაუშრეტელნი ლამპარნი, რიცხვით ათხუთმეტნი, რომელთაგანაც 5 ეკუთვნის ბერძენთა, 5—ლათინთა, 4—სომეხთა და 1—კოპტებსა.

დასავლეთის მხრივ კუვუკლიისა მიშენებულია საწყალი სამლოცველო კოპტებისა მხოლოდ ეს-ღა გადარჩენია ცეცხლსა, რომელმაც შთანთქა მთელი ტაძარი 1808 წელსა. პირველ ქრისტეანობიდამ დაწყობილი მე-18 საუკუნემდის ქართველებს პირველი ადგილი ეპყრათ გოლგოთაზედ. კუვუკლიას პირდაპირ თავზედ ადგას დიდი გაშლილი გუმბათი, ხოლო ქრისტეს აღდგომის საკრებულო ტაძარს იმაზედ რამდენადმე უმცირესი გუმბათი.

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝᲑᲐ ᲬᲛ. ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲡᲐ

ᲒᲘᲓᲡ ᲨᲐᲑᲐᲗᲡ, ᲓᲘᲚᲘᲗᲒᲐᲜ ᲐᲓᲠᲔ, ᲘᲙᲠᲘᲑᲔᲑᲘᲐᲜ ᲬᲛ. ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲘᲡ ᲢᲐᲫᲐᲠᲨᲘ ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲐᲜᲔᲗᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲜᲘ ᲛᲚᲝᲪᲐᲕᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲛᲝᲡᲠᲣᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲙᲘᲓᲔᲗᲐ�გᲐᲜ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲘᲡᲐᲗᲐ ᲤᲔᲠᲐᲓ-ᲤᲔᲠᲐᲓᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐ, �გᲐᲠᲓᲐ ᲚᲐᲗᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐ, ᲓᲐ ᲓᲐᲚᲐᲒᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲙᲣᲗᲮᲔᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲕᲘᲜ ᲰᲐᲪᲝᲕᲔᲑᲡ ᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲐᲓ. ᲧᲝᲕᲔᲚᲜᲘ ᲚᲐᲛᲠᲐᲠᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲛᲝᲘᲪᲝᲕᲔᲑᲘᲐᲜ ᲢᲐᲫᲐᲠᲨᲘ, ᲓᲐᲘᲨᲠᲘᲢᲔᲑᲘᲐᲜ. ᲛᲠᲐᲕᲐᲚ-ᲠᲘᲪᲮᲕᲝᲕᲐᲜᲘ ᲯᲐᲠᲘᲪ ᲝᲡᲛᲐᲚᲗᲐ ᲓᲐᲚᲐᲒᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲠᲔᲨᲔᲛᲝ ᲬᲛ. ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲚᲝᲪᲕᲔᲚᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲖᲔᲓ ᲢᲐᲫᲠᲘᲡᲐ ᲐᲡᲐᲨᲝᲠᲔᲑᲔᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲛᲨᲕᲘᲓᲔᲑᲔᲚᲐᲓ ᲣᲬᲔᲡᲝᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲛᲝᲰᲮᲓᲔᲡ ᲢᲐᲫᲐᲠᲨᲘ ᲨᲔᲯᲮᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲛᲝᲓᲔᲜᲗᲐ ᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ.

ᲓᲘᲓ-ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲪᲘᲡᲙᲠᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓ, ᲐᲠᲐᲑᲜᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ ᲫᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲓᲐᲜ ᲜᲔᲑᲐ-ᲓᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲡᲣᲚᲗᲐᲜᲘᲡ ᲤᲘᲠᲛᲐᲜᲘᲗ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲐᲡᲐ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲡ �გᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲬᲛ. ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝ: ᲮᲛᲐ-ᲛᲐᲦᲐᲚᲘᲡ ᲒᲠᲝᲕᲘᲗ ᲘᲒᲘᲜᲘ ᲨᲔᲛᲝᲣᲠᲑᲔᲜᲔᲜ ᲡᲐᲛᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔᲛᲝ ᲙᲣᲕᲣᲙᲚᲘᲐᲡᲐ, ᲡᲪᲔᲛᲔᲜ ᲢᲐᲨᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲚᲐ ᲮᲛᲘᲗ ᲦᲐᲦᲐᲓᲔᲑᲔᲜ: „ᲣᲯᲯᲓᲝ ᲨᲔᲒᲕᲘᲬᲧᲔᲚᲔᲜ“ ᲓᲐ „ᲐᲠᲐ ᲐᲠᲐᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲐ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲘᲡᲐ“! ᲨᲔᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲙᲣᲕᲣᲙᲚᲘᲘᲡᲐ ᲐᲜᲣ ᲬᲛ. ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲚᲝᲪᲕᲔᲚᲝᲡᲘ ᲓᲐᲘᲮᲣᲨᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲑᲔᲭᲓᲘᲗᲐ ᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲐᲜ ᲛᲔᲙᲐᲠᲔᲗᲐ�გᲐᲜ ᲬᲛ. ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲘᲡ ᲢᲐᲫᲠᲘᲡᲐᲗᲐ. ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲔᲚᲨᲘ ᲨᲔᲘᲙᲠᲘᲑᲔᲑᲘᲐᲜ: ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲗᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲘᲥ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲜᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲦᲕᲓᲔᲚ-ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲗᲐᲒᲐᲜᲘ ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲘᲡ ᲡᲐᲧᲓᲠᲘᲡᲐ (ᲢᲐᲮᲢᲘᲡᲐ), ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲛᲘᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘ ᲞᲔᲢᲠᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲚ-

საფლავი ქრისტე მაცხოვრისა.

მადიდებელის სამღვდელოების თანადასწრებითა, შემდეგ სომეხთა სამღვდელოება და მოდასენი სხვათა ქრისტეანეთა ეროვნებათა. ხოლო ოდეს იგი მოიწევა დანიშნული ჟამი, სამეუფო კარნი გაიღებიან და სამოსელ-გახდილი პატრიარქი ანუ მიტროპოლიტი ერთს მხოლოდ თეთრს ბისონში, გროვა სანთლებით ხელთა შინა, რომელნიც არიან დანიშნულ მისაღებად წმ. ცეცხლისა, წინამძღომელობითა მთელის სამღვდელოებისათა, შემოსილითა სრულის ბრწყინვალე შესამოსელითა, წარემართება წმ. საფლავის სამლოცველოსაკენ გალობითა: „აღდგომასა შენსა, ქრისტე მაცხოვარ, ანგელოზნი უგალობენ ცათა შინა და ჩვენცა ქვეყანასა ზედა ღირს-მყვენ წმიდითა გულითა დიდებად შენდა“.

საღმრთო კრება სამგზის შემოუვლის წმ. კუვუკლიას, ლიტანიის შემდეგ ბეჭედი კარებიდან აიხსნება და მართლმადიდებელი ბერძნის პატრიარქი ზოგად სომხების პატრიარქისათანა შევალს წმ. საფლავის ქვაბსა. მხოლოდ საფლავსა შესვლის უწინარეს ოსმალნი უშინჯავენ ჯიბეთა და თითქმის წვერსაც, რომ დაფარული არა ჰქონდეს წუმწუმა. ამ დღესასწაულობითს წამს დამშვიდდება ეკკლესიაში აღელვება: ყოველივე აღივსება მოლოდებითა და ღრმა დუმილი სუფევს ყოველსა კუთხესა ვრცელის და მრავალ-ეროვნულის მორწმუნეთა კრებისა. ერთბაშად მოისმის ქუხილის მსგავსი ყვირილი სხვა და სხვა ენაზედ 30 ათასის კრებისა, რომელიც შეაძრწუნებს ძარღვებსა, და მაღალი თაღებიც ტაძრისა აორკეცებენ ამ ხმიანობასა. წმ. ცეცხლი აღმობრწყინდება თვით ქრისტე მაცხოვრის საფლავიდამ, და იქიდამ აღანთებს სანთელთა პატრიარქი. ამ წმ. ცეცხლს მოლურჯო ნათელი აქვს და არცა სწვავს. ზოგნი პირისახეზედაც შემოივლებენ ანთებულს სანთელსა და არა სწვავსო, ვითარცა გადმომცეს იქ დამსწრეთ წმ. ცეცხლის გამოჩენის დროსა. ამ დროს თითო-

ეულს იქ დამსწრეს, დიდსა და პატარას, უნდა ეპყრას ხელთა შინა ოცდა ათცამეტი სანთელი, სახსოვრად ქრისტე მაცხოვრის ქვეყნიერად ცხოვრებისა 33 წელთა. წმ. ცეცხლი გარდაეცემა მარჯვენით რგვალის სარკმელით ანგელოზის სამხრედამ მართლ-მადიდებელის პატრიარქისა მიერ, ხოლო მარცხენით კერძო — სომეხთა პატრიარქისაგან.

მარჯვენის სარკმელიდამ წმ. ცეცხლს მიიღებს ჩვეულებრივ რომელიმე გამოჩენილი პატივცემული სახლობა ადგილობრივთა მართლ-მადიდებელთაგანი და გარდაიტანს მას საკრებულო ტაძრის საკურთხეველში, სადაცა კანდელაკი წმ. საფლავისა დაურიგებს ყოველთა ტაძარში მყოფთა. ხოლო სომეხნი, კოპტები და სირიელნი მიიღებენ წმ. ცეცხლსა სომხების პატრიარქისაგან მარცხენა სარკმელიდან (ფანჯრიდან), გარდაიტანენ თავის სამლოცველოებში და დაურიგებენ თვისთა; ზარების რეკითა, რკინის სარაკუნებელის ტყეპითა, სასიხარულო ხმითა დედაკაცთა და ტაძრის განათებითა 30 ათასის ცეცხლითა პატრიარქს გარდაიყვანენ არაბნი ხელითა უკანვე საკრებულო ტაძრის საკურთხეველში, სადაც დაუყოვნებლივ დაიწყება დიდშაბათის ცისკარი. ამ წამიდან იერუსალიმის ეკკლესიებში და გარემო სოფლებში აღეგზნება ცეცხლები. ხოლო ტაძარში მყოფნი თითოეული ამ ჟამად მხოლოდ ხუთს წამს აღანთებს 30-ს სანთელს და შემდეგ ერთბაშად მოასკენებს განგებ მომზადებულის შავის შალის ანუ მაუდის ქუდითა, ერთბაშად დახურავს და ჩააქრობს, რომ სანთლის კორიანტელმა ანუ კვამლმა არ შეაწუხოს იქ მდგომარენი.

წმიდა ცეცხლის გამოჩენის დღესასწაულობა შთააგონებდა უმაღლესს გალობათა მთხზველსა ჩვენის ეკკლესიისას დაეწერა ტროპარი, რომელიც იგალობება ცისკრად წმ. პასექისა: „აწ ყოვლითურთ აღივსო ნათლითა ცა, და ქვეყანა, და ქვესკნელი, და ყოველივე ქმნი-

ლი დღესასწაულობს აღდგომასა ქრისტესსა, რომლითა განვჰსძლიერდით".

ჩრდილოეთის კედელზედ წმ. საფლავის ტაძარსა, თითქმის მრთელს მისს სიგრძეზედ, აქვს მიშენებული ფრანგთა მონასტერი. შესავალი მასში არის წმ. საფლავის სამლოცველოდამ თითქმის პირდაპირ წმ. საფლავისა. ოდესმე ეს მონასტერი გვეკუთვნოდა ქართველებს და იყო ნაკურთხი წმ. იოანნე მახარებელის სახელსა ზედა. მაგრამ ფრანცისკანებმა, ფრანგების მონაზონთა, რომელნიც გამოდევნილ იყვნენ სიონიდამ, სადაცა იგინი დიდის ხნიდამ სცხოვრობდნენ, იქირავეს ქართველთაგან ეს მონასტერი თავიანთთვის საცხოვრებლად, ხოლო შემდეგ ისარგებლეს ხელ-შემწყობ გარემოებითა უფულობითა და დაუდევნელობითა ამ სავანეს მფლობელთასა, მიითვისეს იგი და უწოდეს სხვა სახელი: „მონასტერი მაცხოვრისა" და რომელნიმე მწერალნი უწოდებენ მას წმ. ქალწულ მოწამის ეკატერინეს სახელისას; იგი შემკობილია ძვირფასის ხატებითა და სურათებითა.

ამ მონასტერში დაბინავებულია ეხლა მცველი დასი წმიდა ქვეყანისა, გამგეობის ქვეშ ილუმენისა, რომელსაც აქვს შემდეგი ტიტული: „მცველი სიონისა და წმ. ქვეყანისა." მისს გამგებლობას და მასთან არსებულ საბჭოს აქვს რწმუნებული დაცვა ყოველთა წმიდათა ადგილთა პალესტინისათა, რომელნიც იმყოფებიან ფრანცისკანთა ხელშია და რომელნიც მომეტებული ნაწილი არიან ისპანელები და სიცილიელები. საუკეთესო შვენებას ამ მონასტრისას შეადგენს შინაური ეკკლესია ფრიად მოწყობილი და დიდის გემოვნებით შემკობილი. რომის კათოლიკეთა მონასტერს ეკუთვნის მას ზედ მიშენებული მონასტერი წმ. თეოდორეთა, წოდებული „ახალ სახლად", სადაცა დაბინავდებიან უფასოდ მლოცავნი რომის კათოლიკეთა აღ-

სარებისანი, რომელნიც მოდიან იერუსალიმს დასავლეთის ევროპიდამ.

ამავე დღეს ვნახეთ ახლად გამოჩენილი გზა, რომლითაც მიჰყავდათ იესო ქრისტე იერუსალიმით გოლგოთაზედ ჯვარცმისათვის. აღმოუჩენიათ ქალაქის ბჭენი და ერთს ქვაზედ წარწერა ადრიანესი, რომის კეისრისა. ამის ბრძანებით მეორედ დააქციეს იერუსალიმი 135 წელსა, და აღაშენეს ქრისტეს ჯვარცმის ადგილზედ წარმართთა საკერპო ვენერისა, ხოლო ქრისტეს აღდგომის ადგილზედა—იუპიტერისა. წარმართთა სურდათ სრულიად დაეფარათ და მოესპოთ ქრისტეანეთათვის ეს წმ. ადგილები, მაგრამ ღვთისა განგებისაებრ ეს წარმართთა ტაძარნი აღმოჩნდნენ შემდეგ ძეგლად, მაჩვენებელად ქრისტე მაცხოვრის საფლავისა. „და სათელ̈ი იგი ბნელ̈ისა შინა ჴსჩანს, და ბნელ̈მა იგი გერ დაჴ̈ეარ“ (იოან. 1, 5).

ამაო იყვნენ მზაკვარებანი წარმართთა და მათის ურწმუნო იმპერატორისა. ადგილები იერუსალიმის სიწმიდეთა და საზოგადოდ სრულიად პალესტინისა, სამასის წლის განმავლობაში დაცულიყვნენ ქრისტეანეთა ხსოვნაში, რომელნიც მოვიდოდენ თაყვანის საცემლად საიდუმლოდ.

ნეტარმა ელენა დედოფალმა, ალძრულმა ქრისტეს სიყვარულით, მოისურვა აღმოჩენა ამა წმ. ადგილებისა და ჰპოვა ცხოველს-მყოფელი ჯვარი ქრისტესი 326 წელს, რომლისა სახსოვრად ეკკლესიამ დააწესა დღესასწაული 14-ს ენკენისთვესა, მსოფლიო ამაღლება პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელისა საუფლო ჯვარისა.

პირველი ეკკლესია ქრისტე მაცხოვრის საფლავზედ მანვე აღაშენა და კურთხევისათვის მისსა მოუწოდეს 300 ეპისკოპოსთა. კურთხევა შესრულდა 13-ს სეკდემბერსა და სახსოვრად მისსა დაუწესეს დღესასწაული „ენკენია“, ანუ განახლება კურთხევისა, და ყოველ წლივ დღესასწაუ-

ლობდნენ ამ კურთხევის დღეს; ამისათვის სეკდემბრის თვეს ეწოდება ენკენისთვე.

საზოგადოდ ძველ ქრისტეანობის დროსა ჰქონდათ საღმრთო წესად შემოღებული, ედღესასწაულნათ წლითი წლად კურთხევის დღე ადგილობრივის ეკკლესიისა. შემდეგ ეს წესი გამოვიდა ხმარებიდან და მისს მაგიერ ვდღესასწაულობთ იმ დღესა ანუ რიცხვსა, როდესაც შესრულდება ხსენება იმ წმიდისა ანუ დღესასწაულისა, რომლის სახელზედაც არის ნაკურთხი ეკკლესია.

მართლ-მადიდებელთა ტრაპეზი გოლგოთაზედ არის დამტკიცებული ოთხს პატარა სვეტზედა, იმ წმიდა ადგილზედა, სადაც იყო დამყარებულ მაცხოვრის ჯვარი. ტრაპეზს ქვეშ მოსჩანს რგვალი გაღებული ადგილი, სადაც იდგა ჯვარი ქრისტესი. ეს ადგილი გარშემო მოჭედილია ვეცხლითა, რომელზედაც ამოჭრილია გამოხატულება ქრისტეს ვნებათა.

მარჯვენით ტრაპეზისა მოსჩანს გაპობილი კლდე, რომელიც გასქდა იმ წამსა, რაჟამს უფალმან განუტევა სული ჯვარსა ზედა. ტრაპეზზედ არიან დაკიდებულ 14 ძვირფასნი ლამპარნი, შეწირულნი ქრისტეანეთა მეფეთაგან. იატაკი არის მოფენილ თეთრისა, შავისა და წითელის ქვითა მარჯვენით მართლმადიდებელთა ტრაპეზისა, სამ. ხრეთით კერძო, არის სამწირველო ფრანგთა, რომელიც მხოლოდ ღვთის მსახურების დროს განიყოფება ფარდითა.

პატრიარქი და მღვდელმთავარნი გოლგოთაზედ სწირავენ უმიტროდ პატივსადებლად ამ ადგილზედ იესო ქრისტეს დამდაბლებისა.

ჩრდილოეთის ნაწილს ქვეშ გოლგოთისა, რომელიც ეკუთვნის ბერძენთა მართლმადიდებელთა, არის ბნელი სამლოცველო ადამისა. აქ რკინის ხრახნილში შეიძლება დანახვა ტრაპეზს უკან ბუნებითის კლდისა გოლგოთისა და გამსქდარნი ქვანი ჟამსა იესო ქრისტეს სიკვდილისა.

ამ თვალთ ხილულს გახეთქილს კლდეს აქვს შესანიშნავი სიღრმე. ამ ადგილსა, საიდუმლო გარდმოცემით აღმოსავლეთისა და მოწმობისაებრ უძველესის სირიულის ხელნაწერისა, იყვნენ დამარხულ მართალ ნოეს მიერ ძვალნი და თხემი (თავის ქალა) პირველის მამის ადამისა, და ჟამსა იესო ქრისტეს ჯვარცმისასა გარდამოსრული მის ცხოველსმყოფელი გვერდისაგან სისხლი დავარდა თავსა ზედა სამოთხეში შემცოდველისა პირველ მამისა ადამისა და განბანა იგი სამოთხესა შინა მის მიერ ქმნულ ცოდვისაგან. ამ გარდამოცემის საფუძველზედ შემოვიდა ჩვეულებად გამოხატვა ჯვარს ქვეშე ადამის თავისა და ძვალთა მისთა. ამავე გარდმოცემაზედ უნდა იყოს დაფუძნებულ, ჩემის აზრით, ჩვეულება, მიღებული სრულიად საქართველოს ერისაგან: მიცვალებულის შესანდობარის წარმოთქმის დროს სუფრაზედ რაოდენსამე წვეთს ღვინოს დაასხამენ პურზედა. აქავე უჩვენებენ ადგილსა, სადაც გარდმოცემით იყო დაფარულ მტვერი მელქისედეკისა, იერუსალიმის აღმაშენებელისა, მღვდლისა ღმრთისა მაღლისა

3 ივნისს, ხუთშაბათს, დილის შვიდს საათზედ, წავედით ეტლით ზეთისხილის მთაზედ, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთით ქ. იერუსალიმისა; აქედგან ამაღლდა უფალი იესო ქრისტე; აქ მოვისმინეთ წირვა სლავურს ენაზედ. ეს ამაღლების ეკკლესია ახლად აღუშენებია რუსეთის მისსიას იმ საძირკველზედ. სადაც აღუშენებია ეკკლესია ნეტარსა ელენე დედოფალსა მეოთხე საუკუნეში, რომელიც შემდეგ შეუმუსრავთ მაჰმადის მორწმუნე არაბთა მეშვიდე საუკუნეში.

აქ, ძველ ნანგრევებში, საძირკვლის გაწმენდის დროს, აღმოუჩენიათ იატაკზედ მოზაიკა, რომლითაც არის დახატული თევზი და მამალი ქათამი და აქვს წარწერა იატაკზედ. ეს წარწერა ემსგავსება ძველს ქართულს ხუცურს ასო-მთავრულს. სახე და სახელწოდება თევზისა ჰქონდათ

მიღებული პირველთა ქრისტეანეთ სიმბოლოდ ანუ ნიშ-ნად ერთ-მორწმუნეობისა. სიტყვა თევზი, ბერძნულად „იხთის“, შესდგება იმ ასოთაგან, რომლითაც დაიწყობიან ბერძნულს ენაზედ სიტყვანი: „იესო ქრისტე, ღვთისა ძე, მაცხოვარი“.

ხოლო სახე მამლისა ჰნიშნავს დაცემასა, ანუ უარის-ყოფასა პეტრე მოციქულისასა, და აღდგენასა ანუ სინა-ნულსა მისსა, და კვალადცა მოციქულის ღირსებაზედ აღყვანებასა. აქვე, ზეთის ხილის მთაზედ, უჩვენებენ ფეხის კვალს ქრისტე მაცხოვრისასა, დაშთენილს ამაღლების დროსა. ეს ქვა ოსმალთა მეჩეთშია და ფასით უშვებენ ქრისტეანეთა სანახავად და პატივსაცემლად მისა, ვითარ-ცა კვარცხლბეკისა ფერხთა მისთასა.

ამაღლების მთაზედ, რაოდენადმე დაბლა მის უკანას-კნელის მწვერვალისა, ოდესმე ჰშენოდა დიდებული ტა-ძარი „ამაღლებისა“, აღშენებული წმ. ელენე დედოფლი-სა მიერ იმ ადგილსა ზედა, საიდგანაც ამაღლდა ზეცად მაცხოვარი; ეხლა ეს ადგილი შემოზღუდულია ქვის გა-ლავანითა და შესვლა იქ შეიძლება მხოლოდ ერთის კა-რებითა: მახლობლად უბრალოდ აშენებულის ოსმალთა მეჩეთისა, მაღალის გარეშემო სარბენით (მინარეთი), შუა ეზოში სდგას რვა-კუთხიანი შენობა ზევიდამ გახსნილის გუმბათითა. ის აზრი ყოფილა წმ. ელენესი ეკკლესიის აღშენების დროს ამ ადგილზედა, რომ მლოცველთა შე-სძლებოდათ ხილვა ცისა, სადაცა დიდებით ამაღლდა ქვე-ყანით ქრისტე მაცხოვარი. კედლები სამლოცველოში ცა-ლიერია, არ მოიპოვება იქ არცა წმ. ხატები, არცა ლამპა-რნი, ხოლო მარჯვენით შესვლისათანა, რომელიც არის ბუნებითის კლდისა, სჩანს კვალი მარცხენა ფერხისა უფ-ლისა იესო ქრისტესი; ხოლო აღბეჭდილი კვალი მარჯ-ვენა ფერხისა გარდატანილია აქედამ და ინახება „ელ-აქსა“-ს მეჩეთში იერუსალიმშივე. მრთელი შემოზღუდუ-

ლი ეზო ეკუთვნის ოსმალთა, რომელნიც ნებას აძლევენ ყოველ ქრისტეანეს, შეასრულონ აქ ღვთის-მსახურება გაწყობილთა შუა ეზოში საკურთხეველთა შინა,— მართლ-მადიდებელთა: ბზობასა, ამაღლებასა და დღესა უფლისა ფერისცვალებისასა.

1870 წელსა, როდესაც იერუსალიმში ზეთის ხილის მთაზედ საძირკველსა სთხრიდნენ ახალის ეკკლესიისათვის რუსეთის პალესტინის მისსიის გამგეობითა, აღმოჩენილა ფერადი იატაკი, მოზაიკით დაფენილი (ფერადი მარმარილოს ქვით), ზედ დახატულ მოზაიკითვე ფრინველებითა და თევზებითა, რომლების მნიშვნელობაზედ ზევით ვსთქვი; იმ დროს იქ დასწრებია რუსეთის დიდი მთავარი კონსტანტინე ნიკოლოოზის ძე და მისის ბრძანებით შემოუზღუდნიათ ეს ადგილი რკინის ღობითა (решетка), და მასზედ სიარული აღკრძალულია. აქვე შკაფში აქვსთ დაცული ნამტვრევნი და ნატეხნი სხვა და სხვა ძველთა საფლავთა ქანდაკებისა, სვეტებისა და ჩუქურთმებისა სხვა და სხვა შენობათა, რომელნიც უპოვნიათ საძირკვლის დაღრმავების დროს. იქვე არის ძველი აკლდამა იმ დროისა, როცა იერუსალიმი იქმნა დაქცეული. ამ აკლდამაში ყოფილა გამოკვეთილი ხუთი, ექვსი საფლავი; მათ შორის რომელნიმე არიან გახსნილნი და მათში მოსჩანან ძვალნი გაშიშვლებულნი; ხოლო სხვა საფლავნი არიან დახურულ და მტკიცედ გადალესილ; ზევით მათ ფიცრებზედ არიან აღბეჭდით აღმოჭრილნი ლურსმითა (рѣзцомъ) ჯვრები და წარწერანიც; ეს წარწერანი ჰხმობენ, რომ საფლავნი დაიტევენ თავის შორის ფსკოვერთა სამთთა ქართველთა ქრისტეანეთა მეფეთასა. ეს ცნობა ამოვიღე რუსის მღვდლის მ. ალექსანდრე ანისიმოვის წიგნიდამ, რომელიც დაბეჭდილია 1899 წელსა. ხოლო ჩემთვის არ უჩვენებიათ ეს ქართულნი წარწერანი, ჩემდა სამწუხაროდ.

ეხლა ზეთის-ხილის მთაზედ სდგას შვენიერი ტაძარი,



ქვაბი მაცხოვრის შობისა.

რუსთაგან აშენებული. ხოლო 1875 წელსა მამა ანისიმოვს კარავში უწირავს ამ ადგილას ბზობისა და ამაღლების დღესასწაულებში. ამ ტაძარშია დაკრძალული გვამი რუსის მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტ ანტონინისა, დიდისა მოღვაწისა და მშრომელისა რუსეთის ეკკლესიის სასიქადულოდ. რაც რუსეთის მისსიას პალესტინაში მამულები აქვს შეძენილი და მასზედ შენობანი, სრულიად ამ ნეტარხსენებულს მ. ანტონინს შეუსყიდნია დიდის გამოცდილებით და მოხერხებითა, წინააღმდეგ ბერძენთა, რომელნიც მსურველნი არ არიან, რომ რუსეთის გავლენა გაძლიერდეს პალესტინაში, თუმცა რუსეთის მართლმადიდებელის მორწმუნე ერის შემოწირულობით სცხოვრებენ აქაურნი მრავალ რიცხვოვანნი ბერძენთა მონასტერნი. რუსეთის შემოსავალი რომ მოაკლდეთ, შიმშილით ამოსწყდებიან, ვითარცა თევზნი უწყლოდ.

ამაღლების ეკკლესიასთან არის აღშენებული რუსთა მისსიისაგან მაღალი სამრეკლო, რომლიდგანაც ზარის რეკა სასიამოვნოდ მოისმის მთელს იერუსალიმში. ამ სამრეკლოდგანვე სჩანს ხმელთა შუა ზღვა 80 ვერსის სიშორეზედ და მარილოვანი ზღვაც 40 ვერსის სიშორეზედ.

რუსეთის მართლმადიდებელს პალესტინის საზოგადოებას, ამ ნეტარხსენებულის მ. არქიმანდრიტის ანტონინის წინამძღვრობის დროს, აღუშენებია: იერუსალიმში მშვენიერი მონასტერი ორის ეკკლესიით, ერთი საკრებულო ტაძრით და მეორეც ქსენონში — სნეულთა მლოცველთათვის რუსია, ამაღლების ეკკლესია ზეთისხილის მთაზედა; მონასტერთანვე აღუშენებია ორ-სართულიანი სასტუმრო სახლი პატივცემულთა მლოცველთათვის, რომელნიც ფასის გარდახდით დღეში 1—3 მანეთამდის, დაისადგურებენ იქ; ამ სასტუმროს განაგებს საკუთარი მმართველი ერისაგანი. აგრეთვე შეუძენია მამულები და აღუშენებია სახლები მლოცავთათვის: ქალაქს იაფფაში მშვენიერის წალკოტით

და ეკკლესიით, ხმელთაშუა ზღვის ნაპირზედა, მამბრეს მუ-ხასთან და იერიქონში, აქაც მშვენიერის ბაღებითა და სახლებითა მლოცავთა მოსასვენებლად. **ხსენება მართლისა ქებათ აღსრულებისა.** ამ ღირსს მამასა და მოღვაწეს დიდის პა-ტივისცემით და ლოცვით იხსენიებს ყოველი მლოცველი პალესტინის სიწმიდეთა, როდესაც ჰხედავს მისს ნა-შრომს სამშობლოს სასიქადულოდ.

ზეთისხილის მთაზედვე არის მღვიმე ღირსის დედა პელა-გიასი, სადაც იგი მოღვაწეობდა. ლარნაკი ანუ საფლავი-ცა მისი არს ამაღლებული, მაგრამ წმ. ნაწილნი მისნი, ვგონებ, აქ არ მოიპოვება და გარდატანილია სხვა ადგი-ლასა; ეს მღვიმეც ოსმალთა მფლობელობაშია.

ღირსი დედა პელაგია შთამომავლობით იყო ანტიო-ქიის ქალაქიდამ, ასული წარმართთა მშობელთა, არა ჩვე-ულებრივის შვენიერებისა, შეუდგა მეძავობასა, შეიძინა დიდი სიმდიდრე. ერთჯერ შევიდა იგი ანტიოქიის საკრე-ბულო ტაძარში, აღტაცებული დარჩა წმ. ეპისკოპოზის ნონის ქადაგებითა საშინელს განსჯაზედ და დაუსრულე-ბელს ტანჯვაზედ ცოდვილთასა. შემუსრვილმა გულითა ცოდვათა თვისთათვის ღირსმა პელაგიამ, განბრწყინვე-ბულმა ღვთაებრივის მადლითა, დაუტევა წარმართობა და ბიწიერის ცხოვრების გზა და დაბინავდა მამაკაცის სახედ ამ გამოქვაბულში, სადაც ათს წელზედ მოშეტებული განა-ტარა სასტიკს მოღვაწეობაში. მისს ხსენებას ეკკლესია დღესასწაულობს რვა ოკდომბერსა. ამ ადგილს პატივსცე-მენ მაჰმადიანნი და ურიანიცა.

ელეონის ანუ ზეთის ხილის მთის ძირში არს გეთსი-მანია, სადაც იყო მტილი, რომელშიაც უფალი იესო ქრისტე უკანასკნელ ჟამსა ჰლოცულობდა და ევედრებო-და: „მამაო ჩემო! უკეთუ შესაძლებელ არს, თანაწარმხე-დინ ჩემგან სასვმელი ესე; ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ“ (მათ. **26, 39**).

აქვე გეთსიმანიაში არის საფლავი ყოვლად წმიდისა ღვთის-მშობელისა; ამ საფლავზედვე არის სამწირველო. გეთსიმანიაშივე არის ახალი ეკკლესია, აღშენებული რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე მესამისაგან, აწ ღვთისა მიერ განსვენებულისა, მოსახსენებელად დედისა თვისისა იმპერატრიცა მარიამ ალექსანდრეს ასულისა, წმიდისა მოციქულთა სწორისა მარიამ მაგდალინელის სახელსაზედა; ამ ეკკლესიაში ღვთის-მსახურება სრულდება მხოლოდ შაბათობით სლავურს ენაზედ. ეს ეკკლესია აკურთხეს 1 ოკდომბერს 1888 წელსა თანადასწრებითა მათ იმპერატორებით უმაღლესობათა დიდის მთავრის სერგი ალექსანდრეს ძისა, დიდის მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასულისა და დიდის მთავრის პავლე ალექსანდრეს ძისა.

4 ივნისს, პარასკევს, მოვისმინე წირვა დილის შვიდს საათზედ გეთსიმანიაში, სადაცა არს საფლავი ყოვლად წმ. ღვთის-მშობელისა. მწირველი იყო ბერძენთა იგუმენი; წირვაზედ ჰგალობდნენ რუსთა დედა-მონაზონნი მწყობრად, ტკბილად, ლმობიერად, რომელნი მოსრულ იყვნენ იერუსალიმს სალოცავად და რამდენსამე თთვეს და იქნება წელსაც დარჩებიან აქ. სამოციქულო და სახარება ჯერ ბერძნულად წაიკითხეს და შემდეგ სლავურად. თვით საფლავის ქვა არს დადებულ ტრაპეზად; საფლავში შესასვლელად დაბალი თაღია, ვითარცა ქრისტეს საფლავზედ, უნდა წელში მოიდრიკოს კაცი შიგ შესასვლელად. ბერძნებმა გაათავეს წირვა დილის რვა საათზედ, აკრიბეს სალმრთონი ჭურჭელნი, სახარება და სამოსელნი; შემდეგ შემოვიდნენ სომეხნი, ამავე ტრაპეზზედა სწირეს, გარდა სამღვდელოთა, სომეხთაგანი არავინ იყო. კოპტებსაც ამავე ტაძარში აქვთ სამწირველო, დასავლეთის მხრივ, საკუთარს კუთხეში. კოპტების მღვდელი შეიმოსა გრძელის თეთრი სტიხარით, რომელსაც გულსა და ზურგზედ შავი ჯვარი აკერია, თავსა და მხრებზედა მოიხვია გრძელი თე-

თრი პირსახოცი; ბარძიმი ჩვენი მსგავსი აქვთ; სამს სეფის-კვერზედა სწირა; სეფისკვერი თხელია; დიდს გამოსვლა-ზედ მღვდელს ზურგზედ ჰქონდა გადაშლილი დიდი და-ფარნა, ვითარცა ბერძენთა და ათონის რუსთა მონასტერ-შიაც მიუღიათ. სომხები და კოპტები ერთს ტაძარში ერთს დროს ასრულებენ წირვასა, თუმცა მათი სამწირველოები დაშორებულია ერთმანეთისაგან ხუთის ნაბიჯის მანძილ-ზედ. ცხადია, ერთმანეთს დაუშლიან, მაგრამ ამათი ყური შეჩვეულია ამ გარემოებასა.

ამავე გეთსიმანიის ტაძართან არის საფლავი წმიდათა და მართალთა იოაკიმე და ანნასი, მშობელთა ყოვლად წმ. ქალწულისა მარიამისა, და მის დამწინდველის იო-სებ მართლისა.

სადაც უფალი იესო ქრისტე ლოცულობდა უკანას-კნელად გეთსიმანიის მტილში, იმ ადგილზედ ფრანგთა მონასტერია, სადაც აქვთ გაშენებული პატარა ბაღი. აქ-ვე უჩვენებენ ადგილს, სადაც უფალმა იესო ქრისტემ გა-ნაღვიძა მოციქულნი პეტრე, იაკობ და იოანნე, დამძიმე-ბულნი ძილითა, რქვა რა მათ: „აღსდეგით, აჰა, მტერი მოახლებულ არს“. მეორე ადგილს უჩვენებენ, სადაც ა სხვანი მოწაფენი ელოდებოდნენ გარეშე მტილისა. ერ-თის სიტყვით, აქ აღნიშნულია ქრისტეს თვითოეულ ფერ-ხის გადადგმა უკანასკნელთა დღეთა: ადგილი დაშოლტ-ვისა, პირველ, მეორე და მესამე დავარდნისა ჯვარს ქვე-შე, სადაც სვიმონ კვირინელი იტვირთებს ჯვარსა უფ-ლისასა, სადაც მაცხოვარი ეტყვის დედათა იერუსალიმე-ლთა: „ნუ სტირთ ჩემზედა, არამედ თავთა თქვენთათვის სტიროდეთ და შვილთა თქვენთათვის“ (ლუკ. 23, 28).

ქრისტეს აღდგომის ტაძრის კარების გარეთ, მარცხნივ, საშუალო სვეტზედ ჯრის ქართული წარწერა ასომთავ-რული, რომლიდგანაც ამოვიკითხე მხოლოდ შემდეგი: „ქრისტე მაცხოვარ, შეიწყალე ჯარვარ...“ გაგრძელება

ამოფხვრილია, რადგანაც ეს ადგილი სვეტისა გაპობილია. სვეტის გასქდომის მიზეზად აი რას მოუთხრობენ გარდმოცემით: 1549 წელსა, დიდს შაბათს, არ მიუციათ ნება ძალმომრეობით მართლ-მადიდებელთა ბერძენთა პატრიარქისათვის, რათა შესულიყო და მიეღო ქრისტე მაცხოვრის საფლავიდგან საღმრთო ცეცხლი, რომელიც სასწაულებრივ ყოველს დიდს შაბათს აღმობრწყინდება ცხოველ-მყოფელ საფლავიდგან. ეს უფლება ანუ უპირატესობა ქრთამისა გამო ოსმალთა ფაშას გარდაეცა სომეხთა პატრიარქისათვის. თუმცა-ღა შესულა სომეხთა პატრიარქი ქრისტეს საფლავის წინაშე, მაგრამ სასწაულებრივ არ ანთებულა სანთელი მის ხელში, არამედ საღმრთო ცეცხლი აღმობრწყინვებულა ქრისტეს საფლავიდგან და გამოვარდნილა გარეთ კედელში ამ ზემოხსენებულის სვეტით, და იქიდგან აღუნთიათ სანთელი მართლ-მადიდებელთა, მდგომარეთა თვისის სამღვდელოებით ეკკლესიის გარეთ კარებთან. ხოლო სომეხნი ამბობენ, რომ ამ სვეტიდან გამოჩნდებოდა წმიდა ცეცხლი საზოგადოდ ღარიბთა მლოცველთათვის, რომელთაც არ შეეძლოთ გარდახდა ჩვეულებრივის ხარკისა უფლებისათვის დასწრებისა ტაძარში დიდს შაბათსა, წმიდა ცეცხლის გამოჩენის წამსა.

წმიდა ანუ მადლიანი ცეცხლი აღმობრწყინდება ქრისტე მაცხოვრის საფლავიდამ ყოველს წელს დიდს შაბათს.

დიდს პარასკევს, შემდეგ ციხკრის დასრულებისა, ღამის 12 საათზედ, გააქრობენ ყოველთა კანდელთა და სანთელთა მრთელს ტაძარში და წმ. საფლავზედაც; ესრე იქმნება, ვიდრე მართლ-მადიდებელი პატრიარქი ეღირსება წმ. ცეცხლის მიღებას ქრისტე მაცხოვრის საფლავიდან; და მაშინ აღანთებენ კვალადცა კანდელთა და სანთელთა მრთელს ტაძარში, და ამ საათიდამ ანთებული სანთელი და კანდელი ქრისტეს საფლავიდან მიღებულის

ცეცხლითა აღარ დაიშრიტება მრთელს წელს ქრისტეს საფლავზედა, ვითარცა დღე, ეგრეთვე ღამე.

ბრწყინვალე აღდგომის ლიტანიაზედ გარე შემოუვლიან ქრისტეს ცხოველ-მოსილის საფლავის სამლოცველოსა **ითორმეტის მეირფვსის დროშითა** (ბაირაღითა), **რომელნიც შეუწირავთ** ბერძენთა კეისართა და **ქართველთა მეფეთა** და **პატრიარქთა**, გალობითა: „აღდგომასა შენსა, ქრისტე მაცხოვარ, ანგელოსნი უგალობენ ცათა შინა; და ჩვენცა ქვეყანასა ზედა ღირს-მყვენ წმიდით გულითა დიდებად შენდა“.

ბრწყინვალე აღდგომის წირვაზედ ბერძნები კითხულობენ სახარებასა ჩვეულებრივ ბერძნულსა და არაბულს ენაზედა, ხოლო მწუხრზედ ამა დღესასწაულისა სხვა და სხვა ენაზედ წაიკითხავენ სახარებასა, და სახარებიდან თითოეულის მუხლის წაკითხვის შემდეგ რეკავენ ზარსა.

სიმდიდრით და შვენიერებით არც ერთი ეკკლესია არ შეედრება მრთელს პალესტინაში წმ. მოციქულის იაკობ ზებედეს ტაძარსა იერუსალიმში. ეს ეკკლესია აღუშენებია საქართველოს მეფეს, გიორგი კუროპალატსა, XI საუკუნის ნახევარში, და ეხლა, ჩვენდა სამწუხაროდ, სომხები ჰფლობენ მას, თითქმის ასის წლის განმავლობაში. აღმოსავლეთის წმ. ადგილების მომხილველი და აღმწერელი მურავიოვი სწერს, რომ იერუსალიმის საპატრიარქოში არის გრამატა მასზედა, რომ სომხები მოვალენი არიან გარდასცენ ეს ტაძარი ქართველთა, როდესაც იგინი შემძლებელ იქმნებიან გარდაუხადონ ყოველ წლიური ხარკი ხვანთქარს ამ მონასტრის მფლობელობისათვის. მაგრამ ბ-ნ ცაგარელს ეს გრამატა ვერ უნახავს იერუსალიმში მყოფობის დროს 1883 წელსა.

იერუსალიმში, გეთსიმანიის მახლობლად, ლათინთა მონასტერში უჩვენებენ ცხოვართა საბანელსა, რომელსაც ეწოდებოდა ებრაელებრ „ბითეზდა“, სადაც იყო ხუთი განყოფილება და მათ შინა მრავალნი უძლურნი ელოდებოდნენ განკურნებასა წყლისა ამღვრევის ჟამს, და სადაც

უფალმა იესო ქრისტემ განკურნა სიტყვითა 38 წლის განრღვეული ანუ უძლური. მღვიმეში ანუ სარდაფში ღრმად არის ჩასასვლელი, და იქ ეხლაც არის წყალი. ამავე მონასტერში გამოფენილია ქაღალდზედ წარწერა ოცს ენაზედ იმ მოთხრობისა, რომელსაც აგვიწერს იოანნე მახარებელი თავისს სახარებაში (თ. V, 1—15). ქართულს ენაზედ ვერა ვპოვე ეს წარწერა. სჩანს, არა სცოდნიათ ქართული ენა, რომ მას ზედაც გამოეწერათ ეს დასაწყისი სახარებისა. ფრანგებს საზოგადოდ სუფთად აქვთ დაცული ის წმიდა ადგილნი, რომელნიც მათ მფლობელობაშია. ამავე მონასტრის ბაღში უჩვენებენ იმ ზეთისხილის ხესა, რომლის ქვეშაც უკანასკნელად სისხლის ოფლით ევედრებოდა იესო ქრისტე ზეციერსა მამასა.

4 ივნისს, პარასკევს, საღამოს 7 საათზედ, წავედით ქრისტეს აღდგომის ტაძარში; რვა საათზედ დახშეს ოსმალებმა ბჭენი ეკკლესიისანი. ეკკლესიაში იყვნენ ღამის სათევად მრავალნი მლოცველნი რუსნი 120 კაცამდე და სამღვდელონი სამნი, და მათ შორის მე. აქ უნდა მოვიხსენო, რომ ბერძენთა, სომეხთა და ლათინთა მონაზონთა მამათ შიგ ეკკლესიაში აქვთ სენაკები და მიუცილებელი საჭირო ადგილებიცა. ილოცეს ბერძენთა მონაზონთ მწუხრი სეროობითურთ გოლგოთას ეკკლესიაში, მთავარ-ეპისკოპოსის თანადასწრებით. მწუხრის შემდეგ ბერძენთა მონაზონნი შევიდნენ თვისთა სენაკებში, და დაჯრჩით ტაძარში მხოლოდ უცხოეთით მოსულნი. ვიწყეთ გოლგოთაზედ შესრულება დაუჯდომელისა ვნებათა უფლისათა, რომლისა თავი და ბოლო მე წავიკითხე და შეა ნაწილი—რუსის მ. დეკანოზმა, ჩემმა თანამოგზაურმა პალესტინაში.

გოლგოთაზედ ტრაპეზს ქვეშ არის ამოჭრილი ადგილი, ვერცხლით მოჭედილი, რომელზედაც ოქროვილა დამყარებული ჯვარი უფლისა; ყოვლისა ამის მხილველსა

მცირე მორწმუნესაცა უნებლიედ აღეგზნება სარწმუნოებრივი გრძნობა. ყოველის ლოცვის შემდეგ ამ ადგილს მუხლ-მოდრეკით თაყვანსა სცემენ მლოცველნი. კვალადცა განვაგრძეთ შესრულება დაუჯდომელისა ცხოველ-მოსილის საფლავისა და აღდგომისა უფლისა, ყოველად წმიდისა ღვთის-მშობელისა, წმ. მღვდელ-მთავრისა ნიკოლოოზისა. ეს გაგრძელდა რვა საათიდგან დაწყებული თორმეტამდე. მონაწილეობას იღებდა ლოცვაში დაბალი ერიც რუსთაგანი არა მხოლოდ მოსმენითა, არამედ კითხვითა და ზოგადის მწყობრის გალობითაც.

წირვა მშობელთა მსოფლიო მოხსენებისა

გახსნაგება ჩვენებურსა და ბერძნულ წირვას შორის

ევნისის 5, შაბათს, მშობელთა მსოფლიო მოხსენებას, ღამის 12 საათზედ დარეკეს, ვიწყეთ შუაღამის ლოცვანი ქრისტეს აღდგომის საკრებულო ეკკლესიაში, შემდეგ განვაგრძეთ ცისკარი; ცისკარს შეუერთეს წირვა, რომელიც შევასრულეთ ქრისტე მაცხოვრის საფლავის ეკკლესიაში. ოთხნი თანამწირველნი ვიყავით, ერთი რუსის დეკანოზი, ერთი მე ქართველთაგანი, ორი ბერძენთა მღვდელ-მონაზონი. მთავარ-ეპისკოპოზი, კირილე ბერძენი, იყო უპირატესი მწირველი.

წინა საღამოზედვე, უწინარეს მწუხრისა, შეიწვიეს მლოცველნი დარბაზში ბერძენთა მამათა და წინადადება მისცეს, დაეწერათ მათ თვისნი ცოცხალნი და მიცვალებულნი წირვაზედ მოსახსენებლად. ვინც წერა არ იცის, თვით ბერძენნი ჩასწერენ დავთარში მათ სახელებს მოსახსენებლად. ამ შრომისათვის მლოცველნი შესწირავენ ფულსა შეძლებისაებრ.

წირვაზედ შევნიშნე შემდეგი განსხვავებანი, არა ჩვეულებრივნი ჩვენთვის: დიდს გამოსვლაზედ, ან პატიოსანთა ძღვენთა გამოსვენების დროს (ბარძიმ-ფეშხუმითა), მოიხსენეს პირველად მართლ-მადიდებელი რუსეთის იმპერატორი, მეუღლე მისი, დედა მისი და მემკვიდრე მისი, შემდეგ იერუსალიმის პატრიარქი და სხვანიცა მართლ-მადიდებელნი პატრიარქნი სახელდობრივ; მერე წაიკითხა მწირველმა მთავარ-ეპისკოპოზმა განსახსნელი ლოცვა, რომელიც ჩვეულებრივ წაიკითხება აღმსარებელთა ზედა კურთხევანიდგან: „უფალო, ღმერთო ჩვენო, ძეო და სიტყვაო ღმრთისა ცხოველისაო, მწყემსო და კრავო“, და მოიხსენა სახელდობრ სიიდამ ცოცხალნი, ვინც ჩაწერილ იყვნენ. შემდეგ წაიკითხა ეგრეთვე მიცვალებულთა სახელები და მათთვისაცა წაიკითხა მთავარ-ეპისკოპოზმა რუსულს ენაზედ ლოცვა, რომელიც ჩვეულებრივ წარიკითხების მიცვალებულზედ ანდერძის შესრულების დროს. ამ გვარს წირვას უწოდებენ „разрѣшительная литургія“, „განმხსნელი წირვა“. მშვიდობიანი კათაკმეველთათვის და შემდეგ მცირე კვერექსი სრულიად გამოსტოვეს; საღმრთოთა ძღვენთა კურთხევის ანუ განწმედის უწინარეს, მთავარ-ეპისკოპოზმა დაწესებული ლოცვა რუსულისა და ქართულის კონდაკით არ წარმოსთქვა, და არცა არს იგი შეტანილი ახალს ბერძნულს კონდაკში: „უფალო, რომელმან ყოვლად წმიდა სული შენი ჟამსა მესამესა მოწაფეთა შენთა გარდამოუვლინენ და განანათლენ იგინი, მას, სახიერ, ნუ მიმიღებ ჩვენგან, არამედ განმიახლე მვედრებელთა შენთა“. ეგრეთვე ასამაღლებელზედ: „ვმადლობდეთ უფალსა“, ბერძენნი გალობენ მხოლოდ შემდეგ სიტყვებსა: „ღირსა არს და მართალ“; ხოლო კაგრძელება ამ საგალობელისა გამოტოვებულია ბერძნულს კონდაკში.

ლოცვა ყოვლად წმიდის სულის გარდამოსვლისათვის,

საიდუმლო ზიარების შესრულებაზედ „უფალო, რომელ-
მან ყოვლად წმიდა სული შენი ჟამსა მესამესა მოწაფეთა
შენთა გარდამოუვლინენ“, გამოტოვებულია ბერძნულს
ახლად გამოცემულს კონდაკში იმ საფუძველით, როგორც
ამბობენ ბერძენთა მამანი, რომ ეს ლოცვა არ იპოვება
წინა საუკუნეების კონდაკებშიო. მართალია, ეს ლოცვა
არ იყო ხმარებული იოანნე ოქროპირის დროსა იმისა-
თვის, რომ ეს ლოცვა ჯერ არ იყო შედგენილი იო-
ანნე ოქროპირის დროსა. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ,
რომ მღვდელ-მოქმედებანი და ლოცვანი მოციქულთა
დროიდგან თანდათან ივსებოდა და სისრულეში მოდიო-
და წმ. მამათაგან; მაგალითებრ, იოანნე ოქროპირის დროს
არ იყვნენ შედგენილ და ხმარებულ შემდეგი საგალობე-
ლნი: 1) მხოლოდ შობილი ძე და სიტყვა ღმრთისა, უკვ-
დავი არსება; 2) ტროპარნი მესამე და მეექვსე გალობი-
დან, რომელნიც წარიკითხებიან მცირე გამოსვლის დრო-
სა, ესე იგი, წმ. სახარების გამოსვენებაზედ, რადგანაც ეს
საგალობელნი არიან შედგენილნი შემდეგ ოქროპირისა;
3) სამწმიდა გალობა „წმიდაო ღმერთო“ იქმნა შემოღებ-
ულ წმ. პროკლე პატრიარქის დროსა, რომელიც იყო
ოქროპირის მოწაფე, და შემდეგ ოქროპირის უსამართ-
ლოდ განდევნისა, მის მეექვსე მოადგილეთაგანი კონსტან-
ტინეპოლის საპატრიარქო საყდარზედ ამავე წმ. პრო
კლეს შთაგონებით ბიზანტიის იმპერატორმა თეოდოსი
მცირემ გარდაასვენებინა აფხაზეთის ქალაქ კომანიდან
438 წელსა, სადაც აღსრულდა წმ. იოანნე ოქროპირი,
მისი წმ. ნაწილნი კონსტანტინეპოლად, შემდეგ 30 წლი-
სა ოქროპირის აღსრულებისა; 4) წარმოთქმა ბეჯითის
ანუ მრჩობლის მშვიდობიანისა შემდეგ სახარების წარკი-
თხვისა; 5) საგალობელი „რომელნი ქერუბიმთა საიდუმ
ლოდ ვემსგავსენით“, არს შედგენილი იმპერატორ იუს-
ტინე მცირის დროსა; 6) სიმბოლო სარწმუნოებისა, შედ-

გენილი პირველს მსოფლიო კრებაზედ 318 ღმერთ-შემოსილთა მამათაგან ნიკეას ქალაქსა 325 წელსა და დასრულებული მეორე მსოფლიო კრებაზედ 381 წელსა ქ. კონსტანტინეპოლსა. ეს მართლ-მადიდებელის სარწმუნოების აღსარება იყო შეტანილი წირვის წესში ტიმოთე პატრიარქის დროსა 510 წელსა; 7) ლოცვა სულის წმიდის გარდამოსვლისათვის, რომელიც ზევით მოვიხსენიე; 8) ქებითი საგალობელი ღვთის-მშობლისა მიმართ: „ღირს არს ჭეშმარიტად“ და „უპატიოსნესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაბიმთასა“; 9) საგალობელი წირვის დასრულებაზედ: „აღავსე პირი ჩემი ქებითა შენითა, უფალო“, არის შეტანილი წირვის წესში პატრიარქ სერგისა და იმპერატორ ირაკლის დროსა 620 წელს.

ეს ზემოხსენებულნი საგალობელნი და ლოცვანი თუმცა-ღა არიან შეტანილნი შემდეგ წირვის წესში, მაგრამ მცირედათაც არა სცვლიან გარეგანს წესსა ლიტურგიისას (წირვისას), რომელიც მიუღია წმ. ეკკლესიას მოციქულთა დროდგან. პირველად ლიტურგიის წესის შედგენა მიეწერება წმ. იაკობ მოციქულსა, ძმასა უფლისასა, პირველს მღვდელ-მთავარს იერუსალიმის საყდრისას ეს წირვა წმ. იაკობ მოციქულისა სრულდებოდა საქართველოს ეკკლესიაში მეცხრე საუკუნემდის; ხოლო იერუსალიმის ეკკლესიაში სრულდება წელიწადში ერთგზის, ამ მოციქულის დღესასწაულზედ. მეოთხე საუკუნეში წმ. იაკობ მოციქულის წირვის ლოცვები, მომეტებულად საიდუმლოდ სათქმელნი, შეამოკლა წმ. ვასილი დიდმა, კესარია კაბბადუკიის მთავარ-ეპისკოპოზმა, ხოლო წმ. ვასილის წირვისა საიდუმლოდ წარმოსათქმელნი ლოცვანი შეამოკლა წმ. იოანნე ოქროპირმა; წესი და რიგი კი წირვისა დაშთა სრულიად შეუცვლელად. ამ დიდთა მღვდელმთავართა შეამოკლეს საიდუმლო ლოცვები იმისათვის, რომ მორწმუნეთ ემძიმებოდათ ხანგრძლივ ეკკლესიაში

დგომა და ყურადღებით მოსმენა. ხოლო იოანნე ოქროპირის დროიდან წმ. მაროლ-მადიდებელს ეკკლესიას უპყრია უცვალებელად ეს საღმრთო ლიტურგია ანუ წირვა.

ამისათვის, ერთი საგალობელი ანუ ლოცვა რომ გამოაკლდეს წირვის წესსა იმ მიზეზით, რომ იგი არ იყო მოციქულთ დროსა, რომელთაგანაც არიან შედგენილნი უმთავრესნი წესნი და ლოცვანი წირვისა, მაშინ შეიძლება სხვებიც გამოვტოვოთ, ხოლო ამ სახით სრულიად დაირღვევა წესი ლიტურგიისა, ვითარცა ოქრო-ქსოვილ ფარჩიდან ერთი ძაფი თუ გამოვაკელით, მაშინ მრთელი ქსოვილი დაირღვევა.

„მოციქულთა ქადაგება და წმ. მამათა მოძღვრება სწორად ბეჭედად სარწმუნოებისა და კვართად სამღთოდ ღმრთის-მსახურებისა ქრისტეს ეკკლესიასა ბრწყინვალედ ჰმოსიეს, და მართლ-მადიდებლობით ადიდებს დიდსა და უბიწოსა ღმრთის-მსახურების საიდუმლოსა“ (კონდაკი: კვირიაკესა სამას ათრვამეტთა ღმერთ-შემოსილთა მამათა ნიკელთა).

შემდეგ წირვის შესრულებისა ქრისტეს საფლავზედ, დიდი პანაშვიდი გარდავიხადეთ გოლგოთაზედ მოსაბსენებელად პირველ გარდაცვალებულთა მამათა და ძმათა, სარწმუნოებით და სასოებით აღდგომისა აღსრულებულთა. ამ პანაშვიდში მიიღეს მონაწილეობა სამმა მღვდელ-მთავარმა, ექვსმა არქიმანდრიტმა, ოცამდე—იღუმენმა, ორმა დეკანოზმა, ერთმა ქართველმა და მეორემ—რუსმა, და მღვდელ-მონაზონთა. მთავარ-დიაკონი წარსდგებოდა თითოეულის ეპისკოპოზის და არქიმანდრიტის წინაშე და კურთხევანიდამ ჰგალობდნენ სძლისპირებს მუხლებითურთ. დილის ხუთს საათზედ გამოვედით ეკკლესიიდგან, ცისკრისა, წირვისა და პანაშვიდის შესრულების შემდეგ. ამ ღამისთევამ ქრისტეს აღდგომის ტაძარში, სადაც არს ქრისტე მაცხოვრის ცხოველ-მოსილი საფლავი და გოლგო-

თაც—ქრისტეს ჯვარცმის ადგილი, დიდად იმოქმედა ჩემ-ზედ, რადგანაც თვალით ვიხილე და ყურით მოვისმინე სარწმუნოებრივი გრძნობა რუსთა მდაბიო ერისა, ცხადად გამოჩენილი ამ ღამეს გოლგოთის წინაშე, სადაც ყოველ-ნი დამსწრე მლოცავნი ერთგულად ისმენდნენ და ერთ-ხმად ჰგალობდნენ მოხუცნი ჭაბუკთა თანა, მამრნი და მდე-დრნი, დაუჯდომელთა ვნებათა უფლისათა, ცხოველ-მყო-ფელის საფლავისა და უფლისა აღდგომისასა, ღვთის-მშო-ბელისა, და წმ. მღვდელ-მთავრის ნიკოლოოზ საკვირველ-მოქმედისასა, ღამის 8 საათიდგან შუაღამის 12 საათამდე.

წირვა მის უნეტარესობის იერუსალიმის პატრი-არქისა.

ვნისის 6-ს, კვირას, სულის წმიდის გარდამოსვ-ლის დღესასწაულს, ვიყავ თანამწირველი მის უნეტარესობა დამიანე პატრიარქთან მისისავე წინადა-დებით; წირვა შესრულდა ქრისტე მაცხოვრის საფ-ლავზედა. მისს უნეტარესობას მიეგებნენ შემოსვლა-ზედ ჯვარითა, სახარებითა, აღდგომისა და დღესას-წაულის ხატებითა; შემობრძანდა ეკკლესიაში დიდის გამოჩენით. წინ მოუძღოდა დიდი ჯვარი დროშის სა-ხედ, მას მოსდევდნენ კავანნი ყავარჯენებით, თავ-დაბუ-რულნი წითელის ფესკებით. ამ შემთხვევაში ბერძენთ ავი-წყდებათ მოციქ. პავლეს მოძღვრება: „ყოველი მამა კაცი, რომელი ილოცვიდეს თავ-დაბურვილად, არცხვენს თავსა თვისსა. და ყოველი დედაკაცი, რომელი ილოცვიდეს თავ-დაუბურველად (თავ-დაუხურავად), არცხვენს იგი თავ-სა თვისსა; რამეთუ ერთ არს, და იგივე არს დაყვენილიცა იგი (თავ-მოპარსული)“ (1 ეპისტ. კორინ. II თ. 4—7). უკან შეუდგებოდნენ მას მთავარ-ეპისკოპოზნი; შეიმოსა წითელის ხავერდის მანტიით. შემოსვლისათანავე დავარდა და ამ-

ბორსუყო ლოდსა ნელსაცხებელისასა, რომელზედაც იოსებ და ნიკოდიმოსმა, ფარულთა მოწაფეთა ქრისტესთა, შემურეს ყოვლად უხრწნელი გვამი მისი და შემდეგ დასდვეს საფლავსა, რომელი გამოკვეთილ იყო მტილსა შინა იოსებისასა. ეკკლესიაში შემობრძანდა პატრიარქი დილის შვიდს საათზედ თაყვანის-ცემის შემდეგ დიდს საკრებულო აღდგომის ტაძარში, დაჯდა იგი მარჯვენა მხარეს, საშუალ ეკკლესიისა, მაღალს დასაჯდომელზედა და წარვსდეგით მის წინაშე მეტანიით და მივიღეთ მისგან კურთხევა; და შემდეგ დაიწყეს ჩვეულებრივი შემოსვა პატრიარქისა; მკერდსა ეკიდა მას ორი პანაგია; თანამწირველად მისა იყვნენ ამა სამების დღესასწაულზედა ერთი მიტროპოლიტი, ერთი მთავარ-ეპასკოპოზი, ორი არქიმანდრიტი, ორი დეკანოზი, ერთი რუსი და მეორე ქართველი, სამიც მღვდელი, მათ შორის ერთი არაბთაგანი და ორიც ბერძენი. მღვდელ-მთავარნი და არქიმანდრიტნი უმიტროდ იყვნენ წირვაზედ, მხოლოდ იყვნენ თავდაბურულ ბარტყულებითა. სხვა ბერძენთა სამღვდელოებას ჩვეულებრივ თავზე ჰხურავს შავი კამილავკები, განურჩევლად ხარისხისა. სახარება და სამოციქულო წაიკითხეს ამ დღეს სამს ენაზედ: ბერძნულად, არაბულად და სლავურად. სლავურს ენაზედ სახარების კითხვის დროს არხიდიაკონი მოიქცა აღმოსავლეთად, ხოლო ბერძნულისა და არაბულის კითხვაზედ დასავლეთად იქმნა მიქცეული ერისადმი. ბარძიმსა და ფეშხუმსა ეფარა ოქროს ხუფები დიდს გამოსვლაზედ, ხოლო დიდი დაფარნა გადააფინეს ზურგზედ არხიდიაკონსა და შეუკრეს წინადამ ლენტით. ქერუბიმთა საგალობელის დროს თვით პატრიარქმა უკმივა საკურთხეველში და გარეთ ერსაც. დიდს გამოსვლაზედ საღმრთო ძღვენით გარე შემოვუარეთ ქრისტეს საფლავის სამლოცველოს. დიაკონად ხელდასასხმელი, ტრაპეზისა გარემო სამგზის შემოვლისა შემდეგ, ტრაპეზის წინ შუაზედ დააყენეს და არა

მარჯვენით კუთხეზედა, ვითარცა მიღებულია წესად რუსეთის ეკკლესიაში. ხელდასხმის ანუ კურთხევის ჟამსა ომოფორის ქვეშ ეპყრა ხელნი პატრიარქსა თავსაზედა ხელდასასხმელისასა. ახლად ხელდასხმულ დიაკონმა წირვაზედ შუა ეკკლესიაში წაიკითხა სამსახურის სია თვისის შთამომავლობისა, სწავლისა და სამსახურისა და მოიხსენა, რომ იგი იაპონიის მისსიაში მიდის ქრისტეს სარწმუნოების საქადაგებლად.

ბერძენთა პატრიარქს ქ. იერუსალიმში, სული წმიდის გარდამოსვლის დღესასწაულზედ, როდესაც მე თვითონ თანამწირველ ვიყავ მისის უნეტარესობისა, ხელდასხმის დროს ხელნი ეპყრა თავზედა დიაკონად საკურთხეველისა და ხელთა ზემოდან ეფარა ომფორი. ჩემის აზრით, ეს კანონიერი უნდა იყოს, რადგანაც აღყვანებას სამთავე უმთავრესს სამღვდელო ხარისხზედა ეწოდება ხელდასხმა, рукоположеніе, ბერძნულად „ხეროტონია“, რაიცა პირდაპირ ჰნიშნავს ხელის დადებასა. ამისათვის საიდუმლო მღვდელობისა იწოდების — ხელდასხმად, ვითარცა საიდუმლო ქორწინებისა იწოდების — წესად დაგვირგვინებისა, რადგანაც გვირგვინთა დადებანი თავზედა სიძისა და სასძლოისა არის უმთავრესი წესი ამ საღმრთო მოქმედებაში.

ბარძიმ-ფეშხუმის გამოსვენებაზედ ეგრეთვე მოიხსენა პატრიარქმა ცოცხალნი და მკვდარნი ლოცვების წაკითხვით რუსულს ენაზედა, ვითარცა ზევით იყო თქმული მთავარ-ეპისკოპოზისაგან წირვის შესრულება.

წირვის შემდეგ იწყო მწუხრი, რომელზედაც პირველ-დაწყებითი ფსალმუნი „აკურთხევს სული ჩემი უფალსა“, წაიკითხა პატრიარქმა სრულიად ზეპირად, პირმიქცეულმა ერისაკენ. მწუხრზედ ამ დღეს დაესწრო ყოველივე საშღვდელოება იერუსალიმისა: 6 მღვდელ-მთავარი, რვა არქიმანდრიტი. პირველი ლოცვა მუხლ-მოდრეკით წაიკი-

თხა პატრიარქმა ბერძნულად; მეორე ლოცვა რუსულად — მელეტი მთავარ-ეპისკოპოზმა და მესამეც — მოხუცმა მღვდელმა—არაბულად — თავისს სამშობლო ენაზედ, გრძნობიერად. წირვა მწუხრით დასრულდა დილის ათს საათზედ. წირვისა და მწუხრის შემდეგ პატრიარქი გამოაცილეს დიდებით თავისს სასახლემდის ქვევითად, რადგანაც ქუჩის სივიწროვის გამო ეტლი ვერ გაივლის ამ ადგილას; წინ მიუძღვარებდნენ დიდს ჯვარსა დროშასავით, ყველაზედ წინ მიუძღოდნენ კავასები, ჩვენის ჟანდარმების მსგავსად, წესის დასაცველად გზაში; ეკკლესიაშიაც ამ მოვალეობას ასრულებენ კავასნი.

წირვის შემდეგ შეეედით პატრიარქთან დღესასწაულის მისალოცავად; იგი ბრძანდებოდა მაღალს დასაჯდომელზედა სამეფო ტახტის მსგავსად. პატივი გვცეს ჩვეულებრივ შარბათით და ყავით; სამღვდელოებასთან მიულოცეს პატრიარქსა მრავალთა ერისაგანთაცა.

ადგილი საიდუმლო სერობისა.

ვიდს ივნისს მოვიხილე სიონის ქორი (სამლოცველო სახლი მაღლა სართულში); ეხლა აქ სდგას. ოსმალთა მეჩეთი და პირველ დროს კი ყოფილა პირველ ქრისტეანეთა ეკკლესია სიონისა. აქედან არის კეთილ-მოწიწების მიბაძვით აღებული სახელ-წოდება სიონისა, რომლის სახელზედაც საქართველოში რამდენიმე შესანიშნავი ტაძარია აღშენებული. ამ მეჩეთში, ძველად სიონის ქორში, არიან საფლავნი დავითის, სოლომონის და სხვათა მეფეთა ისრაელის ერისათა. აქ იყო იგი „დიდი, დაგებული“, განმზადებული ქორი, რომელშიაც შესრულებულ იქმნა საიდუმლო სერობა; აქ მაცხოვარმან დაჰბანნა ფერხნი მოწაფეთა თვისთა და წინასწარ-ეტყოდა მათ ნებსით ვნება-

იერუსალიმი ქრისტე მაცხოვრის ქვეყნიურის ცხოვრების დღეთა შინა.

ფა თვისთა, და დაამტკიცებდა სარწმუნოებასა და სიყვარულსა; აქედან გამოვიდა იგი მოწაფეებითურთ გეთსიმანის მტილსა (ბაღსა). აქ იყვნენ შეკრებულ მოციქულნი „შიშისათვის ურიათასა დახშულის კარებით“, და უფალი გამოეცხადა მათ შემდეგ აღდგომისა თვისისა. დახშულის კარებით, ანუგეშებდა მათ და გარდასცა მადლი სულისა წმიდისა; აქავე მეორეგზის გამოეცხადა იგი, რათამცა დაერწმუნებინა მოციქული თომა თვისსა აღდგომაზედ; აქავე გავარდნილის იუდა გამცემელის მაგიერ იყო წილით აღრჩეულ მოციქულად მატათან; აქ დღესა მეერგასესა (50) გარდამოვიდა სული წმიდა მოციქულთა ზედა, სახითა ცეცხლისა ენათა. უწინარეს სულის წმიდის გარდამოსვლისა სიონის ქორში იყარეს წილი ათორმეტთა მოციქულთა და ყოვლად წმიდა ღვთის-მშობელმან, ვის რომელს მხარეს შეჰხვდებოდა ქადაგება სახარებისა. და ამ წილის ყრით დედასა ღმრთისასა ერგო წილად ივერია—საქართველო. ამავე სიონის ქორში წმ. იაკობ მოციქული, ძმა უფლისა, წოდებული მცირედ, იყო დადგენილ პირველ ეპისკოპოზად იერუსალიმისა. აქ შესდგა პირველი მოციქულთა კრება ქ. იერუსალიმსა; აქ შეასრულა წმ. იოანნე მახარებელმა პირველი წირვა ყოვლად წმიდა ღვთის-მშობელისათვის; აქა სცხოვრებდა 24 წლის განმავლობაში ყოვლად წმიდა დედა ღმრთისა საფარველსა ქვეშე თავის ძისა პირველის ეკკლესიისასა და აქავე დაასრულა თვისი ქვეყნიური ცხოვრება. ხოლო მეორე ნაწილი სიონისა, რომელიც განიყოფება ქვითკირის გალავანითა, დანიშნულია სასაფლაოდ ქრისტეანეთა, განურჩევლად აღსარებისა, ეროვნობისა და წოდებისა.

იერუსალიმში არაბთ მღვდელთ მიუთვისებიათ ის უფლება, რომ უკეთუ სხვა ეროვნების მართლ-მადიდებელი ქრისტეანე გარდაიცვალა, პატრონი მიცვალებულისა მიუცილებელად ვალდებულია მიიწვიოს ანდერძის წესის

შესასრულებელად არაბთაგანი მღვდელიც. არაბთა მღვდელთავე კვალადცა აქვთ მეორე უფლება: როდესაც იერუსალიმის რომელსამე ეკკლესიაში შესრულდება ტაძრის დღესასწაული, მაშინ არაბთაგანი მღვდელიც უეჭველად მონაწილეობას იღებს ღვთის-მსახურებაში და ამ ერთის დღის შემოსავალი საწირავი მის კუთვნილებას შეადგენს.

7 ივნისს, ორშაბათს, სულის წმიდის დღეს, ვიყავ კვალადცა თანამწირველ პატრიარქისა რუსთა მისსიის სამების საკრებულო ტაძარში. ამ დღეს თანამწირველად პატრიარქისა იყვნენ ორი არქიმანდრიტი, ორი დეკანოზი და 12 მღვდელი და მღვდელ-მონაზონი. ეკკლესიაში შემოსვლაზედ მივეგებენით პატრიარქსა შემდეგის წესით: რუსთა არქიმანდრიტი, წინამძღვარი ამ მონასტრისა- ჯვარითა, შუაში მდგომარე, ბერძნის არქიმანდრიტი—დღესასწაულის ხატითა მარჯვენით, და მარცხენით მე—სახარებითა. პატრიარქის შემოსვლაზედ რუსთა არქიმანდრიტმა გამოიტანა პატრიარქის მიტრა, ბერძნისამ—ომოფორი, მე მივართვი ენქერი, რუსის დეკანოზმა—ბისონი, სხვებმაც დანაშთენნი შესამოსელნი. წირვაზედ, შემდეგ „ღირს-არსისა“ ანუ დღესასწაულის მეცხრე სძლისპირისა, ბერძენთა ეკკლესიაში მიღებულია შემდეგი წესი: დიდის ლანკანით მოართმევენ პატრიარქსა ანუ სხვა უპირატესს მწირველსა სეფისკვერთა მრთელთა და დაჭრილთაც; უპირატესი მიიღებს ხელში ლანკანსა ანუ სინსა და მით გამოსახავს ნიშანსა ჯვარისასა წმ. ძღვენთაზედა, შემდეგ დასწერს ჯვარსა ლანკანსა, სეფისკვრებით სავსესა, აიღებს რაოდენსამე ნაჭერს სეფისკვერისას და შეეხება მით ბარძიმსა, და შემდეგ გარდასცემს ლანკანსა დიაკონსა, რომელმაც მოართვა იგი, და ერთს ნატეხს სეფისკვერისას მასთანავე უბოძებს მას.

ამ წირვის დროს ჰგალობდა ორი გუნდი: საპატრია-

რქო ხორო—ბერძნულად და მონასტრის საერო წოდების მგალობელნი—რუსულად. სახარება და სამოციქულო ჯერ ბერძნულად წაიკითხეს და შემდეგ სლავურად. პატრიარქი და არქიმანდრიტები ბერძნულად ამბობდნენ ასამაღლებელთა და სხვა სამღვდელონი სლავურად. ასამაღლებელნი რიგზედ სათქმელნი ყველას შეგვხდა. მე შემხვდა მეორედ ასამაღლებელი: „და ღირს მყვენ ჩვენ, მეუფეო, კადნიერებით დაუსჯელად კადრებად და ხდად (მოწოდებად) შენდა ზეცათა ღმრთისა მამისა და თქმად“.

ამ მონასტრის საკრებულო ტაძარში არის სამაგალითოდ მოწყობილი სალარო: თითოეულ შკაფში განსაკუთრებით აწყვია ფილონები, მეორეში—ოლრები, მესამეში—სტიხრები და სხვა. ოცი წყვილი სამღვდელო და სადიაკონო შესამოსი არის; აგრეთვე არის საღმრთონი ჭურჭელნი ოქროსი და ვერცხლისა ცხრა წყვილნი. რომელნიმე მათგანნი ძვირფასნია და შემოწირულ სამეფო პირთა რუსეთის საიმპერატორო სახლისათა.

წირვის შესრულების შემდეგ, მ. არქიმანდრიტმა რაფაელმა, რუსთა მონასტრის წინამძღვარმა შეიწვია თავის სადგურში ჩაიზედ მისი უნეტარესობა და მწირველნი სამღვდელონიც. დარბაზში იყვნენ, სამღვდელოების გარდა, რუსის კონსულის სახლობა, მდივანი კონსულისა და დრაგომანი მისივე. მისმა უნეტარესობამ მიბრძანა ჩაის ტროს: როგორ მოგწონს ჩვენი ქალაქიო? მე მოვახსენე: ვმადლობ ქრისტე მაცხოვარსა, რომელმან აკურთხა სლვანი ჩემნი და ღირს-მყო ხილვად წმ. ქალაქის იერუსალიმისა, და თაყვანისცემად ცხოველს-მყოფელის თვისის საფლავისა. შემდეგ ბრძანა: „ტფილისში შევისწავლე ქართული ენა და აქ დამავიწყდა და მცირედ-ღა მესმის: როგორ მშვიდობით ბრძანდებით?“ მე უმდაბლესად მადლობა მოვახსენე ეგეევითარის მამობრივის სათნოყოფისა და ყურადღებისათვის, ჩემდა მომართ.

ყოველს პარასკეობით იერუსალიმში მცხოვრებნი ებრაელნი შეიკრიბებიან გლოვის ადგილსა მახლობლად სიონისა, ქალაქის გალავნის წინაშე, რომელშიაც დღემდის მოიპოვებიან ლოდნი დროთაგან აღშენებისა სოლომონის ტაძრისა, უწინარეს ქრისტეს შობისა ათას ორმოცა წელთა (1040), და აქ ტირილ-გოდებით წარმოსთქვამენ შემდგომს მუხლებსა:

სასძლოთათვის (чертоговъ), რომელნიც არიან დაქცეულ,

ტაძრისათვის, რომელიც არს დანგრეულ,

ზღუდეთათვის, რომელნიც არიან დარღვეულ,

დიდებისათვის ჩვენისა, დაღუპილისა,

დიდებულთა მამაკაცთათვის, დაცემულთა აქ,

უძვირფასესთა საუნჯეთათვის ჩვენთა, დამწვართა აქა,

მღვდელთათვის ჩვენთა, რომელთაც შეურაცხ ჰყვეს ეს საკურთხეველი...

მსხდომარე ჩასკუპებით ერი თითოეულს მუხლზედ მოსთქვამს: „ჩვენ აქ ვსხედვართ და ვსტირთ“.

შემდეგ წინამდგომელი აღიმაღლებს ხმასა და განაგრძობს: „გევედრებით შენ, მოწყალე იქმენ სიონზედა“.

ერი. შეკრიბე ძენი ისრაელისანი.

წინამდგომელი. ისწრაფე, ისწრაფე, გამომხსნელო სიონისაო!

ერი. უთხარი სიხარული იერუსალიმსა.

წინამდგომელი. რათამცა დიდება და დიდებულება დაგვირგვინებდენ სიონსა.

ერი. ჰოი, იყავ მოწყალე იერუსალიმისა მიმართ.

წინამდგომელი. რათა კვალადცა გამოჩნდეს სუფევა სიონსაზედა.

ერი. ნუგეშ-ეც მტირალთა იერუსალამისათვის.

წინამდგომელი. რათამცა მშვიდობა და ბედნიერება შემოვიდეს სიონსა ზედა.

ერი. და კვერთხი იესესი აღყვავდეს სიონსა ზედა.

პარასკეობით შეკრბებიან, ამისათვის რომელ ამ დღეს იყო აღსასრული მათის ეროვნულის არსებობისა, ამ დღეს მოჰხდა იუდიანთა სრული დამხობა, სოლომონის ტაძრის დარღვევა და დაწვა და გარდასახლება მათი ბაბილონს ტყვეობაში. ეს უბედურება ეწვია მათ უწინარეს ხუთასის წლისა ქრისტე მაცხოვრის შობამდის. ხოლო მეორე გზის დამხობა იერუსალიმისა და დაწვა ზორობაბელის ტაძრისა, რომელშიაც ჰქადაგებდა ქრისტე მაცხოვარი და რომლისა დარღვევაც და დამხობა იერუსალიმისა წინასწარ-სთქვა თვით უფალმა იესო ქრისტემ, უწინარეს თავის ჯვარცმისა, როდესაც მხილველი ზეთისხილის მთიდგან „ჰსტირდა მასზედ და იტუოდა, ვითარმედ შეეთუმცა კეტნა შენ დღესა ამს მშვიდობად შენდა; ხოდო აწ დეფარა იგი თვალთაგან შენთა. რამეთუ მოვლენან დღენი შენზედ, და მოგადგან შენ მტერთა შენთა ალაშქარი, და გარეშოკადგენ შენ, და შეგაყოწროონ შენ ყოველით კერძო; და დაკარდვიან შენ, და შვილნი შენნი შენ შორის დეტნენ, და არა დაჰშთეს ქვა ქვასზედ შენ შორის, ამისთვის რამეთუ არა გულის-ხმა-ჰყავ ჟამი მოხედვისა შენისა (ლუკ. 19; 41—44). არა წარხდეს ნათესავი ესე, ვიდრემდე ესე ყოველი იყოს (ლუკ. 21, 32). წინასწარმეტყველება ესე აღსრულდა 70 წელსა შემდეგ ქრისტეს შობისა ანუ უფლისა მაცხოვრის ამაღლების შემდეგ 36 წ. ვითარცა პირველი დაქცევა იერუსალიმისა და დაწვა სოლომონის ტაძრისა ნაბუქოდონოსორის მიერ, ქალდეველთა მეფისა, 500 წლის უწინარეს ქრისტეს შობისა, ეგრეთვე მეორე გზის დამხობა იერუსალიმისა და დაწვა ზორობაბელის ტაძრისა რომაელთა კეისრის ტიტეს მიერ, მოჰხდა ათსა აგვისტოსა პარასკევსა დღესა. ამით უნდა სცნან ურიათა, რომ ეს სრულიადი მათი ეროვნული დამხობა, შემუსრვა იერუსალიმისა და წმიდა ტაძრისა, და გაფანტვა მათი ყოველთა კიდეთა ქვეყანისათა ეწვია მათ განგებულებისაებრ ღვთისა, უსჯულოებისა და ურწმუნოებისათვის მათისა. პარასკევი არს დღე იგი, როდესაც პილატემ უთხრა ურიათა იესო

ქრისტეზედ: „უბრალო ვარ მე სისხლისაგან მაგის მართ-ლისა; თქვენ იხილეთ. და მიუგო ყოველმან ერმან: „სისხ-ლი მაგისი ჩვენზედა და შვილთა ჩვენთა ზედა“ (მათ. 27; 24, 25). ამავე პარასკევს დღესა გამომხსნელმა ქვეყანისამ, მათ მიერ ჯვარცმულმა, განუტევა სული თვისი ჯვარსაზე-და, მეედრებელმა ზეციერისა მამისა მიმართ: „მამაო! მიუ-ტევე ამათ,რამეთუ არა იციან, რასა იქმან“ (ლუკ. 23, 34).

7 ივნისს, ორშაბათს, საღამოს ხუთ საათზედ, ჩემის თანამოგზაურით რუსის დეკანოზით წარვემართენით ეტ-ლითა ქ. ბეთლემს და მივედით იქ ერთის საათის განმავ-ლობაში; იგი ჰშორავს იერუსალიმს ათს ვერსამდის. დავ-ბინავდით ბერძენთა მონასტერში, რომლის წინამძღვარმა მთავარ-ეპისკოპოზმა სტეფანემ მიგვიღო და გამოგვკითხა ჩვენი ვინაობა. პირველსავე შეხვედრაზედ წინადადება მო-გვცა, ჩაგვეწერა დავთარში ჩვენნი ცოცხალნი და მკვდარნი მოსახსენებლად წირვაზედა და ჩვენცა შეძლებისაებრ მივა-რთვით საწირავი. შევედით ეკკლესიად, თაყვანი-ვეცით ქრისტე მაცხოვრის შობის ადგილსა ანუ ქვაბსა, რომლისა თავზედაც არს ბერძენთა სამწირველო; ამ ტრაპეზის ქვეშ არის ვეცხლით მოჭედილი ადგილი ვარსკვლავის სახედ შემდეგის ზედწარწერითა: „აქ იშვა მაცხოვარი ქვეყანისა უფალი იესო ქრისტე“. მლოცავნი დავარდებიან და თა-ყვანისცემენ ამ წმიდა ადგილსა. 1850 წელსა ამ ტრაპეზი-სათვის შემოსწირა ფრანგთა იმპერატრიცამ ევგენიამ ძვირფასი ოქროთ ნაკერი ფარდა, ღირებული რავდენი-მე ათას მანეთად. ეს ფარდა მოიპარეს და ამ შემთხვევამ გამოიწვია დიდი ამბოხება აღმოსავლეთის ომის უწინარეს. ამავე ტაძარში მარჯვენით, ორის ნაბიჯის სიახლოვეს, თაყვანი-ვეცით ბაგასა, რომელსა შინა მიიწვინა ყრმა ახალი, ქრისტე იესო, პირველ საუკუნეთა ღმერთი; ეს წმ. ბაგა შეადგენს ფრანგთა სამლოცველოს, ხოლო მარცხნივ არს სომეხთა სამწირველო.



ზეთის-ხილის მთა.

ბეთლემი.

ურთხეული საუკუნიდგან ქალაქი, რომელსა შინაც თვით ღმერთმან, დამბადებელმა მსოფლიოსა, სათნო იჩინა ხორციელად გამოცხადება ცხოვრებად ქვეყანისა ყოვლად წმიდისა ქალწულისა მარიამისაგან, არის მთის გრეხილის ფერდობზედ დაშენებულ დაშვებულს ვაკეზედ. იგი აშენებულია სამხრეთით იერუსალიმისა ორის საათის მანძილზედ. საღმრთო წერილში იგი იწოდება ბევრნაირად: „ბეთლემი“, „ბეთლემი იუდეანთა“, გასარჩევად ბეთლემისა გალილეანისა, რომელიც ეკუთვნოდა ზაბულონის ტომსა; „ევფრათა“, ანუ „სახლი ევფრათა“, თვისის არა ჩვეულებრივის ნაყოფიერებისათვის, ვინაიდგან ევფრათა ებრაულად ჰნიშნავს ბარაქიანობას, ნაყოფიერობას; იწოდება ეგრეთვე „ქალაქად დავითისა“, ვითარცა სამშობლო წინასწარმეტყველისა და მეფისა დავითისა. ბეთლემი ურიულად ჰნიშნავს — სახლი პურისა. ეს სახლი პურისა გამოსჩნდა სახლად კურთხევისა და მადლისა ღვთაებრივისა, რომელიც აღმოგვიცენდა დავრდომილს კაცობრიობას აქ განხორციელებითა მხოლოდშობილისა ძისა ღვთისათა. „და შენ, ბეთლემ, ქვეყანა ეგე იუდასი, არა სადა უმრწემეს ხარ მთავართა შორის იუდასთა: რამეთუ შენგან გამოვიდეს წინამძღვარი, რომელმან დაჰმწყსოს ერი ჩემი, ისრაილი“ (წინასწარ. მიქ. 5, 2; მათ. 2, 6).

მეორე საუკუნის დამდეგს, შემდეგ ქრისტეს შობისა, ბეთლემში კვალადცა იყვნენ ურიანი: ევარესტ, რომთა პაპი, იყო ნათესაობით ბეთლემელი ურია. გარნა იმპერატორმა ადრიანემ სასტიკის ბრძანებით აღუკრძალა ებრაელთა დასახლება და ცხოვრება ბეთლემში; და ეხლა არ მოიპოვება ბეთლემში არც ერთი ურია. პირველი ტაძარი ქრისტეს შობის ადგილზედ აღაშენა ნეტარმა ელენა დედოფალმა, რომელიც შემდეგ დაქცეულ იქმნა სარკი-

ნოზთაგან და მეხუთე სჯუკუნეში გაჩნახლა ის ტაძარი იუ-სტინიანე კეისარმა.

მცხოვრენნი აწინდელის ბეთლემისა, რიცხვით ექვსი ათასამდე, მომეტებულად არიან ქრისტეანენნი; მართგან ნა-ხევარზედ მომეტებული არიან მართლ-მადიდებელნი არა-ბნი, დანარჩენნი—ლათინები, სომხები, კოპტები და მეო-თხედი ნაწილიც მაჰმადიანნი. უმთავრესს წარმოებას ბეთ-ლემის მცხოვრებელთა შეადგენს ხვნა თესვა პურისა და პირუტყვთა მოშენება, ხოლო კერძოობითად კეთება კრო-ალოსანთა, ჯვართა, ხატთა, სამაჯურთა სადაფისაგან, შე-კრება ფერად ფერადთა ადგილობრივთა ყვავილთა გაზა-ფხულზედა, ხელოვნებით გახმობა მათი, ესრე რომ ბუნე-ბითს სიმშვენიერეს არ მოაკლდებიან და შემდეგ ალბო-მებად მოამზადებენ მათ. ყოველსა ამა ხელოვნების ნაწა-რმოებსა მლომად ყიდულობენ მისულნი უცხოეთით მლო-ცავნი. ბუნებითნი წარმოებანი ბეთლემისა არიან: ზეთი, მომზადებული ზეთისხილიდამ, ლეღვი, ბროწეული და განსაკუთრებით ღვინო საზოგადოდ პალესტინაში მოდის ტკბილი ღვინო, რომელსაც მიწის გემოც მოსდევს, რად-განაც ვაზს სარი არ უდგას, და ყურძენი მიწას ეხება, და ამისათვის მისი დალევა ჩვენებურს კაცს ემძიმება, თუ წყალით არ შეაზავა. ნამდვილად ამგვარს ღვინის თვისება გამოიხატება, როდესაც მეერგასესა დღესა, შემდეგ ქრის-ტეს აღდგომისა, სული წმიდა გარდამოვიდა მოციქულთა ზედა და მათ სხვა და სხვა ენათა ზედა იწყეს დიდება ღმრთისა, ხოლო რომელნიმე წარმართნი „ეეგანტხეკდეს და ეტყოდეს, გათარმედ ტკბილთაგან სავსე არიან იგინი“, ე. ი. მო-ციქულნი (საქ. მოციქ. 2, 13); „განაადგან გერ ბუდას ხმა-ჰეგეს წარმართთა მოციქულთა ზედა მოსრული ძალი სულისა წმა-დისა და მაგრად-საგონებელ აქმნეს იგინი შეცხოთ ძნთხეს ენათა“ (სტიქარონსა ზედა დასდებელი კვირიაკესა მეერგა-სისასა მწუხრად). ტრმოთე მთავარ-ეპისკოპოზი გარდმო-

გვცემს, რომ ქართველებს მე-18 საუკუნეშიაც კვალდაცა ჰქონიათ ბეთლემის ქრისტეს შობის ეკლესიაში ტრაპეზი მღვდელ-მოქმედებისათვის.

ვასილი დიდი თვისს შვენიერს ქადაგებაში ქრისტე მაცხოვრის შობის დღეზედ, ღვთის-მშობლის პირით, ეს-რეთ ამბობს: „რაიმე სახელ-ვსდვა შენ, საყვარელო ჩემო? ჭეშმარიტ უნდა გიწოდო შენ? მომაკვდავად? გარნა მუცლად გილე შენ გარდამოსვლითა წმიდისა სულისათ. ღმერთად? მაგრამ შენ გმოსია კაცობრივი სხეული.

ვითარ უნდა მოვიქცე მე შენს წინაშე? „ანამდებვარ მე მოგიახლოვდე შენ კმევითა გუნდრუკისათა, ანუ წინა-დაგიდვა შენ საზრდოდ რძე ძუძუთაგან ჩემთა? ვალდებულ ვარა მე მქონდეს შენზედ ზრუნვა, ვითარცა თვით ნაზსა დედასა, ანუ ვალდებულ ვარ გემსახურო შენ, და-ვარდნილმა შენს წინაშე მტვრად. აი საკვირველი წინააღმდეგობა (противоположность): ცა შენი სამკვიდრებელია, ხოლო მე ნანათი შეგაქცევ შენ ჩემს მუხლებზედ!“

ქრისტე მაცხოვრის შობის ადგილზედ ბეთლემის ტაძარში თაყვანისცემის დროს მომაგონდა ზემოხსენებულნი ღვთივ-შვენიერნი სიტყვანი მსოფლიო მოძღვრისა და დიდისა მღვდელ-მთავრისა ვასილისა.

„რძიანი მღვიმე ყოვლად წმიდისა ღვთის-მშობელისა.

ერას ნაბიჯზედ აღმოსავლეთის მხრივ ბერძენთა მონასტრისაგან შეთლემში მდებარეს პატარა მღვიმე, გამოკვეთილი კლდეში, სიგრძით ორი საჟენი, სიგანით საჟენი და ნახევარი და სიმაღლით ერთი საჟენი. შესავალი მღვიმეში არს ჩრდილოეთის მხრით კიბით 13 საფეხურით: ეს გამოქვაბული შეადგენს საკუთრებასა ფრანგთა მონაზონთასა (ბერებისასა) და უწოდებენ მას: „ქვაბი ღვთის-

მშობელისა და რძიანი მღვიმეᲗ. ამ მღვიმეში ყოვლად წმიდა ქალწული პირველ საუკუნეთა ყრმითურთ მიეფარა დევნულებისაგან ეროდისა, როდესაც წმიდა სახლობა ივლტოდა ეგვიპტედ, ვიდრემდის მართალი იოსებ იყიდა ბეთლემში სამგზავროდ საჭირო საჭმელსა საგზლად.

მოუთხრობენ, რომ როდესაც ყოვლად წმიდა დედა ღვთისა აწოვებდა ღვთაებრივს ყრმას იესო ქრისტესა, მაშინ რამდენიმე წვეთი მის რძისა დავარდა ძირს და ამისათვის ქვას ამ მღვიმეში აქვს მოთეთრო რძის ფერი. ამას ფხეკავენ და განაზავებენ წყალში, რომელიც გარდაიქცევა თეთრად, ვითარცა რძე, აკეთებენ ნაძირალისაგან კვერის ხმიადის მსგავსს, რომელსაც უწოდებენ „რძედ ღვთის-მშობელისა“ ანუ „დაბეჭდილ მიწად“, ვინაიდგან ამ კვერიებზედ, რომელთაც მრავლად მიეზიდებიან ევროპაში გასასყიდელად, დაბეჭდილია ჯვარი ანუ ასო მ (მარიამ).

გალესილნი წყალში ეს კვერიები, ამბობენ, შველიან მშობიარეთა ძნელის მშობიარობის დროსა. როდესაც საჭიროება მოითხოვს, ამ სახედ მოიქცევიან: კვერიას ჩაუშვებენ სტაქან წყალში სამს ანუ ოთხს წამს, და როდესაც წყალი გათეთრდება, კვერიას ამოიღებენ, გაახმობენ და შეინახავენ სახმარებელად მეორე გზის, ხოლო წყალს დაჭლევენ.

ღელე მწყემსთა.

ღმოსავლეთით ბეთლემისა, გაივლით რა ნაყოფიერს ვაკესა, რომელიც იყო მინდორი ბოოსისა და მასზედა ოდესმე რუთ შეჰკრებდა თავთავსა, მარჯვნივ მხარეს გზისა სძევს არაბთა სოფელი „ბეთ-სახურ-ელნასსარა“, რომელიც დასახლებულია მართლ-მადიდებელთა მიერ. ესენი შეადგენენ 500 სულამდის. მარცხენით ამ სოფლისა გადაშლილა ნაყოფიერი „ღელე მწყემსთა“, რომელზედაც

გეთსიმანის მტილი (ბაღი).

ღვთაებრივს ღამეს იესო ქრისტეს შობისას ღარიბნი მწყემსნი ელირსნენ მოსმენას ანგელოსთა დიდების-მეტყველებისას: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, და ქვეყანასა ზედა მშვიდობა, და კაცთა შორის სათნოება"! ადგილი ამ სახარულევანის ხარებისა გარემოზღუდულია გალავნითა, ოდესმე მაგრითა, და აწ ნახევრად დანგრეულითა. გალავნის ჩრდილოეთის ნაწილში არიან დაცულ ნანგრევები, რომლებიც შესდგებიან დიდ ლოდთაგან და რომელნიც მოწმობენ, რომ ოდესმე აქ შვენოდა დიდი ეკკლესია, რომლისა ტრაპეზი დაცულია აქამომდის. თითქმის საშუალ გალავნისა არის ჩასავალი მღვიმეში, რომელშიაც აშენებულია ეკკლესია 30 ფუტი სიგრძით და 20 ფუტი სიგანით. იატაკი ეკკლესიისა არის მოფენილი ქვებითა, შიგა და შიგ მოზაიკითა—ფერადის კენჭებითა. ეკკლესია ფრიად ღარიბია. მის აღშენებას მიაწერენ წმიდა დედოფლის ელენას დროსა. იგი არის სამრევლო ეკკლესია მცხოვრებთათვის სოფლის „ბეთ-სახური"-სა. მოხილვის დროს მლოცველთ არაბთა მღვდელი ძველს დაბრანძულს სამოსელში ჩვეულებრივ გარდაუხდის პარაკლისს, რომელზედაც სახარებას, ადგილის შესაბამს, უკითხავს რუსთა ყოველთვის დანჯღრეულს სლავურს ენაზედ.

ქრისტე მაცხოვრის შობის ადგილსა, სადაცა „ანგელოსთა სიმრავლე ერთა ცისათა აქებდეს ღმერთსა და იტყოდეს: დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, და ქვეყანასა ზედა მშვიდობა, და კაცთა შორის სათნოება" (ლუკ. 2; 13, 14), და აგრეთვე ტაძარსა ქრისტე მაცხოვრის აღდგომისასა იცავენ შეჭურვილნი ურწმუნო ოსმალნი, ჩვენდა სამხილებელად, რამეთუ დაგვივიწყებიეს ჩვენ მცნება უფლისა იესო ქრისტესი: „მშვიდობასა დაგიტოვებ თქვენ; მშვიდობასა ჩემსა მიგცემ თქვენ. (იოან. 14, 27.) იყვარებოდეთ ურთიერთარს, კითარცა მე შეგიყვარენ თქვენ; ამაი სტენნ ყოველთა, კითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკეთუ იყვარებოდეთ ურთიერთარს" (იოან.

13 თავ., 34, 35 მუხლ.) და აგრეთვე არ აღვასრულებთ მოციქულის მოძღვრებასა: „პატივისცემითა ურთიერთარს წინაუსწრობდით“, „ერთიერთარს იგებინებოდეთ და შეეწყალებოდეთ, ახლდეთ, ნუ შეჰმე ურ ერთარს განაღვინეთ (ამოსწედეთ) (გალატ. 5, 15). ამისათვის ამ წმიდა ადგილებზედა იქმნებიან არა იშვიათად: მტერობანი, შურნი, გულისწყრომანი, წვალებანი, შფოთებანი და თითქმის კაცის-კლვანიცა ქრისტეს სარწმუნოების სხვა და სხვა აღმსარებელთა და წარმომადგენელთა შორის, და ამგვარის მოქმედებითა, სიტყვისაებრ წინასწარმეტყველისა ისაიასი: „სახელი დიდი ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი და მისი ჭეშმარიტი სარწმუნოება იგმობვის ჩვენთვის ურწმუნო მაჰმადიანთა შორის“ (რომაელ. 2, 24).

ვითარცა იერუსალიმში, ბეთლემის ტაძარშიაც განუშორებლად იმყოფებიან „სმალთა მხედარნი წესიერების დასაცველად და ქრისტეანეთა შორის უთანხმოების და დავის მოსასპობელად. ვითარცა მწვანე ველი, მოფენილი ფერადის ყვავილებითა, წარმოადგენს მშვენიერს სურათს თვალთათვის და კეთილ სუნნელებითა დამატკბობელია საყნოსელისათვის, ეგრეთვე ღვთის მსახურებანი, სხვა-და-სხვა ენათა ზედა შესრულებულნი, ამშვენებენ ქრისტეს ეკკლესიასა. ამისათვის, მცნებისაებრ მოციქულისა, „ვალდებული ვართ „გისწრაფოდეთ დამარხვად ერთობასა მას სულისასა საკრველითა“ (კაგშარითა) მით ძმეადობისათა (ეფეს. 4, 3).

ქრისტეს შობის ადგილზედ ბეთლემში არის ვრცელი ტაძარი, აღშენებული იმპერატორის იუსტინიანეს მიერ. ამ ტაძარში საშუალი ადგილი სამწირველო „უპყრიათ ბერძენთა; ეს ტაძარი არს აღშენებული მსგავსად წმიდისა სოფიოსი კონსტანტინეპოლში, მხოლოდ იმ ზომისა არ არის. თავი ამ ტაძრისა არს ხისა; რადგანაც ქრისტეანენი ვერ შეთანხმებულან ამ

ტაძრის გუმბათის განახლების შესახებ, ოსმალთა მთავრობას განუახლებია ხის ჭერითა და საფასე წაურთმევია ქრისტიანეთათვის. ეს ტაძარი ქვითკირის კედლით არის გაყოფილი შუაზედ, რადგანაც ერთი ნახევარი ამ ტაძრისა დასავლეთის მხრით ოსმალთ ოდესმე საჯინიბოდ გარდაუქცევიათ; ხოლო მეორე ნახევარი აღმოსავლეთის მხრივ ქრისტეანებს შეუზღუდავთ კედლითა ქრისტე მაცხოვრის შობის ადგილის დასაცველად, მეორე ნახევარიც ეხლა ბერძენთა საკუთრებას შეადგენს და იქაც ლამპარნი ანთია, მაგრამ შუა იგი კედელი „მტერობისა“, რომელიც განყოფს ეკკლესიასა, მაინც არ არის „დარღვეული“ ბერძენთაგან აქამომდე. ღამე იქ ვათიეთ; მეორე დილით ოთხს საათზედ, ცისკრის მოსმენის შემდეგ, რომელიც ღამის პირველ საათიდგან დაიწყეს, გარდავახდევინეთ პარაკლისი და გამოვედით ბეთლემიდამ.

ჟ. ქებრონი, მამბრეს მუხა და მათი მნიშვნელობა.

ამის საათის განმავლობაში მოვედით მშვიდობით ეტლითა ქალაქ ქებრონს, რომელიც ირიცხება უუძველესქალაქად პალესტინაში, თანამედროვედ მამათ-მთავრისა აბრაამისა. აქედგან სამის ვერსის სიშორეზედ ქვევითად წარვედით მამბრეს მუხასთან, რადგანაც გზის სივიწროვის გამო ეტლი ვერ გაივლის იქ. ამ მუხას ქვეშ აბრაამმა იწვია წმ. სამება სამ მოგზაურის სახედ. ამ დღეს წირვა იყო ამ მუხას ქვეშ; თუმცა ეკკლესია არ არის იქ, მაგრამ პატრიარქის ნება-რთვითა და კურთხევით სწირავენ აქ სულის წმიდის გარდამოსვლის დღესასწაულის მესამესა დღესა, პატივსადებლად ამ წმიდა ადგილისა.

მხოლოდ პარაკლისზედ მივუსწარით. ამ ისტორიულის ნაშთისა, დაბადებაში ხსენებულის მუხის ოთხს ტო-

ტში ორი-ღა არის ნედლად აქამომდის; პირველის შეხედვით ჩვენებურს მუხას არ ემსგავსება, ფურცელნი უფრო წვრილი ასხია და მცირედ ეკლიანიც, გარნა რკო და ქერქი სრულიად ჩვენის მუხისა აქვს. ეს ადგილი, სივრცით ას დღიურამდის, შეუსყიდნია რუსეთის პალესტინის საზოგადოებას ნეტარხსენებულის არქიმანდრიტის ანტონინის მიერ, დიდის მზრუნველისა და მოღვაწისა სასიქადულოდ რუსეთის ეკკლესიისა; და გაუშენებიათ დიდი ზვარი, რომელშიაც არაბნი მუშაობენ. თითონ მუხას აქვს შემოვლებული რკინის ზღუდე ოცის საჟენის სივრცით ყოველის მხრიდგან, და ნებას არ აძლევენ მლოცავთა, მოსწყვიტონ სახსოვრად ერთი ფოთოლი მაინც ამ მუხისაგან; მხოლოდ ძირს ჩამოცვივნულს რკოს ფასით ურიგებენ მსურველთა. აქ აღუშენებია რუსეთის პალესტინის საზოგადოებას ორ-სართულიანი სახლი მლოცავთა მოსასვენებლად. აქვე ახლად აღუშენებიათ ქვითკირის მაღალი კოშკი, საიდგანაც მოსჩანან ხმელთაშუა და ლოტის ზღვები. ქებრონის ქალაქში არის დიდი მეჩეთი, რომლისა ქვეშე არიან დაკრძალულ სამარენი წმ. და მართალთა მამათ-მთავართა აბრაამ, ისააკ და იაკობისა, და წმ. და მართალთა დედათა— სარრა, რებეკა და ლიასი. ნეტარს ელენას აქ აღუშენებია ეკკლესია, რომელიც შემდეგ, მეშვიდე საუკუნიდამ არაბთა გარდაუქცევიათ მეჩითად.

ქრისტეანეთა და ებრაელთა შეუძლიანთ მხოლოდ გარედგან შეიხედონ ამ სამლოცველოში მცირე ხვრელით, საიდგანაც არაფერი მოსჩანს.

ბეთლემიდგან მომავალნი ამ ქებრონის გზაზედ ჰნახავთ პირველად ილია წინასწარმეტყველის ბერძენთა მონასტერს, სადაც შევედით ქებრონიდგან მობრუნებულნი და ვილოცეთ. ეს სავანე ოდესმე შეადგენდა ქართველთა მამათა სამკვიდრებელს, ვითარცა ქართველის ერისაგან აღშენებულსა. შემდეგ გზიდგან მოშორებით ოთხის

მამბრეს მუხა.

ვერსის მანძილზედ მოსჩანს წმ. გიორგის ეკკლესია, სადაც ჰყავთ კვეთებელნი, რკინის ჯაჭვით დაბმულნი, რომელნიც განიკურნებიან აქ. მერე გზის პირადვე არის სოლომონ მეფის აუზები, დიდის ქვითკირით შემოზღუდული. ამაში იკრიბება შემოდგომით და ზამთრობით წვიმის წყალი, მხოლოდ აწ გაოხრებულა და განუწმედელად დატეებულია. ამ აუზებთან არის დიდი ციხე-გალავანი, როგორც სჩანს, მტერთან საბრძოლველად და მოსაგერებლად.

8 ივნისს საღამოზედ დავბრუნდით მშვიდობით ჩვენს სადგურზედ ქ. იერუსალიმს.

ყოველს ჩვენს მოგზაურობის დროს, როგორც იერუსალიმში, ეგრეთვე გარეშე ადგილებში მიუცილებელად და მოუშორებელად თანა გვყავდა ერთი შეიარაღებული კავასი, შავმთიელი, გზის მაჩვენებელად და ავაზაკთაგან დამცველად.

ქართველთა შესანიშნავი ჯვარის მონასტერი.

ითხშაბათი, 9 ივნისი. ამ დღეს ვნახე და მოვილოცე ჯვარის მონასტერი, რომელიც ჰშორავს იერუსალიმს სამის ანუ ოთხის ვერსით. თითონ ბერძენნი უწოდებენ ამ სავანეს ქართველთა მონასტრად. ამის ხილვამ ამიშალა სულის დიდი მწუხარება. ოდესმე სახელოვანს დიდებულ ქართველთა ერსა იერუსალიმში ჰქონდა 18 მონასტერი და აწ არცა ერთი-ღა მოგვეპოვება! ვაი ჩვენს დაკნინებასა! ამ მონასტერში ეხლა სასულიერო სემინარიაა, სადაც იღებს განათლებას შვიდს ენაზედ ბერძენთა და არაბთა ახალგაზრდობა. ვისისა და რა საშუალებით ინახება ეს სასწავლებელი? ამ მონასტერს, ქართველ მეფეთაგან აღშენებულს მეხუთე საუკუნეში, მათგანვე აქვს შეწირული ქ. ტფილისში მამული, წოდებული „ჯვარის მამისად“. ეს,

ტფილისში, არის ეკკლესია, გარეშემო სახლები და დუქ-ნები, მისი კუთვნილი; აი ამ დუქნებისა და ეკკლესიის შემოსავლით უცხოეთში ინახება სემინარია უცხო ტომ-თა აღსაზრდელად და განსანათლებელად. შარშან საქართ-ველოს საეპარქიო სასწავლებელთა საბჭომ წინადადება მისცა ამ ეკკლესიის წინამძღვარს, მ. არქიმანდრიტს სოფ-რონსა, ტომით ბერძენსა, რათა ეკკლესიის ეზოში გაჰმარ-თოს სამრეველო საეკკლესიო სკოლა; ხოლო მან მოახსე-ნა საბჭოს წინადადება პატრიარქსა; იერუსალიმის სინოდ-მა განიხილა რა ეს თხოვნა, რასაკვირველია, უარ ჰყო შესრულება ამ გვარის წმიდა მოვალეობისა, ვითარიც არს ყრმათა საღმრთო რჯულის სწავლება ეკკლესიის მფარვე-ლობის ქვეშ. როგორც ზევით იყო თქმული, ივნისის 2-ს პირადადაც მოვახსენე მის უნეტარესობას ეს საქმე და ვნახოთ რა გამოვა?.. 1897—1898 წელსა, ოსმალთა და ბერძენთა შორის ბრძოლის დროს კრიტის კუნძულიდამ დეპეშით უბრძანებდენ ჯვარის მამის წინამძღვარს არქი-მანდრიტს თფილისში, რათა აქაური საეკკლესიო შე-მოსავლიდან გაეგზავნა ფული ომის გასაგრძელებლად; და აქაური საეკკლესიო სკოლის შასანახავად კი არ მოე-პოვებათ არცა ბინა და არცა სხვა ღონისძიება!!

მე-18 საუკუნის ნახევრამდის ყოფილან ამ ჯვარის მო-ნასტერში ქართველნი წინამძღვარნი და მამანიცა. მე ვნახე ერთი საბუთის ქაღალდი ათონის ქართველთა სავანეში, რომლიდგანაც ცხადად სჩანს, რომ კონსტანტინეპოლი-სა და იერუსალიმის პატრიარქთა სრულიად გარდაუხდიათ ვალები, რაოდენიც ყოფილა ამ სავანეზედ. გარდაუხ-დიათ შემოწირულებითა, რომელიც საქართველოს მეფი-სა, პატრიარქისა და ერისაგან მიუღიათ, და დანაშთენიც ვიფიმც თითონ დაუმატებიათ, და აცხადებენ ამ ქაღალ-დით, რომ შეუძლიანთ ქართველთა მიიღონ თავის მფლო-ბელობაში ეს მონასტერიო. ეს გარდაწყვეტილების პირი

გადმოღებულია კონსტანტინეპოლის საპატრიარქო არ-ქივიდგან და ეს დადგენილება არის თარიღით 1702 წელს, თარგმნილი რუსულად და დაბეჭდილი; და ეხლა ერთს უბრალო ოთახსაც არ გვითმობენ ჩვენს სამშობლოში ჩვენის შვილების აღსაზრდელად, არ გვითმობენ იმ მამულიდგან, რომელიც საქართველოს მეფეს შეუწირავს ქართველთა სავანესა და ძმათათვის, ხოლო თითონ ბერძენნი სუქდებიან ჩვენის პურითა, ღვინითა და სხვა კეთილითა. აი ამას შეიძლება ვუწოდოთ სიტყვით ოქროს მთების ბოძება, და საქმით თიხისაც არ მიცემა.

ჯვარის მონასტერს გარშემო ავლია ოთხ-კუთხიანი მკვიდრი ქვითკირის გალავანი, დასაცველად და უშიშარ საყოფელად მონაზონთა თავს დასხმისაგან მტერთა და ავ-ზაკთასა. მონასტრის ეკკლესია მშვენიერის გუმბათით არის განათებული ზევიდამ; იატაკი მოფენილია მოზაიკითა ანუ ფერადის მარმარილოთი, რომელზედაც შესავალთან სტო-ვაში ეკკლესიის კარებ წინ მოსჩანან ცხადად შავი ნიშნე-ბი—ვითარცა კვალნი სისხლისა აქ მოწყვეტილთა ქრის-ტეს სარწმუნოებისათვის მონაზონთა სარკინოზთაგან. მთელი კედლები ეკკლესიაში არის დასურათებული მხატვ-რობითა ძველისა და ახალის აღთქმათა მოთხრობებითა. უკანასკნელად განუახლებია ეს ტაძარი 1644 წელსა სამე-გრელოს მთავარს ლევან დადიანსა. საშუალ ეკკლესიისა ირგვლივ მარმარილოს იატაკზედ აწერია ქართულის ასო-მთავრულით სახელი განმაახლებელისა, მხოლოდ გადა-ცვეთილია ფერხთაგან და ძნელად წაიკითხება.

საუფლო ჯვარის ძელისათვის, რომლის სახელზედაც არის დაფუძნებული ეს წმ. სავანე, აღმოსავლეთის გარდ-მოცემანი და ერთი სირიული აპოკრიფული წერილი მო-გვითხრობენ შემდეგსა: ერთს დროსა, როდესაც ლოტმა შესცოდა, წარვიდა იგი, რათა ეღვიარებინა თვისი შეცო-დება წინაშე აბრაამ მამა-მთავრისა. შემდეგ მოსმენისა ლო-

ტის მძიმედ შეცოდებისა, აბრაამმა გამოიღო ცეცხლიდამ სამი მუგუზალი, რომელნიც იყვნენ კვიპაროსისა, ნაძვისა და სოჭისა (певга) და უბრძანა ლოტსა: დანერგე ეს მუგუზალნი და მორწყე; უკეთუ ეს მუგუზლები იხარებენ და გაიზრდებიან, ეს იქნება ნიშნად მიტევებისა შენის მძიმე ცოდვისა. ლოტმა შეასრულა ესრეთ, ვითარცა უბრძანა მას ბიძამან; მუგუზლები განედლდენ, აღმოსცენდენ და შეერთდენ ერთ ხედ. სოლომონ მეფის ტაძრის აღშენების დროს იქმნა მოჭრილ ეს ხე, მაგრამ რადგანაც არ გამოდგა შენობისათვის, იგი იქმნა დატეეებულ უხმარებელად. ხოლო მაცხოვრის ჯვარცმის დროს, საკუთარის განგებითა ღვთისათა, იგი იქმნა მოღებულ და ხმარებულ ჯვარის მოსამზადებელად, რომელზედაც ჯვარცმულ-იქმნა უფალი ჩვენი იესო ქრისტე.

მეორე გარდმოცემა მოგვითხრობს შემდეგსა: როდესაც პირველი მამა ადამ მძიმედ დასნეულდა, მან წარავლინა სეით, ძე თვისი, ედემსა, რათამცა ეთხოვნა წამალი საკურნებელად უძლურებისა. ანგელოზმა, რომელიც იცავდა სამოთხის ბჭეთა ცეცხლის ხრმალითა, წამლის მაგიერ მისცა მას სამი თესლი: კვიპაროსის, ნაძვის და სოჭისა. მაგრამ სეითის მობრუნებამდის უკვე გარდაიცვალა ადამ. სეითს მოუვიდა აზრად დათესვა ამ სამის თესლისა მამის საფლავზედა. ამ სამის თესლისაგან აღმოსცენდა შემდეგ ერთი დიდი ხე. როდესაც აშენებდნენ სოლომონის ტაძარსა და ყოველის მხრიდგან შეჰკრებავდნენ უმჯობეს მასალათა, მაშინ ეს ხეც იქმნა მოკვეთილ; მაგრამ გამოჩნდა იგი ხმარებისათვის უვარგისად; ამისათვის იგი იქმნა გადადებულ მახლობელს სილოამის საბანელში ხიდათ, რომლითაც გადადიოდნენ მეორე ნაპირზედ. როდესაც უფალსა იესო ქრისტეს მიუსაჯეს ჯვარცმით სიკვდილი, მაშინ ურიათა მოინდომეს მძიმე ხისაგან შემზადება ჯვარისა მათ მიერ მოძულებულის რა-

ბინისათვის (მოძღვრისა) და აღირჩიეს ეს ხე, ვითარცა ყველაზედ უმძიმესი, რადგანაც მთელი საუკუნოები იდვა წყალში.

ეს გარდმოცემა, შეწყნარებული მამათა მიერ ეკკლესიისა და წმ. იოანნე დამასკელის მიერ და სხვათა გალობის მთხზველთა ქრისტეანობრივის ეკკლესიისა, შეიქმნა საფუძველად აღშენებისა ამ ადგილზედ სავანისა და სახელწოდებისა მისისა მონასტრად პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯვარისა. მონასტერს გარეშემო აქვს მშვენიერი ვენახი, და ბაღიც ლიმონისა, ფორთოხალისა, ლეღვისა და ბროწეულისა. შიგ მონასტრის ეზოს ამშვენებს დიდებული კვიპაროსის ხე ოცის საჟენის სიმაღლისა.

იერუსალიმის ჯვარის მონასტრის იღუმენი დაინიშნებოდა ქართველთ მეფისაგან. იგივე იღუმენი ირიცხებოდა წინამძღვრად გოლგოთისა, და იგზავნებოდა იგი საქართველოდამ: იგი განაგებდა ყოველსავე: ქართველთა შენობებსაც და მონასტრების ძმობათაც პალესტინაში; ამ იღუმენის შუამავლობით საქართველოს მეფესა ჰქონდა მიწერ-მოწერა იერუსალიმის პატრიარქთან. უფლის საფლავზედ 1049 წელსა უკვე იყო ქართველ ძმათა კრებული.

მახლობლად ჯვარის მონასტრისა, ესრეთ წოდებულ „ვარდის ღელესა“, არის დაბა „მალხა“, სადაც სცხოვრობს 600 სული ორივე სქესისა; ამბობენ, რომ ვითომც ეს მცხოვრებნი არიან შთამომავალნი აქ გადმოსახლებულთა ქართველთა მეფე ვახტანგ გორგასლანის დროსა მეხუთე საუკუნეში, დასაცველად ჯვარის მონასტრისა მტერთა დაცემისაგან. მათ დაუვიწყებიათ მშობლიური ენა და სარწმუნოებაცა მამა პაპათა; მაგრამ გარდმოცემით იციან, რომ იგინი არიან შთამომავალნი შორეულ ჩრდილოეთიდან გადმოსახლებულთა, და უწოდებენ თავის თავსა „გურჯებად“—ქართველებად; და არვშე მცხოვრებნი არაბნიც ისე უყურებენ, ვითარცა

მოსულსა უცხო ტომსა. იგინი ლაპარაკობენ არაბულად, რაოდენადმე თათრულად და ბერძნულადაც. იგინი იცავენ ჯვარის მონასტერსა და ემსახურებიან მას. იგინი სარგებლობენ საკუთარის უფლებითა შეიმუშავონ მონასტრის მინდვრები და ვენახები და აძლევენ მონასტერსა მხოლოდ მესამედს ნაწილს შემოსავლისას. მონასტერს არ შეუძლიან ეს საქმე ვარდასცეს სხვათა, რომ უსიამოვნობა არ გამოიწვიოს მალხის მცხოვრებთა შორის. სახითა, ზნეობითა და ჩვეულებითა იგინი განსხვავდებიან გარეშე მცხოვრებთა არაბის ტომისაგან.

იერუსალიმში მიღებულია წესად ყოველს ეკკლესიებში ხმარება აიაზმისა მარტივის წყალის მაგიერ ვარდის წყალით მომზადებულისა. ქრისტეს საფლავის წინაშე მლოცველთა შესვლის და გამოსვლის დროს ასხურებენ ვარდის წყალის აიაზმითა ვერცხლის სურიდამ. მახლობლად სოფლის მალხისა არს ვრცელი „ვარდის ღელე“; ამ სოფლის მცხოვრებნი მისდევენ ბლომად ვარდის მოყვანას და იგინივე შეამზადებენ ვარდის წყალსა, და აქედან ეგზავნებათ ვარდის წყალი აიაზმად სახმარებელად და ტრაპეზის კურთხევაზედ განსაბანელად, სრულიად პალესტინაში და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოშიაც.

თავადს გიორგი აუალიშვილს ჯვარის მონასტერში, ტრაპეზის ძირს, სადაც მოსჩანს ძირკვი ამ ადგილზედ მოკვეთილის ძელისა, რომელზედაც ჯვარს-ეცვა უფალი იესო ქრისტე, უხილავს ქართული წარწერა, რომელიც ეხლა სრულიად მოსპობილია. ამ თავადს წამოუღია აქედან 15 ქართული წიგნი, დაბეჭდილი და დაწერილი ეტრატზედ, 1820 წელს.

ამ დროებით ჯვარის მონასტერში-ლა დარჩენილა ქართული წარწერანი, რომელნიც სხვა მონასტრებში სრულიად ამოუფხვრიათ; ეკკლესიის დასავლეთის კარების თავზედ შიგნიდან არს წარწერა ქვაზედ ქართული

ასომთავრულით, ამისვე მეორე ნახევარზედ იგივე-ბერძ-ნულად.

მარცხნივ მხარეს სვეტზედ კვალად ქართული წარწერაა, საშუალო სვეტზედ ეგრეთვე; მხოლოდ ამ ადგილ-ზედ ახლად ხის კიბე გაუმართავთ კათედრაზედ, ვითარცა ქანდარაზედ, ასასვლელად, სახარების წასაკითხავად, ვი-თარცა არს მიღებულ ეს წესი ბერძენთა ეკკლესიაში მე-15 საუკუნიდამ; და ამ კიბეს, ჯერედ შეუღებავს, დაუფარავს ზედ შუაზედ ქართული წარწერა. ამის წამწერელი ევე-დრება მიქელ და გაბრიელ მთავარ ანგელოსთა; საშუალ ია-ტაკზედ მრგვალად არის ქართული წარწერა. უკანასკნელად ეს სავანე განუახლებია სამეგრელოს მთავარს ლევან დადიანს, რომელსაც ბერძენნი და რუსის მწერალნი შეცდომით უწოდებენ ,,ტატიანი, საქართველოს ბრწყინვალე ხელმ-წიფე". საკურთხეველში ორსავე მხარეს კედლები ახლად შელესილია თეთრად. ცხადია, აქ ქართველთა წმიდანე-ბის სახენი წაბღალულ და დაფარულია. მე რომ გულ-მწუხარედ ვუყურებდი ესე ვითარს მტარვალობასა და გა ვუზიარე ჩემის სულის ჭვუნვარება მ. რუსის დეკანოზს, მან ჰკითხა ეკკლესიის მოსამსახურე ბერძენს: ეს კედლები ნახევრად რად არის გათეთრებულიო? უგუნურმა მოგვიგო: ეს ოსმალთ გაათეთრესო. თითქოს ოსმალთათვის ერთი და იგივე არ იყოს ბერძენთა და ქართველთა წმიდანები? ტრა-პეზის ქვეშ არს ირგვლივ ნაჩვენები ადგილი, რომელზე-დაც მოუჭრიათ სამ-გზის სანატრელი ხე ქრისტეს ჯვარ-ცმისათვის. ამ კედლის უკან უჩვენებენ ძირს იმ ხისას. ამაზედაც ბერძნული წარწერა დაშთენილა და ქართული ამოუფხვრიათ. მხილველს ამ ბოროტ-მოქმედებისას უნე-ბურად მოაგონდება ფსალმუნის სიტყვანი: ,,საჯენ უფა-ლო, მავნებელნი ჩვენნი და ჰბრძოდე მბრძოლთა ჩვენ-თა" (ფსალ. 34, 1); ანუ იოანნე ღვთის-მეტყველის გამო-ცხადების სიტყვანი: ,,უკეთუ ვინმე მოაკლოს სიტყვათა

წიგნისა ამის ცხოვრებისათა, მოაკლენ ღმერთმან ნაწილი მისი წიგნისა მისგან ცხოვრებისა (გამოცხად. იოან. 22, 18). საზოგადოდ უნდა შევნიშნო, რომ ყველა მონასტერში, რომელიც-კი დაფუძნებულია ქართველთაგან, ბერძენნი სპობენ ყოველს კვალსა ქართველთა მოღვაწეობისას; დასავლეთის კარებთან მარცხენით კერძო დარჩენილან დახატულნი კედელზედ ობლად მხოლოდ ორნი ღირსნი მამანი ევთიმი და გიორგი; ამათაც მხოლოდ ბერძნული წარწერა აქვთ. დავვარდი წინაშე მათსა და გულ-მხურვალედ შევავედრე იგი ერი, რომლისაც შვილნი იგინი იყვნენ და გაუნათლებდენ ცხოველის სარწმუნოებითა კეთილმსახურების გზასა თვისს სამშობლოსა. და აწცა არიან იგინი მეოხნი მხურვალენი წინაშე ზეციერის მეუფისა ქართველის ერისათვის. გულით ვქმენ შოთა რუსთაველის სურათი, და ძლივს შევნიშნე მარჯვენა მხარეს სვეტზედა, რადგანაც წაბლალულია ზედ წარწერა მას ზედა. არაფერი ნაშთი ქართულის მწიგნობრობისა არ შაჩვენეს ამ მონასტერში და დიდად გულნატკენი დავბრუნდი იქიდან ბინაზედ.

შემადგენელი რუსულს ენაზედ წიგნისა „მაჩვენებელი გზისა პალესტინაში“ შეცდომით უწოდებს წმ. კონსტანტინე მოციქულთა სწორის თანამედროვეს „ივერიის პრინცი მარიამიო“, აქ უნდა ვიგულისხმოთ საქართველოს მეფე მირიან. ამასვე მიაწერს საქართველოს ისტორია პირველ სამლოცველოს აღშენებას გოლგოთაზედ. აგრეთვე სრულიად შეცდომით სწერს ზემოხსენებული წიგნის გამომცემი რუსულს ენაზედ, ვითომც ქართველთა მმათაგან გაყიდული ვალებში ჯვარის მონასტერი გამოისყიდა იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა თავისის საფასითა ბერძენთა სასარგებლოდ. ამ მწერალს არა სცოდნია არსებობა ზემოხსენებულის საბუთისა, რომლიდგანაც ცხადად სჩანს, რომ ჯვარის მონასტერი დაიხსნეს ვალისა-

გან იმ შემოწირულებით, რომელიც უძღვნეს საქართველოს მეფემ, პატრიარქმა, მთავართა და ქართველთა ერმა; დამატებით კი თავისის ჯიბიდან ბერძენთა პატრიარქები არას დაუმატებდნენ.

არავითარის სულთანის ფირმანით ჯვარის მონასტერი არ იქნება გარდაცემული და დამტკიცებული ბერძენთა საკუთრებად, როგორც შეცდომით იხსენიებს რუსის მწერალი; ამისათვის, რომ ეს ცნობა ეწინააღმდეგება ზემოხსენებულს გარდაწყვეტილებას იერუსალიმისა და კონსტანტინეპოლის პატრიარქებისას. ამ მონასტერს დღესაც ბერძენნი უწოდებენ ქართველთა სავანედ. რუსის მწერალი ამბობს კვალადცა შეცდომით, რომ წარწერა ხატებზედ ჯვარის მონასტერში ქართულადაც არისო; ხოლო მე ერთიც ვერა ვნახე წარწერა ხატებზედ ქართულად, მხოლოდ კედლებზედ სამს ადგილას არის წარწერა ქართულად, ეგრეთვე იატაკზედა. მაშასადამე, შესაძლებელია, რომ შემდეგ მოუსპიათ ბერძენთა ქართული წარწერანი ხატებზედა. არა რომელისამე კლასიკურის მწერლის სურათი არ მოიპოვება ამ მონასტერში, როგორც ამბობს რუსის მწერალი, ვითომც პლატონ ფილოსოფოსის სურათი ენახოს შიგ ეკლესიაში. ეგრეთვე არც იმას იხსენიებს რუსის მწერალი თავის წიგნში, რომ ამ ჯვარის მონასტერს ქ. ტფილისში აქვს შეწირული ქართველთა მეფეთაგან მამული, რომელზედაც არს აღშენებული ეკლესია და გარემოს მისსა რამდენიმე დუქანი; ამათის შემოსავლით ბერძენნი სარგებლობენ და ინახავენ სემინარიას იმავე ჯვარის მონასტრის ეზოში.

18 მონასტერში, რომელნიც ქართველთ აღუშენებიათ იერუსალიმში, მხოლოდ ჯვარის მონასტერსა-ღა შერჩენია სახელი ქართველთა სავანისა, და ამის ცნობასაც სწორედ არა სწერს რუსის მწერალი. ეკოზ ზებედეს მოციქულის მონასტერს იერუსალიმში დიდად ჰქებს კი-

თილ-მდგომარეობით რუსის მწერალი; იგი აწ სომეხთა პატრიარქის მეტოქიად ითვლება; ესეც ქართველების სავანე ყოფილა და ამაზედაც სრულიად არას ამბობს რუსის მწერალი.

ლოტის ანუ მკვდარი ზღვა.

ვნისის 10, ხუთშაბათს, დილის ხუთ საათზედ გავემგზავრე ეტლით იორდანისაკენ ჩემის ერთგულის თანამოგზაურით მ. დეკანოზითურთ და შეიარაღებულის კავასით; გავიარეთ სოფელს ბეთანიაზედ; იერუსალიმსა და იორდანეს საშუალ გზაზედ არის სახლი მოგზაურთა და სიცხისაგან დამაშვრალთ შესასვენებლად. ამ სახლს უწოდებენ: „სასტუმროდ მოწყალე სამარიტელისა“, მოხსენებულისა სახარების იგავში. ამ გზით ჩავიარეთ ღირსის მამის გიორგი ხოზიბელის მონასტრისაკენ. იგი აღშენებულია კლდეზედ, ღრმა ხეობაში; მისავალი საცალფეხო გზა აქვს შორით, წინ ხეობაში წყარო ჩამოუდის. ეს წყალი ზამთრობით მიმდინარეობს იერიქონამდის, ხოლო ზაფხულობით გზაზედ შრება და იქამდის ვეღარ აღწევს. შორიდგან დავიწერეთ პირჯვარი და შიგ უდაბნოში ვერ მოვახერხეთ შესვლა სიშორისა და გზის სივიწროვისა გამო, და იმიტომაც, რომ იორდანისაკენაც დავიგვიანებდით. დილის ცხრა საათზედ მივაღწიეთ სავანეს ღირსის მამის გერასიმე იორდანის-პირელისას. მონასტერი იგი მდებარეობს იორდანე მდინარისა და მკვდარის ზღვის მახლობლად. შევედით ეკკლესიაში, ვილოცეთ და შესანიშნავი ძველადგან არა აღმოჩნდა რა; კანკელი ახალი აქვს, რუსეთიდგან შემოწირულის ხატებით. აქ გვიჩვენეს კარი, რომელსაც მოჰხვედრია ტყვია რევოლვერისა; იგი უსროლია ბერძნის პატრიარქის ნიკოდიმე-სათვის ბერძნის მორჩილს. ამ სავანეში მოღვაწეობენ ზოგად ბერძენთა და არაბთა მონაზონნი ძმანი. აქ

რუსების მონასტერი იერუსალიმში.

შევისვენეთ პირველ საათამდე და შემდეგ ჩავედით ეტლით მკვდარს ზღვაზედ, რომელიც ჰშორავს გერასიმეს მონასტერს ოთხის ვერსით. აქაც შევისვენეთ ორი საათი და ვიბანავეთ ზღვაში. ძლიერ მლაშე და მწარეა ამ ზღვის წყალი; თვალში რომ მოხვდეს, ფრიად სწვავს; ნავთ-კუპრის სუნი უდის ამ ზღვასა. ცოცხალი თევზი და არა რაიმე სხვა პირუტყვი არ მოიპოვება ამ ზღვაში; იორდანიდგან თუ შევიდა თევზი, მსწრაფლ იხოცება და ტალღები გარეთ გამოაგდებს და არცა აქვთ მსვლელობა ხომალდითა ანუ ნავითა ამ ზღვაზედა.

არა-სასიამოვნო აზრები ამეშალა ამ ზღვის ხილვაზედ. ეს ის ადგილია, რომელზედაც თვალ-ნათლად გამოცხადდა ღვთის რისხვა და წყევა მეძავობით უკიდურესად გარყვნილ ცხოვრებისათვის ძველთა აქაურთა მცხოვრებთა. წარმომიდგა თვალ-საჩინოდ დაბადების ის მოთხრობა, როდესაც ოთხი ქალაქი: სოდომ, გომორი, ადამუ და სებოიმ ზეცით მოვლენილმა ცეცხლმა შთანთქა; მხოლოდ განერა ამ საშინელს უბედურებას მართალი ლოტი თავის სახლობით, მაგრამ ცოლიცა მისი ურჩებისათვის გაქვავებულ იქმნა, რადგანაც, წინაალმდეგ ანგელოსთა ბრძანებისა, „მიიხილა მან უკუღმართ“, როდესაც მოუსმა ხმა ზეცით გადმოსულ ჭექა-ქუხილისა. და იმ ადგილზედ, სადაც იყო ოთხი აღყვავებული ქალაქი, შემდეგ მათის შთანთქმისა, გაჩნდა ეს ჭეშმარიტად კუპრიანი ზღვა. მცხოვრებნი ამ ქალაქებისა დაისაჯნენ, ვითარცა ნახევრად წარმართნი; გარნა ჩვენ ვიწოდებით ქრისტეანებად და მართლ-მადიდებლადაც-კი. ხოლო რა იქმნების ჩვენ შორის — „სამკვდრეს სიტკვდა“ (ეფეს. 5, 12). რამდენი დრო მიდის, გარყვნილება უფროს მომეტებულად ვრცელდება, ვითარცა საფრანგეთში და ევროპის სხვა ერთა შორის. ცხოვრება ხორციელის სიტკბოების მოყვარეობისა, საუბედუროდ, მრავალთათვის შეადგენს ჩვეულებრივს

კმაყოფილებას. მრავალნი უყურებენ ეხლა მრუშებას, მეძავობას ანუ როსკიპობას, არა ვითარცა ბიწიერებას, რომელიც გამოიწვევს სიძულვილსა, არამედ ვითარცა მოსათმენს საქმესა, ფიქრის ჩვეულებრივს, ბუნებითსა. მამანი ხშირად თვალს არიდებენ თავის შვილების უზნეო ცხოვრებას და არ შეაყენებენ მათ ყოველის ღონისძიებითა ბიწიერ ცხოვრებისაგან; არიან ბევრნი იმ გვარნი დედანიცა, რომელნიც მცირედ ჰზრუნავენ შესწყვიტონ თავისუფალი ცხოვრება ასულთა თვისთა. შედეგად ამ გვარს თავისუფალს ცხოვრებას მოსდევს ის, რომ მრავალნი ვაჟნი ხანგრძლივ ერიდებიან კანონიერს ქორწინებასა, და შეირთვენ ცოლს მაშინ, როდესაც ყოველნი გრძნობანი, რომელნიც საჭირო არიან დამშვიდებულ მეუღლეობითის ცხოვრებისათვის, უკვე დაჩლუნგებულია, როდესაც სიმრთელე ჯანისა და ძალ-ღონე წარუგიათ მეძავებთანა; ხოლო რომელნიმე სრულიად არა ქორწინდებიან, რადგანაც პოულობენ უწესო ცხოვრებაში მომეტებულს სიტკბოებასა და კმაყოფილებასა. და ამ გვარნი კაცნი, ამისთანა ქრისტეანენი იქმონენ იმას, რასაც პირუტყვნიც არა შვრებიან! და ამ გვარნი კაცნი არა ჰგრძნობენ სინიდისის მხილებას, არ ეშინიანთ ეკკლესიის მუქარისა. უბედურნო! თქვენ უნდა მოგიყვანათ აქ! თქვენის თვალით უნდა იხილოთ წარმწყმედელნი შედეგნი გარყვნილის ცხოვრებისა სოდომ-გომორის მცხოვრებელთა! ეს შედეგნი საშინელის სინამდვილით წარმოგიდგებიან აქ თვალ წინ და იქმნება იძულებულნი გამხდარიყავით და დაფიქრებულიყავით თქვენს გარყვნილს ცხოვრებაზედ; იქმნება აქედგან გამოგეტანათ მაცხოვნებელი გაკვეთილი მომავალისათვის, იქმნება ხილულნი ცხადად სასტიკნი კვალნი საშინელის ღვთის რისხვისა გადაქცეულიყო საღსრად გამოფხიზლებისა თქვენის ზნეობრივის სიმთვრალისაგან, დაგეცვაა სიწმიდე და უმანკოება ხორ-

ციელი და შეგეყენებინათ თავი თუისი ხორციელის სიტყ-ბოების მოყვარეობისაგან, და აღგესრულებინათ მოძღვ-რება იგი წმ. მოციქულისა პავლესი: „არა უწყითა, რა-მეთუ ხორცნი ეგე თქვენნი ტაძარნი თქვენ შორის დამ-კვიდრებულისა სულისა წმიდისა არიან!? ადიდეთ უკვე ღმერთი ხორცითა მაგით თქვენითა და სულითა მაგით თქვენითა, რომელნი იგი არიან ღმრთისა" (1 ეპისტ. კო-რინთ. 6; 19, 20).

ᲫᲚᲘᲜᲐᲠᲔ ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲔ ᲓᲐ ᲓᲐᲑᲐ ᲘᲔᲠᲘᲥᲝᲜᲘ

ᲯᲙᲕᲓᲐᲠᲘᲡ ანუ ლოტის ზღვიდგან ამოვიარეთ იორ-დანეს მდინარისაკენ. აქ ვაკურთხეთ წყალი ლიტ-ᲚᲘᲡ განცხადების წესით, ვითარცა ექვსს იანვარსა, ვსვით მისგან და ვიბანავეთ შიგ; წყალი მდორედ მომდინარეობს, თუმცა რუსები ამას ჩქარს უწოდებენ. მდინარის ნაპირები ლერწმითა და ტყით არის დაფარული. მოგვითხრეს ჩვენ, რომ იმ ადგილას, სადაც ჩვენ წყალი ვაკურთხეთ, ნათელს-უღია უფალსა იესო ქრისტესა. ექვს იანვარს მიტროპო-ლიტი ბერძნისა ქალ. ბეთლეემიდამ აქ ჩამოდის და წყალს აკურთხევს. ამ დროს დაესწრობა ხოლმე ათასამდე კაცი რუსის მლოცავნი.

ამ ადგილიდგან სამის ვერსის სიშორეზედ არის წმ. იოანნე ნათლის მცემლის უდაბნო, ქართველთაგან ᲫᲚᲨᲣ-ნებული, სადაც ამოვიარეთ, შევედით, ᲫᲘᲚᲝᲪᲔᲗ, დავა-თვალიერეთ ეკლესია და შესანიშნავი აქაც არა აღმო-ჩნდა-რა. აქიდგან ამოვიარეთ იერიქონში, რომელიც მდე-ბარეობს მონასტრიდგან ერთის საათის მანძილის სიშო-რეზედ. აქ არ შეგვისვენია, გავწრეთ პირდაპირ წმ. ᲔᲚᲘ-ᲡᲔ წინასწარმეტყველის წყაროსაკენ, რომელიც კეთილ გე მოვწნია, წისქვილს აბრუნებს და რწყავს ოქაურს ვენახებ-

სა, დანაკისკუდთა (ინდის ხურმა), ლიმონისა, ფორთოხალისა, ვარდისა და ბანანის ბაღებს.

მცენარე ბანანი არის ბალახის გვარი, რომელიც აღიზრდება სიმაღლით ექვსი და სიზრქით ერთ ადლამდე. ისხამს ნაყოფთა უფერულ მოთეთრ-ყვითლო კიტრისა და ბადრიჯანის მსგავსთა, გარდა ფერისა; ნაყოფთა ამათ ხმარობენ საჭმელად მოხარშულთა წყალში, რომელთაც გარდააძრობენ ქერქსა, რომელიც არის ზრქელ და ადვილად გასაფცქვნელ. მოხარშულს ბანანს დასჭრიან და ჩაჭყრიან სირჩაში, სავსე ტკბილის ღვინითა, რომელნიც უმისოდაც არიან დიაღ ტკბილ და ყუათიან; ბანანს სჭამენ უმსაცა, მხოლოდ ქერქ გაცლილსა, ვითარცა ცეცხლის გემზედ მოჭქონდათ სხვა ხილის მაგიერად. ფოთოლი ამ მცენარისა არის სიგრძით ადლ ნახევრამდე, და სიბრტყით ძირში უფროს ადლის მეოთხედისა. ეს მცენარე გამოსცემს მხოლოდ ერთს ყვავილსა თესლად, რომლითაც ამრავლებენ მებაღენი; ხოლო შემდგომად მოკრებისა ნაყოფთასა, მოსჭრიან ძირში ბალახსა ამას, რათა შემდგომს წელსაცა გამოსცეს ნაყოფი, და უკეთუ არ მოსჭრეს ძირში, დაშთება უნაყოფოდ.

ელისეს წყაროს სათავესთან შესრულდა რვა საათი საღამოსი; აქედგან ხუთის ვერსის სიშორეზედ არის მაღალი მთა, რომელზედაც ქრისტე მაცხოვარმა განატარა მარხვითა და ლოცვითა ორმოცი დღე და ორმოცი ღამე; ამისათვის ამ მთას უწოდებენ „ორმეოც დღიან მთად“. ეს მთა დაჰყურებს იორდანის ღელეს; ამ მთაზედ არის ბერძენთა სავანე. ელისეს წყაროდგან შევუდექი ამ მთას ქვევითად ჩემის თანამოგზაურით მ. დეკანოზით და კავასითა, რადგანაც ეტლი ვერ ავიდა ამ გზით, მონასტრის ბაღამდის მივაღწიეთ, თითქმის შუა გზამდის, რომ ღამის ცხრა საათი შესრულდა; შემდეგ ვეღარ შევძელით ფეხით სიარული აღმართზედ, შორიდ-



ირრდანე.

გან ვილოცუთ ეს წმიდა ადგილი, დავბრუნდით უკანვე ელისეს წყაროზედ და ეტლით წავედით იერიქონს.

იერიქონის ქალაქში დიდად პატივსცემენ ელისე წინასწარმეტყველის ხსენებასა: შემდეგ ზეცად ამაღლებისა ილია წინასწარმეტყველისა, მეორე დღეს მოვიდა იერიქონში მისი ყოფილი მოწაფე და შემდეგ მოადგილე მისის დიდებულის მსახურებისა და მემკვიდრე მისის ღვთაებრივის მადლისა, რომელიც მასში განისვენებდა და მის მიერ საკვირველ-მოქმედებდა, ელისე წინასწარმეტყველი. ქალაქის მცხოვრებელთა მოახსენეს შემდეგი სათხოვარი: „საყოფელი ქალაქისა ამის კეთილ, ვითარცა შენ ჰხედავ, გარნა წყალნი ბოროტნი (დამცდელნი) და მიწა უნაყოფო. და უთხრა ელისემ: მომართვით მე ახალი ჭურჭელი და შთაყარეთ მას შინა მარილი; და მოართვეს მას. და განვიდა ელისე წყალის სათავესთან, და შთაყარა წყალში მარილი და სთქვა: განიკურნენ წყალნი ესე და აღარ იყოს მათგან შემდეგ სიკვდილი და უნაყოფოება, და შეიქმნა წყალი ესე ამ დღიდგან კეთილ-გემოვან“ (4 მეფ. 2; 19—22). და ამ სასწაულის გამო წყალსა ამას უწოდეს ელისე წინასწარმეტყველის წყაროდ. ამ სასწაულზედ არის მოხსენებული სხვათა შორის კურთხევანშიაც, ლოცვაში, რომელიც წარმოითქმება მარილის კურთხევაზედ.

ამ წინასწარმეტყველის ხსენების დღესასწაულზედ, რომელიც შესრულდება 14 ივნისსა, საღმრთო წესად აქვთ მიღებული იერიქონში ყურძნის კურთხევა.

დღესაც მოსჩანან იერიქონში ნაშთნი იმ ზღუდე-გალავანთა, რომელნიც შეიმუსრნეს ისუ ნავეს დროსა, შემდეგ შვიდ გზის შემოვლისა სჯულის კიდობნითა გარეშოს ქალაქისა, რაიცა შესრულდა 1450 წელსა უწინარეს ქრისტეს შობისა.

ამავე ქალაქში ჰქონდა აღშენებული მეფე ეროდისა დიდნი სრა-სასახლენი და აქა სცხოვრებდა უკანასკნელს

ღღესა ეს ბოროტ-მოქმედი, თანამეზროვე ქრისტეს შობისა; ამის ბრძანებით იქმნენ ამოწყვეტილ 14 ათასი ყრმანი ბეთლემში და მის გარემო დაბნებში; ამანვე დაარჩო ტბაში თვისის ცოლის ძმა, ახალგაზრდა შღვდელ-მთავარი ალექსანდრე. მოჰკლა ცოლი თვისი შვენიერი მარიამ და ორნი შვილნი მისგან შობილნი, მოჰკლა სიდედრი თვისი, ორი თვისი ძმა და ბიძაცა.

როდესაც იგრძნო უკანასკნელი დღე თავის სიცოცხლისა და დარწმუნებული იყო, რომ იგი სძულდათ ურიებს და არ იტირებდნენ მის გარდაცვალებაზედ, მისცა საშინელი ბრძანება თავისს დას სალომესა, შეეკრიბა მეფის სახელითა ყოველნი დიდებულნი და დარბაისელნი სამოცდაათ სულამდის, და გაეწყვიტა იგინი ჟამსა მის სიკვდილისასა, და როდესაც მათზედ იტირებენ მეუღლენი, დედანი და შვილნი, მათ შორის მეც მიტირებენო. მაგრამ გულ-კეთილმა და კეთილ-გონიერმა სალომემ არ შეასრულა ეს ბარბაროსული თხოვნა მომაკვდავის ძმისა, და შემდეგ მეფის სიკვდილისა ყოველნივე გაანთავისუფლა. იროდ მეფის სრა-სასახლეთა მცირედი ნაშთიც არ მოსჩანს, ისრე აღგვილა პირისაგან ქვეყანისა.

აქ არის სახლი რუსთა მლოცველთა მისაღებელად; ეს სახლი აშენებულია რუსთა პალესტინის საზოგადოებისაგან და აქ დავიბანაკეთ იმ ღამეს. ძლიერ ცხელოდა, ისრე, როგორც აბანოში; კარსა და ფანჯრებს არ აღებენ, რადგანაც სახლი გაივსება მუმლითა და კოღოთი და ღამე მოსვენებას არ მისცემენ კაცსა. იერუსალიმში და იერიქონშიაც საწოლები გარემოს დაფარულია თხელის ქსოვილის ფარდებით, რომ კოღოები არ შეეიდნენ და არ უკბინონ მძინარესა. ეს სასტუმრო აშენებულია აგერ უკვე ოცი წელიწადია. იერიქონში სცხოვრობენ ბედუინები და არაბნი მაჰმადის სარწმუნოებისანი.

მთელს პალესტინაში არ მოიპოვება იმგვარი მშვენი-

ერი ფინიკის ხეები, ვითარცა იერიქონშია. რუსთა საზოგადოებას თავისი ბაღიცა აქვს იერიქონში.

ეს სასტუმრო სახლი აღუშენებიათ იმ ადგილზედ, სადაც გარდმოცემით უცხოვრია ზაქეს, მეზვერეთა მთავარსა, სახარებაში მოხსენებულსა. ხე, რომელზედაც ავიდა ზაქე იესოს პირის ხილვისათვის, იწოდება ქართულს სახარებაში „ლეღუ-სულელი“, ხოლო სლავურში „ягодичина“; ერთი ამგვარი ხე სდგას რუსის მეტოქიაში; იგი იზრდება საშუალ ნიგვზის ტოლი; ნაყოფი მისი და ფურცელნი ემსგავსება ლეღვსა, ხოლო წვრილი ნაყოფი და ფურცელნი ასხია, არა მწიფდება და მომეტებული ნაწილი ძირს ცვივდება. ხე ამისი ჩვენებურს ლეღვზედ უფრო დიდი იზრდება, და ხილიცა მისი უგემურია და უსარგებლო. რუსთა საზოგადოების ეზოში აღმოუჩენიათ ნაშთი ძველის ეკლესიისა, რომელსაც ეხლა სწმენდენ.

7-ს ივნისს, ღამის 12 საათზედ, ამ სასტუმროში მცხოვრებს მორჩილს რუსსა შემოსმენია გარეთან ხმა; გასულა ქუჩაში და უნახავს, რომ ამაფის მამულის მახლობლად გზაზედ ამოუთხრიათ მიწა არაბთა და მიაგორებენ დიდს ქვაბსა. უკითხავს, რას მიაგორებთო? არაბს უპასუხნია: ქვას მივაგორებო. რუსსაც უპასუხნია; ქვას მჯგგვარი ზრიალი არ ექმნებაო. შემობრუნებულა სახლში, რათა მოახსენოს ეს შემთხვევა უპირატესს მონაზონსა, და ვიღრემდის გასულან ივინი გარეთ, ქვაბი უკვე ცალიერი დახვედრიათ. თუმცა-ღა გამოუცხადებიათ რუსთა მონაზონთა ამ შემთხვევის შესახებ პოლიციისათვის, მაგრამ ქვაბის მპოვნელნი არაბნი არა მხილდებიან,

იერიქონში ისეთი ტროპიული სიცხეები არის ხოლმე, რომ 14 ივნისს, დღესა ელისე წინასწარმეტყველის ხსენებისასა, სრულიად მწიფე ყურძენს აკურთხებენ ყოველს წელსა. ერთს რუსს, ქ-ნ ბაღდანოვიჩს, აღუშენებია ქალაქ იერიქონში საკუთარის საფასით ეკლესია ელისე

წინასწარმეტყველის სახელზედ, მასთანავე სასტუმრო სახლი და ბაღიც მლოცავთა შესაწყნარებლად. სიკვდილის წინად ყოველივე ეს უანდერძებია და გარდაუცია ბერძენთა პატრიარქისათვის. ამ გვარს სახლს მომეტებულად საჭიროებენ რუსთა მლოცავნი, რომელთა რიცხვი, პალესტინაში მომავალთა, მრავლდება ათასობითა, და საზოგადო რიცხვით ერთი სამად აღემატება ყოველთა ქრისტეანეთა მლოცავთა, ეროვნების განურჩევლად.

ეს მაგალითი შეწირვისა მომაგონებს ძველრე ამ გვარს შემთხვევას, მხოლოდ ქართველთა ცხოვრებისას. საქართველოს ერთი კეთილშობილთაგანი, კაცი ცხოვრებაში გამოცდილი და უკვე მოხუცებული ჩ., ამ ორის წლის წინად აღძრული მოღვაწეობითა კეთილ-მსახურებისათა, წავიდა იერუსალიმს და თვისი საკუთრება რამდენიმე ათასი მანეთი—შესწირა იერუსალიმის საპატრიარქოს. ერთს წელზედ მომეტებული ვეღარ შესძლო იქ ცხოვრება და ეხლა ათონის ქართველთა სავანეში იწყებს მოღვაწეობას. ცხადია, გაცემულს ფულს აღარ დაუბრუნებენ ბერძენთა მონაზონნი. იქ რომ არ შეეწირა, განა თვით საქართველოში მცირედნი არიან სავანენი და ეკლესიანი, რომელნიც დიდს ნაკლულევანებას ითმენენ და მოოხრებაში მოდიან!

სხვა-და-სხვა ერნი, აღმსარებელნი ქრისტეს სარწმუნოებისა, მართლ-მადიდებელთ გარდა, მოდიან იერუსალიმში სალოცავად არა იმდენნი რიცხვით, როგორც რუსეთიდგან. ფრანგნი, იტალიელნი, ისპანიელნი, გერმანელები და ინგლისელები მოდიან იერუსალიმს მომეტებულად ზამთრობით, შემდეგ წლიურის შემოსავლის შეკრებისა და უფრო წესიერად. თითოეულს კრებას, ერთად მოსულსა, თვისი ამორჩეული კაცი ჰყავს; ამას ემორჩილებიან ვითარცა წინამძღვარსა; ეს ერთი ჰხარჯავს ყოველის საჭიროებისათვის, იგივე აძლევს კრებას ანგარიშს ყოველ

დახარჯულ ფულისას. ესენი არც ქვევითად დაიარებიან სალოცავად, როგორც რუსთა მდაბიო ხალხთაგანი; არამედ ჰქირაობენ ეტლებსა, ცხენებსა, ვირებსა ანუ ჯორებსა და ისე მოგზაურობენ წმ. ადგილების მოსალოცავად; არც დიდხანს რჩებიან პალესტინაში, ორი კვირა, ანუ ერთი თვე, და შემდეგ ყოველნი ერთად ჰბრუნდებიან საშშობლო ქვეყანაში. ხოლო რუსთა მლოცავნი, მოსულნი პალესტინაში დეკემბერს, რჩებიან აქ ივნისის დაწყებამდის, ხოლო ბევრნი სრულს წელსაც; ამასთანავე შეხვდებით მრავალსა მათგანსა, რომელნიც რამდენსამე წელს ატარებენ იერუსალიმში—მამაკაცნი და დედაკაცნი; და ზოგნი მათგანნი მეორედ და მესამედ არიან მოსულნი იერუსალიმს. მე თითონ ვნახე ცეცხლის გემზე, რომლითაც მოველი იაფფაში, ერთი რუსის ახალგაზდა ქალი, რომელიც მესამედ მოდიოდა იერუსალიმში სალოცავად. იორდანეს ვაკე ყველაზედ ულრმესია დედა-მიწის ზურგზედა, იგი დაბლად არის ხღვის დონეზედ 1400 ფუტითა.

11 ივნისს, პარასკევს, დღის 11-ს საათზედ, დავბრუნდით იერუსალიმს მშვიდობით ჩვენს ბინაზედა.

მთა-კერძო-ადგილი ზოგისა იოანეს ნათლისმცემელისა.

ივნისის 12 წარვედით მთად კერძოს, რომელი ჰშორავს იერუსალიმს რვა ვერსით. აქ არის რუსთა დედათა სავანე, რომელსაც განაგებს იერუსალიმის რუსთა მისსიის არქიმანდრიტი; წირვას მივუსწარით; გვიჩვენეს აქ ადგილი, სადაცა წმ. ქალწული მარიამ მოიკითხვიდა ელისაბედსა. ამ დღეს ფრანგებმა იდღესასწაულეს ამავე დაბაში შობა იოანნე ნათლისმცემლისა, რადგანაც ეს რიცხვი ეთანასწორება 24 ივნისს იულიოსის კალენდარისამებრ, როდესაც მართლმადიდებელი ეკკლესია აღასრულებს დღესასწაულსა იოანნე წინამორბედის შობისასა.

ფრანგებს აქვთ აქ ორი ტაძარი, ერთი ზაქარიას სახლის ადგილზედ, და მეორეც იოანნე წინამორბედის შობის ადგილზედ. რუსთა დედათა მონაზონნი არიან მთადკერძოს სავანეში ასამდე სულნი. ზოგადი ტრაპეზი აქვსთ; წინად-კი ყველას თავისის ხარჯით უცხოვრია. წირვაზედ ამ სავანეს ეკკლესიაში წაიკითხა სახარება რუსის მღვდელმა ერისაკენ პირ-მიქცეულად. როგორც სჩანს, რუსთაც მიუღიათ ასეთი ეკკლესიური წესი, რაიცა სარწმუნოების დოღმატს ანუ კანონს არ შეადგენს.

13 ივნისს, კვირას, ვწირე რუსთა მონასტრის საკრებულო სამების ტაძარში მამა წინამძღვართან; თანამწირველნი ვიყავით რვანი; არქიმანდრიტს მიტრაზედ ჯვარი აქვს; ასამაღლებელის დროსა: „მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, და სიყვარული ღვთისა და მამისა, და ზიარება სულისა წმიდისა იყავნ თქვენ ყოველთა თანა“, გააღეს სამეფონი კარნი და წინამძღვარმან ჯვარით, მოღებულით ტრაპეზიდგან, გამოსახა ერსა ზედა ნიშანი ჯვარისა, ესე იგი, აკურთხა იგინი ჯვარითა; ეგრეთვე მოიქცა ასამაღლებელის დროსა: „და იყვნენ წყალობანი დიდისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესნი თქვენ ყოველთა თანა“. ამასაც ეგრეთვე მოართვეს ლანკანითა სეფისკვერნი, ვითარცა პატრიარქის წირვის დროსა, და ამანაც გადასწერა ჯვარი ხელითა ლანკანსა.

ამ დღეს სიცხე 50 გრადუსზედ მომეტებულია; დილის რვა საათის შემდეგ გარედ გასვლა ძნელია, სახლში 26 გრადუსია; ეკკლესიიდგან გამოსვლის შემდეგ თვალები ამიჭრელდა მეტის-მეტ სიცხისაგან, ველარა დავინახე-რა.

წმ. მოციქ. იაკობ ზებედეს მონასტერი.

ივნისის 14 შევედი წმ. მოციქულის იაკობ ზებედეს ტაძარში წმ. მოციქ. იაკობ ზებედეს მონასტერს, რო-

მელიც ასის წლის წინად ქართველთ ერის საკუთრება იყო და აწ ჰფლობენ მას სომეხნი, აქვს ბაღი, რომელშიაც შესანიშნავია ერთი უზარმაზარი კვიპაროზის ხე. მონასტერს აქვს დიდი ვრცელი ეზო, რომელშიაც არის კარგად მოწყობილი სკოლა. სადაც იზრდებიან 40—50 ჭაბუკნი სომეხნი, აქვს სტამბა, შიგვე არის საცხოვრებელი ადგილი სომეხთა პატრიარქისა; ეკკლესია წმ. მოციქ. იაკობ ზებედეს სახელზედ არის ერთი პირველ-ხარისხოვანი ეკკლესიათა შორის პალესტინისა, შესანიშნავი თვისის სიმდიდრითა, ხუროთ-მოძღვრებითა და ალმოსავლურის ფერად-ფერადის ქანდაკებითა. ეკკლესია ნათდება ზევიდან გუმბათით, მრავალნი ძვირფასნი ოქროსა და ვეცხლის ლამპარნი ბრწყინავენ ყოვლის მხრით. მარცხენა სამხრეში უჩვენებენ ადგილს წმ. მოციქულის იაკობის წამებისას, რომელიც წინაშე უფლისა იესო ქრისტესი სცდილობდა, თვისის დედის სალომეს შუამდგომლობითა, მიეღო პირველი ადგილი ქრისტეს ქვეყნიერს სუფევაში, ვითარცა მოშეტებული ნაწილი ურიათა ელოდებოდა, მაგრამ ღვთის განგებამ პირველობა მას არგუნა წამებაში, რადგანაც თვისი სისხლი დაათხია ქრისტეს სარწმუნოებისათვის ჟპირველეს ყოველთა ათორმეტთა მოციქულთა და წარჟეკვეთა ბაკი გალილიის მეფის ირიდ აგრიპას ბრძანებითა. ამის წამების ადგილზედ ხუთნი ლამპარნი ანთია განუქრობელად. გვამი წმ. იაკობ მოციქულისა საიდუმლოდ იქმნა წაღებულ იერუსალიმით ესპანიას და აწ ჭანისვენებს ქალაქსა „სანტ-იაკო-დი-კომპოსტელო“-ში. დასავლეთის მხრივ ამ წმიდა ადგილისა არის საფლავი იერუსალიმის ეპისკოპოზის მაკარისა, თანამზრახველისა და თანამოსაგრისა წმ. ელენე დედოფლისა ცხოველს-შყოფელის ჯვარის პოვნაში და აღშენებაში იერუსალიმს ტაძართა და ღვთივ-სათნო შენობათა.

ამ დიდებულის მონასტრის შესახებ, რომელიც საქართველ-

ლოს ერის შვენებას შეადგენდა ოდესმე, და იყო ძეგლი ჩვენის ეროვნულის ძველის კეთილ-მსახურებისა და ჭეშმარიტის სარწმუნოებისა, რუსის მწერალი ერთს სიტყვასაც არ ამბობს, რომ ოდესმე ეს სავანე ქართველს ერს ეკუთვნოდა. ცხადია, რომ ეს უმეცრებით მოსვლია, რადგანაც სომეხნი და ბერძენნი გარემოებას ამ მონასტრისას არ აღვიარებდნენ მის წინაშე შიშისა გამო, რომ ქართველმა ერმა, ძველად დიდებულმა ქრისტეს სარწმუნოებითა, რაინდობითა და ნივთიერის შეძლებითა, კვალადცა თავი არ იჩინოს, არ **განახლდეს ვითარცა ორბისა სიჭაბუე ძალი და აღვავდეს, ვითარცა ფინიკი,** უდიდესისა და უძლიერესის მართლ-მადიდებელის რუსეთის იმპერატორის მფარველობის ქვეშე. ღვთის მადლითა ესეც შესაძლებელია! ქართული ნაშთი ყოველივე მოუსპიათ სომხებს ამ სავანეში, ვითარცა ბერძენთა და ლათინთა სხვა ქართველთა მონასტრებში.

სიმდიდრით და მშვენიერებით არც ერთი ეკლესია არ შეედრება მრთელს პალესტინაში წმ. მოციქულის იაკობ ზებედეს ტაძარსა იერუსალიმში. ეს ეკლესია აღუშენებია საქართველოს მეფეს, გიორგი კუროპალატსა მე-XI საუკუნის რახევარში, და ეხლა, ჩვენდა სამწუხაროდ, სომხები ჰფლობენ მას, თითქმის ასის წლის განმავლობაში. მურავიოვი სწერს, რომ იერუსალიმის საპატრიარქოში არის გრამატა მასზედა, რომ სომხები მოვალენი არიან გარდასცენ ეს ტაძარი ქართველთა, როდესაც იგინი შეძლებელ იქმნებიან გარდაუხადონ ყოველ-წლიური ხარკი ხონთქარსა ამ მონასტრის მფლობელობისათვის. მაგრამ ბ-ნ ცაგარელს ეს გრამატა არ უნახავს იერუსალიმში მყოფობის დროსა 1883 წელსა.

ამ დღესვე ხუთს საათზედ ვნახეთ ბერძენთა იერუსალიმის პატრიარქი დამიანე და გამოვთხოვეთ კურთხევა სამგზავროდ სამშობლოსაკენ. მაკურთხა ქრისტე მაცხო-

ვრის აღდგომის ხატითა. თუმცა-ღა ჩვენ ვაპირებდით წასვ-ლას გალილეას, ნაზარეთისა და თაბორის,—ფერის-ცვა-ლების ადგილის-მოსახილველად, მაგრამ პატრიარქმა არ გვირჩია, რადგანაც იქ მომეტებული სიცხეები იქმნება ამ დროს და შეიძლება ავად გახდეთო. ჩვენც უარ-ვყავთ იქ მგზავრობის სურვილი.

15 ივნისს, სამშაბათს, დილის რვა საათზედ გამოვე-სალმეთ წმ. ქ. იერუსალიმს; უკანასკნელად ვილოცეთ ქრისტეს ცხოველ-მყოფელის საფლავისა და ჯვარისა წი-ნაშე გოლგოთაზედ. პატრიარქი შეგვხვდა ამ დილითაც, ეკკლესიიდგან დაბრუნების შემდეგ, რაც დიდ ნუგეშად მივიღეთ; კვალადცა გვაკურთხა მისმა უნეტარესობამ და დაგვილოცა მგზავრობა. სამგზავრო სადგურამდის გამო-გვაცილეს მელეტი მთავარ-ეპისკოპოსმა და პალესტი-ნის რუსთა საზოგადოების გამგემ ბ-ნმა მიხაილოვმა თა-ვისის სახლობით. ეს უკანასკნელი დიდს ყურადღებას აპყ-რობს მლოცავთა მდგომარეობას და ყოველის მხრით სცდილობს გაუადვილოს მლოცავთა უცხო ქვეყანაში მი-მოვლა. მანვე გამოგვაყოლა საკუთარი კავასი იაფფამდის, სადაც მოველით მშვიდობით შუადღის 11 საათზედ.

იაფფაში დავიბანაკეთ რუსთა სავანეში. იგი არს მო-შორებით სამის ვერსტისა სამგზავრო სადგურიდგან. ეს სავანე აშენებულია იმ ადგილს, სადაც პეტრე მოციქულმა აღადგინა მკვდრეთით კეთილ მორწმუნე ტაბითა დედაკა-ცი. ამ ადგილზედ არის აშენებული ახალი ეკკლესია რუსთაგან, თუმცა არა იმ საფლავზედა, სადაცა უჩვენებენ ქვაბსა, რომელსა იყო დადებულ მკვდარი ტაბითა. ამავე გამოქვაბულში არის რამდენიმე საფლავი, აწ ცალიერი, რადგანაც გვამნი გადაუსვენებიათ სხვა ადგილზედა.

იაფფაში სცხოვრობენ ქრისტეანენი არაბნი მცირედ, ხოლო მომეტებული ნაწილი არიან მაჰმადის სარწმუნოე-ბისანი. ამათ ჯვარის დანახვაზედ აღეძვრებათ ხოლმე სი-

ძულვილი ანუ ფანატიზმი; ამისათვის ურჩევენ მღვდელთა დაჰფარონ ჯვარი, რომელსაც ჩვენ ვატარებთ მკერდზედ გარედგან, ნიშნად სამღვთო ხარისხისა ანუ კეთილის და წარჩინებულის სამსახურისათვის დაჯილდოვებისა, სიტყვისაებრ მოციქულისა: „**რომელნი კეთილად ჰსძღოდიან ჩუენსნი, ორის ნაწილის პატივისა ღირს-იყვნედ, უფროს სოლო, რომელნი ჰშრებოდეს სიტყვითა და მოძღვრებითა**“ (პირ. ეპის. ტიმ. 5, 17).

იაფფაში რუსთა სადგურის გარემოს არს მშვენიერი წალკოტი, სავსე ყოვლის ტროპიკულის მცენარეთი. არის ვრცელი ბაღი ფორთოხალისა და ლიმონისა, არის ფინიკებიცა, თუმცა არა ხშირად; ვენახი მცირედია; ჩვენებური ნიგვზის ხე მხოლოდ ორი ვნახე მთელს პალესტინაში; აქვე არიან: ბანანი, ნუში, ალეანდრა და სხვანი ოცამდე ფერად-ფერადნი მცენარენი, თვალთა მასიამოვნებელნი და ყნოსვისა და გემოვნების დამატკბობელნი.

რუსები ისეთს აღტაცებაში მოდიან ამ ბაღის ხილვით, რომ ქვეყნიერ სამოთხედ უწოდებენ. მანქანებით ამოჰყავთ წყალი ბაღების მოსარწყავად; მანქანებს ატრიალებენ ჯორის ანუ ვირის საშუალებით.

15 ივნისს საღამოზედ მოვიდნენ ქ. ყაზანიდგან 21 მოწაფენი რუსთაგანნი გიმნაზიის ორის უფროსის კლასისა, ორის მასწავლებლის წინამძღოლობით. ესენი მიემგზავრებოდნენ იერუსალიმს სალოცავად და პალესტინის სხვათა წმ. ადგილთა მოსახილველად ღმერთმან ინებოს და აკურთხოს, რათა ამათმა კეთილ მსახურების მაგალითმა სხვათაც აღუძრას საღმრთო სურვილი წმ. ადგილთა მოლოცვისა და მოხილვისა, განსამტკიცებელად სარწმუნოებრივის გრძნობისა, რაც. სამწუხაროდ, ახალთაობაში სუსტად ჰღვივის, ვითარცა ნაპერწკალი ნაცარს ქვეშ; ღმერთმან ინებოს, ეს წმ. მისწრაფება დიდ საღმრთო ცე-

ცხლად ქრისტეს სარწმუნოებისა და სიყვარულისა აღ-
გზნებულიყოს. თითოეულს მოწაფეს ცეცხლის გემით მოგ-
ზაურობა დაუჯდება ექვს მანეთად, მხოლოდ საზრდო თვისი
უნდა ჰქონოდათ. მოსკოვის სასულიერო აკადემიის სტუ-
დენტებმაც თავის რექტორის წინამძღოლობით მოილო-
ცეს პალესტინის წმ. ადგილები 1900 წელსა. აი, კეთილი
მაგალითი ვითარ მიმზიდველი და მისაბაძველია!

ტროპიკული სიცხე-პაპანაქების მიზეზით და ამ დროს
გავრცელებულის შავის ჭირის გამო მე ვერ შევასრულე
მიმოვლა და მოლოცვა ჩრდილოეთის ნაწილის პალეს-
ტინისა, გალილეად წოდებულისა, რომელიც შესანიშნა-
ვია არა ნაკლებ სამხრეთის პალესტინისა სახარების მოთ-
ხრობათა მიერ, და ვერცა მოვილოცე სინას მთა, რომ-
ლის მწვერვალზედაც წინასწარ-მეტყველმა მოსემ მიი-
ღო ღმრთისაგან ორნი სჯულისა ფიცარნი ზედ დაწე-
რილის ათის მცნებითა. ამისათვის ამ შესანიშნავ წმიდა
ადგილების აღწერაში ვისარგებლე რაოდენადმე რუსულს
ენაზედ გამოცემულის წიგნებიდამ—ათონის წმ. ილიას
მონასტრისა მიერ და მღუდლის მ. ალექსანდრე ანისიმო-
ვისაგან, რათამცა კეთილ მსახურის და კეთილ-მორწმუ-
ნის მკითხველისათვის მიმეცა შეძლებისაებრ სრული წარ-
მოდგენა აღმოსავლეთის წმიდა ადგილებზედა.

ნაზარეთი.

ირველად თავ-მდაბალი, მაგრამ შემდეგ ყოვლად
დიდებულ შეიქმნა ქალაქი ნაზარეთი. აქ მოიცვლი-
ნა ზეცით მთავარ-ანგელოზი გაბრიელ რქმად ყოვლად
წმიდისა ქალწულისა მარიამისა მიმართ: „გიხაროდენ, მი-
მადლებულო! უფალი შენთანა; კურთხეულ ხარ შენ დე-
დათა შორის; სული წმიდა მოვიდეს შენზედა და ძალი

მაღლისა გფარვიდეს შენ; ამისთვისცა შენგან შობილსა წმიდა ეწოდოს და ძე მაღლისა“ (ლუკ. 1; 28 – 35). ამ ქალაქში შესრულდა საუკუნიდგან დაფარული საიდუმლო განხორციელებისა ღმრთისა სიტყვისა. ეს ქალაქი მდებარეობს გალილეაში, რომელიც შეადგენს ჩრდილოეთის ნაწილსა პალესტინისას. ჰავა ნაზარეთისა არის კეთილ-შეზავებული და მშვენიერს შთაბეჭდილებას ახდენს ეს ადგილი უცხოეთიდან მოსრულთა მლოცველთაზედა. ნაზარეთში ითვლება 6 ათასამდე მცხოვრებნი, რომელთაგან მომეტებულს ნაწილს შეადგენენ მართლ-მადიდებელნი ქრისტეანენი და მაჰმადიანნი. დიდის კონსტანტინეს გამეფებამდე, ნაზარეთში არავის არა ჰქონდა ცხოვრების ნება გარდა ებრაელთა, ხოლო ეხლა არ მოიპოვება აქ არც ერთი ებრაელი.

რუსის მისსიას აქვს აქ აშენებული სახლი, სადაც დაისადგურებენ რუსეთიდგან მოსრულნი მლოცველნი, რომელნიც მრთელის ქარავანით ორ-სამ ათას სულამდის მოვა ხოლმე ყოველს წელს 25 მარტსა, ხარების დღესასწაულზედ, სალოცავად იმ ადგილისა, სადაც ყოვლად წმიდა ქალწულმა მარიამმა მიიღო ხარება ანგელოზისაგან ძისა ღვთისა განხორციელებისათვის. ამ სახლის ადგილზედ არის აშენებული ეკკლესია, რომელიც ეკუთვნის მართლ-მადიდებელთა; არის მეორე ეკკლესიაც, რომელიც ეკუთვნის ლათინთა, და ესენიც ამტკიცებენ, რომ მათი ეკკლესია არის აშენებული იმ ადგილზედა, სადაც ღვთის-მშობელმა მიიღო ხარება ანგელოზისაგან. ამათი მონასტრები აშენებულია აქ 1620 წელსა.

ტიმოთე თბილელი მთავარ-ეპისკოპოსი, რომელმაც მოილოცა წმ. ადგილები პალესტინაში 1755 წელსა, მოგვითხრობს თავისს მოგზაურობაში, რომ ქართველებს ოდესმე ნაზარეთში ჰქონიათ ოთხი მონასტერი.

იუდეასა და სამარიაში დედაკაცები გარეთ დადიან

პირბადით ჩამოფარებულნი, ხოლო გალილეას საზღვრიდან ახსნილის პირის სახით და ყველანი ლურჯის პერანგებითა და ფერადის ქვედა სამოსელითა, ხოლო მამა-კაცი არ აცვიათ ქვედა საცვალი, არამედ გრძელის პერანგით აქვსთ დაფარებული ქვემოთი ნაწილი სხეულისა. ქვემო ნაწილი პალესტინისა—ურიასტანი, შედარებით გალილეასთან, არის ხმელი, უნაყოფო კლდიანის ნიადაგით, ხოლო გალილეა ფრიად ნაყოფიერია; პირველზედ - იუდეაზედ— დღესაც მოსჩანს ცხადი კვალი ღვთის რისხვისა უსამართლოდ დათხეულის სისხლისათვის მაცხოვრისა. ხოლო გალილეა, ვითარცა მშვიდობიანი სამშობლო ყოვლად კურთხეულისა მარიამისა, სარგებლობს, შემდეგ მისის მიძინებისა, მისისავე უზენაესის მფარველობითა და ზეციერის კურთხევითა. სახელწოდება ნაზარეთისა ებრაულს ენაზედ ჰნიშნავს „ყვავილსა“.

ნაზარეთში ხარების ეკკლესია არის აღშენებული იმ ადგილზედ, სადაც ყოვლად წმიდა ქალწულმა მარიამმა მიიღო ხარება ანგელოზისაგან მუცლად ღებისათვის მაცხოვრისა. ეს ეკკლესია ეკუთვნის ფრანგებსა. ხოლო მართლ-მადიდებელთა ეკკლესია კვალადცა ხარების სახელზედ არის აღშენებულ ზედ იმ წყაროზედ, რომლიდანაც ყოველ-დღე წყალი მიჰქონდა ყოვლად წმიდა ქალწულსა მარიამსა თავის სახლის სახმარებელად. დღესაც ამ წყაროდან სარგებლობს ნაზარეთი, რადგანაც თვისის სიდიდით და კეთილ-გემოვნებით ყოველთა აკმაყოფილებს.

ხარების ეკკლესიაში ნაზარეთს, როდესაც მწირველი ყოფილა მიტროპოლიტი თაბორისა და თანამწირველნი რავდენნიმე მღვდელნი, ამ უკანასკნელთა წარმოუთქვამთ ყოველი მშვიდობიანები წირვაზე და მთავარ-დიაკონების მაგიერობა გაუწევიათ, რადგანაც იგინი არა ყოფილან წირვაზედ; და სახარება კათედრაზედ წაუკითხავს ერთს მღვდელს. ამავე დღეს ნაზარეთში შეუსრულებიათ

პანაშვიდი მიტროპოლიტის უპირატესობით მოსახსენებელად ახლად გარდაცვალებულის რუსეთის ხელმწიფე იმპერატორისა ალექსანდრე მეორისა; მშვიდობიანები პანაშვიდზედ წარმოუთქვამთ მღვდლებს რიგზედ და მათ შორის ერთი რუსის მღვდელიც ყოფილა მ. ალექსანდრე ანისიმოვი და ამ უკანასკნელს ორგზის წარმოუთქვამს მიცვალებულისათვის კვერექსი.

თ ა ბ ო ტ რ ი.

წინარეს ორმოცის დღისა თავის ჯვარ-ცმამდის უფალმა იესო ქრისტემ აღიყვანა თავისთან თაბორის მთაზედ მომეტებულად ერთგულნი და განათლებულნი სახარების ნათლითა მრწაფენი — პეტრე, იაკობ და იოანნე, და იწყო ლოცვად, და როდესაც ლოცულობდა, ფერი იცვალა წინაშე მათსა ისრეთ, რომ პირი მისი გაბრწყინდა, ვითარცა მზე, და სამოსელნი მისნი იქმნენ სპეტაკ და ელვარე, ვითარცა თოვლი; ყოველივე პიროვნობა მისი აღიპეჭდა ღვთაებრივის ბრწყინვალებითა. უსეთი ზეციერი ბრწყინვალება მოციქულთა შეეძლოთ შეედარებინათ მხოლოდ ნათელთან, თოვლთან და ელვასთან. და აი გარემოს მისსა გამოცხადდა ორი კაცი. როდესაც უდაბნოში მაცხოვარი ამზადებდა თავსა თვისსა დიდის ღვაწლისათვის ცხოვრებისა, მოვიდნენ და მსახურებდენ მას ანგელოსნი, ხოლო ეხლა, როდესაც იგი ემზადებოდა სიკვდილისათვის, გამოცხადდენ მის წინაშე მოსე და ილია წინასწარმეტყველნი და საუბრობდენ მის აღსასრულისათვის, რომლისათვის ქრისტე უწინარეს ეტყოდა თვისთა მოციქულთა. როდესაც ბრწყინვალე ჩვენებამ იწყო დაბნელება და დიდებულნი მნახველნი მზად იყვნენ განშორებისათვის, აღტაცებულმა პეტრემ, შეშინებულმა მათის მსწრაფლის დაშორებითა, არ უწყო-



მთა თაბორისა.

და, რა უნდა ეთქვა, ლაღად-ჰყო: „მოძღვარ! კეთილ-არს ჩვენ-და აქა ყოფა, და გჴქმნეთ აქა სამ ტაძარსა (კარავი), ერთი შენ-და, ერთი მოსესა და ერთი ილიასა“. ამ დროს ბრწყინვალე ღრუბელმა დაჰფარა იგინი და მოისმა ზეციოთ ხმა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სურინო გიყოს; ამისი ისმა-ნეთ“ (ლუკ. 9; 28 - 35). ეს თაბორის მთა არის გამარ-ტოებით ამაღლებული ეზდრელონის ვაკეზედ, გარშემო იგრგვლივ 80 ვერსი სიგანე აქვს, და გარდი გარდმო 12 ვერსამდის; მწვერვალი ამისი ემსგავსება შუაზედ გაჭრილს ვაშლს პირალმა დადებულსა. მთის მწვერვალზედ ნახევარ ვერსამდი ვაკე არის; ზევიდან მშვენიერი გარდასახედი აქვს ყოვლის მხრით. მუხის ტყე ამშვენებს მისს გარემო ბუნებას. აქ იყო აღშენებული IV საუკუნეში სამი ეკ-კლესია ნეტარი ელენა დედოფლისა მიერ. ეხლა მათ ნანგრევებზედ არის ორი მონასტერი ერთი ბერძენთა, და მეორეც ლათინთა. ბერძენთა მონასტერში სცხოვრობს მიტროპოლიტი, წოდებული თაბორელად.

ტიბერიის ზღვა

ახარებაში მოხსენებულია რამდენჯერმე გალილეას ტბა, იგივე ერთ გზის იწოდება გენისარეთის ტბად და დასასრულ იოანნე მახარებელი სახარებაში უწოდებს ამავე ტბას ტიბერიის ზღვად. გალილეას ტბად იწოდება იგი, რადგანაც მდებარებს გალილეას სამფლობელოში; გე-ნისარეთის ტბად იწოდება. ვინაიდგან მეორე მხარე ამ ტბისა მდებარებს გენისარეთის ანუ გადარინელთა მიდამოსაკენ. ტიბერია ერთი უმთავრეს ქალაქთაგანია გალილეასი. იგი აღაშენა იროდ ანტიპა მეოთხე-მთავარმა საკვირველის სი-ჩქარითა და შექმნა იგი ტახტის ქალაქად გალილეასი, და უწოდა მას ტიბერიად, პატივსაცემლად რომის კეისრისა

ტიბერისა, მისის მფარველისა და მწყალობელისა. ახლად აღშენებულის ქალაქისა გამო ამ ტბამ, რომლისა ნაპირზედ აშენდა იგი, მიიღო სახელწოდება ტიბერიის ზღვისა. ეს ტბა სიგრძით არის 25 ვერსი და სიგანით 10 ვერსი. შემდეგ იერუსალიმის დაქცევისა 70 წელსა შემდეგ ქრისტეს შობისა, შესანიშნავნი სწავლულნი იუდეანთა ერისა გადმოსახლდნენ ტიბერიის ქალაქში. ტიბერიადის აკადემიიდან გამოვიდა მიშნა, ანუ ურიათა სჯულის მდებელი წიგნი ტალმუდი, შედგენილი იუდა რაბინისა მიერ. ამ წიგნს ურიანი ჰხადიან უმაღლესად და უსრულესად მოსეს ხუთთა სალმრთო წიგნთა. კონსტანტინე დიდის დროს აქ აღშენებულ იქმნა პირველი ქრისტეანეთა ეკკლესია. ურიანი და ქრისტეანენი გამოდევნილ იქმნენ ტიბერიადამ 636 წელსა, როდესაც სირია დაპყრობილ იქმნა არაბთაგან.

მაგრამ დიდებული დროება ტიბერიადისა უკვე წარხდა; მხოლოდ ნანგრევები მოაგონებენ ძველს მისს დიდად მშვენიერებას. აქ ირიცხება ამ ჟამად ხუთი ათას სულამდის, რომელთა შორის მუსულმანები—თურქნი და არაბნი 700 სულამდის, ქრისტეანები 150 სულნი და დანაშთენნიც ურიანი. ამათი სინაგოგა (სამლოცველო) ირიცხება პირველად აღმოსავლეთში, ხოლო მისი მოძღვარნი - დიდ მეცნიერებად. სხვა ქვეყნებიდამ ურიანი მოდიან ტიბერიადაში დღევანდლამდის, იმავე კეთილმსახურებისაებრ, რომელიც ჩვენ მიგვიზიდავს იერუსალიმს. მრავალნი ურიანი მოდიან სხვა ქვეყნებიდამ, რათა გაატარონ აქ დანაშთენი დღენი თავის სიცოცხლისა, რამეთუ გარდამოცემისაებრ, ადგილობრივთა ურიათა მიერ პატივცემულისა, მესსია (ქრისტე) უნდა მოვიდეს კაპერნაუმიდან ტიბერიადას; ამისათვის ბევრნი მათგანნი, განთქმულნი სარწმუნოებითა და ღვთის-მსახურებითა, აღვლენან და დასდგებიან მაღალს ადგილებზედა და იქიდგან გაუნძრეველად დაჰყურებენ ქალაქის ნანგრევთა და ტიბერიის ზღვასა, საიდ-

განაც ვითამც უნდა მოვიდეს ესრედ ხანგრძლივ მოლოდებული მათ მიერ გამომხსნელი. მომეტებულად შემძლებელნი ურიანი ინახავენ მხმილავთა (ყარაულებსა), რათამცა იყვნენ პირველ მახარობელნი ვისს ფრიად სასურველისა მოსვლისა. ეხლა რომ აღსდგეს საფლავით იროდ ანტიპა და დაჰხედოს მის მიერ შობილს საყვარელს შვილსა, ტიბერიის ქალაქსა, თავს გაიქნევდა და უკანონო-შობილად სცნობდა მას.

მაგრამ ტიბერიის ზღვა ვერ შესცვალეს ვერცა ქამთა, ვერცა სხვა-და-სხვათა ფიზიკურთა და პოლიტიკურთა აღრეულობათა. იგი არსებითად დაშთა ისრეთივე, ვითარცა იყო ქრისტეს ქვეყნად ცხოვრების დროსა. თუმცა არ არის ისრეთი მოძრაობა ნავებისა ტიბერიის ზღვაზედ, მაგრამ მშვენიერებანი ბუნებისა დარჩნენ ამ დრომდის იგინივე: გარემოს მისა მწვანედ ბიბინებენ ველ-მინდორნი, მოჩუხჩუხებენ წყარო-ნაკადულნი და ერთვიან ტბას, ვითარცა ყრმანი დედის მკერდსა.

გალილეას ტბა და მისნი მიდამონი იყვნენ განსაკუთრებით საყვარელ მათ შემოქმედის და ღმრთისა, მის ოცდაათცამეტის წლის ქვეყნიერ ცხოვრების დროსა. იგი არს განსაკუთრებით სახარების ტბა, რამეთუ მასზედა და მის ნაპირებზედა შესრულდენ სახარების მრავალნი მოთხრობანი; მისნი წყალნი და კლდენი არიან წმიდა ყოველთა ქრისტეანეთათვის. აქ იქმნენ აღრჩეულ ქვეყნის მაცხოვრისა მიერ მოციქულნი: სვიმონ, წოდებული პეტრედ, და ძმა მისი ანდრია, იაკობ და ძმა მისი იოანნე. აქ ასწავებდა უფალი ერსა, რომელიც მიისწრაფებოდა მისა მიმართ, ვითარცა სულიერად მწყურვალე უკვდავებისა წყაროსადმი, და თვითონ მაცხოვარი შევიდა ნავსა სვიმონ—პეტრესსა და აქედან, ვითარცა კათედრიდან, წარმოსთქვა თვისნი ღვთაებრივნი იგავნი. აქ იმავე პეტრემ, რომელიც მრთელი ღამე უქმად დაშვრა თვისის ამხანაგებითა თევ-

ზის ჭერაში, როდესაც ესროლა ბადე ზღვაში ბრძანებისაებრ უფლისა, დაიჭირა ესრეთი სიმრავლე თევზთა, რომ განკვირვებამან შეიპყრო იგი და ყოველნი, რომელნი იყვნენ მისთანა, ესრეთის თევზის ნადირობისაგან. ამ ტბის წყალთა ზედა ვიდოდა მაცხოვარი, ვითარცა ხმელთა ზედა, დააყუდა ღელვანი და ქარნი ბრძანებითა თვისითა, და დაიხსნა პეტრე ამ ზღვაში დარჩობისაგან. ამის ნაპირზედ—ქალაქს კაპერნაუმში სცხოვრებდა თვით უფალი, როდესაც გადმოსახლდა აქ ნაზარეთიდგან ყოვლად-წმიდა თავის დედით და მოწაფეებითურთ. აქვე იწყო უფალმა პირველივე თვისი ქადაგება: „შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა"; მოუწოდა მოციქულებრივს მსახურებაზედ მათესა მეზვერესა, რომელი შეკრებდა ხარკსა, აღადგინა მკვდრეთით ასული იაირისა, განკურნა სისხლისა დინებისაგან დედაკაცი, რომელსაც უსარგებლოდ წარეგო სრული მონაგები თვისი მკურნალთა ზედა; აქვე განკურნა უძლური მონა ასისთავისა; და ფრიად მრავალნი სასწაულნი და ნიშები გულმოწყალებისა უჩვენა ტანჯულს კაცობრივს ნათესავსა.

ამ ტბაში არის 30 გვარის სხვა-და-სხვა თევზი, რომელთაც ყოველთა ზოგად უწოდებენ წმიდად, რადგანაც თვით წმიდა უფალი სჭამდა ამათ. აქ ყოფილა ძველს დროდან მართლ-მადიდებელთა ეკკლესია, რომელიც თურქთა გარდაუქცევიათ საჯინიბოდ; და ეხლა აპირებენ ამ ადგილზედ მართლ-მადიდებელნი არაბნი მონასტრის განახლებას.

სარკის მსგავსი ზედა პირი გალილეას ტბისა, რომელიც გაწმენდილ არს მას ზედა მსვლელობითა უფლისა მაცხოვრისათა და ცურვითა მასზედა მოწაფეებითურთ, იზიდავს მაყურებელის გულსა. ზოგნი ბანაობენ ტბის ცივს წყალში, ზოგნი ცხელში, რომელიც იქვე ტბის ნაპირზედ გადმოსჩქეფს მახლობელ მთიდამ და ერთვის ტბასავე, და რომელ-



სანახაობა წმ. ქალაქის იერუსალიმისა ზეთის-ხილის მთიდან.

ნიმე ნავით დასეირნობენ ტბაზედა. ტიბერიაში არს ლათინთა ეკკლესია, საკმაოდ შვენიერი და ახლად შეკეთებული, რომელიც შეადგენს შვენებას ქალაქისას.

ჩრდილო-აღმოსავლეთით ტიბერიიდამ, სამი საათის მანძილზედ, უჩვენებენ ვრცელს ადგილს, სადაც ყოფილა დაშენებულ ქალაქი კაპერნაუმი, რომელსაც უფალმან წინასწარ რქვა სამწუხარო მომავალი: „და შენ, კაპერნაუმ, რომელი ცადმდე ამაღლდი, ჯოჯოხეთადმდე ჰშთაჰხდე“. აწ მის ძველის დიდებისა მოსჩანან მხოლოდ შესაბრალისნი, კნინლა შესანიშნავნი ნანგრევნი. ესრეთ ამპარტავნება წინააღმდეგია ღმრთისა, და ესრეთ მის მიერ იგი განქარდების და შეირცხვინების.

ლავრა წმიდა საბასი.

ჩრდილო-აღმოსავლეთით ბეთლემიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთით იერუსალიმიდან, სამის საათის მანძილზედ ამ ქალაქებიდან, დასავლეთის კიდეზედ ცეცხლის მდინარისა, სალსა და ღადა-ღუდა კლდეებ შორის, გახურვეპულის ცის ქვეშ იუდიანთა უდაბნოისა, არის გადმოკიდ�el, მსგავსად მოურევნელის გოლიათისა, თოთხმეტ საუკუნიანი ბურჯი მართლმადიდებლობისა პალესტინაში — ლავრა წმიდა საბასი, პირველ-სახე მოღვაწეობითის სისრულისა და სიბრძნისა ქრისტეანობითისა, სახედ თვისის დამფუძნებელისა საბა განწმედილისა და სახედ იოანნე დამასკელისა, უაღრესის ღვთის-მეტყველისა და გალობათა-აღმწერელისა ქრისტეანობრივის ეკკლესიისა.

ლავრა ესე იქმნა დაფუძნებულ წმ. საბას-მიერ 502 წელსა და პირველ-დაწყებით შესდგებოდა იგი რაოდენთამე სენაკთაგან, რომლებშიაც სცხოვრობდა თვითონ დამფუძნებელი და მოწაფენი მისნი; ეკკლესია

იყო მოთავსებული დიდს მღვიმეში, სადაცა აწ სამხ-
რეა წმ. ნიკოლოოზისა. შემდეგ 27 წელთა სავანეს
დაარსებიდან იმპერატორმა იუსტინიანემ, სცნა რა
წმიდა სათნოებისათვის საბასი, გარეშემოზღუდა მო-
ნასტერი გალავნებითა და ციხეებითა, და განაშვე-
ნა სხვა შენობებითა და მდიდარის შეწირულებითა.
წმ საბა 529 წელსა, დავედრებისაებრ იერუსალიმის პა-
ტრიარქის პეტრესი, წარემართა კონსტანტინეპოლს, რა-
თა ეშუამდგომლა წინაშე იმპერატორისა მფარველობი-
სათვის პალესტინის ქრისტეანეთა მიმართ. ამ დროდამ
მრთელი სივრცე უნაყოფოთა მთათა და ხეობათა მკვდა-
რის ზღვიდამ ბეთლემამდის, სადაც მხეცნიც კი არა სცხოვ-
რობდნენ, დაშენებულ იქმნა გუნდთა მიერ განდეგილთა.
ლავრა წმ. საბასი თვის არსებობის აღყვავილებულს დრო-
სა დაიტევდა თავის ზღუდეთა შორის უმეტეს ხუთი ათას
მონაზონთა, იმათ გარდა, რომელნიც მოღვაწეობდნენ
გარემოს მღვიმეთა შინა. 614 წელსა სარკინოზთა ააო-
ხრეს ეს ლავრა და მოსწყვიდეს მრავალი რიცხვი ძმათა.
მეექვსე ხუკუნიდამ მეათე საუკუნის დასასრულამდის ეს
ლავრა წარმოადგენდა აკვანსა ქართულის საეკკლესიო
მწიგნობრობისას. აქ იქმნა თარგმნილი მომეტებუ-
ლი ნაწილი საღმრთო და საეკკლესიო წიგნებისა
ქართულს ენაზედ. აქვე ყოფილა დასრულებულ თარ-
გმანი ქართულის დაბადებისა. 'მემდეგ ბურჯად ქარ-
თულის საეკკლესიო მწიგნობრობისა მეათე საუკუ-
ნის ნახევრიდამ შექმნილა ათონის ივერიის მონასტე-
რი. აქ დაბოლოებულა სრულიად თარგმანი დაბადები-
სა; და ამ უკანასკნელთა მოღვაწეთა ძალა დაუტანებიათ სა-
ბა წმიდის მონასტრის ძმათათვის დაეწვათ მათ მიერ თარ-
გმნილი დაბადება. ეს შემთხვევა სჩანს წარწერიდამ მცხე-
თის საპატრიარქო ტაძრის დაბადებისა, რომელზედაც
უცნობი ვინმე მწუხარებით მიაწერს დაბადების კაბადონ-

ზედა: „წყეულ იყოს ღმრთისაგან, ვინც საბას დაბადება დააწვევინა“. ხოლო გარემოება ამ საქმისა, როდის მოჰხდა ეს სამწუხარო შემთხვევა, და რამ აიძულა ძმანი ათონის ივერიის მონასტრისა, რომ დააწვევინეს საბა წმიდელთა ქართველთა ძმათა დაბადება, არ არის მოხსენებული. ეს შემთხვევა მით უფრო გაუგებარია, რომ თვით ათონის ივერიის მონასტერში არა სჩანს აქამდის სრული ქართული დაბადება. ის დაბადება, რომელიც პლატონ იოსელიანს მოუტანია ათონიდამ 1850 წელსა და ტფილისში გადასწერეს ორ ცალად, არ არის სრული, თავიც აკლია, შუა წელიცა და ბოლოც.

რამდენჯერმე ააოხრეს წმ. საბას ლავრა სპარსთა, არაბთა და ბოლოს თურქთა. 1566 წელსა სულთან სელიმ მეორემ დაიპყრა პალესტინა და იერუსალიმში დაჰნიშნეს ახალი სანჯახი (გუბერნატორი). მაშინ მის წინაშე გამოსცხადნენ ძმანი ამ ლავრისა მოსაკითხავად და გამოსათხოვნელად მფარველობისა მცირედის ძღვენით – ახალის ხილით და ბოსტნეულობით; ახალი მმართველი განცვიფრდა, როდესაც დაინახა 1000 კაცი მონაზონნი ღარიბად ერთგვარად მოსილნი; ამ ბარბაროსმა ძღვენი კი მიიღო და ბრძანა მათი ამოწყვეტა ოცს კაცს გარდა, რომელთაც ნება-დართო დაბრუნებისა მონასტერში.

უფრო ჩვეულებრივი გზა, წმ. საბას ლავრად მიმყვანებელი იერუსალიმიდან, იწყება ნაძოვან ხევზედ ანუ იოსაფატის ღელეზედ მიყოლებული და ეს გზა სწყდება მკვდარ ზღვასთან. ეს ღელე შემდეგ სამის საათის გზისა გარდაიქცევა დაღრმავებულ ხეობად, რომელიც ორის მხრიდგან მოზღუდულია მაღალის სალის კლდეებითა, რომელსაც არაბნი უწოდებენ ამ ადგილას „ცეცხლის ხევად ანუ ცეცხლის ნაკადულად“, ხოლო ბერძნები უწოდებენ „ცეცხლის მდინარედ“, რასაკვირველია, მიზეზისა გამო საშინელ პაპანაქება სიცხეებისა, რომელიც აქ

იცის ზაფხულობით. ლავრასთან მიახლოვების დროს უპირველეს ყოვლისა მოსჩანს გუმბათი ეკკლესიისა და კოშკი ზედ მოწყობილის საათით, და შემდეგ დიდი გოდოლი იუსტინიანესი. ამ ციხეზედ ყარაულობს მორიგობით ერთი ბერთაგანი და ზარის ჩამორეკით აცნობებს მონასტრის ძმათა მოახლოვებისათვის მლოცავთა. და შემდეგ გააღებენ რკინის ბჭეთა, და შევლენ სტოვაში დიდის ეკკლესიისა, რომელიცა არს ღვთის-მშობლის ხარებისა. შუა ეზოში სდგას სამლოცველო მარმარილოთი აღშენებული და დაგვირგვინებული მცირედის გუმბათით; აქ განისვენებდენ ნაწილნი წმ. საბასნი, რომელნიც საიდუულოდ გარდაუტანიათ აქედგან ფრანგთა ვენეციაში. ეხლა მხოლოდ დაშთენილა აქ ლუსკუმა (საფლავი), რომელშიაც განისვენებდენ მის წმ. ნაწილნი, და მას ზედ ასვენია ხატი წმ. საბასი. დასავლეთის მხრივ, წმ. ნიკოლოოზის ეკლესიის ზემოდგან, არს სენაკი დიდის მნათობისა ეკკლესიისა იოანნე დამასკელისა. აქ მან აღსწერა თვისნი მიუბაძავნი საეკკლესიო გალობანი—ქრისტე მაცხოვრის აღდგომისა და ცხრა საუფლო და საღვთისმშობლო დღესასწაულთა, დიადად გულის აღმაფრთოვანებელნი, დამატკბობელნი, და ეგრეთვე მანუგეშებელნი და ლმობიერნი საგალობელნი, რომელნიც ანდერძის წესის შესრულების დროს იგალობებიან და წაიკითხებიან. ამ გვარის დიდის და წმიდა ღვაწლისთვის, რომ იოანნე დამასკელმა განაშვენა ეკკლესია ქრისტესი ფერად-ფერადთა საღმრთო საგალობელთა მიერ, მას უწოდა წმ. ეკკლესიამ „ოქროს-ნეკტარიანად“.

ღირსია ყურადღებისა წმ. საბას მონასტერში შემდგომი არა ჩვეულებრივი მოვლენა: გარემოს მონასტრისა მრავლად დაჰფრინავენ პატარა ფრინველნი (კრასტელი), შროშნის მსგავსნი, რომელნიც იმ სახით ჰყავთ მიჩვეულნი ხელზედ ბერებსა, რომ პირველსავე მათ დაძახებაზედ

მოჰფრინდებიან და დასხდებიან ხელის გულზედ ანუ მხარზედ და დამშვიდებით ჰკენკავენ საჭმელსა, რომელიც ჩვეულებრივ შესდგება ქიშმიშისაგან. მთელი მონასტერი დაშენებულია ნაპრალებზედა და შიგ მონასტერში სიარულის დროს ხან ზევით უნდა ახვიდე, ხან დაბლა ჩამოხვიდე.

წმ. საბას ლავრაში შესვლა დედათა სქესს აღკრძალული აქვს, თვით საბას აღთქმისაებრ. საბამ ამისათვის ნება არ მისცა იქ ყოფნისა თავის მოხუცებულს დედასა, რომელსაც სურდა ეცხოვრა თავის შვილთან ერთად და დაბინავებულიყო მონესტერში.

იქ, სადაც იწყება „ცეცხლის მდინარე", არის ადგილი, წოდებული „მონაზონთა ფოლორეი" (ბაზარი) ამ ადგილზედ გარემოს მცხოვრებნი ჰყიდიან ბერებზედა საზრდოსა, სამოსელსა და სხვათა, სცელიან განდეგილთა ხელ საქმეზედ. ამ ადგილიდამ მიდის გზა აღმოსავლეთისკენ, რომელიც მიაღწევს მკვდარ ზღვამდის. მარჯვენით ამ გზიდამ, საკმაოდ ამაღლებულს გორაკაზედ, მოსჩანან ნანგრევნი ყოფილის სავანისა აბბა (მამა) პასსარიონისა, ხოლო ბორცვს ეწოდება გორად ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა. ამ ბორცვიდამ სჩანს იორდანეს მდინარე და მკვდარი ზღვა.

წმ. საუფლო საფლავის ბერძენთა ძმობის დაარსება იერუსალიმში და მოქმედება მისი.

ბერძნები დაემკვიდრნენ იერუსალიმში სამასის წლის წინად. 1534 წელსა, სხვა-და-სხვა გაიძვერაობის საშუალებითა კონსტანტინეპოლში, იერუსალიმის პატრიარქად იქმნა დანიშნული ბერძენი, სახელად გერმანე პელოპონესი. ადგილობრივმა ქრისტეანებმა, რომელთა

ხელშიაც იყო უფლება წმ. ადგილების გამგეობისა ომარ ხალიფას დროიდან, არ გაუწიეს არა ვითარიმე წინააღმდეგობა. მათ ეგონათ, რომ გამოცდილი ბერძნები მოიხმარებენ ომარის მანიფესტსა ქრისტეანობრივის სარწმუნოების თავისუფლებისა და განსაკუთრებულ გამგეობისათვის წმ. ადგილებისა ნამდვილ ძალად და გამოიტანენ იქიდან ადგილობრივ მცხოვრებთათვის ყოველს შესაძლებელს სარგებლობასა. მაგრამ მოსტყუვდნენ და თავისი მოლოდებანი არ გაუმართლდათ. გერმანე შეეცადა მხოლოდ თავის დამკვიდრებას ახალს ადგილზედა. მის გარეშემო დაფუძნდა ბერძენთა მონაზონთა კრებული. შორს მხედველმა გერმანემ შეადგინა საკუთარი პროგრამმა თავის მოქმედებისათვის. მან დაიწყო ნელ-ნელა ჩამორთმევა საეკკლესიო თანამდებობათა ადგილობრივის შთამომავლობის პირთაგან. როდესაც გარდაიცვლებოდნენ მიტროპოლიტნი და მთავარ-ეპისკოპოსნი, იგი აკურთხევდა მათ ადგილზედ ბერძენთა. ჩქარა ყველა თანამდებობანი წმ. საფლავთან იყვნენ დაჭერილ ბერძენთაგან. შემოსავალთა წმ. ადგილებიდან დაიწყეს, ცხადია, გარდასვლა ბერძენთა ხელში. ამ ფულებს ხმარობდნენ საჭიროებისათვის ძმათა და ქრთამისათვის თურქთა მართველობისა. თავის მოადგილეს, რომელიც იყო აგრეთვე არჩეულ ბერძენთაგან, გერმანემ დაუტევა ანდერძი არ მიუშვას არავინ უცხო ეროვნებისა წმ. საფლავის გამგებლობაში და შეძლებისაებრ ყოველს დანაშთენს უმაღლესს სასულიერო თანამდებობაზედა — ადგილობრივ მცხოვრებთაგანი. ეს წესდებულება არა ერთ გზის იქმნა განმეორებულ მისს მოადგილეთა მიერ უფრო მტკიცედ.

მე-16 საუკუნის ბოლოს კონსტანტინეპოლის პატრიარქმა პართენმა მოისურვა შეეერთებინა ერთად საპატრიარქო იერუსალიმისა და კონსტანტინეპოლისა და მართვა-გამგებლობა იერუსალიმისა კონსტანტინეპოლიდან. მაგ-

რამ წმ. საფლავის ძმანი მტკიცედ წინააღუდგნენ. ამისათვის ახალი პატრიარქი, პაისი, რომელიც მოვიდა კონსტანტინეპოლიდან იერუსალიმს, უპატივცემულოდ იქმნა მიღებულ ადგილობრივ მცხოვრებთაგან, ასე რომ მის დასამკვიდრებელად ადგილზედ საჭირო შეიქმნა ჩარეულიყო ოსმალთა მართებლობა. ბოლოს მიხვდნენ ადგილობრივნი ქრისტეანენი ბერძენთა მზაკვარებას. მაგრამ გვიან-ღა იყო. ძალაუნებურად უნდა დაჰმორჩილებოდნენ ბერძენთა პატრიარქსა, რომელსაც ამტკიცებდა ოსმალთა მთავრობა.

დროთა მიმდინარეობაში წმ. საფლავის კრებულმა სცნო, რომ მისი მდგომარეობა უფრო მტკიცე იქმნება, უკეთუ პატრიარქები იქმნებიან არჩეულ მათ შორის, რადგანაც გამსჭვალულ არიან იგინი ერთნაირის აზრითა და მისწრაფებითა. დოსითეოს პატრიარქმა გამოსცა უკვე ბრძანება, რათა პატრიარქი იერუსალიმისა იქმნებოდეს მონაზონთაგან წმ. საფლავის კრებულისა. იმ დროდან, თუმცა პატრიარქები იერუსალიმისა ხშირად სცხოვრობდნენ კონსტანტინეპოლში, სადაც მათ შეეძლოთ ჩქარა მოესპოთ ყოველნაირი დაბრკოლებანი იერუსალიმის პატრიარქიაში და ეცხოვრათ უდიდესის სიბორგილითა და განცხრომა-ფუფუნებითა, წეს-დებულებანი პატრიარქის აღმორჩევისათვის წმ. საფლავის ძმათაგან შეურყეველად იცვებოდიან და იცვებიან აწინდელს დრომდის. ნიკიფორე (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი), სახელდებული მიტროპოლიტი, იყო ერთი შესანიშნავი მოღვაწეთაგანი წმ. ქვეყანაში (პალესტინაში) მე-17 საუკუნეს. იგი მოგზაურობდა აზიასა, ევროპასა და აფრიკაში იმ აზრითა, რათამცა გაემდიდრებინა თავი თვისი მეცნიერებითა. თანამედროვენი რაცხდენ მას „ფილოსოფოსად, რიტორად, და შვიდი ენის მეცნიერად". ეს „სახელდებული მიტროპოლიტი", ვითარცა იგი უწოდებს თავსა თვისსა საქარ-

თველოს მეფეთა მჩწერ-მოწერაში რუსეთის ხელმწიფეებთან, იყო სამ გზის წარგზავნილ დესპანად მოსკოვს მეფე შიხეილ თეოდორეს ძისა მიმართ (1636, 1639 და 1640 წელ.); ათხუთმეტ გზის იყო გაგზავნილ საქართველოს მეფის თეიმურაზ პირველის დავედრებით (1605—1663 წელ.) სხვა-და-სხვა მხარესა და სხვა-და-სხვა ხელმწიფეთა მიმართ აზიისა და ევროპისა. ამან ფრიად განაშვენა ქართველთა ჯჯარის მონასტერი იერუსალიმში. პალესტინაში დაიმსახურა მან ესე-ვითარი პატივი და დიდება, რომ იერუსალიმის პატრიარქმა თეოფანემ თავის სიკვდილის უწინარეს (1645 წ.) დაჰნიშნა იგი ნიკოლოოზ ჩოლოყაშვილი თავის მოადგილედ; მაგრამ გაიძვერაობისა და მზაკვარებისა გამო ბერძენთასა ეს დანიშნულება ანდერძისაებრ უწმიდესის პატრიარქისა არ იქმნა შესრულებულ *). დღეს წმ. საფლავის ძმანი ჰფლობენ დიდძალის ფულითა, სამასის წლის განმავლობაში მოხვეჭილითა, სარგებლობენ დიდის შემოსავლითა რუსეთის და საქართველოს მამულებიდან, რომელნიც შეწირულ არიან წმ. საფლავისადმი, და თითქმის აქამომდის იღებენ ფულით შემწეობასაც რუსეთის უუწმიდესის სინოდისაგან **).

წმიდა მთა სინა.

ერუსალიმს მისრულნი რუსეთიდან მლოცველნი სარგებლობენ დროებით ქრისტეს შობის დღესასწაულიდან დიდ მარხვამდის და მიდიან მოსალოცავად და მოსახილველად სინას მთისა. ეს მსვლელობა შესრულდება ორის გზით: პირდაპირ ხმელეთით იერუსალიმიდან წი-

*) Заслуги грузинскаго монашества и монастырей для отечественной церкви и общества, Епископа Киріона.

**) Русское Богатство, № IX 1900 г.

ნამძღვანელობითა რუსის მონასტრის ბერ-მონაზონისა და მფარველობის ქვეშ პალესტინის ბედუინთასა. ეს საშუალება მგზავრობისა თუმცა მოკლეა, მაგრამ ფრიად შემაწუხებელია. ამისათვის უფროს ამჯობინებენ მგზავრობას სინას მთაზედ იაფფის ქალაქიდან ალექსანდრიასა და ქაირზედა. ამასთანავე მლოცველს ეძლევა შეძლება მიმოიხილოს შესანიშნავნი ქრისტეანეთათვის ადგილნი ეგვიპტეში, სადაც იმყოფებოდა ღვთაებრივი ყრმა იესო ყოვლად წმიდა თვისის დედითურთ და მართალის იოსებით გადასარჩენად დევნულებისაგან ეროდ მეფისა.

ქალაქები: პორტ-საიდ, ალექსანდრია, ქაირ.

ინას მთაზედ წამსვლელნი ამ გზით იაფფაში იღებენ ბილეთს ცეცხლის გემისას ალექსანდრიამდის. პორტ-საიდი ახალი ქალაქია და განსაკუთრებით არა რაიმეთი არ არის შესანიშნავი. მსურველთ შეუძლიანთ აქ დადგრომა ბერძენთა წმ. იოანნე ღვთის-მეტყველის მონასტერში, ალექსანდრია ფართოდ გადაშლილა ხმელთა შუა ზღვის სამხრეთ ნაპირად. იგი დაფუძნებულია ალექსანდრე მაკედონელისა მიერ უწინარეს 332 წელთა ქრისტეს შობამდის. ალექსანდრია შეიქმნა მეორე ქალაქად შემდეგ რომისა. ალექსანდრიაში წმ. მახარებელმა მარკოზმა დაჰნერგა ქრისტეს სარწმუნოება და იქმნა იგი დადგენილ პირველ ეპისკოპოსად ამ ქალაქისა პეტრე მოციქულის მიერ. ალექსანდრიაში იქმნა აღწერილ წმ. მახარებელ ლუკასაგან „საქმე წმიდათა მოციქულთა“. აქვე, ფაროსის კუნძულზედ, იქმნა გადათარგმნილ დაბადება ებრაულის ენიდამ ბერძნულად სამეოცდა ათთა მეცნიერთა ურიათა მიერ ხელმძღვანელობითა განათლებულის დიმიტრი ფალერელისა, დამფუძნებელისა შესა-

ნიშნავის თავის დროზედ ალექსანდრიის ბიბლიოთეკისა (წიგნთ-საცავისა) ორასის წლის უწინარეს ქრისტეს შობამდის. ეს თარგმანი ძველის აღთქმის სალმრთო წერილის წიგნებისა შესრულდა ბრძანებისაებრ ეგვიპტელთა მეფისა პტოლომე ფილოპატორისა. ალექსანდრიაში არის მონასტერი, რომელიც ეკუთვნის მართლმადიდებელს პატრიარქსა. ამ მონასტერში არის ტაძარი წმ. საბა განწმედილის სახელზედა და ამასვე ტაძარშია სამხრე წმ. ქალწულ-მოწამე ეკატერინას სახელზედა; გარდამოცემით ეს სამხრეა იმ ადგილზედა, რომელზედაც ყოფილა საპყრობილე, სადაც შეუმწყვდევიათ წმ. ეკატერინა თავის მოწამებრივის სიკვდილის წინად. სხვა მონასტერია კოპტებისა წმ. მარკოზის სახელზედა. საკრებულო ტაძარი კოპტების მონასტრისა აღშენებულია იმ ადგილზედა, სადაც წმ. მოციქულმა მარკოზმა მიიღო მოწამებრივი აღსასრული და სადაც იყო დასაფლავებულ. მის წმ. ნაწილნი გარდაუსვენებიათ ვენეციაში და მხოლოდ წმ. თავი მოციქულისა დაცულია ამ ტაძარშივე მარმარილოს ლუსკუმაში (კუბოში). საზოგადოდ ალექსანდრიაში ბევრი მშვენიერი შენობებია: სრა-სასახლე, მეჩეთი ათასი კამარათი (კოლონნა), საზღვაო სასწავლებელი, საზღვაო არსენალი. ალექსანდრია შეერთებულია ქაირთან რკინის გზით. ყოველთა ევროპის სახელმწიფოთა ჰყავთ აქ თვისი კონსულები. მცხოვრებელნი ალექსანდრიაში ირიცხება სამოც-და-ხუთ ათასამდე.

ქაირი არის უმთავრესი ქალაქი ეგვიპტისა. იგი მდებარეობს მარჯვენით კერძო ნილოსის ნაპირისა, და არის ცენტრი არაბთა მეცნიერებისა და ხელოვნებისა, აქვს ოთხასამდის მეჩითი, რომელთა შორის რამდენიმე შესანიშნავია თავის ხუროთ-მოძღვრებით. ქაირში ითვლება სამას ათასამდის მცხოვრები სხვა-და-სხვა ეროვნებისა, რომელთაც აქვსთ თავის საცხოვრებელი ადგილად თითოეულსა საკუთარი უბანი.

ძველს ქაირში არის ბერძენთა ვრცელი მონასტერი, შესანიშნავი თვისის სიძველითა და დიდ-ზომიერებითა. უმთავრესი ეკკლესია ამ მონასტერშია წმ. მთავარ-მოწამე გიორგისა წმიდანის კუბოთი საკუთარს სამხრეში, რომელიც გადმოსვენებულია აქ ლიდდიდან; ხოლო საკრებულო ეკკლესიის საკურთხეველში ინახება ნაწილი ბეჭისა და თითი მთავარ-მოწამისა, და მარჯვნივ მხარეს კანკელისა ასვენია ძველი, კარგად დაცული ხატი ღვთის-მშობლისა, დახატული წმ. მახარებელის ლუკას მიერ. მახლობლად ბერძენთა მონასტრისა არის კოპტების მონასტერი, აღშენებული იმ სასტუმროს ადგილზედა, რომელშიაც შეაფარა თავი წმიდა სახლობამ, დევნულმა ირო-დისაგან. უმთავრესი ეკკლესია არის ღვთის-მშობლის მიძინების სახელზედა. ამ ეკკლესიაშია მარჯვენით აღსავლის კარისა შეუნიშნავი კარები იატაკში, რომელსაც ჩაჰყავს კაცი მღვიმეს, სადაც სცხოვრებდა წმ. სახლობა. ამ მღვიმის აღმოსავლეთის კედლის თახჩაში არის დადებული მარმარილოს ფიცარი ზედ ამოჭრილის ჯვარითა; ეს იყო საწოლი აკვანი ღვთაებრივის ყრმისა იესოსი, ხოლო მის გვერდით ქვის ტახტზედ იმყოფებოდა მისი წმიდა დედა. ორივე სარეცელი (საწოლი) ეხლა იხმარება ვრცელ ტრაპეზად. მეორე სარდაფში არის ქვის ემბაზი, რომელსაც ჰხმარობდა ღვთის მშობელი გასაბანებლად მაცხოვრისა. მარცხენით არის ჩასავალი ჭისაკენ, რომლიდანაც წყალსა ხმარობდა წმიდა სახლობა. ამ ჭის წყალი განთქმულია ქაირში, ვითარცა საკურნებელი საშუალება ყრმათათვის: როდესაც ყმაწვილი ავად გახდება, მის სამოსელს დაასველებენ ამ წყალში და ჩააცმევენ სნეულსა, რომელიც დაუყოვნებლივ მიიღებს შემსუბუქებას, სარწმუნოებისაერ მშობელთა და ნათესავთა.

ძველს ქაირშია შესანიშნავი შენობა რავდენისამე ოთხ-კუთხიანის ეზოთი. იგი გარემოს მოზღუდულია

მაღალის გალავნითა. ეს პურის მაღაზიებია, რომელსაც ძველის დროდან უწოდებს ერი მაღაზიებად იოსებისა. სამხედრო ციხესთან არის ჯურღმული, რომელსაც უწოდებენ ჭად მამა-მთავრის იოსებისა. გარდამოცემით იგი არის იმ საპყრობილის ადგილას, რომელშიაც იყო დამწყვდეულ უმანკო იოსებ პენტეფრისა მიერ.

მლოცველნი ქაირში ჩვეულებრივ დადგებიან სინას მეტოქიაში და გამოითხოვენ წერილებსა სინას მონასტრის მწყემს-მთავრისაგან, რომელიც აქ სცხოვრობს.

ჩრდილოეთით ამ უბნისა, სამის საათის მანძილზედ, მდებარეობს ყოფ. მატარიე. სოფელში შესვლისათანავე არის ძირკვი ოთხის ტოტით, რომელსაც უწოდებენ ხედ ყოველად-წმიდისა ღვთის-მშობელისა; ამ ხის ჩრდილს ქვეშ შეეფარა წმ. მოგზაური დედა თავის უუსაუკუნესის ყრმითა, ვიდრემდის იოსები გამოსძებნიდა ბინას მათთვის. ეს გარეული ლეღვი ითვლება განუხრწნელ ხედ.

სუეცი პირველი ქალაქია მეწამულის ზღვის პირზედა. იგი შეერთებულია ქაირთან რკინის გზითა (7 საათის მანძილზედ). ბინა მლოცავთათვის იქმნება ბერძენთა სამღვდელოების სახლში წმ. მთავარ-მოწამე გიორგის ეკკლესიასთან. სუეცში საჭიროა რუსეთის მლოცავთათვის გამოცხადება რუსეთის კონსულის წინაშე და მიღება წერილებისა სინას მონასტრის რწმუნებულისაგან, ურომლისოდ შესაძლებელია შეხვდეს დაბრკოლებანი სინაზედ მისვლის შემდეგ.

სინას მონასტერი.

ინას მონასტერი თვისის მდებარეობით აწარმოებს განსაკუთრებით უკეთ შთაბეჭდილებას მლოცავთა და მომხილველთა ზედა. უზარმაზარის თავის კედლების

რუსთა ეკკლესია გეთსიმანიაში.

ზომიერებითა და მოყვანილობით და მაგარის ჯავარიანის ქვებით შენებული ოთხ-კუთხი ყუთი თითქო ზეიდან არის ჩამოშვებული ხეობაშიო; ერთის მხრიდან იგი აწეულია ქორიბის მთის ძირისაკენ, მეორე მხრიდგან დაშვებულია წმ. ეპისტიმის მთის ძირისაკენ. იყო დრო, როდესაც სინას მონასტერში აჰყვანდათ მოგზაურნი კედელზედ განსაკუთრებით კედელში გახსნილ ადგილში ფანჯრის მსგავსად გოდრითა. მაგრამ ამ გვარი საშუალება მონასტერში შესვლისა დატეგებულია უკვე ათი წელი იქმნება, მას აქეთ, რაც დრო დამშვიდდა და არღა აქვთ შიში ბედუინების - ველურის ხალხის თავდასხმისა. ეხლა მოგზაურნი შედიან მონასტერში ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულის კარ-მიდამოთი, რომელიც შეიყვანს შიგ გალავანში და არის გამაგრებული მძიმე რკინის კარებითა.

საშუალ ოთხ-კუთხედის შენობისა - ციხისა, რომელიც შეადგენს მონასტერსა, განირჩევა გრძელი ეკკლესია და მის გვერდით დაქცეული მინარეთი.

უზარ-მაზარი კედლები ბაზილიკასი (ეკკლესიისა) ნაცრის, ოქრო-ყომრალის ფერის მაგარ ჯავარიანის ქვისა მოკლებულია ყოველს შვენებასა, გარდა დიდრონის კვიპაროსის ხის ჩუქურთმიანის კარებისა, რომელსაც ხელოვნებით მიაწერენ 8 და 9 საუკუნეთა. საკურთხეველში დაცულია ვერცხლის კუბო, სადაც განისვენებენ ნაწილნი წმ. ქალწულ მოწამისა ეკატერინისა, რომელზედაც წარწერა მოუთხრობს, რომ იგი შეუწირავთ რუსეთის მეფეთა - იოანნე და პეტრე ალექსის ძეთა და დიდს ხელმწიფეს სოფია ალექსის ასულსა 1689 წელს.

ამავე მონასტერში აქვსთ მოხსენება დიდთა შეწირულებათათვის საქართველოს მეფეთა: ვახტანგს, წმ. დავით აღმაშენებელსა და ნეტარს თამარსა.

250 წელს შემდეგ ქრისტეს შობისა, დიოკლეტიანე კეისრის დევნულების დროს ქრისტეანებზედა, მრავალნი

ქრისტეანენი შეეფარნენ სინას უდაბნოში. შემდგომ წმ. მოციქულთა სწორმა ელენა დედოფალმა აღუშენა მათ მცირე ტაძარი ადგილსა ზედა „დაუწველისა მაყვალისა“. მეხუთე საუკუნეში იმპერატორმა იუსტინიანემ ბრძანა აღშენება ორის სავანესი: ერთისა იმ ადგილზედა, რომელზედაც აღშენებულ იყო მცირე ტაძარი ელენა დედოფლისაგან, რომელიც არსებობს აქამდის, ხოლო მეორისა— რაითას, მეწამულის ზღვის კიდეზედა. სინას მონასტრის ეზოში არის დაუწყვეტელი წყარო, რომელსაც უწოდებენ მოსეს წყაროდ. ამ წყაროდან დაალევინა ღვთისა წინასწარ-მეტყველმა ცხოვართა მადიამის მღვდლის იოფორისათა, რომლებიც მორეკეს ამ წყაროზედ ასულთა მღვდლისათა. კეკლუცად, აღმოსავლურად არის მორთული სამხრე „შეუწველის მაყვალისა“, რომელიც არის საკურთხევლის უკან დიდის ეკკლესიისა. აქ შემავალნი წარიხდიან ფეხსაცმელს, ხოლო იატაკი დაფენილია ხალებითა. ადგილი ჩვენებისა მაყვალისა, რომელიც მდებარეობს შუა სამხრეში, არის დაფარულ ვეცხლის თხელის ფიცრითა, რომელზედაც არიან ამოჭრილ მხატვრობა მთებარე მაყვლის ჯაგისა და სასწაულთა, რომელნიც შესრულდნენ ამ ადგილსა ზედა.

მახლობლად ამ სამხრისა, მარჯვენივ მხარეზედ არის დარბაზი, რომლის კარებზედაც არა დიდის ხნის წინად ბერძნულად იყო წარწერა: „სამკურნალო სულისა“; ეს შესანიშნავი ბიბლიოთეკაა ხელ-ნაწერებისა, ფრიად მდიდარი საწყობი ძველადგანთა ეტრადთა (ტყავზედ დაწერილთა), სადედგანაც გამდიდრდენ მრავალნი წიგნთ-საცავნი ევროპისა, და, სხვათა შორის, რუსეთის საიმპერატორო წიგნთ-საცავი ძველადგანის სინას ხელ-ნაწერ დაბადებითა. მაგრამ ეხლა არის კვალადცა ყურადღების ღირსი გროვა ხელნაწერთა სინას წიგნთ-საცავისა; ათას ხუთასი ბერძნული, შვიდასამდის – არაბული, ქართული და სომხური ხელნაწერი მოიპოვება აქ.

ცალკე სამხრეში სახელსა ზედა მიძინებისა ყოვლად-წმიდისა ღვთის-მშობელისა მარჯვენით კერძო არის მღვიმე, რომელშიაც განისვენებენ ნაწილნი წმ. სათნო-ყოფილთა ღვთისათა: ისაკ ასურისა, ეფრემ ასურისა და სხვათა ღირსთა მამათა, მომწყდართა სარკინოზთა მიერ სინას და რაითასა, ეგრეთვე საფლავი ღირსისა მამისა იოანნესი, კლემექსის აღმწერელისა; გარნა შესვლა ამ მღვიმეში აღკრძალულია. მეორე სამხრეში უჩვენებენ ადგილსა, სადაც, ლოცვითა წმიდათა სინაელთა მამათა, გარდამოხდა ოდესმე ზეთი. გარდამოცემა მოუთხრობს, რომელ ერთხელ ერთმა მოსამსახურეთაგანმა გაჰბედა გასყიდვა მნახველთა ზედა ამ ზეთის მცირედის ნაწილისა, და იგი იმ დღიდგან შესწყდა.

ჩრდილოეთის მხრივ სინას უდაბნოისა არის ხილის ბაღი, რომელშიაც არის ძმათა სამაროვანი ეკკლესიით. ეკკლესიის კარებთან არიან ნაწილნი წმ. სტეფანესი, რომელიც ყოფილა მეკარედ სავანესი. იგი განისვენებს სელში მჯდომარედ. მას ზედა ჰმოსია მაუდის პერანგი და კისერზედ აქვს ჩამოკიდებული საბერო კირიელეისონი.

წმიდა ადგილები სინას გარეშეთ.

ოდესაც სინას მონასტრიდამ გაემგზავრებიან მლოცველნი სამხრეთ-დასავლეთით ქორიბის მთის აღმართზედა, იგინი მიაღწევენ ესრედ წოდებულსა **მეწ:ლის ადგილსა**, რომელშიაც მოღვაწეობდა წმ. იოანნე, მეწაღე ხელობითა, შთამომავლობით ქაირიდან. აქედან ნახევარ საათის შემდეგ, ავლენ რა გორაზედ, მიაღწევენ პატარა ეკკლესიასა, სახელსა ზედა ყოვლად-წმიდისა ქალწულისა ეკონომისსა, რომელიც გამოეცხადა სინას მონასტრის იკონომოსისსა და განამტკიცა იგი ძმებითურთ მოთმინება-

ში; რავდენისამე დღის განმავლობაში მონასტრის ძმანი დაშთნენ უსაზრდოოდ, რადგანაც ვერ მიიღეს საგზალი ქაირიდგან, და ბოლოს, შიმშილისაგან შეწუხებულთა, გარდასწყვიტეს, დაეტოვებინათ სინას მონასტერი; გარნა შემდეგ გამოცხადებისა ყოვლად-წმიდისა ქალწულისა, რავდენისამე საათის შემდეგ მოვიდა ქარავანი, ბარაქიანის საგზლით დატვირთული. მოსახსენებელად ამ სასწაულისა არის აღშენებული ეს ეკკლესია.

აქედან ერთის საათის გზის შემდეგ აღვლენ თვით ქორიბის მთაზედ, რომლისა მწვერვალზედ სცხოვრებდა რაოდენსამე ჟამსა დიდებული წინასწარმეტყველი ილია, როდესაც იმალებოდა დევნულებისაგან აქაბ ისრაელთა მეფისა და მეუღლისა მისისა იეზაბელისა. წყარო ცხოველის წყალისა, რომელიც გამოსთხოვა ღმერთსა წინასწარ-მეტყველმა ლოცვითა, მომდინარებს აქვე მეიდანზედა. აქედან დაიწყება ჯღსავალი სინას მთაზედ და ერთის საათის შემდეგ ძნელის აღმართიანის გზისა მიაღწევენ მლოცველნი მთის მწვერვალსა, თვით იმ ადგილსა, სადაც უფალი ეჩვენა მოსეს და მისცა ორნი ქვის ფიცარნი, რომელთა ზედაც იყვნენ აღმოკვეთილ მცნებანი სჯულისა იზრაელის ერისათვის.

ჩრდილოეთის მხრით, ქორიბის მთა-გრეხილზედა, ფრიალო კლდეთა შორის, სდგანან პატარა ეკკლესიანი, რომელნიც არიან აგებულ უბრალო გაუთლელ სიპის ქვათაგან; იგინი არიან ნაკურთხი სხვა-და სხვა წმიდათა სახელსა ზედა: იოანნე წინამორბედისა, წმ. ანნასი, დადებისა პატიოსნისა სარტყლისა ყოვლად-წმიდისა ღვთის-მშობელისა და წმ. პანტელეიმონისა. ღელეში, რომელიც იწოდება ლეჯად, არის სინას მონასტრის მეტოქია ეკკლესიით სახელსა ზედა ორმეოცთა მოწამეთასა; ცოტა მოშორებით მეტოქიდან არის მღვიმე წმ. ონოფრისა, სადაც მან იცხოვრა სამოცი წელი; ამ მღვიმის თავზედ აღშენებულია

პატარა ეკკლესია ღირსის სახელსა ზედა, რათა მიაღწიოს მლოცველმა წმ. ეკატერინას მთასა, საჭიროა ჩაეშვას ღრმა ღელეში, რომელსაც ეწოდება ლეჯა. ამ ღელეში შეხვდება შესანიშნავი ლოდი ათორმეტის ამოჭრილითა. გარდამოცემისაებრ, ამ მყარის კლდისაგან ფოსე წინასწარ-მეტყველმა სასწაულებრივ გამოადინა წყალი იზრაელის მდრტვინველ ერისათვის. ბედუინები ჩასდებენ ამ ამოკვეთილებში ბალახსა, რომლითაც შემდეგ ასაზრდოვებენ თავისს აქლემებსა. გარდასვლის დროს ლეჯიდან რაქიის ღელეში მარცხნივ მოსჩანს ეკკლესია წმ. მოციქულთა პეტრე და პავლეს სახელსა ზედა; უწინარეს აქ ყოფილა მონასტერი. მცირე მოშორებით მარჯვნივ არის სხვა ეკკლესია სახელსა ყოვლად-წმიდის ღვთის-მშობლის შეძინებისა. რაქიის ღელეში, ქორიბის მთის ძირში, უჩვენებენ ბაგარს ჯავარიანს ლოდსა, მიწაში დაღრმავებულსა; მასში არის გამოყვანილ ყალიბი ხბოს თავისა ბუნებიერის სიდიდისა. გარდამოცემა მოუთხრობს, რომ ამ ყალიბის საშუალებითა არონმა ჩამოასხა ხბოს თავი, რომელიც გამოსთხოვეს მას ისრაიტელთა და რომელსაც თაყვანი-სცეს. მცირე მოშორებით აქედამ უჩვენებენ ადგილსა, სადაც მდგარა კარავი წამებისა და სადაც მიწამ შთანთქა დაფან და აბირონი, რომელთაც არ დაიცვეს წესდებულებანი საღმრთო მსახურებისა.

უმაღლესი სინას მთის მწვერვალთა შორის არის მთა წმ. ეკატერინასი. აქ თვით მწვერვალზედ არის აგებული ქვათაგან პატარა სამლოცველო ზედ იმ ქვაზედა, რომელზედაც განისვენებდენ ნაწილნი წმიდა მთავარ-მოწამის ქალწულ ეკატერინასი; ორასის წლის განმავლობაში წმ. ნაწილთ იცავდა ანგელოზი. აქედგან შემდეგ გარდაასვენეს სინას სავანეს 23 ნოემბერსა; ამისათვის ბერძენთა ეკკლესია დღესასწაულობს წმ. ეკატერინას ხსენებასა ამ დღესა, ხოლო 24 ნოემბერსა მისს წამების დღეს დღე-

სასწაულობს, ვითარცა რუსეთისა და საქართველოს ეკ-
კლესიანი. ქორიბის მთის ხეობაში არის ნახევრად დან-
გრეული ეკკლესია სახელზედ „ღვთის-მშობლის – დავი-
თიანისა“. ამის აშენებას მიაწერენ საქართველოს მეფეს,
წმიდასა და მართალს დავით აღმაშენებელს XI საუკუ-
ნეში.

განსხვავებანი საღმრთო წესების შესრულება-ში იერუსალიმისა და რუსეთის ეკკლესიათა შორის.

1. ართლ-მადიდებლობის დღესასწაულის შესრუ-
ლებაზედ დიდ მარხვის პირველს კვირიაკესა
იერუსალიმში შემოუვლიან ჯვრებითა და წმ. ხატე-
ბითა ორ-გზის ქრისტე მაცხოვრის საფლავის სამლო-
ცველოსა (კუვუკლიასა) და ერთხელაც აღდგომის
ვრცელს ტაძარსა; ხოლო შეჩვენების წესს არ აღა-
სრულებენ იქ, ვითარცა მიღებულია საღმრთო წე-
სად და სრულდება რუსეთისა და საქართველოს ეკ-
ლესიათა შორის ყოველსა წელსა დიდ მარხვის პი-
რველს კვირა დღესა. შეჩვენება წარმოითქმება მათ
ზედა, რომელნიც უარ-ჰყოფენ უმთავრესთა დოღ-
მატთა, მართლ-მადიდებელის ეკკლესიისა მიერ აღვია-
რებულთა. წმ. ეკკლესია გამოაცხადებს განდგომი-
ლებად არა მათ, რომელნიც დაარღვევენ ზნეობრივ-
თა ეკკლესიის კანონთა; მათ წმ. ეკკლესია დედობ-
რივ სულგრძელებით მოუთმენს უკანასკნელ შეძლე-
ბამდის იმ იმედითა, რომ სჯულის-კანონის დამარ-
ღვეველნი შეინანებენ და მოიქცევიან ჭეშმარიტების
გზასაზედა. წმ. ეკკლესია შეაჩვენებს, განაშორებს
მათ, რომელნიც უარს-ჰყოფენ მყოფობასა და გან-

გებასა ღმრთისასა, სულიერობასა ღმრთის არსებისასა და უმაღლესთა თვისებათა მისთა, წმ. სამებასა, თანა არსობასა და თანაღირსებასა ძისა ღვთისასა და სულისა წმიდისასა ღმრთისა მამისა თანა; შეაჩვენებს მათ ეგრეთვე, ვინც უარ-ჰყოფს საჭიროებას ქვეყანაზედ მოსვლისას, ვნებათა და სიკვდილსა ძისა ღვთისასა კაცთა ცხოვრებისათვის, ვინც არ შეიწყნარებს მადლსა გამოხსნისასა, ვინც უარ ჰყოფს მარადის ქალწულებასა ღვთისმშობლისას, ვისაც არა სწამს, რომ სული წმიდა მოქმედებდა წინასწარ-მეტყველთა და მოციქულთა მიერ, და აწცა იმყოფება ქრისტეანეთა გულთა შინა და დაადგინებს მათ ყოველს ჭეშმარიტებაზედ; შეაჩვენებს ეგრეთვე მასცა, ვინც უარ-ჰყოფს სულის უკვდავებასა, აღსასრულსა სოფლისასა, საუკუნო სასჯელსა და საუკუნო მისაგებელსა საქმეთა ებრ კაცთასა, ვინც განაგდებს წმ. შვიდთა საიდუმლოთა: შეაჩვენებს ეგრეთვე მას, ვინც უარ-ჰყოფს წმ. შვიდთა მსოფლიო კრებათა და მათ გარდამოცემათა, არ დაემორჩილება სამეფო ხელმწიფებასა, ღმრთისა მიერ დაწესებულსა, და, დასასრულ, ვინც განაგდებს და ჰგმობს წმ. ხატთა. იერუსალიმში ამას არ წარმოსთქვამენ ასარიდებლად უსიამოვნებისა და ასაცილებლად ამბოხებისა, რომელიც შეესაძლებელია მოჰხდეს ქრისტეანობრივის სარწმუნოების სხვა და სხვა აღმსაარებელთა შორის; და ამ უსიამოვნებას შესაძლებელია ხელით შეტაკებაც მოჰყვეს და ერთმანერთის სიწმიდეთაც შეეხნენ და შეურაცხჰყონ.

2. **წესი სიმდგდელოსა ფერხთ-ბანას შესრულებასა ქალაქ იერუსალიმსა დიდს ხუთშაბათსა.** წირვის შესრულების შემდეგ, დილის ცხრა საათზედ გამოვალს სამღვდელოთა დასი სრულის შესამოსლითა. მას წინ მიუძღვის

ოსმალთა სამხედრო მწყობრი წეს-რიგის დასაცავ-ლად. შემდეგ მათ შეუდგებიან კავასები დიდის ყა-ვარჯნებით; მათ მიჰყვებიან რავდენიმე ყმაწვილი ან-თებულის სანთლებითა, ბერნი, მგალობელნი, მთა-ვარ-დიაკონნი სასაკმევლებითა, მღუდელნი, კვალად-ცა მთავარ-დიაკონნი ორ-სანთლითა (დიკირითა) და სამ-სანთლითა (ტრიკირითა) და, დასასრულ, თვით პატრიარქი სრულის შესამოსელითა, მაკურთხეველი ჭრისა ჯვარითა. გამოვლენ ეკკლესიის გარეთ ეზო-ში, სადაც არის ამ შემთხვევისათვის გამართული მა-ღალი ვრცელი ტახტი, მოფენილი ძვირფასის ხალე-ბითა; ამ ტახტზედ ავალს პატრიარქი და დასჯდება მისთვის მომზადებულს ოქროს სელზედ, ხოლო რჩე-ულნი ათორმეტნი სამღვდელონი, მიმღებელნი თა-ნამონაწილეობისა ფერხთ ბანის წესის შესრულებაში, დაიჭერენ თავის ადგილებსა ორსავე მხარეს პატრი-არქისა. შემდეგ აღვალს მოაჯირზედ პატრიარქის მო-ადგილის თანაშემწე და იქიდან დაიწყებს სახარების კითხვასა, ხოლო პატრიარქი ადგება თავის დასაჯ-დომელრდან და მივალს თითოეულ დასახელებულს ამ შემთხვეკისათვის მოკიქულთან, და მისცემს კი-თხვათა, რომლებზედაც იგინი ზეპირად პასუხ-უგე-ბენ, ხოლო ზოგნი რვეულიდან, და შემდეგ განმარ-ტებისა მდაბლად ფერხთამდის თავს მოუდრეკენ მას; შემდეგ პატრიარქი მოიხდის მიტრას, განიძარცვავს სხვათაცა სამღვდელო შესამოსელთა და დაჰბანს ფერხ-თა მათთა. შემდეგ კვალადცა შეიმოსება, ჩამოვა მა-ღალის დასაჯდომელიდან სამის რჩეულის სამღვდელო-თურთ, და იწყებს ლოცვასა მახლობლად იმ ადგი-ლისა, რომელზედაც იკითხებოდა სახარება, ხოლო თანამოგზაურნი მისნი დავარდებიან მიწაზედა ათის ნაბიჯის მანძილზედ. ლოცვის განგრძობაში პატრი-

არქი სამ-გზის მივალს მათთანა და განაღვიძებს მათ. ამას შემდეგ ყოველნი აღვლენ კვალადცა ტახტზედა; პატრიარქს მიართმევენ დიდს კონას ყვავილებისას უსუპის მაგიერად და იგი ამოავლებს მას ვარდის წყლით სავსე თასში და ასხურებს სამღვდელოთა და ერსაცა. დასასრულ, დიდის ზარების რეკითა სამღვდელოთა კრებული იმავე წესითა დაბრუნდება იმავე აღდგომის ტაძარში, საიდგანაც გამოვიდა. ამ საღმრთო წესის სანახავად მრავალი ხალხი იკრიბება ეკკლესიის გარემოს სახლების სართულზედა (ბანებზედა) და მოაჯრებზედა, ვითარცა ქრისტეანები, ეგრეთვე მაჰმადიანები; საზოგადო რიცხვით 30 ათას კაცამდის იქმნებიან მაყურებელნი ამ საღმრთო წესის შესრულების დროსა.

3. ბერძნებს არა აქვსთ წესად მიღებული ღამის-თევით შესრულება მწუხრისა და ცისკრისა იმ სახით და წესითა, ვითარცა რუსეთის ეკკლესიაშია მიღებული. ბერძნები მხოლოდ პირველს ნაწილს ღამის-თევისას, ესე იგი მწუხრსა პურების კურთხევით შეასრულებენ ყოველთვის საღამოთი სამს საათზედ დიდის გამოჩინებით, ხოლო შემდეგ დილით ცალკე ერთი მღვდელი შეასრულებს მეორე ნახევარს ღამის-თევისას, ესე იგი ცისკარს, სრულიად უბრალოდ, ვითარცა სადაგს დღეში, წაიკითხავს მხოლოდ სახარებასა საკურთხეველში, ხოლო გამოსვენება სადღესასწაულო ხატისა, კმევა და ცხება ზეთითა არ იქმნება, და ან კი რით უნდა სცხონ, როცა პურებთან ერთად ზეთს არ აკურთხებენ იგინი.

4. პატრიარქის წირვაზედ, დიდს გამოსვლაზედ, ესე იგი ბარძიმ-ფეშხუმის გამოსვენებაზედ, თანა-წირველთა სამღვდელოთა დაურიგებენ ტრაპეზის ჯვრებსა, გვა დრუცებს (კოლოფებს) წმ. ნაწილებითა და ზოგსაც

ზატებსა; მხოლოდ იმ ჯვარსა, რომელშიაც არის ჩასვენებული ნაწილი ნამდვილის ცხოველსმყოფელის ჯვარისა, არა ვის გარდასცემენ გამოსასვენებლად.

5. სიმბოლოს სარწმუნოებისასა, ესე იგი „მრწამს ერთი ღმერთი“... არა ჰგალობენ, არამედ წაიკითხავს ერთი მღვდელთაგანი აღსავლის კარებში, პირით მიქცეული ერისადმი. ამ დროს მღვდელმთავარნი ემთხვევიან საღმრთოთა ძღვენთა და ტრაპეზსა, შემდეგ ამბორს უყოფენ პატრიარქსა ხელზედა და მხართა ზედა, ხოლო პატრიარქი ამბორს უყოფს მათ თავზედა; მღვდელმთავარნი ურთიერთარს ეამბორებიან ბაგეთა, ხოლო მღვდელნი ემთხვევიან პატრიარქსა და მღვდულმთავართა მარჯვენესა ხელსა ზედა.

6. წირვაზედ მხოლოდ პატრიარქს, ანუ მღვდელმთავარს ანუ სხვა უპირატესსა აქვს კონდაკი და ხმა-მაღლა კითხულობს დაწესებულს საიდუმლო ლოცვათა მოსასმენელად თანამწირველთა, რადგანაც მათგან არავის უპყრია ხელში კონდაკი.

7. ქერუბიმთა საგალობელის შემდეგ რუსეთისა და საქართველოს ეკკლესიებში მიღებულია წესად, რომ მხოლოდ მწირველმა მღვდელმთავარმა წარმოსთქვას ასამაღლებელნი, ხოლო ბერძენთა ეკკლესიაში შემდეგ ქერუბიმთა საგალობელისაც რიგზედ წარმოსთქვამენ ასამაღლებელთა, ვისაც რომელი შეხვდება, განურჩეველად ხარისხისა, არქიმანდრიტი იქმნება იგი, იღუმენი, თუ დეკანოზი ანუ მღვდელი. პატრიარქის თანამწირველობაში თვითონ მე შემხვდა სათქმელად ორი ასამაღლებელი, პირველად მეოთხე ასამაღლებელი, ხოლო მეორედ: „და ღირს-მყენ ჩვენ, მეუფეო, კადნიერებით დაუსჯელად კადრებად და ხდად (მოწოდებად) შენდა ზეცათა ღმრთისა მამისა და თქმად“, თუმცაღა თანამწირველნი ვიყავით რვანი.

8. ბერძენთა ეკლესიაში მიღებულია წესად, როდესაც მღვდელი ან არქიმანდრიტი მიიღებს წმ. ტარიგის ნაწილსა მღვდელმთავრის ხელიდამ, იქვე უნდა დაადგრეს, მოიდრიკოს თავი ოდიკის წინაშე და იქვე მიიღოს წმ. ნაწილი ქრისტეს თვით უხრწნელის ხორცისა და იქვე გაიწმინდოს ხელნი ღრუბელითა ოდიკზედა. ჩვენნი სამღვდელონი იკითხავენ: როდისღა უნდა წაიკითხონ ლოცვა უწინარეს ზიარებისა? საბერძნეთის ეკლესიაში ამ ლოცვას წარმოსთქვამენ თანამწირველნი მღვდელნი უწინარეს მიღებისა წმ. ნაწილისა მღვდელმთავრის ხელიდამ. ხოლო ბარძიმიდან ეზიარებიან ყოველნი თანამწირველნი სამღვდელონი წესისაებრ რიგზედა.

9. ქრისტე მაცხოვრის საფლავზედ კვეთის შესრულების დროს მღვდელმთავარი ანუ მღვდელი მუხლ-მოდრეკით ოქროთი მოქარგულს ბალიშზედა შეასრულებს ამ მღვდელმოქმედებას.

10. იერუსალიმში ბაიობის (ბზობის) ცისკრისათვის არ ამზადებენ ბზას საკურთხებელად და დასარიგებლად მლოცველთადმი. ვისაც სურს იდგეს ეკლესიაში ფინიკის შტოთი, ის წინადვე შეიძენს თავის ფულით ტოტსა და მიდის ეკლესიაში დამზადებულის ფინიკის ტოტითა. ამისათვის ბზობის ჰარასკევსა და შაბათსა არაბთა მოაქვსთ ფინიკის ტოტები გასასყიდათ და ეკლესიის გარეთ ეზოში ჰყიდიან, ორი შაურიდან დაწყებული ვიდრე ორ მანეთამდის თითო ტოტს. სიდიდისა და სიმშვენიერის მიხედვით.

11. **ადგომას მწუხრის შესრულება იერუსალიმში.** ორ საათზედ შუადღის შემდეგ დაიწყება ქრისტე მაცხოვრის ეკლესიაში გამოჩენილი ცერემონიალური მწუხრი პასექის პირველის დღისა. პატრიარქს შეიყვანენ ეკლესიაში განსაკუთრებულის ცერემონიი-

თა: მრთელი გზა ტაძრამდის და თვით ტაძარშიაც ტრაპეზამდის მოფენილია ყვავილებითა, ხოლო მის შესვლაზედ ეკკლესიაში წვიმასავით ესვრიან ვარდისა და სხვა ყვავილების კონებსა გალლერეებიდამ; პატრიარქს წინა უძღვიან ათი მთავარ-დიაკონი ორტოტიანის სასანთლეებითა, შემდეგ მიაქვსთ ათორმეტი რიპიდა (გრძელ ტარიანი ხატი სერაბიმთა), ხოლო მას შემდეგ შეუდგებიან ასამდი მღვდელნი მდიდარის სამოსელითა, და შესვლისათანავე ტაძარში დაიწყება გამოჩინებით შესრულება მწუხრისა. საზარებას კითხულობენ რვა ენაზედა; მწუხრის დასრულების შემდეგ პატრიარქი და მღვდელმთავარნი, მტვირთველნი ხელთა თვისთა ჯვართა და სახარებათა, დაჯდებიან სელში (კრესლოში) და ერი, ვითარცა აღდგომის ცისკარზედ, მივალს მათთან ქრისტეს აღდგომის მისალოცავად.

12. **Ზოგადი ხმარება კამილავკისა ბერძენთა სამღვდელოებისა** ძალრ. იერუსალიმში და საზოგადოდ ბერძენთა ეკკლესიაში წესად მიღებული აქვს სამღვდელოებას კამილავკით თავის დაბურვა განურჩეველად ხარისხისა, მღვდელია, მონაზონი ანუ თუ მთავარდიაკონი, მხოლოდ კამილავკები შავის ხაევრდისაა და არა ფერადისა; ვითარცა მიღებულია ჩვენში. ამისთვის პატრიარქის მხრით დიდი პატივის ცემა იყო ჩემის ხარისხისა, რომ ნება მიბოძა წირვისა თავ დაუბურველად კამილავკითა. ბერძენთა ეკკლესიაში არიან მიღებულ მხოლოდ შემდეგნი ჯილდონი სამღვდელო პირთათვის: პანაგია (რგვალი ხატი ღვთისმშობლისა ანუ მაცხოვრისა) გულზედ სატარებელად მღვდელმთავრისაგან, ვითარცა მღვდელ-მოქმედების დროსა, ეგრეთვე გარეშე ეკკლესიისა, როგორც კუთვნილება სამღვდელმთავრო ხარისხისა, და მიტრა თავზედ დასახურავად,

ვითარცა გვირგვინი, მხოლოდ საღმრთო მოქმედების დროს მღვდელმთავრისათვის; ჯვარი გულზედ სატარებელი არქიმანდრიტისა მიერ, და ენქერი, რომლითაც იმოსებიან, ვითარცა სულიერის ხრმალითა: მღვდელმთავარნი, არქიმანდრიტები და წარჩინებულნი იღუმენნი და დეკანოზნი.

13. ათონის ბერძენთა რომელსამე მონასტრებში დიდს გამოსვლაზედ, პატიოსანთა ძღვენთა გამოსვენების ჟამსა, მღვდელი მოიხსენებს მხოლოდ: „თქვენ ყოველნი მართლმადიდებელნი ქრისტეანენი მოგიხსენოს უფალმან ღმერთმან სასუფეველსა თვისსა“... ამას წარმოსთქვამს მღვდელი ოთხ გზის ოთხ მხარეზედ მიბრუნებით და შემდეგ პირდაპირ შევალს საკურთხეველში.

14. ვინაიდგან ყოველს სამშაბათს წმ. ეკლესია აღასრულებს ხსენებასა წმ. დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესსა, ამისათვის მის სახელის მონასტერში იერუსალიმს თითოეულს სამშაბათს დიდმარხვისას შესრულდება პირველ-შეწირული წირვა. ამ წირვაზედ შეინიშნება შემდეგი განსხვავება: პირველს მუხლს „წარემართე ლოცვა ჩემი“ ჰგალობს საკურთხეველში მწირველი მღვდელი, ხოლო შემდეგი მუხლები იგალობებიან კლიროსზედ (საწიგნეზედ) და უკანასკნელს მუხლს „წარემართე ლოცვა ჩემი“ ჰგალობს კვალადცა მწირველი მღვდელი საკურთხეველში; ამ დროს არავინ მუხლს არ მოიდრეკს ეკლესიაში არცა სამღვდელოთაგანი და არცა ერისაგანი. გარდა ამისა, თითოეულის მუხლის გალობის შემდეგ, მწირველი მღვდელი იცვლის ადგილს ტრაპეზის წინაშე: პირველად იგი სდგას და უკმევს ტრაპეზის წინ, მეორე მუხლის გალობის დროს გარდადის მარჯვენით კერ-

ძო ტრაპეზისა, შემდეგ—მარცხენა მხარეს, დასასრულ—უკანა მხარესა და სრულიად ბოლოს—კვალადცა წინა მხარესა.

15. იერუსალიმის ქრისტე მაცხოვრის აღდგომის ეკკლესიაში მართლმადიდებელთა ტრაპეზი არის სიგანით ექვს ადლამდის განიერის ფერხ-დასადგმელით წინადგან. სანაწილე ამ ტრაპეზზედა არის მალახიტისა (მწვანე მარმარილოსი) ეკკლესიის მსგავსად, ტრაპეზს ზევიდამ ადგია მარმარილოს საჩრდილობელი, რომელიც სამღვდელოთა ზიარების დროს დაიფარდების გარეშე მაყურებელთაგან, რომელნიც მრავლად იმყოფებიან საკურთხეველში გამოჩენილს დღესასწაულებში; ხოლო ზევით სართულიდამ მრავალნი დედანიც დაუბრკოლებელად უყურებენ ყოველთა და ყოველსავეს, რაც კი მღვდელ-მოქმედება სრულდება საკურთხეველში.

დაბრუნება პალესტინიდგან

ვნისის 16 შესრულდა სწორედ ერთი თვე ჩემის სამშობლოდგან გამომგზავრების შემდეგ და სწორედ ამ დღეს ვესალმები პალესტინასა, წმ. ქვეყანად წოდებულსა. შუადღის 12 საათზედ ვსხდებით ნავებში, რომლითაც ცეცხლის გემზედ უნდა გადავიდეთ სამის ვერსის მანძილზედ. დიდი ღელვა და ფრთონაა. როდესაც ნაპირზედ მოაყენეს ნავი გადასასვლელად, მე გადავდგი ფეხი ნავში ჩასაჯდომელად; ამ დროს ტალღამ უეცრად მოიტაცა ნავი ნაპირიდგან და ერთი ფეხით ზღვაში შევრჩი; გადმოვიქნიე ხელი უკან და იქ მდგომმა კავასმა, ნიკოლოზ შავმთიელმა, რომელიც იერუსალიმიდგან გამოგვაყოლეს, მტაცა მარდად ხელი თითის

ეკკლესია
ცხოველს მყოფელის საფლავისა უფლისა იერუსალიმში.

წვერებზედ და დამიხსნა ზღვის უფსკრულისაგან. დიდი ტირილი შეიქმნა ნავებში მამრთა და მდედრთა ზღვის ფრთონისა გამო. შიშის ზარმა მოიცვა ყოველნი, რადგანაც ტალღები ორის-სამის საჟენის სიმაღლეზედ ისროდნენ ნავებსა. ერთმა მოხუცმა პოლკოვნიკმაც-კი, რომელიც უკანასკნელ რუს-ოსმალთა ბრძოლის დროს ზარბაზნების ქუხილით და კომლით იყო გამოწვრთილ, ზღვაზედ მხილველმა საშინელის ტალღებისამ და შეშინებულმა მორთო ტირილი; სამხედრო კაცი ვამხილე სულ-მოკლეობისათვის და სხვანიც გავამხნევე სარწმუნოებითა და სასოებით ღმრთისა მოწყალებაზედ. მადლობა ღმერთსა, კეთილის მყოფელსა ჩვენსა! ყოველნი მშვიდობით გადავრჩით აძ დიდს განსაცდელსა. მენავენი, ადგილობრივნი არაბნი, დიდად დახელოვნებულნი არიან ნავოსნობაში; ტალღები რომ წამოვიდოდა, დიდის შრომით და გამოცდილებით ააცილებდნენ ხოლმე ნავსა, რომ ნავში არ გადმოსულიყო წყალი. წარსულს წელს სწორედ ამ თვეში, ამ გვარისავე დიდის ღელვის დროს, ამავე ადგილს გადაბრუნებულიყო ერთი ნავი, რომელშიაც ყოფილიყო დედა ორის შვილით; დედა და ვაჟი დაირჩენენ და პატარა ქალი-კი დაიხსნეს მენავეთა დარჩობისაგან.

17 ივნისს, დილის რვა საათზედ, მოვედით მშვიდობით ქ. ბეირუთსა, იაფფიდგან დაწყებული აქამდე არ და სცხრა ღელვა ზღვისა. ტრიპოლის ქალაქს მოვედით საღამოს რვა საათზედ. დაღამების გამო აქ გაჩერდა ორთქლმავალი, რადგანაც ბარგის მიღება და გარდაცემა არ შეიძლებოდა გათენებამდის.

18 ივნისს, დილის რვა საათზედ, გამოვედით ტრიპოლის ქალაქიდგან. ცეცხლის გემზედ, რომელსაც „როსსია“ ეწოდება, წამოვიდნენ ბეირუთის ქალაქიდამ იქაურ უნივერსიტეტის სტუდენტები, რომელნიც მიემგზავრებოდნენ კონსტანტინეპოლს ეგზამენისათვის; ესენი საუბ-

რობდნენ ოსმალურად, არაბულად, ფრანგულად და ბერძ-ნულად. და, სარწმუნოებისა და ეროვნების განურჩევ-ლად, ერთგვარად ეცვათ და თავზედ ყველას წითელი ფესი ეხურა. სირიის ქალაქ ბეირუთში 1893 წელსა რო-მის პაპას ლეონ XIII-ს დაუარსებია იეზუიტების ხელმძღ-ვანელობის ქვეშ სკოლა დიდის სახელ წოდებით „კათო-ლიკეთა უნივერსიტეტი.“

19 ივნისს, საღამოზედ, გემზედ შევასრულეთ მწუხრი და ცისკარი; ერთმა ათონელმა რუსის მონაზონმა მეორე ადგილს წინადვე იწყო ღვთისმსახურების შესრულება, მლოცავნი საწირავს აძლევდნენ, ხოლო როდესაც მღვდე-ლნი შევასრულებდით ღვთის-მსახურებასა, უსასყიდლოდ იყო მოსმენა ლოცვისა, სახარების მცნებისაებრ: „უსას-ყიდლოდ მიგიღებიეს, და უსასყიდლოდ მიჰსცემდით“. (მათ. 10,8.)

21 ივნისს, ორშაბათს, დილის შვიდს საათზედ მოვე-დით ქ. სმირნას. ვილოცეთ აქ წმ. იოანნე ღვთისმეტყვე-ლის ეკკლესიაში, რომელშიაც კანკელი ნიგვზის ხისაა. ზედ ხელოვნურად ამოჭრილია ჩუქურთმით წმ. იოანნე ღვთისმეტყველისა, მთავარ მოწამე გიორგისა და წმ. ნი-კოლოზ მღვდელმთავრის საკვირველთმოქმედის ღვაწლნი და სრული ცხოვრება. ამ ეკკლესიაში უჩვენებენ ბერძ-ნულს სახარებას, ვითომც მოც. იოანნე მახარებელის მი-ერ საკუთარის ხელით დაწერილს; მაგრამ ამ ერთს წიგნ-შია მოთავსებული სხვა სამი სახარებაც, არცა ტყავზედ არს დაწერილი, არამედ გასანთლულ ქაღალდზედ, შიგ არიან დახატულნი ოთხნი მახარებელნი ფერადის სა-ღებავით სხვა რაიმე შესანიშნავი არა მოიპოვება-რა მას-ში; უჩვენებენ ამ სახარებას იმისათვის, რომ ისარგებლონ შემოსავლით მნახველთაგან; ცხადია, რომ ეს სახარება მოციქულთ დროებისა არ არის.

თუში მონაზონი ათონზედ.

ქალაქ სმირნიდგან გამოვედით 22-ს ივნისს, საღამოს 7 საათზედა, და სტამბოლს მოვედით 24 ივნისს, დილის ოთხს საათზედა. აქ დავდექით 26 ივნისს შაბათს ოთხს საათამდე. სტამბოლში გამოვლაზედ აღარ შევსულვარ არც ერთს რუსის მონასტრის მეტოქიაში. მეტოქიები აქვს კონსტანტინეპოლში სამ ათონის რუსთა მონასტერსა და ეს მეტოქიები წარმოადგენენ ოთხ, ხუთ-სართულიანს სახლებსა შინაგან მოწყობილის ეკკლესიებითა. ამ მეტოქიებში წესად აქვთ მიღებული ყოველ დილით ქალაქის გლახაკთა თეთრს პურს დაურიგებენ ხოლმე თითო გირვანქობითა, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩეველად; ხოლო შაბათობით ზოგს მათგანს წვრილს ფულსაც აძლევენ მოწყალების სახით. ამ ქრისტეანულ სასიქადულო სათნოებასთან ვერ შემოიანხმებია ერთი შემთხვევა, რომელიც ათონის ქართველთა სავანეში მიამბეს წარსულის წლის ენკენისთვეში. სტამბოლში მისულიყო საქართველოდგან ერთი ჩვენის ეროვნების ახალგაზდა თუშთაგანი. გემზედ ფული თურმე მოჰპარეს, დარჩა ცარიელი უცხო ქვეყანაში, უმეცარი ადგილობრივთა ენათა. ამ გაჭირვებაში მიჰმართავს თურმე რუსის მონასტრის მეტოქიას, რომელსაც ხუთ-სართულიანი სახლი აქვს სტამბოლ'ში, სთხოვს შეწყნარებას და ღამის გატარებას მათს საფარველს ქვეშე; არ მიიღეს თურმე იგი უცხო და დაივიწყეს სახარების მცნება: „უცხო ვიყავ. და შემიწყნარეთ მე“ (მათ. 25, 35). არ მიიღეს იგი, ცხადია, იმისათვის, რომ არ იცოდა რუსული ენა, არ ეცვა სერთუკი ანუ კაბა მორჩილისა; არამედ ემოსა ქართული ჩოხა და ეხურა თავს თუშური ქუდი, თუმცა ის თავის მართლ-მადიდებლობას პირჯვარის გამოსახვით არწმუნებ-

და. როდესაც მიდიოდა იგი ქალაქ გარედ მინდვრად და აპირებდა იქ ღამის გათენებას, მაშინ ღმერთმან მოუვლინა, ვითარცა მფარველი ანგელოზი, დროებით სტამბოლში მყოფი ქართველი სილოვან ანტონის ძე, რომელმაც ძმობრივის სიყვარულით შეიწყნარა იგი, და წაიყვანა თავის სადგომში და სიამოვნებით გაატარებინა ღამე: მეორე დღეს სამგზავრო ფულიც მისცა, გემზედ აიყვანა და გაამგზავრა ათონის მთისაკენ. მე ვგონებ მისი არ შეწყნარება რუსის სავანეში მოჰხდებოდა უცნობელად უფროსთა ძმათა, მდაბალ, განუვითარებელ მორჩილთა უმეცრებითა, რომელნიც მეკარედ სდგანან.

ეს ჩვენი სამშობლოს შვილი აწ ღირსეულად ჰმოღვაწეობს ათონის ქართველთა სავანეში.

დრონი იცვალნენ! სახელოვანი ტომი ქართველთა ერისა—თუშნი, ქებულნი თვისის რაინდობითა და მამაცობით რამდენსამე საუკუნეს განმავლობაში, დასახლებულნი ქართველთა მეფეთაგან კავკასიის მთის მწვერვალზედ, დაღისტნის საზღვარზედ, შიშის ზარს სცემდნენ ლეკეა, ჩაჩანთა და დიდოთა თავისის ვაჟკაცობითა და მედგარის მამაცობითა და ლომებრ ბრძოლითა შამილის დამორჩილებამდე. ერთი მათ შვილთაგანი დღეს იხსნის ლეკსულსა ხმალსა, თავისს ერთგულს მეგობარსა ყოველსა გაჭირვებაში მტრებთან საბრძოლველად, და ჯანითა და ღონით სავსე ახალგაზრდა, ოცის წლის ჭაბუკი, იღებს სულიერს ხრმალსა, ესე იგი, სიტყვასა ღვთისასა; დასდებს ფარსა, მტერთა მოსაგერებელსა, და იპყრობს ფარსა სარწმუნოებისასა; იხდის თავიდან რკინის ჩაფხუტსა და დაიდგამს ცხოვნებისას; განიძარცვავს წვრილ თვალთა ჯაჭვსა რკინისასა და შეიმოსს სიმართლესა; მოიხსნის ვერცხლის სარტყელსა და შეიმოირტყამს ჭეშმარიტებასა, ჩამოიხსნის თავის ერთგულსა თოფსა, მეხებრ მგრგვინავსა დღესა ბრძოლისასა, დასაშრეტელად განხურვებულთა ისჯართა

ბოროტისათა (ეფესელთ. 6; 13—17.) ერთის სიტყვით, ქვეყნიერი უშიშარი მხედარი ხელმწიფისა შეიქმნება ზეციერის მეუფის კეთილ-მორწმუნე მხედრად! თუში მონაზონი, ისიც 19 საუკუნის დასასრულს, ეუცხოვება ყურს. აქ არის განსაკუთრებული მოწოდება ზენაით. ეს ჩვენის საყვარელის სამშობლოს შვილი საზღვარ გარედ მიისწრაფის, რათამცა დაფარულ ჰყოს თვისთაგან მოღვაწეობა თვისი სულიერი და დაუბრკოლებელად ჰმსახუროს უფალსა იესო ქრისტესა, სიტყვისაებრ სახარებისა: „ყოველმან, რომელმან დაუტეოს სახლი, მამა ანუ დედა თვისი, ცოლი ანუ შვილნი, ძმანი ანუ დანი, ანუ აგარაკნი, სახელისა ჩემისათვის, ას წილად მიიღოს და ცხოვრება საუკუნო დაიმკვიდროს“ (მათ. 19, 29.) ეს ჩვენი ძმა დღეს აღასრულებს ამ მცნებასა უფლისა მაცხოვრისასა. ვისურვებთ, რათა ღმერთმან მიანიჭოს მას ძალი და მადლი კეთილად მოღვაწეობისათვის ამ ახალს სასულიერო სარბიელზედ; სარწმუნოება მტკიცედ დაიცვას და დასასრულ მიიღოს აღთქმული ჭეშმარიტთა მოღვაწეთათვის დაუჭკნობელი გვირგვინი სასუფეველსა ცათასა. ამ გვარნი უმრწემესნი ძმანი უნდა შევიწყნაროთ ქრისტეს სახელით, თორემ ჯვრებითა და ორდენებით შემკობილთა ყოველგან ჯეროვანს პატივსა სცემენ.

ერთი ამ გვარი ამბავი მე შემემთხვა 1885 წელსა 13 აგვისტოს კიევის ლავრის საკრებულო ტაძარში. მივედი ცისკარზედ ღამის ორს საათზედ. მლოცავნი მრავალნი იყვნენ. შესვლა ტაძარში გამიძნელდა. ბოლოს ვნახე ერთი მორჩილი, ეკკლესიად შემავალი. ვთხოვე, როგორმე შემიყვანე-მეთქი ეკკლესიაში; მან მითხრა: „მომკიდე მაგრად ხელი ქამარში და მომყევიო“. როგორც იყო, მიმიყვანა დიდის შრომით სამკითხველო ადგილამდის (კლიროსამდის); სიცხისაგან გული შემიწუხდა; როდესაც ავდგი ფეხი კიბეზედ კლიროსზედ ასასვლელად,

მაშინ შემომხედა მკაცრად ოქროს ჯვარით მოსილმა მონაზონმა, რომელიც ჰლოტბარობდა ხოროზედ და მითხრა უპატივცემულოდ: აქ ყველასათვის ადგილი არ მოიპოვებაო; ამ დროს გადავიწიე გარე ანაფორა, რომლის ქვეშაც ვატარებ ოქროს ჯვარსა და ორდენს; ამისი მხილველი მამა იღუმენი შეკრთა, დიდის ბოდიშით მომატანა ხელი, მაშინვე ამიყვანა კლიროსზედ და დამიჯდომა სელი შესასვენებლად.

26 ივნისს, შაბათს, ნაშუადღევის ოთხს საათზედ ცეცხლის გემით „აზოვი“-თ გავემგზავრენით წმ. ათონის მთაზედ. ამავე გემმა პირველად მიგვიყვანა ქ. ოდესსიდამ იაფფამდის და ეხლაც მასვე შეჰხვდა, თვე-ნახევრის შემდეგ, ჩვენი წაყვანა ათონის მთამდე. გემი ძველი მოწყობილობისაა, ზღვაში მცირე ღელვის დროსაც ირყევა, მაგრამ ამ გარეგანს ნაკლულევანებას ავსებს მისი უფროსი (კაპიტანი) ბ-ნი პავლე ვიქტორის ძე ნაგორსკი, კაცი დიდათ კეთილშობილი და კეთილ-მსახური; იგი მზა იყო ყოველთვის შეესრულებინა ჩვენი თხოვნა ღვთის მსახურების შესახებ, თავისუფლად გვაძლევდა ნებას ბაქანზედ ლოცვის შესრულებისაჰ, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა თვითონაც და ხელქვეევითნიცა მისნი. აგრეთვე ყურადღებას აქცევდა მოგზაურთ მაშინ, როდესაც ვინმე ჩვენთაგანი გავიდოდით სტამბოლში, ანუ სხვა ზღვის პირას მდებარე ქალაქს სასეირნოდ და, უკეთუ დანიშნულს საათზედ ვერ მოუსწრობდით საუზმესა და სადილზედა, გემის უფროსი ნაგორსკი ვალდებულად ჰყოფდა მზარეულთ უხუცესსა, ჩვენთვის საუზმე ანუ სადილი შეენახა და ამისათვის განსაკუთრებული სასყიდელი არ გამოერთმევინა. სხვა გემის უფროსები კი ამას ყურადღებას არ აქცევდნენ: თუ ვერ მივუსწრებდით სადილს, ჩვენის ფულით უნდა გვესადილნა. ანუ კიდევ დიდის ღელვის დროს, როდესაც გემი აკვანივით ჭანაობს და ამისათვის

ჭამა და სმა შეუძლებელია მათთვის, ვისაც გულის ზიდვა მოსდის ამ დროს, ღელვის დამშვიდების შემდეგ, თუ მოვითხოვდით სადილს, ანუ საუზმეს, ან ყავას და ჩაის, ამისათვის საკუთარი ფასი უნდა გარდამეხანდა, თუმცა მრთელის მგზავრობის დროს საზრდოს საფასე წინადვე ჰქონდათ აღებული პასსაჟირებისაგან. ოდესსიდგან სტამბოლამდის „აზოვის“ გემზედ ღვინოც გვეძლეოდა საუზმისა და სადილის დროს, ხოლო სტამბოლიდგან ოდესსამდის აღარ მოიტანეს ღვინო სხვა გემზედ.

წმ. ათონის მთა.

ემდეგ წმ. ქალაქ იერუსალიმისა, რომელშიაც სისხლის ვნებათა მიერ და ჯვარცმითის სიკვდილით განხორციელებულმა ძემან ღვთისამან შეასრულა საიდუმლო ჩვენის ცხოვნებისა, და შემდეგ სხვათა ადგილთა პალესტინისათა, განწმედილთა ცხოვრებითა და ღვაწლითა გამოუთქმელის სიყვარულისა და მოწყალებისა უფლისა მაცხოვრისა, არის უპირველეს წმ. ადგილთა შორის ათონის მთა; აქ, ამ მთაზედ მშვიდობით მოღვაწეობენ თვისთა სენაკთა შინა კაცნი, რომელთაც უარ უყვიათ პატივი, დიდება, სიმდიდრე, საერო ცხოვრება და შეუწირავთ თავნი თვისნი განსაკუთრებით სამსახურებლად ერთისა ჭეშმარიტისა ღმრთისა მიმართ და ღვთის სათნო საქმეთათვის.

წმ ათონის მთა ქრისტეს შობამდისაც იყო ეგრეთვე შესანიშნავი; აქ, ვითარცა ეხლა, მოვიდოდენ მრავალნი მლოცავნი, მხოლოდ იმ განსხვავებითა, რომ აქ მაშინ შეასრულებდენ წარმართობის დღესასწაულთა და შესწირვიდენ მსხვერპლთა კერპს აპოლლონსა, რომლისაც უმთავრესი სამლოცველო იყო ათონის მწვერვალზედა. გარნა განვლეს წარმართთა სიძველის საუკუნეთა და წმ.

ათონის მთაზედაც, ჩქარა შემდეგ უფლის ამაღლებისა, მოეფინა წმ. სახარების ნათელი. ათონის მთა შეადგენს ნახევარ-კუნძულსა, სამის მხრით ეგეის ზღვით გარე მოცულსა; სივრცით არის ასს ვერსამდის; დასავლეთის მხრით უერთდება მაკედონიის ქალაქს სალონიკესა ვიწრო ყელითა. ისტორია გვაძლევს ცნობებს მასზედ, თუ როდის დაიწყო მონაზონობა ათონზედა. მიღებულია დასაწყისად მონაზონობისა ათონზედ მეცხრე საუკუნე. ე. ი. ის დრო, როდესაც დაბინავდა აქ ღირსი მამა პეტრე ათონელი; მაგრამ არიან ნაწყვეტნი ჩვენებანიც, რომ წმ. მთაზედ განდეგილთა სავანენი არსებობდა მეხუთე საუკუნის დასაწყისშიაც.

ათონის მთა და საქართველო ითვლებიან ღვთისმშობლის ნაწილად. ეკკლესიური გარდამოცემა მოგვითხრობს ამაზედ შემდგომსა: როდესაც წმ. მოციქულთა იერუსალიმში, შემდეგ უფლის ამაღლებისა, ღვთისმშობლის თანადასწრებითა, განიგდეს წილი მასზედ, თუ ვის რომელი მხარე ერგებოდა სახარების საქადაგებლად, მაშინ დედა ღვთისას შეხვდა საქართველო, მაგრამ ანგელოზმა უფლისამ აუწყა, რომ მის მზრუნველობას მიენდობა სხვა მხარე, ხოლო საქართველო განათლდება სახარების სწავლითა შემდგომ. ამ დროს, წმ. ლაზარეს, მეოთხე დღეს მკვდრეთით აღდგენილსა, რომელიც იმყოფებოდა ეპისკოპოსად კვიპროსის კუნძულზედა, გულით ჰსურდა ხილვა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისა, მაგრამ დევნულებისა გამო ქრისტიანეთა ურიათაგან, ეშინოდა მოსულიყო იერუსალიმში. ღვთისმშობლის თანხმობისაებრ წარმოგზავნა მისთვის გემი, რომელზედაც გაემგზავრა იგი კვიპროსს მოციქულით იოანნე ღვთისმეტყველითურთ და სხვათა მოციქულთა მოწაფეებითურთ; მგზავრობის დროს დაუბერა ძლიერმა პირქარმა და გაიტაცა გემი ათონის მთისაკენ, რომელიც სავსე იყო მაშინ კერ-



წმიდა ათონის მთა.

პებითა და მათ შორის იყო შესანიშნავი კერპი აპოლ-
ლონისა, რომელიც აძლევდა პასუხსა ყოველს კითხვებ-
ზედ ყოველთა მისრულთა მისდამი. მიეახლა თუ არა
ყოვლად წმიდა ქალწული ზღვის ნაპირსა, კერპთა დაი-
წყეს ხმა მაღლა ძახილი: „ერნო შემცდარნო აპოლლო-
ნისა მიერ! წარვედით კლიმენტის სადგურზედ (სადაც
ეხლა იმყოფება ივერიის საქართველოს კარისა ღვთის-
მშობლის მონასტერი) და თაყვანიეცით ღედასა დიდისა
ღმრთისა იესოსსა.“ ესრეთ წინააღმდეგ თავის ნებისა, ეშ-
მაკნი, რომელნიც იმყოფებოდნენ კერპებში, იძულებულ
იყვნენ უწყებად ჭეშმარიტებისა, ძალდატანებულნი ძა-
ლითა ღვთისათა. ესმათ რა სიტყვები კერპებისა, ერი
განცვიფრდა და ყოველნი გაეჩქარნენ ზღვის ნაპირად
დასახელებულ ნავთ სადგურისაკენ. იხილეს რა გემი და
ღედა ღვთისა,მათ მიიღეს კეთილ მოწიწებით და ჰკი-
თხავდენ: ვითარ შვა მან ღმერთი და რა არს სახელი მი-
სი? ყოვლად წმიდა ქალწულმა აუწყა ერსა იესო ქრის-
ტეზედ და ყოველნი დავარდენ და თაყვანი-სცეს მისგან
შობილსა ღმერთსა, და უჩვენეს მას ყოველნი პატივის-
ცემანი და შემდეგ ირწმუნეს და ნათელ იღეს. მრავალნი
სასწაულნი ჰქმნა იქ ღვთისმშობელმა და დაუდგინა მო-
ძღვრად ახალ ქრისტიანეთა ერთი მოციქულთა მოწა-
ფეთაგანი, ხოლო შემდეგ განიხარა სულითა და სთქვა:
„ადგილი ესე იყავნ ჩემდა წილად მოცემულად ჩემ-
და ძისა და ღმრთისა ჩემისაგან; მადლი ღვთისა იმყოფე-
ბოდეს ადგილსა ამას ზედა და აქა მცხოვრებთა ზედა,
რომელნი დაიმარხვენ მცნებათა ძისა და ღმრთისა ჩემი-
სათა სარწმუნოებითა და კეთილმოწიწებითა. ხოლო სა-
ხმარნი ცხოვრებისათვის ქვეყანაზედა კეთილნი იქმნებიან
მათდა მცირედის შრომით ნაყოფიერნი და არა მოაკლ-
დეს წყალობა ძისა ჩემისა ამ ადგილსა ვიდრე აღსასრუ-
ლადმდე სოფლისა. ხოლო მე ვიქმნები მფარველი ამ ად-

გილისა და წინაშე ღმრთისა მხურვალე შუამდგომელი.“ სთქვა რა ესე, დედა ღვთისამ აკურთხა ერი და წარვიდა კვიპროსის კუნძულზედა ლაზარეს სანახავად.

და აღთქმათა თვისთა შესახებ ათონის მთისა ღვთის მშობელი იცავს ცხადათ ყოველთათვის. ვითარნი ქარტეხილნი არ გამოსცადა ათონმა, ვითარნი დევნულებანი არ მოითმინა? გარნა აქამომდის სდგას იგი შეურყეველად, განშვენებული თვისის საკანეებითურთ. იგი შეადგენს აღმოსავლეთში მართლმადიდებლობის გოდოლ-ბურჯსა. დაცემათა და შევიწროებათა ლათინთაგან ჯვაროსანთა ომების დროსა და ოთხის საუკუნის განმავლობაში თურქთა მფლობელობის დროს ვერ შემუსრეს ეს გოდოლი, — ეს კიდობანი სიწმიდისა, რითაც მტკიცდება, რაოდენისამე სახით, გარდამოცემა, რომ ათონი დაშთება სამკვიდრებელად მონაზონთა ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა.

რუსთა წმ. პანტელეიმონის მონასტერი წმ. ათონის მთაზედ.

ივნისის 27, კვირას, ნაშუადღევის 4 საათზედ მოვედით მშვიდობით წმ. ათონის მთის ძირამდე. ნავთსადგური ორს ვერსზედ არის დაშორებული რუსთა წმ. პანტელეიმონის მთავარმოწამისა და მკურნალის მონასტერზედ. ამ მონასტრის მონაზონთა თავისის ნავით წაგვიყვანეს მონასტრამდე; მოგვცეს ბინა ერთს ოთახში მე და ერთს რუსის მღვდელს იერუსალიმიდგან ჩემთან ერთს გემზედ წამოსულს. ჩემი თანამოგზაური მ. დეკანოზი სოლომონი კი სტამბოლიდგან თავისის სახლობით ოდესისაკენ გაუმგზავრა, რადგანაც მეუღლით იყო, და დედათ-კი ჯკრძალული აქვთ ათონზედ ასვლა.

28 ივნისს, საღამოს 8 საათზედ, მცირე მწუხრის შემ-

დეგ, იწყო საკრებულო მონასტრის ტაძარში ღამისთევით შესრულება მწუხრისა და ცისკრისა და მთელს ღამეს გაგრძელდა იგი, დილის 5 საათამდის. მეც ვალდებულ ვიყავ დავმორჩილებოდი მონასტრის ტიბიკონს, თუმცაღა ჩემთვის ძნელი იყო მთელს ღამეს ფეხზედ დგომა და უძილობა ჩემს წლოვანობაში. მაგრამ სასუფეველისათვის ღვთისა კაცმა უნდა „განვლოს იწრო ბჭე და საჭირველი გზა“ (მათ. 7, 14); „სასუფეველი ცათა იიძულების, და რომელნი აიძულებდენ (ძალს მოიხმარებენ მოღვაწეობაში), მათ მიიტაცონ იგი“ (მათ. 11, 12).

29 ივნისს, დღესასწაულსა თავთა მოციქულთასა პეტრესა და პავლესსა, მეც თანამწირველ-ვიყავ. წინამძღვარი მონასტრისა, მამა არქიმანდრიტი ანდრია, თითონაც მწირველი იყო და 12 თანამწირველნი ვიყავით. წინამძღვარს მიტრაზედ ჯვარი აქვს, მკერდზედ ჰმოსია არქიმანდრიტობის ჯვართანა პანაგიაცა ჯვარცმის ხატითა.

ამ პანაგიით დაუჯილდოვებია იგი პატრიარქს იოაკიმეს კეთილის სამსახურისათვის; პანაგიას მხოლოდ მღვდელმოქმედების დროს ატარებს მ. არქიმანდრიტი და მისის სიკვდილის შემდეგ მისთა მოადგილეთ უნდა ატაროონ. წირვის შესრულების ჟამს, ასამღლებელთა წარმოთქმაზედ: „მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“... და „იყავნ წყალობანი უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა“... ეგრეთვე მოიღო ჯვარი ტრაპეზიდგან და აკურთხა ერი, აღსავლის კართა გაღებით, ვითარცა ზევით მოვიხსენე იერუსალიმს რუსთა მონასტერში გარდახდილ წირვის შესახებ; აგრეთვე აკურთხა სეფისკვერნი სინით; დიდს გამოსვლაზედ აქაც ზურგზედ დააფინეს დაფარნა მთავარ-დიაკონს.

მწუხრზედ ნაკურთხნი პურნი, მცირედ დალტობილნი მწუხრზედვე ნაკურთხის ღვინით, მეორე დღეს წირვის დასასრულზედ, ფსალმუნის კითხვის დროს: „ვაკურთხო

უფალი ყოველსა ჟამსა“, სეფისკვერთან ერთად დაურიგეს ეკლესიაში მლოცველთ.

წირვის შემდეგ შომილოცეს ჩემის ანგელოზის დღეობა მ. არქიმანდრიტმა წმ. პანტელეიმონის ხატითა და სეფისკვერითა და ძმათა დარბაზში, სადაც შეგვიწვია მ. წინამძღვარმა სტუმარნი და უფროსნი ძმანი და მოგვართვეს ჩაი. შემდეგ მიგვიწვიეს საზოგადო ტრაპეზზედ; თვით წინამძღვარი დაესწრო სადილს; ექვსასამდე მონაზონნი სადილობდნენ; მაღალს კათედრაზედ ჰკითხულობდა მორიგე მონაზონი წმ. მოციქულთა ცხოვრებას. ღვინო არავინ დალია, ვიდრე ზარი არ ჩამოარაწკუნა წინამძღვარმა; თითოეულს ძმას წინ ედგა ღვინო პატარა ტყვიის ჩარექით. სადილის დასრულების წინ მეორედ დააწკარუნა ზარი და კათედრიდგან ჩამოვიდა მკითხველი მონაზონი, მიიღო კურთხევა წინამძღვრისაგან და ერთი ნაჭერი პური და ერთი ჭიქა ღვინო.

სადილის დასრულების შემდეგ წინამძღვარმა კვალადცა აკურთხა სუფრა ამ სიტყვებითა: „ქრისტე ღმერთო, აკურთხე ნაშთი პურთა მონათა შენთა“. შემდეგ მოართვეს კალათი, რომელშიაც შთააგდო ორი ნატეხი პურისა და მახლობელ მსხდომარეთაც ჩაჰყარეს კალათაში რამდენიმე ნატეხი პურისა. ეს მონასტრული წესი წარმოგვიდგენს იმ შემთხვევას, როდესაც უფალმა იესო ქრისტემ უდაბნოსა ადგილსა აკურთხა ერთ გზის ხუთი პური და მეორე გზის—შვიდი პური და რამდენიმე ათასნი განაძღო, და შემდეგ უბრძანა მოწ. ფეთა: „შეჰკრიბეთ ნეშტი ეგე ნამუსრევი, რათა ნუმცარა წარჰსწყმდების“ და მათ აღავსეს 12 სფირიდი ანუ გოდორი. დასასრულ შეასრულეს პანაგიის წესი; წარსთქვეს ლოცვანი და მცირედი ნაწილი ნაკურთხის პურისა ყოველთა მივიღეთ ტრაპეზის შემდეგ: მოსკოვის ლავრაში პანაგიის შესრუ-

ლების დროს ღვინოც შევსვით 29 აგვისტოს 1885 წელსა, ხოლო აქ მხოლოდ აღიაზმა იყო.

მნიშვნელობა პანაგიისა. უფლის ამაღლებისა შემდეგ, მოწაფენი მისნი როდესაც შეკრებებოდნენ სადილად, ერთს უპირატესს ადგილს სადილზედ დაუტოვებდნენ თავისუფლად და ზედ დასდებდნენ ერთს ნაჭერს პურს, რომელსაც უწოდებდნენ „ქრისტეს ნაწილად“: და ამ სახით თვალსაჩინოდ წარმოიდგენდნენ ქრისტე მაცხოვრის მათ შორის უხილავად მყოფობასა, მის აღთქმისაებრ: „მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“ (მათ. 28, 20). სადილის დასრულების შემდეგ აღამაღლებდნენ პურსა, ქრისტეს ნაწილად წოდებულსა, და იტყოდნენ ლოცვასა: „უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შეგვეწიენ ჩვენ“; მერე შესჭამდნენ ყოველნი ამ პურისაგან, ვითარცა სიწმიდისაგან. შემდეგ ღვთისმშობლის მიძინებისა, მესამე დღეს, საღამოზედ, როდესაც ჩვეულებრივ აღამაღლებდნენ ქრისტეს ნაწილს პურსა, იხილეს მოციქულთა ჰაერში ყოვლად წმიდა ღვთისმშობელი, რომელი ეტყოდა მათ: „ნუ გეშინინ, მე თქვენთანა ვარ“. მოციქულთა, ამ ხილვის შემდეგ, შემოიღეს თქმა ლოცვისა: „ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო, გვაცხოვნენ ჩვენ“. თვით სიტყვა „პანაგია“ ჰნიშნავს ბერძნულს ენაზედ „ყოვლად წმიდასა“. საქართველოს მონასტრებში არა სრულდება პანაგიის წესი, ვგონებ, ძმათა სიმცირისა გამო.

30 ივნისს, ადრე წირვის მოსმენის შემდეგ, დილის 8 საათზედ, პანტელეიმონის მონასტრიდამ გამოგვაყოლეს გზის მაჩვენებელი მოხუცი მორჩილი, ორი კაცი მეჯინიბე და მონასტრის ჯორებით წამოვედით მე და ერთი რუსის მღვდელი, და ერთიც ახალგაზრდა ვაჭრის შვილი რუსთაგანივე, მონასტრების მოსალოცავად. 15 ვერსის მანძილზედ თუმცა აღმართია, მაგრამ ტყე არის,

დაჩრდილებული მომეტებულ ნაწილად წაბლოვანითა, მუხნარითა და რცხილით. მოვედით სამის საათის შემდეგ პატარა ქალაქ კარეაში, რომელსაც გარს შემორტყმული აქვს ვენახები, ბერძნულ თხილისა და ზეთის ხილის ბაღები. ამ ქალაქში აქვთ მუდმივი კრება, ანუ პროტატი ათონის მონასტრების წარმომადგენელთა, განსახილველად და გარდასაწყვეტად ურთიერთ შორის დავათა და საჩივართა. წმ. ათანასეს ლავრას და თვითოეულს პირველის ხარისხის მონასტერს აქა აქვსთ თავისი მეტოქია, ეგრეთვე ივერიის მონასტერსა და ერთი მათი წარმომადგენელიც ყოველთვის აქ იმყოფება. ხოლო დიდისა და შესანიშნავის საქმის განხილვის დროს თითონ წინამძღვრები იკრიბებიან. შევედით აქაურს ტაძარში, თაყვანიეცით ღვთისმშობლის სასწაულთ-მოქმედსა ხატს, წოდებულსა „ღირს არს“.

ამ ხატის შესახებ ათონის მამანი აი რას მოგვითხრობენ: აქ საკუთარს სენაკში სცხოვრობდა ერთი მეუდაბნოე, დიდი მოღვაწე, რომელიც ჭლოცულობდა ჩვეულებრივ შუაღამისას ამ ღვთის მშობლის ხატის წინაშე; როდესაც დაასრულა საგალობელი: „ღირს არს ჭეშმარიტად, რათა გადიდებდეთ შენ, ღვთის-მშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ, ყოვლად უბიწოდ და დედად ღმრთისა ჩვენისა“, მოესმა ხმა ღვთის-მშობლის ხატისაგან, განაგრძე საგალობელი შემდეგის სიტყვებით: „უპატიოსნესსა ქერუბიმთასა, და აღმატებით უზესთაესსა სერაბიმთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყვისა ღმრთისასა, მხოლოსა ღვთისმშობელსა გალობით ვადიდებდეთ“. ამის შემდეგ შემოიღო მართლმადიდებელმა ეკკლესიამ ეს საგალობელი.

აქედგან ჩავედით მახლობლად მდებარე წმ. ანდრია მოციქულის რუსთა სკიტში. სკიტად იწოდებიან მეორე ხარისხის მონასტერნი, რომელნიც აღშენებულ არიან სხვა

მონასტრისაგან შესყიდულს მამულზედ და იმყოფებიან მის დამოკიდებულების ქვეშე; არ შეუძლიანთ სკიტში აღაშენონ რაიმე მონასტრის წინამძღვრის ნება დაურთველად, რომლისაგანაც მამული შეუსყიდნია სკიტსა; არ შეუძლიანთ ხელდასხმა ანუ კურთხევა დიაკონად ანუ მღვდლად ბატონის წინამძღვრის ნება-დაურთველად. ვითარცა ხარკსა ყოველ-წლობით სკიტი გარდაიხდის რამდენსამე ათსა, ანუ ოცსა, ასსა ოქროსა მონასტრის სასარგებლოდ, რომლის მამულზედაც სცხოვრებენ, თუმცა შესყიდულიც აქვთ მამული. ეს ანდრიას სკიტი დიდად კეთილგანწყობილია და, თავის კეთილ მდგომარეობით თუ არ აღემატება, არ დაუვარდება ბერძნის ვატოპედის მონასტერსა, რომელსაც ემორჩილება იგი, მაგრამ მონასტრის სახელწოდებას მაინც ვერ ატარებს, თუმცა საკუთარი წინამძღვარი არქიმანდრიტი ჰყავს და სამასამდი ძმანი. ამ ანდრიას სკიტში აღუშენებიათ დიდად მშვენიერი ტაძარი, რომელიც შეადგენს შვენებას მთელის ათონისას და დიდის ტახტის ქალაქისას. დახარჯულია ამაზედ ნახევარ მილიონი მან., თუმცა მარმარილო იქვე ახლოს აქვთ მოსაჭრელი. ამ ეკკლესიის კანკელი ხატებით ღირებულია 120 ათას მანეთად; ჯერ არ დაუსრულებიათ შინაგანი მუშაობა, და ერთის წლის შემდეგ იქმნება მზად კურთხევისათვის. როგორც საეკკლესიო უწყებათაგან ვსცანი, ეს დიდებული ტაძარი უკვე უკურთხებიათ მაისში 1900 წ. ამ სკიტში ჰმოღვაწეობენ მხოლოდ რუსნი მამანი მონაზონნი. ამ სკიტის წინამძღვარმა, მ. არქიმანდრიტმა იოსებმა, ჯერ შუა ხნის კაცმა, სიყვარულითა და პატივისცემით მიგვიღო, დაგვატარა ძველი და ახალი ეკკლესიანი და შენობანი; შემდეგ მიგვიწვია ტრაპეზზედა; ჩვენთან იყვნენ სადილად ორი ინგლისელი ახალგაზრდა. თუმცა წინამძღვარმა გვთხოვა ღამის გათევა მათ მონასტერში, მაგრამ მადლობა მოვახსენეთ, რადგა-

ნაც დაღამებამდის სამი საათი დრო კიდევ იყო და მახლობელს მონასტერში მივიდოდით. ამ ანდრიას სკიტს აღმოსჩენია ერთი დიდი კეთილისმყოფელი, მდიდარი რუსთაგანი, გვარად სიბირიაკოვი, რომელსაც შეუწირავს ერთი მილიონი მანეთი და თვითონაც შეუმოსნია კერძო მონაზონობა (рясофорный), და აქვე მონასტრის გარედ საკუთარს ფლიგელში სცხოვრებს მ. დავით არქიმანდრიტთან, რომელმაც შეაწირვინა ეს ფული ჟამსა მისს სამსახურისასა პეტერბურგში. სახელი მონაზონობაში სიბირიაკოვს ეწოდება ინოკენტი. ერთი ცალი საქართველოს წმიდათა ხატისა ვუძღვენი მ. წინამძღვარს ამ სკიტისას, რაიცა დიდის სიამოვნებით მიიღო.

30 ივნისს, საღამოს 6 საათზედ, მოვედით რუსთა წმ. ილია წინასწარმეტყველის სკიტში. ამასაც ესეთი დამოკიდებულება აქვს ბერძენთა პანტოკრატორის (ყოვლისა მპყრობელის) მონასტერთან, ვითარცა წმ. ანდრიას სკიტს ვატოპედის მონასტერთან. აქ დავრჩით ღამის გასატარებლად; ახალ საკრებულო ტაძრის აღშენებას ეხლა აპირებენ; ვიწრო ეზო აქვთ; ეკკლესიის საძირკვლისათვის ხევს ასწორებდნენ მიწითა და ქვითკირით; ეზოში ბევრი ლიმონისა და ფორთოხალის ხეები არის, და ესენი ამშვენებენ ეზოს. მ. არქიმანდრიტი და ძმანიცა მცირე რუსეთიდგან არიან. მ. წინამძღვარი რაფაელ ფრიად თავმდაბალი, ლმობიერი და მეურნე კაცია, აღმასრულებელი მაცხოვრის მცნებისა: „რომელსა უნდეს თქვენ შორის პირველ ყოფად, იყოს ყოველთა მონა“ (მარკ. 10, 44). წყლის ნაკლულევანება აქვთ ამ მონასტერში; ჯორებით ეზიდებიან ოთხის ვერსის მანძილიდგან წყალს აღმართზედ. ამ სკიტშია საკვირველთმოქმედი ხატი ყოვლად წმ. ღვთისმშობელისა, წოდებული „რძით მასაზრდოებელი— млекопитающая“. ღვთისმშობელს უპყრია ხელში იესო ქრისტე ძუძუ მწოვარად.

პირველ ივლისს, დილით ცისკრისა და წირვის მოსმენის შემდეგ, მადლობა მოვახსენეთ მ. წინამძღვარს რაფაელსა და მივართვი სახსოვრად ერთი ცალი ქართველთა წმიდათა ხატისა, რომელიც დიდის კმაყოფილებით მიიღო და თვითონაც გარდმომცა კურთხევა მონასტრისა— ღვთისმშობლის ხატი ამ სკიტს აქვს საკმაოდ ვრცლად გამოცემული წიგნი „გზის მაჩვენებელი პალესტინისა“, რომელიც შევიძინე ფულითა.

ამ ილიას სკიტიდგან გამოვემგზავრეთ პირდაპირ ქართველთა ახალ-დაფუძნებულ სავანისაკენ, სადაც მოვედით სამის საათის შემდეგ. გამოვლით ენახე ჩვენნი ქართველნი ძმანი, შევისვენეთ აქ ერთს საათს და დავპირდი შემდეგ ხანგრძლივ ნახვასა. აქედგან გამოვიარეთ იმავე დღეს ივერიის ქართველთა ძველს დიდებულს მონასტერში; შევედით ეკკლესიაში დაუბრკოლებლივ, როგორც რუსნი, თაყვანივეცით კარისა ღვთისმშობელის ხატს; შევედით საკრებულო ტაძარშიაც, დავათვალიერე და ყოველგან მოუსპიათ ნაშთნი და კვალნი ქართველთა მამათა აქ მოღვაწეობისა; რომ შესაძლებელი იყოს, სახელსაც იკერიის მონასტრისას მოსპობენ, მაგრამ არ შეიძლება, რადგანაც სიგელ-გუჯარნი ამ მონასტრის მამულებისა ივერიის მონასტრის სახელზედ არიან ბოძებულნი ბიზანტიის იმპერატორთა და საქართველოს მეფეთაგან.

გამოვიარეთ ამავე დღეს რუსთა წმ. მთავარ-მოწამის არტემის კელიაში (მესამე ხარისხის სავანეა); აქ ვისადილეთ; ახალი აღშენებულია ეს სავანე. აქედგან გამოვიარეთ წმ. ათანასეს ლავრაში, რომელიც პირველობს ათონის სავანეთა შორის. შესანიშნავი მხოლოდ ერთი ფეშხუმი მიჩვენეს ამ ლავრაში, ძვირფასი, მხოლოდ არა ოქროსი. ეს ლაკრა დაფუძნებულია თითქმის ივერიის დიდს მონასტერთან; მომეტებული ნაწილი ათონის მამულებისა მას ეკუთვნის; ბევრი სავანე, ამათ მამულზედ

აღშენებული, დღესაც იხდის ხარკსა მის სასარგებლოდ.

ათონის მთაზედ მხოლოდ ეს ერთი იწოდება ლავრად. ჩვენდა სამწუხაროდ, არ გვაჩვენეს ამ ლავრაში შესანიშნავნი სამკაულნი და არც წიგნთ-საცავი, სადაც ქართული წიგნებიც არის.

გარდმომცეს, რომ ათონის ბერძენთა წმიდა ათანასეს ლავრაში არის დაცული ბიზანტიის უკანასკნელ იმპერატორის კონსტანტინე მე-XI პორფირა, გვირგვინი და სკიპტრა, რომელიც კონსტანტინეპოლიდგან წარმოუგზავნიათ ამ მონასტერში დასაცველად სატახტო ქალაქის ოსმალთაგან დამორჩილების წინად, და ამ სახედ გადაურჩენიათ ეს სამეფო რეგალიები ოსმალთა წარტაცებისაგან, რადგანაც ოსმალნი არ შეეხებიან ათონის მონასტრებს. წელიწადში ერთ გზის, სამეფო ძვირფასს პორფირას შეიმოსს პატრიარქი, როდესაც სწირავს ამ ლავრაში წმ. ათანასეს დღესასწაულში. უკანასკნელი დედოფალი ბიზანტიისა მარიამ იყო ასული საქართველოს მეფისა. ამ დედოფალს შეუწირავს ათონის მონასტრებისათვის დიდი სახნავი მამულები და მონასტერთათვის საჭირო პური იქ ითესება. ამ დედოფალს უწოდებენ: „კალი მარიამ“, ესე იგი „კეთილი მარიამ“.

ამ ლავრის საკრებულო ტაძრის წინ არის მარმარილოს აუზი, ზევიდგან დახურული; ამ აუზში გადმოსჩქეფს მშვენიერი წყაროს წყალი; აქ აკურთხებენ წყალსა ნათლისღების დღესასწაულში. საზოგადოდ პირველ ხარისხის მონასტრებსა აქვსთ ამ გვარი აუზები.

მწუხრად მოვედით მოლდავანების სკიტში, რომელიც თუმცა ახლად აშენებულია, მაგრამ კარგად განწყობილია; ღვთისმსახურება თვისს სამშობლო ენაზედ აქვთ. საეკკლესიო წიგნები ლათინურის ანბანით აქვთ დასტამბული; წესები ღვთისმსახურებისა სრულიად მართლმადიდებელის ეკკლესიისა აქვთ. რუსული ენა კარ ესმით.

„უფალო შეგვიწყალენ“ მათ ენაზედ ითქმის: „დომნე მილეიშტე“.

დილის ხუთს საათზედ, ცისკრის მოსმენის შემდეგ, გამოვემშვიდობეთ და შევუდექით აქედგან ათონის მთის მწვერვალის გზას.

ორს ივლისს, დილის 9 საათზედ მივედით ათონის მთის მწვერვალის ძირში. აქ არის სამლოცველო ნიში ღვთისმშობლისა. აქ შევისვენეთ; ვისაუზმეთ; აქედან ქვევითი შევუდექით აღმართს ხუთი ვერსის სიშორეზედ; 12 ათასი ფუტი სიმაღლე აქვს ამ მწვერვალს: ზედ მწვერვალზედ არის პატარა ეკკლესია ფერისცვალებისა, რომელიც აღმოსავლეთის მხარეს კლდეზედ არის მიშენებული, საიდგანაც საშინელი დასახედია ზღვის უფსკრული. მწვერვალზედ ასვლისათანავე უსიამოვნო სანახაკი წარმოგვიდგა: წინა დღეს ყოფილიყო აქ ჭექა-ქუხილი, ჩამოვარდნილიყო მეხი და გარშემო ეკკლესიისა დაეხოცა ოცამდე თხა, რომელნიც დაბერილნი და ასუნებულნი ეკკლესიის კარებზედ ეყარნენ; თხები ეკუთვნოდა ათონის ბერძენთა ლავრასა. ვილოცეთ, შევისვენეთ ნახევარს საათს და წარმოვემართენით დაღმართზედ, რომლის ჩამოსვლას მოვუნდით საათ ნახევარს. საღამოს მოვაღწიეთ რუსთა წმ. გიორგის კელიასა. აქ გავატარეთ ღამე; ახალ მოშენე სავანეა; ბევრი მლოცავნი იყვნენ მდაბიოთაგან—რუსები. მეორე დილით, ცისკრის შემდეგ, ჯორები გავგზავნეთ პანტელეიმონის მონასტერში, ხოლო ჩვენ დაღმართით ჩავიარეთ ქვევითად ოთხის ვერსის მანძილი და მივედით ბერძენთა მონასტერში წმ. და მართალთა მშობელთა ღვთისათა იოაკიმ და ანნასი; აქ ვილოცეთ, შევისვენეთ ერთს საათს, შემდეგ ჩავედით ზღვაზედ, დავიქირავეთ ნავი, ჩავსხედით შვიდნი სულნი; ჩვენთან იყო რუსის ახალგაზრდა მღვდელი, რომელიც ჰმსახურობს სამხრეთს საფრანგეთს, მეტონის ქალაქში, სადაც ზამთრო-

ბით სცხოვრებენ გულით სნეულნი, რუსეთიდგან მისულნი, მაღალის წოდებისა და გვარის კაცნი. შუადღის 12 საათზედ მშვიდობით დავბრუნდით წმ. პანტელეიმონის მონასტერში. ასე შევასრულე, ღვთისა შეწევნითა, პირველი ჩემი მოლოცვა და მიმოხილვა რამდენისამე მონასტრისა ბერძენთა, რუსთა და მოლდავანთა.

4 ივლისს, კვირა დღეს. ვწირე პანტელეიმონის მონასტრის საკრებულო ტაძარში; წინამძღვრის მოადგილე იყო მწირველი რვა თანამწირველითურთ. ამ წირვაზედ აი რა შევნიშნე: შემდეგ დასრულებისა სიმბოლო სარწმუნოებისა დიდს დაფარნას ყოველნი თანამწირველნი ემთხვივნენ. იმ დღეს საზოგადო ტრაპეზზედ იყო კოლიო პატივად და მოსახსენებლად ამ დღეს ხსენებულის წმიდისა მამისა ანდრია კრიტელისა; ამ გვარიევე კოლიო იყო წმ. მოციქულთა პეტრე და პავლეს დღესასწაულზედაც.

კოლიოს წმიდათა ხსენებაზედ ამზადებენ ხორბლისაგან არა თაფლითა, არამედ მშრალად, ქიშმიშით შემკობილს; სადილის ბოლოს ჩამოურიგებენ თითო კოვზსა კოლიოს.

ამ დღეს სადილად შემოვიდა ბერძენი იღუმენი ამავე პანტელეიმონის მონასტრისა. წინ მოუძღოდნენ ორის ანთებულის სანთლითა და გალობითა ბერძნულად. კურთხევა სადილისა წარმოსთქვა ბერძნულადვე, იყო მოსილი მანტიითა სადილზედ; ამ დროს კითხულობდა ბერძნულად კათედრაზედ ბერძენი მონაზონი; კითხვა უცხო ენაზედ, რასაკვირველია, არ ესმოდათ რუსთა მონაზონთა. უფროსობდა სადილზედ ბერძნის იღუმენი, რომელიც იჯდა მარჯვენით, ხოლო მარცხენით იჯდა რუსის წინამძღვრის მოადგილე. ხოლო წინამძღვრის ადგილი ცალიერი იყო, რადგანაც იგი არ შემოსულა ამ დღეს სადილად. როგორც შევნიშნე და დავრწმუნდი კიდეც ბერძენთა მონაზონნი ამ მონასტერში მონაწილენი არიან თანასწორის

უფლებითა, თუმცა ბერძენნი არიან ამ მონასტერში 40 ბერნი, ხოლო რუსნი 500 კაცნი. ამ პანტელეიმონის მონასტრის ტაძარში სწირავენ ბერძნულად, ხოლო დიდს საკრებულო ტაძარში და სხვა რამდენსამე ეკკლესიაში ღვთის-მსახურებას ასრულებენ სლავურს ენაზედ, და ყოველთა ძმათა, ეროვნების განურჩევლად, ზოგადი ცხოვრება აქვთ.

4 ივლისს, საღამოს 7 საათზედ, იწყეს ღამის თევით მწუხრი და ცისკარი, რომელიც დილის ექვს საათზედ დაასრულეს. სადაგ დღეებში შუაღამის ლოცვას იწყებენ ღამის 1 საათზედ.

5 ივლისს, ორშაბათს, ხსენებაა ღირსისა მამისა სერგი რადონეჟელისა. ამ დღესასწაულში გამოჩინებით შესრულდა წირვა და პარაკლისი; უპირატესობდა მოადგილე წინამძღვარისა, მ. იღუმენი. თანამწირველნი იყვნენ ათნი, რომელთ შორის მეც მივიღე მონაწილეობა.

5 ივლისს, ორშაბათ დღეს, მოვიდნენ ათონის რუსთა პანტელეიმონის მონასტერში ორი ინგლისელი სტუდენტი, ერთი ოქსფორდის უნივერსიტეტისა, ხოლო მეორე—კემბრიჯისა; ესენი მოსულიყვნენ ათონზედ ძველის ხელ-ნაწერების სანახავად. გავიცან ესენი მონასტრის სასტუმროში საღამოს ჩაიზედ. ველაპარაკებოდით ჩვენ რუსის მონაზონის (თავად ვიაზემსკის) შუამავლობით, რომელიც თავისუფლად ჰლაპარაკობს ფრანგულად. ამ სტუდენტებმა რომ შეიტყეს ჩემი, ქართველია ეროვნებითაო, სთქვეს, ათონის წმ. ათანასეს ლავრაში ვნახეთ სახარება ბერძნული მერვე საუკუნისა, რომლის უკანასკნელი თავი იოანნეს სახარებისა განსხვავდება ეხლანდელ ეკკლესიის-მიერ მიღებულ ტექტისაგანაო. ამაზედ მე მოვახსენე, რომ ძვირფასი იქმნება-მეთქი ღვთის-მეტყველების მეცნიერებისათვის შეთანასწორება ქართულს სახარებასთან, რომელიც ეკუთვნის მეშვიდე საუ-

კუნესა და დაცულია აწ ტფილისის სიონის საარქეოლოგიო მუზეუმში. სტუდენტებმა სთქვეს, რომ ჩვენ გადავიღეთ ფოტოგრაფიით რამდენიმე ფურცელი ძველის ქართულის პერგამენტისა და მნიშვნელობა მისი არ გვესმისო. ვუთხარი: მე მზა ვარ გემსახუროთ ამ საზოგადო სამეცნიერო საქმეში, ძალისაებრ ჩემისა. აღმითქვეს, გაჩვენებთ იმ ხელ-ნაწერსაო. მეორე დილით ისინი ადრე წასულიყვნენ ბერძენთა გრიგორიანთ მონასტერში ზღვით, ხოლო მე ამ დღესვე, დილის 8 საათზედ, ჯორებით გავემგზავრე ქართველთა სავანეში და, სამწუხაროდ, ის სტუდენტები შემდეგ აღარ შემხვედრიან.

ათონის ძველი ივერიის მონასტერი და ახალი ქართველთა სავანე, და მათი ურთიერთ-შორისი დამოკიდებულება.

ვლისის 6, დილის 7 საათზედ, ადრიან, წირვის მოსმენის შემდეგ, გავემგზავრე პანტელეიმონის მონასტრის ჯორებითა და ერთის მსახურის თანამგზავრობითა. მივედით პირდაპირ ჩვენს ქართველთა ძმათა ახლად დაფუძნებულს სავანეში. მომეგებნენ ყოველნივე ძმანი ჰეშმარიტის ძმობრივის სიყვარულითა; გაიხარეს სულიერად ჩემის მისვლით და გავიხარე მეც ფრიად უცხოებაში ასეთის მოგებებით. როდესაც ვიხილე ქართველთა ძმათა შორის მშვიდობა, სიყვარული, პატივისცემა, მორჩილება და საზოგადოდ კეთილი განწყობილება ურთიერთ-შორის, გამახსენდა სახარების სიტყვანი: „ნუ გეშინინ მცირესა მაგას სამწყსოსა, რამეთუ სათნო-იყო მამამან ზეცათამან მოცემად თქვენდა სასუფეველი“ (ლუკ. 12, 32). ასე ეტყოდა უფალი იესო ქრისტე მოწაფეთა თვისთა, რიცხვით მცირეთა, გარნა სიყვარულის საკრვე-

ლით შეერთებულთა, ეტყოდა მათ გასამხნევებლად და სანუგეშებლად.

ამ ქართველთა ძმათ შეუსყიდნიათ იერიის მონასტრისაგან 1870 წ. ორმოცი დღიური მიწა 2,000 მანეთად; და აქ დაუფუძნებიათ ახალი სავანე წმ. მოც. იოანნე ღვთისმეტყველის სახელზედა. ივერიის ათონის მონასტერი, ქართველთა მამათა სამკვიდრებელი, არს აღშენებული ძეათე საუკუნის დასასრულ თორნიკე ერისთავის მეთაურობით, ქართველთა მეფეთა და მთავართა საფასეთი და შეწირულებითა, ქართველთა მამათა შრომით, რუდუნებითა, მოღვაწეობითა და სისხლის ოფლით, ლოცვითა და ცრემლით დამყარებული. ამ ივერიის სავანეში დასრულდა თარგმანი საღმრთო და საეკლესიო წიგნებისა ქართულს ენაზედ. იგი იყო ნერგი სასულიერო განათლებისა ქართველის ერისათვის; ამ ივერიის მონასტერს აწ ძალ-მომრეობით ჰფლობენ ბერძენთა მონაზონნი, 1850 წლების შემდეგ. ეს მონასტერი ითვლება ათონის მთაზედ პირველ ხარისხოვნად ოთხ სხვა ბერძენთა მონასტერთა შორის. მონასტერს აქვს შეწირული საქართველოსა და რუსეთშიაც დიდი შემოსავლიანი მამულები, რომლითაც ჰსარგებლობენ ბერძნები სრულიად უკანონოდ, ძალმომრეობით. ამავე ივერიის მონასტერში ასვენია საკვირველთ-მომქმედი ხატი ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა, წოდებული ივერიის კარის ღვთის-მშობლად. ეს ხატი ზღვიდგან გამოასვენა ღირსმა მამამ გაბრიელ ქართველმა. სადაც პირველად დაუსვენებიათ, ზღვიდგან გამოტანის შემდეგ, იმ ადგილზედ აღშენებულია სამლოცველო და არის წყარო ცივის წყალისა.

7 ივლისს, დილის 4 საათზედ, მივადექით ივერიის მონასტრის ეზოს კარებსა. იგი შემოზღუდულია მაღალის ქვითკირის გალავნითა და ზღვის მხარეს მაღალი ექვს-სართულიანი ციხე აქვს აშენებული ქართველთა მა-

მათა მიერ მტერთაგან მოსაგერებლად. გაალეს ბჭენი ეზოსანი; ჩემთან იყვნენ ამ დროს ქართველთა სავანეს ძმანი: მღვდელ-მონაზონი გიორგი, კაცი დიდად გამოცდილი სულიერს მოღვაწეობაში და მხცოვანი წლოვანობითა, მღვდელი ალექსი ბაქრაძე, აგრეთვე მოხუცებული, მაგრამ შრომით ჭაბუკი მოხუცი, დიდი მშრომელი წმ. მამათა თხზულებათა გადაწერაში და მთარგმნელი რუსულიდგან ქართულად, და მონაზონი გაბრიელ (აბაშიძე), ჯერ წლოვანობით ახალგაზრდა, გარნა განვითარებული და მცოდნე ბერძნულის ენისა. მორიგე მეკარე მონაზონმა ბერძენმა იჭვნეულად შემოგვხედა და ჰკითხა მ. გიორგის, ვითომც ვერ იცნო: ვინა ხართ და რა გინდათ? ეს სიტყვები გვითარგმნა მამა გაბრიელმა. ქართველთა ძმათა ახალი სავანე მდებარეობს ივერიის მონასტერზედ სამის ანუ ოთხის ვერსის მანძილზედა, მაშასადამე, ესენი კარგად იცნობენ ერთმანეთს. მ. გიორგიმ უჩვენა ჩემზედა, და უთხრა რომ მოსულა საქართველოდგან, ჰსურს თაყვანი-სცეს კარის ღვთისმშობლის ხატსაო. უფრო უსიამოვნოდ შემოგვხედა მონაზონმა და არ-უნდოდა ჩვენი შეყვანა ეკკლესიის ეზოში. არ მიჰბაძა მან ამ შემთხვევაში ლაბანს, რაჟამს მოეგება იგი ელეაზარს, მონასა მამამთავრის აბრაამისსა და უთხრა: შემოვედ, კურთხეულო უფლისა მიერ, სახლსა ჩემსა, რასათვის სდგეხარ გარე? მომიბრუნდა მ. გიორგი და მითხრა მე: მ. დეკანოზო, რა უყავ შენი ჯვარი? რათ ჰფარავ ანაფორას ქვეშ? გავიხსენ ზევითი ანაფორა და როდესაც დაინახეს ბერძენთა მონაზონთა მკერდზედ ჯვარი, ამას სცეს პატივი და შეგვიყვანეს ეზოში. მოვისმინეთ ადრე წირვა, თაყვანი-ვეცით ივერიის ღვთის მშობლის ხატსა და ვილოცეთ წინაშე საფლავისა წმ. მამათა იოანნე და ეფთვიმისა. წირვაზედ პატივი არა გვცეს და არა გვთხოვეს სიმბოლო სარწმუნოებისა და საუფლო ლოცვა წაგვეკითხა ქართულს ენა-

ზედ, ვითარცა აქვთ მიღებულ წესად სხვა მონასტრების ბერძენთა, ბოლგართა და მოლდავანთა წირვის დროს. შემდეგ შეგვიყვანეს მონასტრის წინამძღვართან, მ. არქიმანდრიტ გერასიმესთან. ამას ტფილისში დიდხანს უმსახურნია; გამომკითხა ამბავი საქართველოს სამღვდელოებისა, ვისაც იცნობდა. ვთხოვე მისს მაღალ ღირსებას, რომ გვიჩვენონ მონასტრის საუნჯენი და წიგნთ-საცავი, ქართველთა მამათა მოღვაწეობის ნაყოფნი. წინამძღვარი დამპირდა შესრულებას ამ საღმრთო წადილისას.

წაგვიყვანეს წიგნთ-საცავში, რომელიც მეორე სართულშია. გვიჩვენეს ის წიგნები, რომელიც შკაფების თავზედ ეყარა, ნახევარზედ ჩრჩილითა და მტვრით შეპმულნი; მათ შორის მომეტებული ნაწილი დასტამბულია მე-18 საუკუნეში. როდესაც ძიუთითე დაკეტილ შკაფზედ და ვთხოვე ეჩვენებინათ ის წიგნები, მაშინ მომიგეს პასუხად: აქ არ არის ამ შკაფების გასაღების მქონი; კარეაში წავიდა 12 ვერსზედა და არ ვიცით, როდის დაბრუნდებაო; შევწუხდი და ვუპასუხე: 6 ათასის ვერსის მანძილზედ მოვსულვარ აქ წიგნების სანახავად და პატივი უნდა სცეთ ამ გარემოებას, ანუ იმ სამეცნიერო აზრს, რისთვისაც მინდა წიგნების გადათვალიერება, ანუ პატივეცით ჩემს მოხუცებას და ხარისხსა. არ შეიძლება ეხლაო, მაინც უარი გამომიცხადეს. მეც, რა გამეწყობოდა, უნებლიედ დავმორჩილდი ამათ წინადადებას, რადგან დაპირდნენ წიგნების ჩვენებას ოთხის დღის შემდეგ. როგორც შემდეგ მითხრეს, წიგნების მცველიც იქა ყოფილიყო და გასაღებიც იქვე ჰქონოდათ, მაგრამ არ გამიღეს პირველს მისვლაზედ შკაფი, რადგანაც ჩვენის წამოსვლის შემდეგ მონასტრის ძმობას თათბირი ჰქონოდათ და გარდაეწყვიტათ, რის ჩვენება შეიძლებოდა და რა უნდა დაეფარათ ჩვენთვის. დანიშნულის დროის წინა საღამოს გამოეგზავნათ ივერიის მონასტრიდგან მორჩილი

ქართველი — მეგრელი მაკარი, მხოლოობითი კაცი ჩვენის ქვეყნისა ივერიის მონასტერში. ამას მონასტრის გარეშე აქვს მიცემული სენაკი სასაფლაოს ეკლესიასთან და მონასტრიდგან საზრდოობს; ეს მორჩილი წარმოეგზავნათ ჩემთან და დაებარებინათ, ხვალ ჩამოვიდეს მ. დეკანოზი და თან არავინ წამოიყვანოს ქართველთა სავანეს მღვდელ-მონაზონიო. აქედგან ცხადად დაინახავს ქართველი მკითხველი, თუ რა სიძულვილით უყურებენ ბერძენნი ქართველთა ძმათა.

მეორე დილით ადრე, 11 ივლისს, ცისკრის დასრულების დროს, წავედი ივერიის მონასტერში, რომელიც მდებარეობს ერთის საათის სავალს მანძილზედ. ჩემთან წამოვიდნენ: მღვდელი მ. ალექსი ბაქრაძე, დახელოვნებული მკითხველი ქართულის ძველის ხელთ-ნაწერებისა და ერთიც გაბრიელ მონაზონი, ბერძნულის ენის მცოდნე. წირვის მოსმენის შემდეგ წინამძღვარი ვერა ვნახეთ, უძლურად არისო, და პირდაპირ წიგნთ-საცავში შევედით. წინ გვიძღოდნენ იღუმენი, სრულიად ახალგაზრდა კაცი, პროიღუმენი და მღვდელ-მონაზონი — ბერძენნი; გააღეს დაკეტილი შკაფი, გადმოიღეს რამდენიმე ქართული წიგნი, რომელთაც მეცნიერებისათვის არა ვითარიმე მნიშვნელობა არა აქვს. მოვიკითხე კატალოგი ქართულის წიგნთსაცავისა, რომელიც არ აღმოჩნდა შედგენილი. მდაბიო მედუქნეს აქვს შედგენილი სია თავისის საწვრილ-მანოსი, და ამათ კი სასულიერო საუნჯის სია ჯერ არ შეუდგენიათ. ამისათვის, რასაც თვალითა ვხედავდით, ის წიგნები გადმოვაწყობინე. შემდეგ ვთხოვე ეჩვენებინათ ძველი ქართული სახარება და დაბადება. გადმოიღეს სახარება მხატვრობით, ტყავზედ დაწერილი, რომელსაც მრთელი თაბახები ჰქონდა ამოჭრილი სურათებით. შევნიშნე, ასე ბარბაროსულად როგორ ეპყრობით ამისთანა ძვირფასს წიგნებსა-მეთქი? იმათ მიპასუხეს: რუსის მეცნიერმა

პორფირი უსპენსკიმ ეპისკოპოზმა ამოსჭრა ჩუმად ეგ სურათებიო. შემდეგ გადმოიღეს ქართული დაბადება. გადმოვშალე პირველი კაბადონი, წავიკითხე, რომ იგი დაიწყებოდა შექმნათა წიგნის 12 თავით, 11 მუხლიდგან. გადმოვფურცლე ბოლო, რომელსაც აქვს ზედ წარწერილი, რომ იგი გადაწერილია ქორონიკონსა რჟᲑ, 978 წელსა. გადავათვალიერე შუაში და აღმოჩნდა, რომ შიგ მრავალი თავი აკლია სრულიად. ერთის სიტყვით, სრული დაბადება არ არის. მაშინვე დავრწმუნდი, რომ ეს დაბადება ამ ივერიის მონასტრიდგან მოიტანა პლატონ იოსელიანმა 1848 წ. ქ. ტფილისს. აქ გადასწერეს ორი ცალი ამ დაბადებისა, ერთი სიონის საკრებულო ტაძრისათვის, მიტროპოლიტის ისიდორეს ბრძანებით, და მეორეც სამეგრელოს მთავრის დადიანის სურვილისაებრ, და ეს ძველი დაბადება უკანვე მიაქციეს ივერიის მონასტერში. ორივე პირი ამ დაბადებიდან გადმოწერილი ჩემს ხელში იყო 1894—1896 წლებში, როდესაც სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორის მონდობილებით ვასწორებდი დაბადების პირველ წიგნებს.

ეს დაბადება, რომელიც შეადგენდა საკუთრებას ნეტარხსენებულის მთავრის დადიანისას, მისს მემკვიდრეთაგან შეწირულია ეხლა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ. მე ვუთხარ ბერძენს იღუმენსა: ამ დაბადებას მე კარგად ვიცნობ და მოკლედ მოვუთხარ ისტორია დაბადებისა. მერე მოვსთხოვე, მაჩვენეთ დაბადება, რომელიც თვით წმ. მამის ევთიმისაგან იყო თარგმნილ ბერძნულის ენიდგან. მათ მიპასუხეს, რომ ამაზედ მეტი დაბადება არ მოიპოვება აქაო. მე განვაგრძე: წმ. ევთიმის ცხოვრების აღწერაში არს მოხსენებული, რომელ ახლად უთარგმნია მას ქართული დაბადება. მიპასუხეს,—არ არის სხვა დაბადებაო. მე შევნიშნე: ამისთანა დიდებულს ძველს მონას-

ტერს არ შეიძლება, რომ არ ჰქონდეს ძვირფასი სახარება და დაბადება, და საღმრთონი ჭურჭელნი; მიპასუხეს: ერთხელ დაიწვა ქართული წიგნთ-საცავი და მეორედაც მოიპარეს ექვსი ჯორის საპალნე ძველი ქართული წიგნებიო, და რაც გადარჩა, ეს არისო. მე ვუპასუხარი: ერთგულნი მცველნი არა ყოფილხართ. როდესაც დაკეტილ ეზოდგან, დახშულის ციხიდგან იპარავენ რაოდენსამე საპალნე წიგნებსა და თქვენ ვერ გაიგეთ. ეს ცხადია დღესავით, რომ მოპარული კი არა, გასყიდულია მათგან. ამის გამგონს ცეცხლი ამეგზნა გულში. ჩვენს წმ. მამათა სისხლითა და ოფლით ნაშრომს სულიერს საუნჯეს ასე ბარბაროსულად წარიტაცებენ. უფრო ადამიანურად მოიქცა ომარ ხალიფი, როდესაც დაიპყრო იერუსალიმი მეშვიდე საუკუნეში, მან არ ინება მაჰმადის წესზედ შესრულება ნამაზისა ქრისტე მაცხოვრის საფლავის ტაძარში, ვიდრე ეხლა ბერძენთა მონაზონნი ეპყრობიან ჩვენს წმ. მამათა სამკვიდრებელს.

დანაშთენი წიგნები სრულიად გადავათვალიერეთ. მომეტებული ნაწილი ეტრადზედ დაწერილი მოძღვრებანი და თარგმანებანია (განმარტებანი) წმ. მამათა: ვასილი დიდისა, გრიგორი ღვთისმეტყველისა, გრიგორი ორმეტყველისა, იოანნე ოქროპირისა. ეფრემ ასურისა, დოროთეოს, იოანნე სინაელისა, კლემექსის აღმწერელისა. ამათაც ზოგს თავი აკლია, ზოგს—ბოლო. აქ უნდა შევნიშნო, რომ ევერიის მონასტრის ქართველთა ღირსად მოსახსენებელთა მამათა არცა ერთი თხზულება სულიერის შინაარსისა და ფილოსოფიურიც არ დაუტევებიათ, რომ არ გადმოეთარგმნოთ ბერძნულის ენიდგან ქართულად.

ქართველთა ათონის სავანეს ძმანი სთხოვენ გადასაწერად ამ წიგნებს და ამითაც არ აკმაყოფილებენ მათს საღმრთო სულიერს წყურვილს. ამ გულის შემაშფოთებელის სურათის ხილვის შემდეგ თიოთონ დაგვით-

ხოვეს, ანუ უკეთ ვსთქვა, გამოგვდევნეს, ჩვენის საღილის დროა და აქედგან გაბძანდითო. მივუბრუნდი ქართველთა ძმათა და ვუთხარ მ. ალექსი მღვდელსა და გაბრიელ მონაზონს: ძმანო, ჯიბენი უჩვენეთ კარგად ამ ზედამხედველთა, რათა არ იფიქრონ, რომ მოვიპარეთ რამე ამ მონასტრის წიგნთ-საცავიდგან. ამათაც ნამდვილ გადმოიბრუნეს ცალიერი ჯიბენი. ამ წიგნთ-საცავის გადახილვის დროს დაესწრო ერთი პროიღუმენი დანიელ, რომელიც კარგად ჰლაპარაკობს ქართულად, რადგანაც საქართველოში ნამყოფია და ქართველის ერის პურადობა გაშოუცდია. იმანაც-კი არ მიგვიწვია, რომ სიცხისაგან დამაშვრალთა ყელი ჩაგვესველებინა ერთი ჭიქა ღვინითა. ქართველთა ძმათა ათონის სავანეს ბერძენნი სთვლიან კელლიად; აქაურის წესით, ქართველთა ძმათ არ შეუძლიანთ ჰყავდეთ მომეტებულ სამ მღვდელ-მონაზონისა. ნება არ მისცა ივერიის მონასტრის კრებულმა ქართველ ძმათა სავანეს, რომ გუმბათი დაადგან ეკკლესიას. მონასტრის შიგნით ეზოში ბერძნის ბერებმა, ვითარცა ხატის მბრძოლთა, აუგლიჯეს ქართველებს ხატი წმ. იოანნე ღვთისმეტყველისა. ნებას არ აძლევენ ქართველთა ძმათ, გამოიყვანონ წყალი მილით ეზოში. ზაფხულობით ეს მცირე ნაკადული, მზეზედ მომდინარე, ჰშრება, პირუტყვნი აუწმინდურებენ. ამ გვარს შევიწროებაში არიან ქართველნი ძმანი ბერძნების მონაზონთაგან, და ყოველსავე ამას სულგრძელებით ითმენენ. მე-XIX საუკუნის დასაწყისს, როდესაც საქართველოში არეულობა იყო, ძალ-მომრეობით გამოსდევნეს ბერძენთა ჩვენნი ძმანი ქართველნი და დაიპყრეს, ვითარცა ავაზაკთა, ჩვენი დიდებული ივერიის მონასტერი.

აი ასეთი დამოკიდებულება არსებობს ივერიის მონასტრის ბერძენთა და ქართველთა სავანის ძმათა შორის. და როდის უნდა გასწყდეს ეს დაჭიმული ნასკვი გორ-

დისა? დროა კვალადცა განვაახლოთ ჩვენი შუამდგომლობა რუსეთის უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომლისა შვილებად ვირიცხებით და ვართ ერთგულნი ქვეშევრდომნი რუსეთის ხელმწიფე იმპერატორისა. პირუთვნელი ისტორია სხვა-და-სხვა საუკუნეთა მწერალთა პირით მოგვითხრობს, და ქვანიც-კი ჰღაღადებენ, რომ ათონის ივერიის მონასტერი ქართველთა ძმათა სამკვიდრებელია; ამას ჰმოწმობენ და ამტკიცებენ მრავალნი სიგელ-გუჯარნი და გრამატანი ბიზანტიის კეისართა, ქართველთა მეფეთა და პატრიარქთა. ცხადია, ბერძნები მონასტერს თავის ნებით არ გარდმოგვცემენ. ერთი საშუალება-ღა დაგვრჩენია: რუსეთის მთავრობამ კეთილ ინებოს გამოსარჩლება თავისის ერთგულის ქართველთა ერისა და შეუკრას შემოსავალი მამულებისაგან, რომელიც მდებარეობს საქართველოსა და რუსეთში და რომელიც შეუწირავთ ივერიის მონასტრისათვის ქართველთა მეფეთა და მთავართა, და შემდეგ რუსეთის ხელმწიფეთა. საქართველოში მდებარე მამულებიდან, რომელნიც შეუწირავთ ქართველთა მეფეთა და მთავართა და აგრეთვე ქ. მოსკოვის მამულებიდან, რომელნიც შეუწირავთ რუსეთის მეფეთა ივერიის ათონის მონასტრისათვის, ბერძენთა მონაზონნი ამ მონასტრისა წელიწადში იღებენ შემოსავალს არა ნაკლებ ოცი ათასის თუმნისა. ასე მოიქცა რუმინიის მთავარი, რომელმაც 1860 წლებში სრულიად ჩამოართვა ბერძენთა მონასტრებს თავის სამეფოში მდებარე მამულები. ამ სახედვე მოიქცა რუსეთის მთავრობა 1870 წ. ბესსარაბიაში, სადაც 120 ათასის მანეთის შემოსავლიდგან წელიწადში, მხოლოდ ნახევარს აძლევენ ბერძენთა მონასტრებს. ეს ამბავი მოჰხდა ბესსარაბიაში მღვდელ-მთავრობის დროს მთავარ-ეპისკოპოზის პავლესა, შემდეგ საქართველოს ექსარხოსისა.

მეორე საშუალება, ჩემის აზრით, ეს არის: ქართველნი ძმანი მიღებულ იქმნენ ივერიის მონასტერში თანასწო-

რის უფლებით ბერძენთა თანა, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ ყოველთვის მიუცილებლად წინამძღვარი მონასტრისა და ეგრეთვე ეკონომოსი ამოირჩეოდნენ ქართველთა ძმათაგან, რადგანაც ივერიის მონასტერი ქართველთა სამკვიდრებელს შეადგენს; ერთს ეკკლესიაში განუწყვეტელად ქართულად შესრულდებოდეს ღვთის-მსახურება, ხოლო მეორეში—ბერძნულს ენაზედ, ვითარცა ვხედავთ ამ გვარს დამოკიდებულებას პანტელეიმონის მონასტერში რუსთა და ბერძენთა მონაზონთა შორის.

წარწერა ათონის ივერიის მონასტრის კარისა ღვთისმშობლის ხატზედა.

ჶ დედოფალო, დედაო კაცთმოყვარისა ღმრთისაო, ყოვლად უბიწოო ქალწულო მარიამ, შეიწყალე სული პატრონისა ჩემისა დიდისა ყვარყვარეს შვილისა ქაიხოსროსი და მე, მონა შენი და ყოვლითურთ ულონო ქმნილი საბრალო ამბროსი. გმადლობ, რომელმან ღირს-მყავ ულირსი ესე მოჭედასა და შემკობასა წმიდისა ხატისა შენისა პორტაიტისა (კარისა). ეჰა, დედოფალო, შეიწირე მცირე ესე ჩემ ცოდვილისა მიერ კადრებული, და დაიცევ ნეშტი ცხოვრებისა ჩემისა უცოდველად; და, ჟამსა საწყალობელისა სულისა ჩემისა განსლვისასა, შემეწიე, და უჩინო ჰყვენ ყოველნივე ცოდვათა ჩემთა ხელით-წერილნი, და წარმადგინე ცოდვილი საყდართა ძისა და ღმრთისა შენისათა დიდებად ძისა შენისა, და თანადაუსაბამოსა მამისა მისისა, და ყოვლად წმიდისა სულისა მისისა. აწ, და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე ამინ".

ეს ზემო მოყვანილი წარწერა გადმოვწერეთ ათს ივლისს 1899 წელსა ათონის ივერიის კარისა ღვთისმშობლის ხატიდან, თანადასწრებითა პატიოსანის მღვდლის მ. ალექსი ბაქრაძისა, რომელიც მოღვაწეობს ათონის

ქართველთა სავანეში, და მონაზონის გაბრიელისათა (აბა-შიძისა). როდესაც თაყვანივეცით ამ სასწაულთ-მოქმედ-სა ხატსა, მაშინ ვსთხოვეთ ბერძენს იღუმენს, იქ მდგომა-რესა, დიდის მუდარებით ნება-რთვა ამ წარწერის წაკი-თხვისა და გადმოწერისათვის; მან პირველად დიდი უარი განგვიცხადა ჩვენს საღმრთო თხოვნაზედ, ხოლო მეორე და მესამე თხოვნის შემდეგ ნება-დაგვრთო, და ჩვენ, დი-დის ანთებულის კელაპტრების მპყრობელთა ხელთა ში-ნა, აგვიხადა ფარჩა, რომლითაც დაფარულია ზედწარწე-რა ყოვლად წმ. ღვთისმშობლის ხატზედა. ამ წარწერას არა აქვს ნაჩვენები ქორონიკონი; ან თუ ყოფილა და შემდეგ მოუშლიათ, ესეც შესაძლებელია. მაგრამ თვით შინაარსი წარწერილისა ცხადად მოგვითხრობს, ვისგან და როდის არის შემკობილი ეს ყოვლად დიდებული ხატი, და ვის სამეოხოდ, და მოსახსენებელად. აქ მოხსენებული ამბროსი არის ეპისკოპოსი სამცხესი. იგი ყოფილა აღ-ზრდილ ქაიხოსრო ათაბაგის მიერ (1492-1502 წ.). ამის შვილს მზეჭაბუკს (1502-1516 წ.) წარუგზავნია ეს ამბროსი მოსალოცავად და მოსახილველად იერუსალიმისა, სინა-სა და წმ. ათონის მთისა დიდის შესაწირავებითა; და ივე-რიის ქართველთა მონასტრისათვის შეუწირავს 25,500 ოთმანი ოქროთი და ვეცხლითა. ამ ხსენებულს ამბროსი ეპისკოპოზს შეუმკია ოქრომოჭედილის სამოსელითა ანუ კვართითა ივერიის კარისა ღვთისმშობლის ხატი. ამის მეტი წარწერა ქართულს ენაზედ სრულიად მოსპობილია ბერძენთაგან ივერიის მონასტერში, ჩვენდა სამწუხაროდ, ვიფარცა ხატებზედ, ეგრეთვე კედლებზედ, შიგნით და გარეთ. სადაც ის იკადნიერეს, რომ ამ წმ. სავანის აღმა-შენებელს თორნიკეზედ მოუშლიათ ქართული წარწერა და ბერძენთა კეისარის სახელზედ გადაუნათლავთ, სხვას რაღას დაინდობენ?

ათონის ქართველთა სავანეში გარდმომცეს, რომ ივე-

რიის მონასტრის ბერძენთა კრებულსა ქ. მოსკოვში მოემზადებინა ახალი კვართი (პერანგი) ივერიის კარისა ღვთისმშობლის ხატისათვის ბერძნულის წარწერით, რომელიც მე თვითონ მაჩვენა ბერძნის იღუმენმა. მაგრამ გაძარცვა ძველის ოქროჭედილის პერანგისა, შეწირულისა ქართველის ეპისკოპოზის ამბროსისაგან და შემოსვა ღვთის მშობლის ხატისა ახალის პერანგითა ველარ იკადნიერეს, რადგანაც ერთს ბერძენს ძმათაგანს ჩვენება უხილავს, რომ არ გაჰბედონ შეხება მის წმ. ხატისა, გაძარცვა ძველის პერანგისა და შემოსვა ახლისა.

ქართულის წიგნების გადახილვის დროს ივერიის მონასტერში, ვისარგებლეთ რა მოკლე დროებით, ამოვწერეთ რავდენიმე შესანიშნავ ხელ-ნაწერის წარწერანი თავსა და ბოლოს.

1. **ცხოვრება წმ. იოანნე ოქროპირისა და ნაწილთ-ალმოყვანება მისი**—ფორმატით სახარების ტანის ოდენი. წარწერა ამ წიგნისა არს შემდგომი: „წადიერად მსახურებისათვის ღვთივ-დიდებულთა უფალთა, პირველად იოანე თორნიკ სინგელოზისათვის და ვარაზვაჩე იოანესთვის და შვილთა მათთათვის, ერთობით ადიდენინ ღმერთმან და შეეწიენ წმ. იოანე ოქროპირი, რომლისა მსგავსნი არიან; და აღვსწერე წმ. ესე წიგნი, ცხოვრება წმ. იოანე ოქროპირისა და ნაწილთ-ალმოყვანება, რომელთა (რაჲცა) კნინსა ბუნებასა ჩემსა შეეძლო, არ დამიკლია, და გავასრულე ნებითა ღვთისათა, და მადლითა წმ. ოქროპირისათა. ღმერთმან უბედნიერე თორნიკ სინგელოზსა, და წმ. ოქროპირსა თანადაუსაყდრენ. იოანე თორნიკეს და იოანე ვარაზვაჩეს და შვილთა მათთა ორთავე ცხოვრებათა მეოხ-ეყავ, წმ. ოქროპირო. დაიწერა წმიდა ესე წიგნი ლავრასა შინა დიდებულსა ოშკს ნათლისმცემელისასა, წინამძღვრობასა წმ. მამისა საბასსა.

ღმერთმან ადიდენ და ცოდვანი შეუნდვენ. ხელითა ჩემ გლახაკისა საწყალობელისა იოანე ჩირასითა. ღმერთმან დაგაჯეროსთ. ვინცა იკითხვიდეთ, ხსენებულმცა ვარ წმიდათა ლოცვათა თქვენთა, რათა თქვენცა უფალმან მადლი მოგანიჭოს. ამინ. ხოლო რომელი სიუცბით დამეკლოს, ღმერთმან დაგაჯეროს. შენდობა ჰყავთ, რათა ღმერთმან თქვენცა შეგინდოს. კურთხევა მამისა მწერალსა ზედა, წყალობა ძისა მკითხველსა ზედა, მადლი სულისა წმიდისა მსმენელსა ზედა.“

2. სამოთხე—დიდი მარხვნის ტანის ოდენი. ამას აკლია თავში 1 რვეული და მეორე რვეულისა 1 ფურცელი. თავზედ აქვს შემდეგი წარწერა: ამ წიგნს სახელად ეწოდების სამოთხე, თორნიკის შემოწირული. მე, ფრიად უღირსი, მთავარეპისკოპოს ყოფილი, ტიმოთე მოვიწიე წმიდასა მონასტერსა 1756 წელსა. დაიწერა წმიდა ესე წიგნი დიდებულსა ლავრასა ოშკს საყოფელსა წმიდისა ნათლის-მცემელისასა, მამობასა საბასსა, ხელითა სტეფანე დეკანოზისათა, ქორონიკონსა „რეჭ“ (977 წელსა.)

3. მაქსიმე აღმსარებელის წიგნი, ჟამნის ტანისა.

4. მათეს სახარების თარგმანი შემდეგის წარწერითა: „და აღესრულა თარგმანება ესე ნუსხად მათეს თავისა სრულიად ხელითა გლახაკის ეფთვიმესითა, მთასა წმიდასა ათონს, საყოფელსა წმიდისა ღვთისმშობელისასა.“

5. მეორე ტომის სახარების თარგმანის ბოლოს აქვს შემდეგი წარწერა: „დაიწერა მთასა წმიდასა ათონს, მონასტერსა ქართველთასა წმიდათა მამათასა იოანე და ეფთვიმესა, ბერძულად დასაბამითგანი წელნი იყვნეს „ხფივ“ ინდიკტიონს ვ. ქრისტეს ჯვარცმიდგან „შპბ; ქართულად დასაბამითგანი წელნი „ხქიბ“, ქორონიკონი მეათორმეტე, მეცამეტე მოქცეული სკ.“

6. **წმიდა დიდი მაკარის წიგნი.** შუას ქვემოთ აწერია: „ქრისტე, ადიდე წმიდა მამა ეფთვიმე, ამის წიგნისა მთარგმნელი, და მამა გრიგოლი მომგებელი შვილითურთ სულიერით, და ვისცა შრომა თავს უცს. ხოლო დაიწერა მთასა წმიდასა ოლიმპოს საბერძნეთისასა, ქვაბსა საყოფელსა ქართველთასა, ეკკლესიასა წმიდისა ღვთისმშობელისასა, ბრძანებითა მამისა გრიგოლისათა, ფ´დ ცოდვილის ისაკისითა მნკ´ნლისათა: მეფობასა რომანოსისა, ოდეს სარკინოზეთს წარვიდა წარმოტყვენვად, ქორონიკონსა სნ. ბოლოს აწერია: „გლახაკი ისაკის ხელითა: ამ წიგნში არის მაკარის ეპისტოლენი, და წამება წმიდა ბაგრატისა და აკეფსიმაეთი.“

7. **დიდი სახარების თარგმანი მათესი,** რომელსა ზედა წარწერილია: „დაიწერა მთა წმიდას, ათონის მონასტერსა წმ. მამათასა იოანნე და ევთიმისა, საყოფელსა წმ. ღვთის-მშობელისასა, ქორონიკონსა სკ©.“

8. **დოროთეს წიგნი,** სამი კონდაკის ტანისა; თავი და ბოლო აკლია.

9. **წერილი სამოელ ქართლისა კათალიკოზისა,** გადმოვწერეთ იმ პირიდგან, რომელიც ფოტოგრაფიის შემწეობით გადმოეღო ივერიის ათონის მონასტერში ბ.ნს მარსს მარტში 1899 წელსა. „მე, სამოელ, ქრისტესმიერ ქართლისა კათალიკოზი, უფალსა იოვანეს საბანის ძესა, სულიერად შვილსა წმ´სა კათოლიკე ეკკლესიისასა და საყვარელსა ჩ´ნსა, ლოცვით მოგიკითხავ უფლისა მიერ. მშვიდობა იყავნ შენზედა, და ყოველთა სახლისა შენისა კრებულთა ქრისტეს მიერ. ჩვენ თვით უწყით წადიერებაჲ შენი ღ´თის მსახურებისათვის და ღვთივ მიმადლებული შენი მეცნიერებაჲ საღ´თოთა წიგნთაჲ და გულმოდგინებაჲ შენი კეთილთა საქმეთა მოღვაწეებისათვის. შენ

თვით უწყი ახლისა ამის ჟამისა სანატრელისა აბოსი, რ´ი დღეთა ამათ შინა“ (წამებულ იქმნა) და შემდეგი დაუსრულებელია. ქორონიკონი ბოლოში უზის ´თ.

ქართველთა სავანეს ძმათ დაუწყიათ დავა ივერიის მონასტრის გამო 1883 წელსა და აქამდე დასასრული არა აქვს მათს საჩივარსა. მადლობა ღმერთს, რომ ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ, აწ ღვთივ განსვენებულმა, კეთილ-ინება და მამობრივ შეიბრალა ქართველნი ძმანი ათონის სავანისანი და ჰბრძანა დაენიშნოს მათ რუსეთის სახელმწიფო ხაზინიდგან სამ ათასი მანეთი წელიწადში შემწეობად, ვიდრე გადასწყდებოდეს დავა, ივერიის მონასტრის გამო დაწყებული; უამისოდ შიმშილით ამოსწყდებოდნენ ქართველნი ძმანი, როდესაც ამავე დროს ჩვენის საქართველოს პურითა და ღვინით და სხვა კეთილით სუქდებიან ბერძენთა მონაზონნი. რო მელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!

ეკკლესიის აღსაშენებლად ქართველთა სავანეს კვალადცა უწყალობა ათას რვასი თუმანი ნეტარ ხსენებულმა იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ. ეს ფული რომ მიიღო წინამძღვარმა ქართველთა სავანისამ, ეკკლესია უკვე დასრულებული ჰქონდათ, და რაში დაიხარჯა ეს ფული, წინამძღვარს მონასტრისას ჯერაც ანგარიში არ მიუცია სავანის ძმათათვის თვისის მოვალეობისამებრ. ქართველთა ახალ სავანეში აწ ჰმოღვაწეობენ 33 ძმანი, მათ შორის სამი მღვდელ-მონაზონი: მოძღვარი ამ სავანესი დიდ სქემოსანი, მამა თეოდორე; იგი დიდად პატივცემულია არა თუ მხოლოდ ქართველთა სავანეში, არამედ მთელის ათონის მთის შვენებას შეადგენს თვისის სულიერის წმიდა მოღვაწეობის ცხოვრებით. დიდ შესანიშნავს კეთილ-ზნეობის საგნების განსამარტებლად ყოველთვის იმას მიჰმართავენ ხოლმე ყველა მონასტრიდგან, ეროვნების გა-

ნურჩევლად. ღირსად ჰმოღვაწეობენ ქართველთა სავანეში აგრეთვე მ. მ. გიორგი და იონა მღვდელ-მონაზონნი. (ეს უკანასკნელი დროებით განაგებს სავანესა და ყოველ დღე მწირველია) და ჰზრუნავენ იგინი სავანის კეთილმდგომარეობისათვის. ხოლო წინამძღვარი ამ სავანისა დაფუძნებიდგანვე, მ. ბენედიქტე მღვდელ-მონაზონი, აგერ ხუთი წელია განშორებია მონასტერსა და იმყოფება სოხუმსა და ბათუმში, ვითომც მონასტრის საქმეების წარმართვისათვის.

მამა გიორგი (გოგოლაძე) უკვე გარდაიცვალა 25-სა დეკემბერსა 1899 წელსა, და განვიდა ამიერ სოფლით; მისმა მართალმა სულმა დაუტევა თვისი ხორციელი საყოფელი იმ დღესა, როდესაც ქრისტეანეთა ეკკლესია დღესასწაულობს ქრისტე მაცხოვრის ხორციელად შობასა, და ისრედაც რიცხვ-მცირე ქართველთა ძმათა სავანეს სამ. შობლოს გარედ მოაკლდა ეს ღირსი, მხნე, დიდი მოღვაწე და მშრომელი ძმა სასიქადულოდ საქართველოს ეკკლესიისა და ერისა.

ყოვლად მოწყალე მაცხოვარმა, უფალმა იესო ქრისტემ მიაგოს მას ზეციერს სასუფეველში სანატრელი განსვენება, და ვითარცა კეთილი და სარწმუნო მონა, რომელი მცირესა ზედა სარწმუნო იქმნა და აწრო ბჭენი და საჭირველი გზა სარწმუნოებით განვლო, მრავალსა ზედა დაადგინოს იგი უფალმან და შეიუვანოს იგი დაუსრულებელსა სიხარულსა (მათ. 25, 23).

დაფუძნებიდამ ათონის ქართველთა ახალის სავანისა ნეტარ-ხსენებულმა, სულით კურთხეულმა გაბრიელ, იმერეთის ეპისკოპოსმა, წარგზავნა ათონის მთაზედ გელათის მონასტრიდამ ორნი ცნობილნი მოღვაწენი მამანი— თეოდორე და გიორგი, აწ ღვთისა მიერ განსვენებული, ვითარცა მტკიცენი სვეტნი დასამყარებლად და დასამტკიცებლად ახლად დაფუძნებულის ქართველთა სავანისა საზღვარს გარედ, ათონის მთაზედა.

1900 წლის დამდეგს მ. ბენედიკტე დანიშნულ იქმნა საქართველოს ეგსარხოსისა მიერ წინამძღვრად დავით-გარესჯის მონასტრისა საქართველოში; ხოლო აპრილში 1900 წელსა აღყვანებულ იქმნა ბგი იღუმენის ხარისხზე-და, რადგანაც საზოგადოდ შემცირებულია რიცხვი მონაზონთა საქართველოს მონასტრებში, ამისათვის გამოწვეულ იქმნენ ათონის ქართველთა ძმათა სავანიდან სამნი მონაზონნი: პიმენ, სვიმეონ და გაბრიელ, სამოღვაწეოდ დავით-გარეჯის უდაბნოში, ნოემბრის თვეში 1899 წელსა. მაგრამ სამწუხაროდ ქართველთა, რომელნიც თანაუგრძნობენ სულიერს სარწმუნეობრივ-ზნეობრივს წარმატებას საქართველოში, ამ ზემოხსენებულთა ძმათა ვერ ჰპოვეს გარესჯის უდაბნოში სულიერი მშვიდობა და ძმობრივი სიყვარული ამ მონასტერში მოღვაწეთა ძმათა შორის. ამისათვის, ორნი მათგანნი მღვდელმონაზონნი პიმენ და სვიმეონ იძულებულ იქმნენ უკანვე დაბრუნებულიყვნენ ათონის ქართველთა ძმათა სავანედ იანვარში 1901 წელსა. ხოლო გაბრიელ დიაკონი დაშთა საქართველოში დროებით და აწ მოღვაწეობს იოანნე ნათლისმცემლის უდაბნოში მახლობლად ქ. ტფილისისა. და ამ სახით, სადაც ჩვენ გვსურდა დათესვა სულიერის იფქლისა (ხვარბლისა), ჩვენდა სამწუხაროდ, იქ აღმოსცენდა ღვარძლი, დათესილი მტრისაგან ყოვლისა კეთილისა—(მათ. 13, 24—30) ეშმაკისა, ამისათვის ჩვენ გვეგდრნეთ უფალსა ღმერთსა, რათა არა მოაკლდეს სარწმუნოება ქართველს ერსა და გამოაფლინოს ღირსნი მოღვაწენი და მოქმედნი სამკალსა თვისსა განსამტკიცებელად ძმათა ჩვენთა (მათ. 9, 37), (ლუკ. 22; 31, 32).

სხვა-და-სხვა შევიწროებათა გარდა, ქართველთა ძმათა შეშით სარგებლობის ნებასაც არ აძლევენ ბერძენთა მონაზონნი ივერიის მონასტრისანი არცა საფასითა. ერთხელ ნება გამოსთხოვეს ქართველთა ძმათ შეშის მოჭრისა და დაამზადეს შეშა ჩამოსატანად. ამ დროს მოცვივ-

დნენ ივერიის მონასტრის ბერძენთა მონაზონნი, მორეკეს 12 ჯორი, დატვირთეს და წაიღეს თავის სასარგებლოდ. ქართველთა ხმა ვერ გასცეს, რადგანაც ისინი რიცხვით მცირედნი არიან და სულგრძელად მოითმინეს, ხმაც არ ამოუღიათ და სავანეს ეზოდგან გარედ არავინ მათგანი არ გასულა, რადგანაც კეთილგონიერება მოითხოვდა ამას, უკვდავ პოეტის რუსთაველის სიტყვისაებრ, „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგანაო“.

ყოველის ამის მხილველნი და მსმენელნი მაინც დიდის პატივისცემით ვეპყრობით ბერძენთა მონაზონთა, როდესაც ისინი მობრძანდებიან საქართველოში; ამავე დროს ისინი წყურვილით არჩობენ ჩვენთა ძმათა, ნებასაც არ აძლევენ ჩვენთა ძმათა სუფთად წყალის გაყვანისას სავანეს ეზოში, არ აძლევენ ნებას, ისარგებლონ მათ იმ წყალით, რომლითაც თითონ ბერძნები არა სარგებლობენ, რადგანაც თითონ არა საჭიროებენ: უკეთესი წყარო თვით მონასტრის ეზოშივე აქვთ.

ივერიის მონასტერში გაუტარებია ბ-ნს მარრს წარსულს წელში 40 დღე, ბევრი უშრომია, ბევრი ამოუწერია ქართულ წიგნებიდგან და ფოტოგრაფიითაც გადმოულია. ამასთანავე ბ-ნი მარი დაჰპირებია მონასტრის ძმათა ქართული წიგნების კატალოგის შედგენას, რადგანაც არ არის იგი აქამდე შედგენილი. მოგახსენებენ, რომ ბოთლისათვის საცობი რომ დასჭირდეთ, ქართულის წიგნის ეტრადზედ მოჰხევენ ტყავს და ჰხმარობენო, ანუ თევზის დასაჭერად ჩანგალზედ ამ წიგნების ტყავსავე ჰხმარობენო. რა ეწოდება ამ გვარს მოქმედებას? ბარბაროსობა. აი ნიმუში გონების სიბნელისა განათლებულს 19 საუკუნის დასასრულს!

იქამდის მიაღწევს სიძულილი ივერიის მონასტრის ბერძენთა მონაზონთაგან, რომ ნებას არ აძლევენ ქართველთა სავანის ძმათა თავისუფლად შეევიდნენ თაყვანისსა-

ცემლად ივერიის კარის ღვთისმშობლის ხატისა, საქართ-
ველოს ეკკლესიისა და ერის მფარველისა.

ათონის ივერიის მონასტერი დაფუძნებულია მეათე
საუკუნის დასასრულს იმ ადგილზედ, რომელიც შეუძე-
ნიათ საქართველოს დიდებულთა შვილთა თვისის სისხ-
ლითა, თვისი სისხლი დაუთხევიათ მათ ბერძენთა სამეფოს
დასახსნელად მტერთაგან; იგი მონასტერი აღშენებულია
საქართველოს მეფეთა და მთავართა უხვის შეწირულები-
თა, მორწყული და განაყოფიერებულია ქართველთა წმ.
მამათა მოღვაწეობის სისხლის ოფლითა, ლოცვითა და
ცრემლითა, დამყარებულია იგი ყოვლად წმიდა ღვთისმშო-
ბლის მფარველობითა, რომლისაც წილ-ხდომილნი ვართ,
და ჰგიეს იგი უფლისა იესო ქრისტეს მოწყალებითა.

ახლაც ყოვლად წმიდა ღვთისმშობელი არ აკლებს
თავისს მოწყალე მფარველობასა და ნუგეშსა ძმათა ქარ-
თველთა ათონის სავანისათა, უსამართლოდ დევნილთა
ბერძენთაგან.

ამის დასამტკიცებლად ქართველთა ძმათა შემდეგი
მომითხრეს: ზევით უკვე მოვიხსენე, რომ დაბა კარეას ტა-
ძარში არის სასწაულთმოქმედი ხატი ღვთისმშობელისა, წო-
დებული „ღირს არსის ხატად“. ამ ხატს წელიწადში ერთ
გზის ლიტანიით გამოასვენებენ ტაძრიდგან 11 ივნისს და
შემოუვლიან გარემო დაბა კარეას. ორის წლის წინად
გადასწყვიტეს ათონის მონასტრების ეპიტროპთა ანუ
წინამძღვართა, გადაიღონ პირი ამ საკვირველთ-მოქმედის
ხატისა, აკურთხონ იგი და გამოასვენონ ყოველ წელსა
ლიტანიით ტაძრიდგან. ეს გარდაწყვეტილება მიიღეს
ყოველთა კრებულთა თვითოეულის მონასტრისადა; თი-
თოეულმა წინამძღვარმა, დასამტკიცებლად თავისის თან-
ხმობისა, დაასვა ღერბი თავისის მონასტრისა. გადაიღეს
მეორე პირი საკვირველთ-მოქმედის ხატისა, გარემოს
შემკობილი თითოეულის ათონის მონასტრის ღერბითა

ეროვნების განურჩევლად. როდესაც სრულიად მზად იყო ახალი ხატი ღვთისმშობელისა, მაშინ გადიფიქრეს, პირველი იგი გარდაწყვეტილება გააუქმეს და დაამტკიცეს კვალადცა გამოსვენება პირველის ხატისა ყოველს წელსა სალიტანიოდ. ახლა შეუდგათ ბაასი, რა უყონ მეორე ხატსა, ახლად დახატულსა და შემკობილსა?

გარდაწყვიტეს საზოგადო კრებაზედ წილის ყრა ამ ხატზედ, შეადგინეს სია ხელის მომწერთა და დანიშნეს ბილეთი თითო მანეთად. ქართველთა სავანეს მხრივ მოაწერა ხელი მამა იონა მღვდელ-მონაზონმა და წილის ყრაში ერგო ეს ხატი ღვთისმშობელისა ქართველთა ძმათა სავანეს. წამოავლო ხელი რუსთა პანტელეიმონის მონასტრის წარმომადგენელმა და გამოეშურა გარდასაცემად ხატისა ქართველთა ძმათათვის, რადგანაც წილის ყრას ქართველი ძმათაგანი არავინ დასწრებია. შეხვდა შემთხვევით გზაში ქართველი მორჩილი, გარდასცა იმას ხატი და უთხრა: მიიქეც მსწრაფლ ქართველთა სავანედ, რომ ბერძენთ არ წაგართვან ეს ხატიო. ისიც გამოიქცა რვა ვერსის მანძილზედ და ოდეს მოუახლოვდა ქართველთა სავანესა, იწყო მაღალის ხმით ღაღადება: გამოვედით, ძმანო, მიგებებად ყოვლად წმიდის ღვთისმშობლისა, ჩვენის მოწყალე მფარველისა!.. გამოვიდა მსწრაფლ სრული საღმრთო კრება შემოსილი წინძღოლითა სანთლებისა და საკმეველისათა, დაასვენეს ხატი იგი გარეთ ეზოში, გარდაიხადეს პარაკლისი ღვთისმშობელისა და დააწესეს შემდეგ ამისა ყოველდღე მწუხრის დასასრულ შესრულება დაუჯდომელისა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისა. მიიღეს ამ წმ. სავანის ძმათა ეს წმ. ხატი, ვითარცა ცხადი ნიშანი ღვთისმშობლის მფარველობისა და მოწყალებისა ქართველსა ერსა და ქართველთა ათონის სავანესა ზედა.

მეორეჯერ ბერძენთა ერთმა მონასტერმა ჩააგდო ლატარიაში ვერცხლის ფეშხუში, მოაწერინეს ხელი მსუ-

რველთ. ამაზედაც მოაწერა ხელი ერთმა ქართველთა სავანეს ძმათაგანმა და წილის ყრის დროს ეს ნივთიც ერგო ქართველთა სავანეს. შემდეგ ამ ორის შემთხვევისა ქართველთა ძმათაგანს აღარავის აწერინებენ ხელსა ბერძენნი, როდესაც ლატარიაში საეკკლესიო ნივთს ათამაშებენ, იმ შიშისა გამო, რომ ქართველებს არ ერგოთ ნივთიო.

ბ-ნ მარის ყოფნის დროს ივერიის მონასტერში მოსულა იქვე სხვა პროფესორი რუსეთიდან, ბ-ნი კონდაკოვი, რომელსაც მოუთხოვნია, რათა ეჩვენებინათ მისთვის ქართული შესანიშნავი ეტრადნი, (ტყავზედ დაწერილი წიგნები) და სხვა შესანიშნავი ძველი ნივთები ივერიის მონასტრისა. არაფერი არ უჩვენებიათ და პროფესორი მეტად გაბრაზებულა; ან კი ვინ არ განრისხდება ბერძენთა ამგვარ ველურ საქციელისაგან? 7 ათასის ვერსის სიშორიდგან მოსულა მეცნიერი კაცი მოსახილველად ძველთა არქეოლოგიის ნაშთთა და არ აკმაყოფილებენ მისს საღმრთო მოთხოვნილებას.

ივერიის მონასტრის ციხის ზევით სართულში აქვთ დაკრძალული უძვირფასესი სამეფო და საეკკლესიო სამკაულნი: გვირგვინები და სკიპტრანი ქართველთა მეფეთანი, ძვირფასი სამი სახარება და ამ მონასტრის აღმაშენებელის, მარად მოსახსენებელის თორნიკე ერისთავის საჭურველნი (საომარნი იარაღნი): ხმალი, ჩაფხუტი, ფარი, ჩაჩქანი და მშვილდი, რომელთაც არავის ქართველთაგანს არ უჩვენებენ. ეს ცნობები გარდმოცემულია ქართველისათვის მეგობრობით ერთის ბერძენის ბერისაგან.

ივერიის მონასტრის დამფუძნებელის თორნიკე ერისთავის ღირსი მამის იოანეს ხატის მოსპობა ბერძენთაგან.

ათონის ივერიის მონასტრის საკრებულო ტაძრის დასავლეთის კარებზედ დახატულია აღმაშენებელი ამ წმ. სავანისა და ტაძრისა თორნიკე ერისთავი, შეჭურვილი სამხედრო იარაღითა; ამაზედ ყოფილა ქართული წარწერა 1880 წლამდის; ხოლო შემდეგ მოუშლიათ ეს ქართული წარწერა და გადაუკეთებიათ ბერძნულად; და მაგიერ ჩვენის დიდებულის სპასპეტის თორნიკისა მოსჩანს ეხლა ნიკიფორე, ბერძენთა კეისარი. დასამტკიცებლად ამ ფაქტისა მომყავს გაზ. „ივერიის“ № 26-დან 1900 წლისა კორესპონდენცია ბ-ნ ნადიკვრელისა, რომელიც სიტყვა სიტყვით მოგვითხრობს გარდამოცემულსა ბ-ნ გერასიმე ნადარეიშვილისას, რომელსაც ორგზის მოუღოცნია პალესტინის და ათონის სიწმიდენი და აწ სცხოვრობს ქ. თელავში.

„1882 წელს მე ვიყავ ათონის მთაზედ და სხვა მონასტრებთან ერთად ივერიის მონასტერიც ვილოცე. დავათვალიერე ისტორიული მხატვრობა და წარწერანი. გუმბათის პირდაპირ იატაკზედ ივერიის ტაძარში თითბრის ასოებით არის წარწერა, რომელიც სავსებით აღარ ეტყობა და რომლიდგანაც შეიძლება კიდევ ამოიკითხოს ადამიანმა სიტყვები „აღმაშენებელი გიორგი ქართველი“. ტაძრის სამხრეთის მხარეს არის დახატული სამღვდელო შესამოსით თავზედ შარავანდედითა და ზედ ბერძნულად აწერია: წმიდა მღვდელ-მონაზონი მარკოზი ქართველი“ რომელსაც, ბერძენ პროფესორის გედეონის სიტყვით, მეთექვსმეტე საუკუნის გასულს უცხოვრია, გამოჩენილი მხატვარი ყოფილა, მისი მხატვრობა მრავალს ეკკლესიაში ახლაც საუკეთესო მხატვრობად ითვლება. თვით ივე-

რიის მონასტრის სხვა ეკკლესიებიც ამ მარკოზ ქართველს დაუხატავს.

„ამავე ტაძრის კარის ბჭეზედ იყვნენ დახატულნი ათამდის მეფენი, რომელთაგან შუა ადგილას დახატულს თავზედ შარავანდედი ჰქონდა და ერთიც სამხედრო ტანისამოსით იყო დახატული. როდესაც ვათვალიერებდი, ერთმა მოხუცებულმა ბერძენმა ბერმა მითხრა: „ესენი, შვილო, საქართველოს მეფენი არიან, ამ მონასტრის აღმაშენებელნი და განმაახლებელნი და აი, ეს მხედრულად ჩაცმული,—თორნიკე ქართველიაო“. მეფეებს ზემოდგან საერთო ჰქონდათ წარწერა: „მეფენი საქართველოსანი“.

მერე იყო წარწერა თითოეულისა ცალკე, მაგრამ ერთის მეტი ყველა ისე იყო წაბღალული, რომ არ ამოიკითხებოდა, ერთს-კი ეწერა: „დედოფალი ნესტან დარეჯანი.“

„მონასტრის მახლობლად არის მაღლობი ადგილი, რომელსაც „ილია წინასწარმეტყველის დასაყუდარი“ ეწოდება. აქ ვნახე ღრმად მოხუცებული ქართველი ბერები, რომლებიც ივერიის მონასტრის ძმებად ირიცხებიან და იქიდგან საზრდოობენ. ამ მამებს ხელში ივერიის ღვთისმშობლის ტაძარი ჰქონიათ და მეტის მოღვაწეობისათვის გამოსულან მონასტრიდგან. ამათ შემდეგ ქართველთა მიღება ივერიის მონასტერში შეუწყვეტიათ.

„1887 წელს მეორედ ვიმოგზაურე ათონის მთაზედ, სხვათა შორის მივედი ივერიის მონასტერშიაც. კარის ბჭეზედ შევიხედე და დავინახე, რომ ჩემგან ნანახი მხატვრობა მეფეებისა განეახლებინათ და წინანდელის საერთო წარწერის—„საქართველოს მეფენი, აღმაშენებელნი და განმაახლებელნი ივერიის მონასტრისა“—მაგიერ ეწერა: „ბიზანტიელნი მეფენი, აღმაშენებელნი ივერიის მონასტრისანი“; დედოფალის ნესტან-დარეჯანის მაგიერ ეწერა: „ირინა დედოფალი“...

ათონის მთაზედ მონასტერნი: ივერიის კარისა ღვთისმშობელისა და წმ. ფილოთეოსისა, პალესტინაში—ცხოველსმყოფელის ჯვარისა და წმ. საუფლო საფლავისა, და სინას მთაზედ—წმ. ეკატერინასი ყოველ წლივ იღებენ დიდს შემოსავალსა საქართველოდან. საქართველოს მეფეთა და მთავართა შეუწირავთ ზემოხსენებულს სავანეთათვის სოფელნი, ვენახები, აგარაკნი, დუქნები და ყმები. ყოველთა ამათ შემოწირულებათაგან აქამომდის სარგებლობენ ბერძენთა მონაზონნი; და ამავე დროს ქართველთა მონაზონთაგანი რომ მივიდეს ვინმე სალოცავად ამ ზემოხსენებულ მონასტრებში, ბერძენნი ისე უყურებენ, ვითარცა მაწანწალასა, რომელსაც გამოჰკვებავენ შებრალებითა და არა მოვალეობისაებრ. აგერ ორმეოცი წელი შესრულდა, რაც ყმები განთავისუფლდნენ მონებისაგან რუსეთის იმპერიაში ნეტარ-ხსენებულის იმპერატორის ალექსანდრე II-ს მეფობის დროს, რისათვისცა აკურთხევენ მისს ხსენებას ორმოცი მილიონი განთავისუფლებულნი გლეხნი; ხოლო ბერძენთა ბერების უღელსა ქვეშე მონებისა და კირთებისაგან, არ იქმნა, ვერ ეღირსნენ განთავისუფლებას მონასტრების ყმანი, თუმცა იგინი აქამომდის ითმენენ არა მცირედთა შევიწროებათა და ქენჯნათა.

შემქენა მამულისა ათონის მთაზედ ქართველთა ძმათაგან და დავის გამოცხადება მათგან ივერიის მონასტერზედ.

ათონის ახალს ქართველთა სავანეს შეუსყიდნია მამული ივერიის მონასტრისაგან 2,000 მანეთად 1867 წელსა. გარდა ამისა, ვითარცა შემოღებულია ათონზედ, ყოველ წლივ უნდა ეძლია ხარკად ივერიის მონასტრისათვის რამდენიმე ლირა ოქრო (თითო ლირა ეთანასწო-



რება რვა მანეთს) და აგერ ათი წელია ქართველთა ძმათა სავანე აღარ იხდის ამ ხარკს, რადგანაც მას აქვს დაწყებული ივერიის მონასტერთან დავა 1883 წლიდან და ითხოვს იგი, რათამცა დაუბრუნდეს მას ივერიის მონასტერი თვისის მამულებითა, რომლითაც სარგებლობენ აქამომდის ბერძენნი სრულიად უსამართლოდ, ვითარცა მკრეხველნი და არა ვითარცა ნამდვილი პატრონები. თვით ნეტარხსენებულნი ქართველნი მართლმადიდებელნი მეფენი წინასწარ ხედავდნენ კეთილ გონიერებითა და უშიშარ ყოფისათვის მომავალში, როდესაც წყალობის სიგელს ანუ გუჯარს აძლევდნენ რომელისამე შეწირულებისას ივერიის მონასტერს, ასრე მოიხსენებდნენ: **ამა წყალობის წერილსა გაძლევთ ანუ გუბრძანებთ ჩვენს ქართველთა ათონის ივერიის მონასტერს,** რადგანაც წინასწარვე ჰქონიათ სახეში, რომ დავა არავინ აღძრას ამ ივერიის მონასტრის მფლობელობის გამო უცხო ტომმა ანუ ერმაო.

ეს დავა ივერიის მონასტერზედ ქართველთა ძმათაგან პირველი არ არის. ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე მე-XI დროსა, კონსტანტინეპოლის ოსმალთაგან დაპყრობის რამდენისამე თვის წინად, ქართველთა სასარგებლოდ გარდასწყვიტა ბერძენთა კეისარმაც ფლობა ივერიის მონასტრისა და რადგანაც დღე-დღეზედ მოელოდებოდა კონსტანტინეპოლის აღებას მტერთაგან, უკვე გარემოდგომილთგან, ამისათვის ისწრაფა კეისარმა და ხომალდით წარგზავნა ინგლისს დროებით დასაცველად სახელმწიფო მნიშვნელობის სიგელნი და მათ შორის ის საბუთის ქაღალდიც, რომლითაც კვალადცა მიანიჭა ქართველთა ძმათ ყოვლის მხრივ უფლებანი ათონის ივერიის მონასტერზედ, ვითარცა მათ ეროვნულს სამკვიდრებელზედა.

ათონის ივერიის მონასტრის ქართულს დაბადებაზედ.

ათონის ივერიის კარისა ღვთისმშობლის მონასტერში არის დაცული ორი ცალი ქართულის დაბადებისა, ერთი მათგანი შეუძენია დამფუძნებელს ამ სავანისას ღირსსა იოანნეს, მამას წმ. ევთიმისას, 978 წელსა, ვითარცა არის მოხსენებული ზედ მიწერითა ამავე დაბადებაში თანამედროვე მწერალთაგან, რომელთაც გადაუწერიათ ეს დაბადება. ხოლო მეორე ცალი დაბადება ახლად შეუსწორებია ღირსსა ევთიმის, ვითარცა უფროს მეცნიერს ბერძნულის ენისას. წმ. ევთიმისა მიერ შესწორებულს დაბადებას არავის უჩვენებენ, არცა ქართველთა და არცა რუსთა. ამ დაბადების შესახებ აი რას იწერება ერთი ქართველი მონაზონი ათონის მთიდამ: „უწმიდესის სინოდის მოთხოვნით თესალონიკის კონსულმა გამოსთხოვა ივერიის მონასტრის წინამძღვარსა ქართული დაბადება პერღამენტისა (ტყავზედ ნაწერი) ორი ტომი წარსადგენელად რუსეთის სინოდში. ამაზედ მონასტრის ძმათა ბერძენთა მონაზონთა ორი კვირა დიდი და განუწყვეტელი ბაასი ჰქონდათ: უმეტესობა ძალიან უარზედ იდგა და უმცირესობა თანხმობას აცხადებდა დაბადების გაგზავნისას. ბოლოს უმეტესობამ უარ ჰყო მოთხოვნილება სინოდისა და ასეთი პასუხი შეუთვალა: „ვინაიდგან ორი ტომი დაბადება არის გადმოთარგმნილი და დაწერილი წმ. მამისა ევთიმე ქართველისაგან; შიგ არის შეჩვენება და კრულება საუკუნოდ და მეორედ ქრისტეს მოსლვასა პასუხის-გება მისდა, ვინც მათ შეეხება და გასცემს, ამ მიზეზით ჩვენ არ ძალგვიძს სადმე გავგზავნოთ. ამის გამო, ვისაც სურდეს გადაწერა მათი, მოიბრძანდნენ ივერიის მონასტერში. სახლს, ბინას მივართმევთ და ხარჯზე უზრუნველ-ვყოფთ, დაბრძანდნენ, გა-

დასწერონ, რაოდენი ხანიც ენებოსთ. ეს პასუხი მისცეს კონსულს წარსადგენელად უწ. სინოდში, 16 თებერვალს 1900 წელსა.“

ზემოხსენებულის წერილიდან სჩანს, რომ ქართული დაბადება, რომელიც 1848 წელს მოუტანია ათონის ივერიის მონასტრიდამ პლატონ იოსელიანს, არ არის დაწერილი და შესწორებული წმ. ევთიმისა მიერ, რადგანაც ამ დაბადებაში არ არის გამოცხადებული არა ვითარიმე წყევა და შეჩვენება მათზედა, რომელნიც გარდასცემენ ვისმე ამ წიგნსა და ეგრეთვე მათზედაც, რომელნიც წამოიღებენ ათონის ლავრიდან.

ხოლო ამ წმ. ევთიმის დაბადებასთან შედარება და შესწორება ახლად დასტამბულის ქართულის დაბადებისა, და ეგრეთვე სლავურისა და რუსულისა, მიუცილებლად საჭიროა და სასარგებლო ვინაიდგან არცა საქართველოში, და არცა რუსეთში არ მოიპოვება დაბადება იმა დროისა და ღირსებისა. ჩვენს ქართულს დაბადების ტექსტში მრავალი შეცდომაა და მისი გასწორება ყოვლად საჭიროა. ბრიტანიის ბიბლიის საზოგადოება ტფილისში ჰყიდის თითქმის სამოცს ენაზედ დაბადებას და ქართულს ენაზედ კი არ მოიპოვება, რომ ქართველმა ერმაც ისარგებლოს ამ ღვთაებრივის სულიერის საზრდოთ.

ქართული გალობის მდგომარეობა ათონზედ.

ათონის ქართველთა სავანეში ყოფილა კეთილ განწყობილი მწყობრი ტკბილად მგალობელთა 1880 წლებში, ვიდრემდის ყოფილან ათონზედ მგალობელთა შორის: თავ. მელქისედეკ ნაკაშიძე, მ. გიორგი მოლარიძე, ღირსეულად მოღვაწე შემოქმედის მონასტერში გურიაში; მ. მ. კონტრიძე, ჭინჭარაძე და მ. ფილიპე შარაშიძე,

ქართველთა მგალობელთა გუნდსა აღტაცებაში მოჰყვანდა ყოველნი მსმენელნი რუსნი და ბერძენნიცა. ამ ზემოხსენებულ პირთა შეუსწავლიათ ქართული გალობა საფუძვლიანად რვა ხმაზედ ბ. ანტონ დუმბაძის ხელმძღვანელობის ქვეშ. ხოლო აწ ქართველთა სავანე ვეღარ იქ. ების ამ გვარის კეთილგანწყობილის გალობითა. ამისათვის ფრიად სასურველია, კვალადცა გაძლიერდეს ქართული გალობა ათონზედ აღსადგენელად ჩვენის ძველი ეროვნულის ღირსებისა, დიდებისა და პატივისა სხვათა ეროვნობათა წარმომადგენელთა მოღვაწეთა შორის ათონის მთაზედ. ოდესმე ათონზედ დროშა პირველობისა ეპყრათ ივერიის კარისა ღვთისმშობლის მონასტრისა ქართველთა ძმათა.

ბოლგართა სკიტი ღირსისა მამისა იოანნე რილელისა.

ივლისის 12, ორშაბათს დილით, კვალადცა წარვემართე ათონის დანაშთენის მონასტრების მოსალოცავად და მოსახილველად. თანამოგზაურად მყვანდა მხოლოდ გაბრიელ მონაზონი ქართველი. ჩამოვიარეთ ანდრიას და ილიას რუსთა სკიტების მახლობლად. რადგანაც ეს სავანენი წინა კვირას მოვილოცე, ამისათვის ეხლა აღარ შევედი იქ. მოვედით დილით ბოლგართა სკიტში, სადაც მოვისმინეთ წირვა. როდესაც სცნეს ბოლგართა ძმათა ჩვენი ეროვნება და მართლ-მადიდებლობა, პატივისცემით მთხოვეს სიმბოლო სარწმუნოებისა და საუფლო ლოცვის წარმოთქმა წირვაზედ ქართულად, საშუალ ეკკლესიისა. წირვის შემდეგ მიგვიწვია ჩაიზედ თვით მწირველმა, მონასტრის გამგებელმა მღვდელ-მონაზონმა მ. სტეფანემ. კარგად მოწყობილი მონასტერი

აქვთ სლავურს ენაზედ აღასრულებენ ღვთის მსახურებას, მხოლოდ გალობის კილო ბერძნული მიუღიათ. წარსულს იანვარში გარდაცვალებულა მათი წინამძღვარი არქიმანდრიტი. ეხლა მის მაგიერ ამოურჩევია მონასტრის ძმათა ღირსად პატივცემული მ სტეფანე, მაგრამ მათს არჩევანს არ ამტკიცებს რუსთა მონასტრის წინამძღვარი, თხოულობს, რომ იმას დაემორჩილნენ; ხოლო ბოლგარნი უარყოფენ ამ წინადადებასა და თანახმა არ არიან დაჰკარგონ თავისუფლება მონასტრისა. შემდეგ ვისადილეთ ერთად ტკბილის ძმობრივის საუბარით. მ. სტეფანემ მთხოვა იქ ღამის გათევა და ხვალისათვის წირვა; მე მადლობა მოვახსენე ყოვლისა ამისათვის და განვაგრძეთ მგზავრობა. სახსოვრად გარდავეცი მას ერთი ცალი ქართველთა წმიდათა ხატისა, რაიცა დიდის კმაყოფილებით მიიღო.

ბერძენთა ვატოპედის მონასტერი.

ქედგან წარვედით და მშვიდობით მივაღწიეთ საღამოზედ ბერძენთა ვატოპედის მონასტერსა. ამ წმ. მონასტრის დაფუძნების მიზეზად მოუთხრობენ შემდეგს: ბიზანტიის კეისრის თეოდოსეს შვილი მოჰყავდათ დიდებულთა ხომალდითა, აღელდა ზღვა და მეფის ძე გადაუვარდათ ზღვაში; ამ უბედურის შემთხვევის გამო ფრიად შეწუხებულთ ვეზირთ არ იცოდნენ რა მოეხერხებინათ და რა პასუხი მიეცათ მეფისათვის. როდესაც ხომალდი ღელვისაგან მიმოტაცებული მიადგა ზღვის კიდეს, ათონის მთის ძირსა, გაკვირვებულთა და გახარებულთა დიდებულთა იხილეს, რომ ჯაგის ქვეშ ჩრდილში სრულიად დასველებულს მეფის ძეს სძინავს. დიდი მადლობა შესწირეს ღმერთს ამ გვარის საკვირვე-

ლებისათვის და მოახსენეს მეფესა და დედოფალსა ეს შემთხვევა. ხოლო ამათ სახსოვრად ამ სასწაულისა და სამადლობელად ღმრთისა აღაშენეს ამ ადგილის დიდებული ტაძარი და მასთან მონასტერი, წოდებული „ვატოპედი“, რაიცა ნიშნავს ბერძნულს ენაზედ: „ყრმა ჯაგის ქვეშ“. ამ მონასტერში ვათიეთ ღამე. მეორე დილას მოვისმინეთ ცისკარი, ვეამბორეთ წმ. ნაწილთა, რაიცა წესად არს შემოდებული ყველა ათონის მონასტერში. მოვისმინეთ ადრე წირვა, შემდეგ მიგვიწვია წინამძღვარმა მ. არქიმანდრიტმა, რომელმაც მოუწოდა ათორმეტთა უფროსთა ძმათა სადარბაზოდ და სამუსაიფოთ ჩვენთანა, ვითარცა უცხო სტუმართათანა; მათ შორის მღვდელ-მონაზონი გერმანე აღმოჩნდა კარგად მცოდნე რუსულის ენისა, რადგანაც მოსკოვში უმსახურნია და იქ შეუსწავლია რუსული ენა და ამის შუამავლობით ვესაუბრე ამ წმ. მონასტრის ძმათა. ვიწყე მე მათთან დაახლოვებით შემდეგი საუბარი:

— ვმადლობ მე უფალსა იესო ქრისტესა, ღმერთსა ჩვენსა, რომელმან ღირსმყო მე ჟამსა მოხუცებისა ჩემისასა, მოლოცვად ცხოველს-მყოფელისა მისის საფლავისა და სხვათა წმ. ადგილთა პალესტინისათა. აწ მისივე მადლითა მოვაღწიე წმ. ათონის მთასა მოსალოცავად წმ. სავანეთა. მოვილოცე მე რუსთა მონასტერნი, სკიტნი და კელლიანი, რაოდენნიმე ბერძენთა მონასტერნი და შემდეგ—დიდებული წარსულ ისტორიულის მნიშვნელობით, სახელოვანი მართლ-მადიდებელს ქვეყანაზედ ივერიის მონასტერიც. გარნა სულიერის სიხარულის და ნუგეშის მაგიერ, მისის მოხილვით მივიღე სულიერი მწუხარება. მკითხავთ თქვენ, რად? მოგახსენებთ, ვითარცა საღმრთოსა კრებასა მე უცხო, საქართველოდგან, 6 ათასის ვერსის მანძილზედ მოსული. ვთხოვე ძმათა ივერიის მონასტრისათა ეჩვენებინათ ჩემთვის საეკკლესიო საუხჯე, შე-

კრებილი ივერიის მონასტერში ქართველთა მარადის მოსახსენებელთა ღირსთა მამათაგან, თქვენ კარგად მოგეხსენებათ ისტორიიდგან, ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო, რომ ივერიის მონასტერი დაფუძნებულია და დამყარებული ქართველთა მეფეთა და მთავართაგან, მორწყული და გაპოხიერებული, ვითარცა ვენახი ქრისტესი, ცრემლთა ნაკადულითა, სისხლის ოფლითა და მოღვაწეობითა ქართველთა წმ. მამათა: თორნიკე, იოანნე, ევთიმე, გიორგი, გაბრიელისა და სხვათა მამათა, რომელთა სახელები დაწერილ არიან წიგნსა ცხოველთასა. შემდეგ თვით ყოვლად წმიდა ღვთისმშობელმა ინება მინიჭება თვისის წმ. ხატისა ამ სავანისათვის, ნიშნად მისის მოწყალებისა და მფარველობისა ამ ქართველთა—ივერიელთა სავანეზედა, ვითარცა თვით ივერია—საქართველო ითვლება მისს საღმრთო ნაწილად. ვთხოვე ძმათა ივერიის მონასტრისათა ეჩვენებინათ ჩემთვის შესანიშნაკი ძველი დაბადება, სახარება და სხვა ქართული და ბერძნული წიგნები. პირველ მისვლაზედ სრულიად უბრალო წიგნები მიჩვენეს; მე ამით არ დავკმაყოფილდი და კვალადცა ვთხოვე შესანიშნავის წიგნების ჩვენება. მათ უარჰყვეს ეს ჩემი თხოვა იმ მიზეზით, ვითომც კარეაში წასულიყო მცველი წიგნებისა და თან წაეღოს გასაღებიც შკაფისა, მაგრამ ეს ცხადი სიცრუე იყო. დამინიშნეს მეორე დრო, მომავალი კვირა დღე. დანიშნულს დროზედ ჩაველ დილით ადრე ცისკარზედ ივერიის მონასტერში; წირვის შემდეგ შემიყვანეს წიგნთსაცავში, გააღეს შკაფი, და არა რაიმე შესანიშნავი წიგნები არ მაჩვენეს, გარდა ტყავზედ დაწერილის, სახარებისა რომელშიაც ამოჭრილი აღმოჩნდა სურათები და მრთელი ფურცლები, და ერთიც ქართული დაბადება მაჩვენეს, რომელსაც თავიდანვე აკლია 12 თავი, შუაშიც და ბოლოშიაც მრავალი თავი აკლია. შემდეგ ვთხოვე ქრისტეს სარწმუნოებისა და მე-

ცნიერების სახელით, ჩემის მოხუცებულობის პატივსაცემელად, ეჩვენებინათ უძველესი ნივთები, რომელნიც ზემო სართულში აქვთ დაცული. მათ მიპასუხეს: არაფერი იქ ქართული არ მოიპოვება. მე ვკითხე: მაშ რა უყავით წმ. ევთიმის დაბადება? მათ მიპასუხეს: ერთი ნაწილი ქართულის წიგნებისა დაიწვა, მეორე ამოჭრით დაიკარგაო და მესამე ნაწილიც „ექვსის ჯორის საპალნე წიგნები მოიპარესო“. აი ასეთი მცველნი ჰყავს ივერიის მონასტერს. ოსმალონი უფრო კეთილშობილად მოიქცოდნენ ამ გვარს საქმეში, ვიდრე ივერიის მონასტრის ბერძენთა ძმანი მოიქცნენ. მომიტევეთ, ღირსნო მამანო, ესრეთი ფიცხელი საუბარი. მე უცხო ვინმე სტუმარი მოვსულვარ და აღვიარებ თქვენს წინაშე ჩემის გულის მწუხარებასა, „შური სახლისა ღვთისა,“ ივერიის ეკკლესიისა, „შემჭამს მე“ (ფსალ. 68, 10). და გულის მწუხარებით ვიტყვი ამას, **რამეთუ ნამეტნავისაგან გულისა** პირი იტყვინ. (მათ. 12, 34) თქვენ რომ ჩემს ადგილზედ იყვნეთ ეხლა, ცხადია, არც თქვენ მოითმენდით მონასტრის სიძველეთა გაოხრებას; თქვენ კარგად უწყით საღმრთო წერილიდან, რომ განრისხება საღმრთო საქმეზედ საღმრთო მოვალეობა არს ყოვლისა კეთილმორწმუნისათვის. ამ გვარს შემთხვევაში კაცი არ შეიძლება გულგრილად დაშთეს. ანუ, სიტყვისამებრ იოანნე მახარებელისა „არცა გრილი იყოს და არცა ტფილი“. (გამოცხ. იოან. 3, 15). წმ. მღვდელმთავარმა ნიკოლოზმა, რომელსაც ეკკლესია უწოდებს კანონად სარწმუნოებისა და ხატად სიმშვიდისა, ვერ მოითმინა, როდესაც ესმა მწვალებელის არიოზისაგან გმობა ქრისტეზედ, და განრისხებულმა ყვრიმალსა სცა მას. თვით უფალმა იესო ქრისტემ, როდესაც იერუსალიმის ტაძარში იხილა საშინელი უწესოება, დამარღვეველი ღვთის-მსახურებისა, აღეგზნო საღმრთო ცეცხლითა და შოლტით გამოდევნა ღვთისა ტაძრიდგან გამსყიდველნი და მსყიდველნიც ძროხათა, ცხოვართა

და ტაბლები იგი მეკერმეთა მათ (ფულების დამხურდავებელთა) დაამხვა, და დასასხდომლები იგი ტრედის მოფარდულთა (გამსყიდველთა) დააქცია. (მათ. 21, 12.) ანუ მეორე მაგალითი წმ. სახარებიდანვე: „მოჰგვრიდეს იესოსა ყრმებსა, რათა ხელი დასდვას მათ და აკურთხოს; ხოლო მოწაფენი აყენებდეს მათ. ვითარცა იხილა იესო, შეჰრისხნა მათ. (მარკოზ. 10; 13, 14.)

მაშასადამე არის დრო, ჟამი და შემთხვევა, როდესაც მრისხანება იქმნება მართალი და სათნო, მაგალითებრ: როდესაც ვხედავთ და გვესმის, რომ გმობენ სახელსა ღვთისასა, შეურაცხყოფენ ეკკლესიასა და მის წმ. საიდუმლოთა, განკიცხავენ კეთილმსახურებასა, და მასთანავე შეძრწუნდებიან სულითა. ეგრეთვე უკეთუ განრისხდებიან, როდესაც შეხვდებიან შემაძრწუნებელთა შემთხვევათა, სადაც უმანკოება მოყვასისა შეუბრალებლად იდევნების, კეთილი, პატიოსანი სახელი შეურაცხ-იქმნების, საცხოვრებელი და ქონება წარეტაცებათ. ყოველს ამ გვარს და ამის მსგავს შემთხვევაში განრისხება იქმნება მართალ და სათნო.

ქვანიცა ჰლალადებენ, რომ ივერიის მონასტერი ქართველთა ერის სამკვიდრებელია; თქვენ საღმრთო კრებას მოვმართავ, თქვენ დასდევით მართალი სამართალი ამ საქმეში, თვით უფალი გვიბრძანებს სახარებაში: „უკეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, მიეგედ და ამხილე მას, რაჟამს შენ და „იგი ხოლო იყვნეთ მარტონი“. მე ეს შევასრულე, ვინაიდგან პირდაპირ ვამხილე მათ: ხოლო უკეთუ არა ისმინოს, მიიეგონე შენთანა ერთი ანუ ორი სხვა, რათა პირითა ორისა და სამისა მოწმისათა დაემტკიცოს ყოველი სიტყვა,“ (მათ. 18, 15—16). ეხლა თქვენ მოგმართავთ, სახარების მცნებისამებრ, ვითარცა საღმრთო კრებასა, წარმოსთქვათ თქვენი მსჯავრი. „ნუ სჯით თვალღებით, არამედ სამართალი სასჯელი ჭსაჯეთ.“ (იოან. 7, 24), მოსე წინასწარმეტყველი იტყვის: „არცა თუ აღხანეთ გლახაჯსა, არცა დაგიკვირდეს პირი მღა-

ერასა, სამართლით საკო მოუკვსი შენი (ლევიტ. 19, 15). „ნუ განსდრეკო სასჯელსა მწარისასა.“ (მეორე სჯულ. 24, 17) თქვენი ვალია პირადად ამხილოთ კრებული ივერიის მონასტრისა, ვითარცა თქვენნი ძმანი, სახარებისაებრ.

ამის მოსმენის შემდეგ მხცოვანმა მ. არქიმანდრიტმა წარმოსთქვა: „თქვენ ამ საქმეში მართალი ხართ“. მთელმა კრებამ აღიარა ესევე; მაგრამ დაუმატეს მათ: ჩვენ ვერ შევეხებით ივერიის მონასტრის შინაგან საქმეთ. მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ამ ჩემს საუბარს სიტყვა სიტყვით გარდასცემდნენ ივერიის მონასტრის კრებულსა იმავე დღესა.

ყავით შექცევის შემდეგ, შემიყვანეს, ვატოპედის მონასტრის ძმათა წიგნთ-საცავში, რომელიც სამაგალითოდ აქვთ მოწყობილი. სამნი ძმანი იყვნენ მაჩვენებელნი წიგნთ-საცავისა. მოვითხოვე კატალოგი, რომელიც მაშინვე მომიტანეს, ყოველს ენაზედ, ყოველს განყოფილებას წიგნებისას თავისი სია აქვს. კატალოგშივეა გამოცხადებული, რომელი ხელნაწერი რომელს საუკუნეს ეკუთვნის ან რომელს ავტორსა და რა შინაარსისაა.

მაჩვენეს ძვირფასი სახარება ბერძნულს ენაზედ, ოქროთი დაწერილი თვით იოანნე ოქროპირისაგან; ამ სახარებაში ტექსტის გარეშემო დაწერილია განმარტება თვითოეულის თავისა. შევამოწმეთ რაოდენიმე ადგილი სახარებისა და ღვთისმშობელის დაუჯდომელისა ქართულს, ბერძნულსა და სლავურს ენებზედ, რომელნიც განსხვავდებიან ერთმანერთისაგან. სრული სამი საათი გავატარე ამ წიგნთ-საცავში დიდის კმაყოფილებით. მოხუცებულმა იღუმენმა კარგად იცოდა საეკლესიო ღვთისმსახურების წიგნები: ჩქარა პოულობდა ბერძნულს ენაზედ იმ ადგილებსა, რომელსაც ზეპირად ვეუბნებოდი, რადგანაც ხელში არა მქონდა არცა სლავური და არც ქართული წიგნები. დამატკბო სულიერად ამათმა ძმობ-

რივმა ყურადღებამ და პატივისცემამ და მეცნიერებისა მიმართ თანაგრძნობამ. ყოვლისა ამისათვის გრძნობილი მადლობა მოვახსენე. მერე მიმიწვიეს სადილად; სადილს შემდეგ მთხოვეს ღამის გათევა მათ სავანეში. მადლობა განუცხადე გულითადის ძმობრივის შეწყნარებისათვის და გარდავეცი სახსოვრად ერთი ხატი საქართველოს ეკკლესიის წმიდათა, რომელიც მიიღეს დიდის სულიერის სიხარულით, და დასასრულ ვსთხოვე მონასტრის ნავით გამგზავრება ჩვენი, რადგანაც ზღვა დამშვიდებული იყო; სიამოვნებით დამითმეს ნავი ოთხის მენავეთი და ორის საათის განმავლობაში მივედით ევსიღმენის ბერძენთა მონასტერში, სადაც ჯორებით ხუთს საათზედ უადრეს ვერ მივიდოდით აღმართ-დაღმართ გზების გამო.

ევსიღმენის სავანეში გავატარეთ ღამე. ეს მონასტერი სხვასთან შედარებით ღარიბთაგანია, მაგრამ მაინც სჯობია ქართველთა უდაბნოთ. პირველად ვნახე ათონის მთაზედ, ამ მონასტრის გარეთ, რომ ერთმა მორჩილმა მოწყალება მოითხოვა.

ხილანდარის მონასტერი.

ეორე დილით წარვემართენით აქედან ხილანდარის მონასტერს, სადაც მივაღწიეთ სადილობისას და აქვე ვისადილეთ. ფრიად კეთილად განწყობილი მონასტერია იგი, მშვენიერი ეკკლესია და სახლებიც ჩინებული, ორ-სამ სართულიანი აქვს. აქა ჰმოღვაწეობენ ბოლგართა ძმანი, გარნა ეს მონასტერი დაფუძნებით ეკუთვნის სერბიელთა; ამათაც ის დღე დასდგომიათ, რაც ქართველთ.

ვახშამზედ არხიდრომმან, სტუმართ შემწყნარებელმა უფროსმა, რომელსაც ვაუწყეთ ჩვენი ეროვნება, დაივიწ-

ყა წესი სტუმართ-მოყვარეობისა და დაიწყო შემდეგი საუბარი ივერიის მონასტერზედ: „თუმცა ივერიის მონასტერი ქართველებს აღუშენებიათ, მაგრამ შემდეგ დაუდევნელობით თავი დაუნებებიათ და ეხლა ვერღა დაიბრუნებენო“. ამაზედ ვუპასუხე მე, აღგზებულმა სამშობლოს სიყვარულის ცეცხლითა: ჩვენის ერის სამკვიდრებელი—ივერიის მონასტერი ისევ დაქცეულიყო ყოვლად შემმუსრველის დროების ხელითა, იმას უფროს შევურიგდებოდით, ვიდრე ამ უსამართლო გარემოებას, რომ წმ. სავანე ჩვენთა წმ. მამათა სისხლის ოფლით დამკვიდრებული, შემდეგ უბედურ ისტორიულთა გარემოებათა გამო ძალმომრეობით და სრულიად უსამართლოდ წარუტაცნიათ ბერძენთა მონაზონთა და იგინი სარგებლობენ იმ მამულებითა, რომელნიც საქართველოს მეფეთა და მთავართა შეუწირავთ ქართველთა ძმათა სასარგებლოდ. სხვისა უბედურებაზედ დაფუძნებული ბედნიერება მკვიდრი არ იქმნება. ღვთის წყალობა გაქვსთ, მკითხველნო მამულის შვილნო, რომ ამ გვარის მკაცრის პასუხის შემდეგ არხიდრომმა იკადრა დადუმება. ხოლო მეორე დღეს დილით, ცხენებზედ რომ ვსხდებოდით, შენდობა მოითხოვა ჩემს წინაშე, წუხელ თუ რაიმე გაწყენინე, მომიტევეო. შემდეგ აღმოჩნდა, რომ თურმე ეშინიანთ ბოლგარელთა ძმათა, რომელნიც ხილანდარის მონასტერში მოღვაწეობენ, რომ სერბიელთ არ დაიბრუნონ ეს თვისი ძველადგანი სამკვიდრებელი; და ამისათვის ეხლა ეფიქრებათ, რომ უკეთუ ქართველთა ძმათა დაუბრუნდათ ივერიის დიდებული მონასტერი, მაშინ სერბიელნიც ისარგებლებენ ამ მაგალითითა და მოითხოვენ ბოლგართაგან დაბრუნებას სერბიელთა მიმართ ხილანდარის მონასტრისას, ვითარცა თვისის ეროვნულის სამკვიდრებელისას.

ამავე მონასტერშია სამარე სერბიელთა კეთილმორწმუნის მეფის სვიმეონისა; აქედან მისი გვამი გარდაუსვე-

ნებია მის შვილს, სერბიის მთავარეპისკოპოზს წმ. საბასა. ამ საფლავზედ არის ამოსული დიდი ვაზი.

10 ივნისიდან 1900 წელსა ქართველნი ძმანი ათონიდან იწერებიან ხილანდარის მონასტრის შესახებ შემდეგსა:

„მისს მაღალ-კურთხევას,

დიდ-ბუნებოვან მრავალ-მოღვაწეს დეკანოზს მ. პეტრე კონჭოშვილს!

მწირნი ხორცითა შორს, გარნა ახლოს სულითა, ვითარცა უძვირფასესისა და მარადის დაუვიწყებელის სამაგალითოსა ძმისა და მამისა, საღმრთო სიყვარულით და სურვილით ურთი-ერთ მარჯვენისა ამბორებას მოგახსენებთ ყოველნი ძმანი, წმ. ათონის ქართველთ სავანესა შინა დამკვიდრებულნი, და გვსურს მარადის თქვენი ბედნიერად წარმატება ყოველსა ღვთის-მსახურებასა შინა და სათნოებათა საღმრთოთა.

მამაო დეკანოზო! ახალ ამბავს და თავ-საკიდურ მასალას, შესადარებლად ჩვენის ივერიის ქართველთ მონასტრის აწინდელის მდგომარეობისას, მოგახსენებთ შემდგომს: ათონზედ არის სერბიის მეფეთაგან აღშენებული ხილანდარის მონასტერი თავის კუთვნილებით; და აქვს გუჯრები ბიზანტიის იმპერატორთაგან დამტკიცებული და შემდგომითი შემდგომად ბეჭედ დასმული. ჟამთა ვითარებისა გამო XIV საუკუნეში, შემცირების მიზეზით სერბიის იღუმენთა და ძმათა—ძონასტერი ესე დაუპყრიათ ყოველის უფლებით ბოლღარის ბერთა ვითარცა საკუთრება. სერბიელთა ბოლოს ქონებიათ სურვილი, რათა უფლების აღდგინებით მიეღოსთ თვისი საკუთარი ხილანდარის მონასტერი მათ; გარნა ბოლღარის ბერებს აღარ შეუშვიათ იგინი, აგულიანებისა გამო პროტატისა და მათის მხრის დაჭერისა.

1897 წ. მობრძანებულა სერბიის მეფე ალექსანდრე

ათონს ხილანდარის მონასტერში მინისტრებით, მიტროპოლიტით, არხიმანდრიტებით და კრებულით; ვნების კვირის დიდ ხუთშაბათსა მონასტრის მმართველს მიუღია დიდის პატივით; მეფეს მიუღია წმიდა საიდუმლო ქრისტესი. პროტატი წამდგარა და მიულოცავს მეფისათვის პასექის დღესასწაული და მიმოხილვა წმიდა ათონის მონასტრისა. ამ დღესასწაულებზე მეფემ დაჰყო რაოდენიმე დღენი და ბრძანა, რათა უჩვენონ მას ყოველნი სახსოვარნი მონასტრისანი დაწვლილებით. მაშინ უჩვენეს მას წინაპართა მისთა და მეფის სტეფანესაგან დანერგულნი უზარმაზარნი კვიპაროზისა და ზეთის ხილთა ხენი და სხ. ეგრეთვე ბიბლიოთეკა და ყოველნი ძვირფასნი ნივთნი, შეწირულნი წინაპართა მათთაგან, რომელიც დიდად ესიამოვნა.

უკანასკნელ გამოითხოვა სერბიის მეფემ მონასტრის მმართველისაგან გუჯარი მონასტრის კტიტორისა, დამტკიცებული ბიზანტიის იმპერატორთაგან. თუმცა დაეცათ შიშის ზარი ბოლღარის ბერებს მეფის მოთხოვნილობაზე, მაგრამ რადგან ძალა ალმართს ხნავდა, სრულებით ულონო იქმნეს. დაუყოვნებლივ მოართვეს მეფეს გუჯარი ხილანდარის მონასტრის დამფუძნებელთა; დახედა რა თავზე საბუთს, ბრძანა: შემდგომ წავიკითხავ მოსვენებით; და ეს საბუთი თავის საკუთარი მუნდირის საცავში შთაიდვა;—მერმე წაბრძანდა მოსასვენებლად. მეორე დღეს უბრძანა მეფემ მონასტრის იღუმენს დამზადება საჯდომის ცხენებისა ლიმენამდი, რომელსაც იახლნენ ყოველნი. მეფე ჩაბრძანდა თავის ცეცხლის გემში მხლებლებით და გუჯარიც თან გაიყოლა სერბიაში.

ერთის წლის შემდეგ სერბიის მეფემ წარმოგზავნა ეპისკოპოსი, იღუმენნი და მონაზონნი და უბრძანა, რათა მივიდენ თავის საკუთარ მონასტერში და მართონ ჩვეულებისაებრ. გარნა მეორედაც, ათონის მონასტერთ

პორტატის შთაგონებით—ბოლღარის ბერებმა არ მიიღეს სრულებით სერბიის მეფისაგან წარმოგზავნილნი. რაოდენისამე ხნის შემდგომ დაბრუნდენ სერბელნი—არქიერი თავისი კრებულით,—და ყოველივე მათი შეურაცხება მოახსენეს სერბთა მეფეს.

1900 წელსა, შემდეგ პასექისა, სერბის მეფემ მეორედ გამოგზავნა ეპისკოპოსი, არხიმანდრიტნი. მღვდელმონაზონნი,—და რაოდენნიმე მეფის მინისტრნი და შევიდენ თავიანთ საკუთარს მონასტერში მეფის ბრძანებით. ამაზედ ბოლღართ ბერებმა მოახსენეს თავიანთ ექსარხოსს, ხოლო მან ბოლღარის კონსული გამოგზავნა, ხილანდარის მონასტერში საქმეთა ცნობაში მოსაყვანად სერბიის და ბოლღარიის ბერებთ დავისა, და რადგანაც ბოლგარიის კონსულმა, იხილა რა სერბიის მეფის მინისტრი, და ეპისკოპოსი არხიმანდრიტით და კრებულით სცნო გარეგმოება; და რაკი შეატყო, რომ ვეღარაფერს არგებდა ბოლღართ ბერებს, მდუმრიად ჩაფიქრებული უკუნ იქცა თესალონიკეში. სერბიის მინისტრმა და ეპისკოპოსმა არხიმანდრიტებითურთ მოიწოდეს პროტატი (სინოდი) და მივიდენ რა (უარი ვერ გაბედეს), თანახმა შეიქმნენ ხილანდარის მონასტრის აღდგენაზე, და შთააბარეს მათ ყოველივე კუთვნილება ძველის უფლებით სერბიელთა, რომელთა წინამძღვრად სერბიის არხიმანდრიტი დაადგინეს იმ პირობით, რომ არა განასხნან ბოლღართ ბერები, არამედ რომელთაც ენებოსთ, იცხოვრონ მონასტერში, მხოლოდ მარადის სერბიის წინამძღვრის მორჩილებისა ქვეშე.

ამით გათავდა ამ წელს, სახარულევანი დღესასწაულობა „იუპიტერის აღმობრწყინვებით“ სერბიელთ ხილანდრის მონასტრისა, და პირველი სამაგალითო საქმე ათონის მოუდრეკელთ პორტატის უკანადახრისა!

მამაო წმიდაო! აჰა მაგალითი და მასალა შედარებით

ჩვენის ივერიის ქართველთ მონასტრისა. თქვენის შრომით, შთაგონებით და ღვაწლით—მრავალნი განათლებულნი პირნი, სახსოვრად ნეტარხსენებულთა მამა-პაპათა მათთა, ღვთის სიყვარულით მხურვალედ გაჩმსჭვალულთა, სახელთა მათთა არ დაამდაბლებენ და მიაქცევენ ამაზედ ყურადღებას.

ივერიის მონასტრის ბერძენთა ბერები ამ მაგალითით ძალიან ჩაფიქრდნენ, თუმცა უწინაც იშიშვოდენ, ხოლო აწ ხილანდარის მონასტრის სერბიელთ ბერების შთაბარების გამო ნამეტნავად ფიქრობენ და საიდუმლოდ დაასკვნიან: „თუ სულ ქართველთ საზოგადოება აღიძრა საჩივრით ჩვენზე, კითხვა აღარ უნდა, ქართველები აღადგენენ უფლებას ამ ივერიის მონასტერზედაო“.

თქვენის ლოცვის შსასოებელი ათონის ქართველთ სავანის კრებული. მმართველი სავანისა მღვდელმონაზონი იონა ქრისტეს მიერ ძმებითურთ“.

ეს ზემოხსენებული მაგალითი ჩვენთვის დიდად შესანიშნავია და ხელსამძღვანელო ივერიის მონასტრის დაბრუნებისათვის ქართველთა ძმათათვის. უკეთუ ორმა ერმა ერთის სლავურის ტომისამ ერთმანერთს პატივი არა სცეს და სერბიელთა არ დაუთმეს თვისი ეროვნული სამკვიდრებელი – სავანე – ბოლგარებსა, მით უმეტეს ჩვენ უფროს დიდი საფუძველი გვაქვს, გამოვსთხოვოთ უცხო ტომის ერსა—ბერძენთა – ჩვენი ეროვნული, წმ. და დიდებული სამკვიდრებელი, რომლის კუთვნილებას ქართველის ერისადმი ქვანაცა ჭდად დებენ; მით უმეტეს კიდევ, რომ რუსეთის იმპერიის კანონ-მდებლობით ვადა არ არის განსაზღვრული საეკკლესიო მამულების სადავოდ.

ამ ხილანდარის მონასტერში სცხოვრებს კერძოდ ერთი რუსის არქიმანდრიტი მელქისედეკ, რომელიც ვნახე, და რაკი გამიცნო, რომ ქართველი ვარ, დამიწყო ლა-

უბარი ივერიის მონასტრის შესახებ და ამ საქმის წარმართვისათვის რამდენიმე კეთილი რჩევა წარმოსთქვა.

ათონის ზოგრაფის მონასტერი.

ივლისის 15, მწუხრად, მივედით ზოგრაფის მონასტერში. აქაც ბოლგარნი ძმანი მოღვაწეობენ, თუმცალა ეს სავანე უწინარეს აღუშენებიათ სერბიელთა. ეს სავანე ფრიად კეთილად განწყობილია ყოვლის მხრით, როგორც ეკლესიებით, ეგრეთვე სახლებით, რომელშიაც სცხოვრებენ ძმანი. ამ მონასტერში მოიპოვება სამი შესანიშნავი საკვირველთ-მომქმედი ხატი წმ. მთავარმოწამისა ძლევა-შემოსილისა გიორგისა. ამ მონასტრის შუა ეზოში არის აღმართული მარმარილოს ძეგლი იმ ადგილას, სადაც დაუწვავთ 26 ღირსნი მამანი აღსარებისათვის მართლმადიდებელის სარწმუნოებისა იმ დროსა, როდესაც 1204 წელსა მეოთხე ჯვაროსანთ ლაშქრობისას, ფრანგთა დაიპყრეს კონსტანტინეპოლი და დასვეს ამ ქალაქში თავის სარწმუნოების პატრიარქი; ხოლო ბერძენთა სამღვდელოება თავის პატრიარქით სრულიად გამოდევნეს აქედან, და რაოდენნიმე მათგანნი დასტანჯეს; ამ დროსვე აწამეს ეს ზემოხსენებულნი ღირსნი მამანიც. ადგილი, რომელიც გაპოხიერებულია მასზედ დათხეულის წმ. მამათა სისხლითა, აწ შემკობილია მარმარილოს ძეგლითა და გარემოს დამშვენებულია ფერადის ტროპიკულის მცენარეებითა.

ქართველთა სოფელი იერისო.

ათონის მთიდგან თესალონიკის მახლობლად გასავალში არის ქართველთა სოფელი. უკანასკნელ ორ წლამდე აქაურ ეკლესიის ქვაზედ იყო წარწერა ქარ-

თულს ენაზედ, რომ იგი აღშენებულია ქართველთ მეფისაგან და ეხლა მოუსპიათ ბერძენთა ეს წარწერაც; აქ დასახლებულნი ქართველნიც გადაგვარებულან, ქართული ენაც დავიწყებიათ და ბერძენთაგანაც განირჩევიან ეროვნულის თვისებითა და შეხედულობითა. ამ სოფელს უწოდებენ: „იერისო“. ეს ცნობა გარდმომცეს ათონის ქართველთა სავანის ძმათა.

დაბრუნება ქართველთა სავანედ, გამოგზავნიდება ქართველთა ძმებთანა და კვალადცა მოგბრუნება რუსთა პანტელეიმონის მონასტრად.

ივლისის 16 დავბრუნდით ქართველთა ძმათა სავანეში. ამ დღეს მოსულიყო იერუსალიმით ნიკოლოოზ ჩიკვაიძე, რომელსაც პალესტინაში მოსწყენოდა, ათონზედ ამოვიდა და აპირებდა ქართველთა ძმათა სავანეში მოღვაწეობასა.

ორის თვის პალესტინაში და ათონზედ მიმოვლის შემდეგ 17-ს ივლისს გამოვეთხოვე საყვარელ ძმათ ქართველთა სავანისათა, რომელთაც, ვითარცა სიყვარულითა მიმიღეს, ეგრეთვე გამომაცილეს გულმოწყალებითა. ამ დღეს საღამოს რვა საათზედ ჩამოვედით რუსთა პანტელეიმონის მონასტერში, გამომაცილა იეროდიაკონმა გაბრიელ ქართველმა; იგი, ვითარცა ძმასა შვილი, ეგრე მეშსახურა მე, მოხუცებულსა წმ. ათონის სავანეთა მოხილვის და მოლოცვის დროსა (ფილიპ. 2, 23) და დასასრულ გამომაცილა ცეცხლის გემზედ ასვლამდის. ყოვლისა ამ შრომისათვის მიაგოს მას ზეციერმა მამამ ას წილ სიყვარულისათვის სიყვარულითა, კეთილისათვის კეთილითა და სიმდაბლისათვის სულიერის სიმაღლითა. ამ საღამოზედვე გამოვეთხოვე წინამძღვარს მ. არქიმანდრიტ

ანდრიასა, მადლობა მოვახსენე გულ-კეთილ შეწყნარებისა და პატივისცემისათვის, რომელმაც, კურთხევად წმ. მონასტრისა, გარდმომცა წმ. პანტელეიმონის ხატი.

მგზავრობა სტამბოლიდამ ჰ. ოდესსამდის.

ეორე დილით, ადრე წირვის მოსმენის შემდეგ, გავეშურე ცეცხლის გემზედ. ეს გემი იყო „ალექსანდრე II“, უფროსობდა დრაგომირ ჩერნოგორჩევიჩი, დიდად პატიოსანი და კეთილშობილი კაცი და სამღვდელოთა ღრმად პატივისმცემელი; სტამბოლში გამოვლით დავრჩით ორს დღეს.

ეს ცეცხლის გემი წარმოვიდა ბოლგარია-მაკედონიის საზღვრის პირზედ. გამოვედით თუ არა კონსტანტინეპოლის ლიმანს, აღელდა ზღვა და მეორე დღის სადილობამდე აღარ დასცხრა. ამოვიარეთ ბოლგარიის ქალაქს ბურგოსს; აქედგან ამოვიდა გემზედ ივანე თეოდოსის ძე გრეკოვი, ბოლგართაგანი, დრაგომანი რუსეთის საიმპერატორო სავიცე-კონსულოსი, რუსეთში აღზრდილი, დიდად პატიოსანი ახალგაზრდა; იგი მიემგზავრებოდა სიმფეროპოლის გუბერნიაში მშობლების სანახავად. ამანაც გადმომცა, სხვათა შორის, რომ ბოლგარიაში, ფილიპოპოლის მახლობლად, მთაში არის მონასტერი, რომელსაც უწოდებენ ქართულ სავანედ და ეკკლესია წმ. ნინოს სახელზედაო და ქართული წიგნებიც არისო იქ. ამ მონასტერში ეხლა ჰმოღვაწეობენ ბოლგარნიო“. სად არს აწ ჩვენი ძველი დიდება? ოგელსა ქვეყანასა გასხდა ხმა მისი...

ამოვიარეთ ვარნა, ბოლგართა ქალაქი, რომელსაც კარგი ბოღაზი აქვს. აქვე არის ქალაქს გარედ ახლად აშენებული საზაფხულო სასახლე იმათის მთავრისა. აწ

სტკბებიან ბოლგარნი თავისის ეკკლესიურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ნაყოფით; ქება და დიდება მათ მწყემს-მთავართა, რომელთაც იწყეს ეს საქმე, არ შეუშინდნენ მრავალ მწუხარებათა და დევნულებასა, რომელნიც დაითმინეს სამშობლოს სიყვარულისათვის, და დასასრულ მაინც თავისის ეროვნების სასიქადულოდ დააბოლოვეს ეს საქმე.

22 ივლისს შესრულდა ორი თვე ჩემის მგზავრობისა იმ დღიდგან, როდესაც ოდესსიდგან გამოვედი და წარ ვემართე იერუსალიმს; სწორედ ამ რიცხვშივე, ორის თვის მოგზაურობის შემდეგ, მოვბრუნდი ოდესაშივე. ოდესსაში დავიბანაკე ანდრიას სკიტის მეტოქიაში. რაოდენად დიდად კეთილ-მდგომარეობაშია ანდრიას, ათონის მთაზედ, სკიტი, მისს მეტოქიას ჰშვენის უკეთესი კეთილ-მოწყობილობა ოდესსაში. სხვა ათონის რუსთა მონასტრების მეტოქიებს ოდესსაში უკეთესი კეთილ-მდგომარეობა ეტყობა; ილიას სკიტს, რომელიც ეხლა აპირებს საკრებულო ტაძრის აღშენებას ათონზედ, ოდესსაში აქვს მშვენიერი ტაძარი, რომელიც დიდად დაამშვენებს ყოველს სატახტო ქალაქს. ესევე ითქმის ოდესსაშივე მყოფ პანტელეიმონის მონასტრის მეტოქიას შესახებ. სამ-სართულიანი სახლები აქვთ ორსავე ამ მეტოქიებს. ოდესსაში ფრიად ცხელოდა. გულით მოვისურვე ნახვა ოდესსაში ღირსად პატივცემულის მამულიშვილის ვასილ პეტრიაშვილისა. ერთ გზის მისს სადგურში ვიკითხე, ორჯელაც უნივერსიტეტსა და ლაბორატორიაში, შემდეგ მითხრეს აგარაკად წასვლა მისი; წაველ რკინის გზით და ბევრი ვეძიე და, სამწუხაროდ ჩემდა, ვერსად ვიხილე. ესევე დამემართა 1885 წელსა აგვისტოს თვეში. ვნახე ოდესსაში დიდად მშვენიერნი შენობანი ფოსტა-ტელეგრაფისა და დახურული ბაზარი, ქალაქისაგან გამართული, სადაც ყოველი სანოვაგე მასალა ისყიდება. ამ დუქნებში ვაჭრობენ, ვითარცა მამრნი,

ეგრეთვე მდედრნიცა, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად: რუსი, ურია, ნემეცი, ბერძენი და სხვანი.

განგრძობა მგზავრობისა ოდესსიდამ სუხუმამდის.

ვლისის 27 წამოვედით ოდესსიდამ შუადღის პირველს საათზედა, ჩამოვიარეთ ევპატორია, სევასტოპოლი და ერთს საღამოს ჩაიზედ ვიწყეთ საუბარი; ჩემთან თანამოგზაურობდა ცეცხლის გემზედ ვლადიმირ ივანეს ძე ზაიოჩევსკი, დირექტორი კიევის ბრმათა სასწავლებლისა, ყოფილი პროფესორად კიევის უნივერსიტეტისა. მკითხეს ჩემის მოგზაურობის ამბავი და მეც, გულდამწვარი ათონის ივერიის მონასტრის ბერძენთაგან, მოვუთხრობდი მსმენელთა, რომ მე მსურდა ათონზედ მენახა ქართული ძველი დაბადება, რომლისა ღირსი ვერ გავხდი. მაშინ გვითხრა ერთმა ჩვენმა თანამეინახეთაგანმა: თქვენ მ. კ—ი ხომ არა ხართ? მე განცვიფრებული შეეხედე და მოვახსენე; სწორედ ის გახლავარ, საიდგან უწყით ჩემი ვინაობა? მან მიპასუხა: მე ყურადღებას ვაქცევ ქართულს ლიტერატურას და მომისმენია ისტორია თქვენ მიერ შესწორებულის დაბადებისა. აღმოჩნდა, რომ ეს იყო ბ-ნი ოლივერ ვარდროპი, ინგლისელი, თვისის დით ქ-ნ მარჟორი ვარდროპით. ესენი მოდიოდნენ ქ. ქერჩს, სადაც პირველი ასრულებს ინგლისის ელჩის თანამდებობას.

ბ-ნმა ვარდროპმა, რომელიც ჩვენთან ერთს ცეცხლის გემზედ მოგზაურობდა ოდესსიდამ კერჩამდის, საუბრის ბოლოს მითხრა, რომ ბრიტანიის ბიბლიის საზოგადოება დაჰბეჭდავს ათონის ქართულს დაბადებას თავისის საფასით, ვითარცა შესანიშნავს არქეოლოგიის მხრივ, თუმცა იგი არ არის სრული ბერძნების დაუდევნელობითაო. ამისათვის ჩვენნი ქართველთა სასულიერო წოდების წარმო-

მადგენელნი მოვალენი არიან ეცადნენ აღძრან შუამდგომლობა წინაშე მთავრობისა ათონიდგან ქართულის დაბადების მოტანისათვის; ამასთანავე სთხოვონ ბრიტანიის საბიბლიო საზოგადოებას, დაჰბეჭდოს ქართული დაბადება იმ ასო-მთავრულით, რომლითაც იგი არის დაწერილი. ეს მაინც არ დაიკარგოს, ვიდრემდის უძველესი ამისა ვარიანტი დაბადებისა აღმოჩნდებოდეს, თორემ ნუ გაგიკვირდებათ, რომ ამ დაბადებასაც ის დღე დაადგეს, რაც დღე დაადგა ექვსის ჯორის საპალნეს ქართულთა წიგნთა, ვითომ მოპარულთა, ნამდვილად-კი ქურდულად გაყიდულთა.

მადლობა მოვახსენე ასეთის ყურადღებისათვის ქართულ მწიგნობრობის მიმართ, არა მხოლოდ საერო, არამედ სასულიეროსიც. მკითხა ამბავი ქართულის დაბადებისა და მეც ვუთხარი გარემოება ამ საქმისა. უცხო ქვეყნის შვილნი სიამოვნებით ყურადღებას აქცევენ ჩვენს ლიტერატურას და ჩვენ, სამწუხაროდ, არა თუ გარეშე, არამედ ჩვენის საკუთარის ზოგად ჭირისა და ვარამისა არა ვუწყით-რა. დროა გამოვიღვიძოთ და განვიფრთხოთ ღრმა ძილი. ქერჩის კიდეზედ დავშორდით ამ დიდებულის სახელოვანის ერის ღირსეულთ შვილთა, ბ-ნთ ვარდროპთა. აქედგან განვაგრძეთ გზა და მოვედით ახალ ათონის მონასტერში. აქ აღუშენებიათ მშვენიერი ტაძარი და სახლები გარემოს მისსა მონაზონთათვის; აქვთ სკოლა აფხაზთა ყრმათათვის, სადაც სწავლობს 15 მოწაფე. რუსულს ენას ასწავლის ბ-ნი ნიკიფოროვი, ოდესმე სამხედრო პოლკოვნიკი და აწ ანაფორა მოსილი მონაზონი; ამ ნიკიფოროვს ტფილისის საზოგადოება კარგად იცნობს. ბოლოს დროს იგი ასრულებდა თანამდებობას მთების სკოლების ინსპექტორისას ქრისტეანობის აღმადგენელს საზოგადოების უწყებაში. აქ დავრჩი ორს დღეს. პირველ აგვისტოს, საღამოს 5 საათზედ, წამოვეწი

ეტლით ჩემის თანამოგზაურის ოდესსიდგანვე ბრმათა სასწავლებლის დირექტორთანავე. იგი თვისის სახლობით პირველად ჰმოგზაურობდა კავკასიაში და აღტაცებაში მოდიოდა აქაურის მდიდარის ბუნებით. საღამოს 8 საათზედ მოვედით ქ. სუხუმში, რომელიც ჰშორავს ახალ ათონის მონასტერს 24 ვერსით. აქ ვნახე ძველი მეგობარი, მრავალ პატივცემული მ. დეკანოზი დავით მაჭავარიანი, რომელთანაც ვისაუბრეთ ზოგად ჭირ-ვარამის შესახებ, ვნახე აგრეთვე მ. ბენედიქტე, წინამძღვარი ათონის ქართველთა სავანისა. გარდავეცი, რა მდგომარეობაშია მისი სავანე, რადგანაც იგი უკვე ხუთი წელია დაჰშორებია მონასტერსა და იმყოფება სუხუმსა და ბათუმში.

ქ. სუხუმის ქართველთა აწინდელი მდგომარეობა სარწმუნოებრივი და ზნეობრივი.

ხუხუმშია ორი ათასამდე ქართველთა ტომის ერი, რომელთაც სამშობლო ენა ქართული აქვთ. მრავალთა შემომჩივლეს, რომ მოკლებულნი არიან ისეთს სულიერს ნუგეშსა და საზრდოს, როგორიც არის მოსმენა სამშობლო ენაზედ წირვა ლოცვისა, რომელსაც დამატკბობელი, განმაცხოველებელი და მაცხოვარებითი ძალა აქვს მორწმუნე კაცის გულზედ.

ძალიან ადვილიც არის დაკმაყოფილება ამ საღმრთო მოთხოვნილებისა. აქაურს საკათედრო ტაძარში ჰმსახურებენ რამდენიმე ქართველნი სამღვდელონი. ნუ თუ იმათ არ შეუძლიანთ გამოსთხოვონ ნებართვა მწყემსმთავარსა ქართულს ენაზედ წირვა-ლოცვისა? იერუსალიმის და სრულიად პალესტინის ეკკლესიებში მიღებულია საღმრთო წესად რამდენსამე ენაზედ წაკითხვა სახარებისა, როგორც დიდს დღესასწაულებში, ეგრეთვე ყოველ დღი-

ურს წირვაზედაც კი როდესაც ჰხედავენ სხვა და სხვა ეროვნების მლოცველთა. მთელს საქრისტეანოში მიღებულია ეკკლესიურის კანონით ბრწყინვალე აღდგომის დღეს სხვა-და-სხვა ენაზედ წაკითხვა სახარებისა, და ყოვლად მიუცილებელად—სამშობლო ენაზედ. და აი უბედურება! ამ ნუგეშსა და ღვთიურს სიხარულს მოკლებულ არიან აქაურნი ქართველნი. ამაზედ მომეტებული უბედურება სულიერი განაღა იქმნება, რომ კაცმა ქრისტუს აღდგომის დღეს ვერ გაიგონოს სამშობლო ენაზედ: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით“, მაშინ როდესაც სულიერნი მწყემსნი თვისის ეროვნებისა თვალ წინ უდგანან.

თვითოეულს სულიერს მწყემსს უნდა მტკიცედ გვახსოვდეს, რომ ჩვენ მოგველის პასუხის გება სიკვდილის შემდეგ, როდესაც წარვსდგებით წინაშე ქრისტე მეუფისა და მოვახსენებთ: „აჰა, უფალო, მე და ცხოვარნი ჩემნი, რომელნი მომცენ მე, ვმწყსიდი მათ და არცა ერთი მათგანი არ წარვწყმიდე“. ნეტარ იქმნება ის მწყემსი, რომელსა ექმნება კადნიერება ამის წარმოთქმისა. ქრისტე მაცხოვრის მცნებისაებრ, ცხოვართა უნდა ესმოდეთ ხმა მწყემსისა და ვიდოდენ შემდგომად მისა, და მწყემსთა უნდა უწყოდენ სახელები ცხოვართა თვისთა და მოუწოდებდნენ. როდესაც ხამწყსოს არ ესმის ხმა მწყემსისა ეკკლესიაში, ანუ გარეშე მისა, მაშინ მათ შორის არ არსებობს არა ვითარი კავშირი სარწმუნოებრივი და ზნეობრივი. მწყემსმან კეთილმან დასდვის თავი თვისი ცხოვართათვის. აი ნამდვილის მწყემსის იდეალი, ვითარცა გამოიხატების იგი სახარებაში: „ხოლო უფრჩსი ამისა სიყვარული არავის აქვს, რათა სული თვისი დასდვას მეგობართა თვისთათვის“ (იოან. 15, 13). რომელთა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!

4 აგვისტოს, ოთხშაბათს, დილის 8 საათზედ, წარ-

მოვემართენით სუხუმიდგან ჩემის ცნობილის თანამგზავრებით. ვიდრემდის ჩავსხდებოდით ცეცხლის გემში, ზღვა უკვე ჰღელავდა, შუადღისას უფრო ძალიან იმატა ფრთონამ, მოგზაურთა მომეტებული ნაწილი პირქვე დაეცა. ვერც მე გადაურჩი ზღვის სნეულებას; ფოთში ვერ შევიდა გემი და ღამის 10 საათზედ მივაღწიეთ ბათუმს. იქამდის საგრძნობელი იყო ღელვა, რომ მეორე დღესაც არ შემეძლო სიარული და თავ-ბრუ მეხვეოდა.

ვლადიკავკაზის ქართველთა საზოგადოების სასიქადულოდ უნდა აღვიარო, რომ მათ უმჯობესად და თითქმის სამაგალითოდ მოაწყეს თვისი საქმეები შესახებ ღვთისმსახურების შესრულებისა მშობლიურს ენაზედ. თავგანწირულებით ეცადნენ და აღაშენეს თავისათვის საკუთარი ეკკლესია, მიიწვიეს საკუთარი მოძღვარი, რომელსაც საღმრთო მოვალეობად დაუდგინეს ქართულს ენაზედ ყოველის მღვდელმოქმედების შესრულება. დაარსეს ეკკლესიასთანვე საკუთარი სასწავლებელი და აწ სტეგებიან ნაყოფოვგან ნაშრომთა თვისთასა. თუმცა აქაური ქართველი საზოგადოება შედარებით უფრო მცირეა რიცხვით ბათუმელ და სუხუმელ ქართველთაზედა, მაგრამ ვლადიკავკაზის ქართველობამ აღმოიჩინა ისრეთი სულიერი ძალა და სიმტკიცე, რომ არ შეეშინდა საქმის სიძნელეთა და დაბრკოლებათა; თვისს პირადს სიამოვნებას და განცხრომას მოაკლეს, ვითარცა შემსჭვალულთა ეროვნულის სიყვარულითა, და თავის წმიდა წადილის შესასრულებელად გაიწერეს შეძლებისაებრ ყოველ წლიური ხარკი. თუმცაღა, კვალადცა ვიტყვი, აქაური ქართველი საზოგადოება, როგორც რიცხვით, ეგრეთვე ნივთიერის შეძლებით გაცილებით დაბლა სდგას ბათუმის და იქმნება სუხუმის ქართველებზედაც.

საფუძველნი, ძალი და მნიშვნელობა მშობლიურსს ენაზედ შესრულებისა და მოსმენისა ღვთისმსახურებისა და სახარების ქადაგებისა.

ბაბილონის გოდოლის დარღვევის დროს, გვასწავებს წმ. ეკკლესია, ვითარცა განმმარტებელი და გამომათარგმანებელი ბრძანებათა და სიტყვათა ღვთისათა, „რაკუმს იგი გარდამოხდა და ენანი შეურაგნა, მამოდენენ მადალმან ნათესავნი“ (კონდაკი დღესასწაულისა სულის წმიდის გარდამოსვლისა). მაშასადამე ღვთის განგებულების ნება არს, რათა არსებობდენ ქვეყანაზედა მრავალნი ერნი და ტომნი კაცთანი, და თითოეული ერი ადიდებდეს, აქებდეს და ჰმადლობდეს ღმერთსა თავის სამშობლო ენაზედ. შემდეგ ამაღლებისა ქრისტე მაცხოვრისა, როდესაც გარდმოეგზავნა უფალმან ეკგზად წმადა სული თვასთა მოციქულთა სახითა ტეტხლისა ენათა და მათ განსასთელსა იგანი (ტროპარი მესამე ჟამისა), მყისვე ყოველთა მოციქულთა მიიღეს დიადი სიბრძნე და გულის-ხმის-ყოფა საუბრობად და დიდებად ღმრთისა უცხო ენებითა. ეს ნიჭი გარდამოეცა მათ, ვითარცა ყოვლად საჭირო საშუალება და მიუცილებელი იარაღი სახარების ქადაგებისათვის ყოველთა კიდეთა ქვეყანისათა ყოველთა ერთა და ტომთა შიმართ, რათამცა „ეხადათ და მოესმანათ ეკგეკდთა კიდეთან ქვეყანისათა მაცხოვარება ღმრთისა ჩვენისა“ (წარდგომა ცისკრად კვარის ამაღლების დღესასწაულზედ). თვინიერ ამ ნიჭისა, უცხოთა ენათა მეცნიერებისა, სახარების ქადაგება დაშთებოდა სრულიად უნაყოფოდ და იქმნებოდა იგი მსმენელთათვის „ვითარცა სპილენძი, რომელი წკრიალებს, ანუ წინწილი, რომელი ხმობედ,ეღერს“ (კორინთ. 13,1). ხოლო როდესაც სახარება იქადაგების და წირვა-ლოცვა შესრულდების მშობლიურს ენაზედ, მაშინ მხოლოდ გამოიღებს იგი მაცხო-

ვარებითთა ნაყოფთა სულიერის ცხოვრებისასა: „რამეთუ მხოლოდ მაშინ იქმნების ცხოველ და ძლიერ სიტყვა ღმრთისა და უმჯეთესეს უფროს ყოველისა მახვილისა ორპირისა; და მიჰსწვდების იგიეე კანსაყოფელადმდე სამშვინველისა და სულისა, ნაწევართა და ტვინთა, და კანჩკითხველ გონებათა და ფრიქვთა გულისთა“ (ებრაელ. 4, 12).

ლოცვა არს საუბარი კაცისა ღმრთისათანა, რომელიც გამოიხატება კეთილმოწიწებითის სიტყვებითა ღმრთისა მიმართ. ვითარცა ჩვეულებრივს საუბარში მიუცილებლად ყოვლად საჭიროა რათა ესმოდეთ მოსაუბრეთა ის ენა, რომელზედაც მათ სურთ გარდასცენ ერთმანერთს თვისნი აზრნი, გრძნობანი და თხოვანი; ამ სახედვე მიუცილებელად საჭიროა, რათამცა ესმოდეს მლოცველსა ის ენა, რომელზედაც შესრულდება ვედრება, დოცვა, თხოვა და მადლობა და ყოველი ფვთისმსახურება (1 ეპისტ. ტიმოთ. 2, 1). წმ. მოც. პავლე ესრეთ გვასწავებს კორინთელთა მიმართ პირველს ეპისტოლეში (14 თავი) საჭიროებისათვის მშობლიურის ანუ გასაგების ენით წირვა-ლოცვის აღსრულებისას, ქადაგებისათვის სახარებისა და საზოგადოდ მოძღვრებისათვის ეკკლესიაში: „რომელი იგი იტყვიან უცხო ენითა, არა კაცთა ეტყვინ, არამედ ღმერთსა, რამეთუ არავის ესმის მისი. რომელი იგი იტყვიან უცხო ენითა, თავსა თვისსა აღაშენებს (ასწავებს) და არა კრებულსა. ხოლო აწ, ძმანო, მოთუვიდე თქვენდა და უცხო ენათა ზედა ვიტყოდე, რაჲმე გარგო თქვენ ანუ გამოცხადებითა, ანუ მეცნიერებითა, ანუ მოძღვრებითა? ეგრეთვე უსულოთა მათ (ნივთთა) ხმა გამოსციან, ანუ ნესტვმა (სალამურმა), ანუ ებანმან (ჩონგურმა); უკეთუ გამოცხადება ხმათა მათ ვერ გამოსცენ, ვითარმე საცნაურ იქმნეს სტვინვაჲ იგი ანუ ებნაჲ (მუსიკალური ხმა). უკეთუ საყვირმან უჩინოდ (განურჩეველად, გამოურკვეველად) ხმა გამოჰსცეს, ვინმე განემზადოს ბრძოლად? ეგრეცა

თქვენ ენისა მიერ უკეთუ არა გამოცხადებულად სიტყვაჲ
იგი გამოსცეთ, ვითარ საცნაურ იქმნეს თქმული იგი? რა-
მეთუ იყვნეთ ვითარცა ჰაერსა მეტყველნი. უკეთუ არა
ვიცოდე ძალი იგი ხმისა მის (მნიშვნელობა სიტყვათა),
ვიყო მე მეტყველისა მის ჩემისა, ვითარცა სხვა ენა (უც-
ხო ქვეყნელი), და რომელი იგი მეტყოდეს მე, ვითარცა
სხვა ენა (უცხო ქვეყნელი ჩემთვის). რამეთუ უკეთუ ვილო-
ცვიდე უცხო ენითა, სული ჩემი ილოცავს, ხოლო გონება ჩე-
მი უნაყოფო არს. ხოლო უკეთუ აკურთხევდე სულითა, რო-
მელი იგი აღასრულებდეს ადგილსა მას უცბისასა (იქ მდგო-
მარე თუ უმეცარია), ვითარმე სთქვას ამინი შენსა მას ზედა
მადლობასა? ვინაიდგან რასა იგი იტყვი, არა იცის (არ ეს-
მის მას). რამეთუ შენ სამკეთილად ჰმადლობ; არამედ მო-
ყვასი შენი არა აღეშენების (არ დაიმოძღვრეჳის, რადგა-
ნაც არ ესმის). ვმადლობ ღმერთსა, რამეთუ უფროს თქვენ
ყოველთასა ენათა ვიტყვი, არამედ ეკკლესიასა შინა მნე-
ბავს ხუთ სიტყვა გონებითა ჩემითა სიტყვად (თქმად), რა-
თა სხვათაცა უმოძღვრო, ვიდრე ბევრთა (ათი ათასჲთა)
სიტყვათა უცხო ენითა.“ იგივე ღვთაებრივი მოციქული
კვალადცა გვასწავებს თავისსავე ეპისტოლესა: „ყოველ-
თა ვექმენ ყოვლად, რაჲთა ყოველნი ვაცხონნე“ (პირვ.
კორინთ. 9, 23).

პალესტინიდამ დაბრუნებული მოვედი ქალაქ ბათუმს
5-საგვისტოს 1899 წელსა. მეორე დღესვე წარვემართე სო-
ფელს მარადიდს, რომელიც მდებარეობს მდინარე ჭოროხის
ხეობაში, 24 ვერსის მანძილზედ ბათუმიდან. აქაურნი
მცხოვრებელნი ძველნი ქართველნი, აწ სარწმუნოებით
მაჰმადიანად გარდაქცეულნი, შემოუერთდნენ სრულიად
ბათუმის ოლქთან ერთად ძველს თავის სამშობლო საქა-
ართველოსა რუს-ოსმალეთის ბრძოლის შემდეგ 1878 წელსა.
ესენი არიან ძველნი საქართველოს ღვიძლნი შვილ-
ნი, ძველნი ძველთა ჩვენთაგანნი და ხორცნი ხორცთა ჩვენთაგან-

ნი (შექმ. 2, 23). ესენი ძალ-მომრეობით მოჰგლიჯეს გულიდამ საყვარელს სამშობლოს, მოაშორეს ქართველსა ერსა 1822 წელსა. ეხლა ჩვენს საღმრთო მოვალეობას შეადგენს, ძალმომრეობით წარტაცებული ტაბადის დედის წიდიაგან, კვლავ-დაცა შემოვიერთოთ ხმობრივის ალერსით და სიყვარულითა. აქაური ხალხი საზოგადოდ კარგად ლაპარაკობს ქართულად; მაგრამ უფროს წმინდად დაცულია ქართული ენა სახლობაში დედათა შორის. ჩაცმა, დახურვა, ლხინი, სიმღერა და მიმოხვრა სრულიად გურული აქვსთ, მხოლოდ ძალდატანებით მიუღებინებიათ მათთვის მაჰმადის სჯული. ვითარცა გარეგანის შეხედულობით სჩანს, ისრე მტკიცედ უპყრიათ მაჰმადის სარწმუნოება, რომ ქრისტეანობრივის სჯულის წარმომადგენელს მძულვარებით და ფანატიზმით უყურებენ. ჩემს იქ მყოფობაში, პირველს შეხვედრაზედ გზას მიქცევდნენ, მერიდებოდნენ; ჩემს სალამსა მოკითხვაზედ ან ხმას არ იღებდნენ, ანუ თათრულს ენაზედ მაძლევდნენ პასუხსა. მაგრამ როდესაც სცნეს ჩემი ვინაობა, რომ სხვა ეროვნობას არ ვეკუთვნი, არამედ იმ სამშობლოჲსა შვილი ვარ, რომელსაც ეკუთვნიან მათნი მამა-პაპანი, მას შემდეგ ქართულად მომიკითხვიდენ და მაძლევდენ პასუხსა. ჩემს კითხვაზედ, თუ რომელის ერის შვილია, ერთმა ახალგაზრდამ მიპასუხა: თათარი ვარო. ამაზედ მე ვუპასუხე: სარწმუნოებით, სჯულით, შესაძლებელია, თათარი იყო, მაგრამ ეროვნობით, შთამომავლობით ჩვენი სისხლ-ხორცი ხარ, ჩვენი ძმა ხარ. ამ სიტყვების გაგონებაზედ, ისრეთს გრძნობაში მოვიდა, რომ ცრემლები ჩამოსცვივდა. რომელნიმე მათგანნი განსაკუთრებითაც მესაუბრებოდნენ იმ საგანზედა, თუ რა მიზეზით ჰშორდებიან იგინი ძველს სამშობლოსა და უტევებენ ძვირფასთა თვისთა წინაპართა მშობელთა და ნათესავთა საფლავებსა. მრავალნი მათგანნი დღესაც, უკეთუ ნივთიერი შეძლება ნებას მისცემს,

თავის მიცვალებულს გარდაიტანენ ხოლმე დასამარხავად ოსმალეთში. სულის და გულის შემაწუხებელია მორწმუნე ქართველ ქრისტეანესათვის, როდესაც უყურებს ამ ხალხსა, ჩვენთა ღვიძლ ძმათა, კანონიერთა ვითარცა ცხოვართა თვინიერ მწყემსისა, რომელნიც უბედურთა ისტორიულ გარემოებათა გამო დაგვშორებიან. შემაშფოთებელი უნდა იყოს ჩვენთვის, როდესაც ვხედავთ, რომ ეროვნულადაც დაგვშორებიან ესენი, რადგანაც თვის თავს ქართველებად აღარ უწოდებენ, სულიერადაც წარწყმდებიან, ვითარცა უარისმყოფელნი ქრისტე მაცხოვრის სარწმუნოებისა; ამათ ეხლაც ცალი თვალი კვალა-დცა სტამბოლისაკენ აქვთ მიპყრობილი. ერთი ძმა რომ აქ სცხოვრებს, მეორე სახვანთქროშია, ანუ მშობელნი აქეთ იმყოფებიან, ხოლო შვილები მათი საზღვარს გარეთ, ოსმალეთში.

ჩვენ, უფროსთა ძმათა ქართველთა, უნდა ვიზრუნოთ მათთვის, რომ მომავალში სრულიად არ გადაგვარდნენ და არ დაიღუპნენ ჩვენთვის ეს ჩვენნი სისხლ-ხორცით ძმანი, სამოძღვრებლად გვახსოვდეს ღვთაებრივნი სიტყვანი წმ. მოციქ. პავლესნი: „ძწუხარება ჰრს ჩემდა დიდ და მოუკლებელი საღმოჰა გულისა ჩემისა: რამეთუ ვიღოცევდ მე შეჩვენებულ-ურფად (დაშორებად) თავსა ჩემსა ქრისტესგან ძმათა ჩემთათვის და ნათესავთა ჩემთათვის ხორციელად (რომაელ. 9; 2, 3). ძმანო, ნება გულისა ჩემისა და ვედრება ჩემი დმრთისა მიმართ ისრაელისათვის ჰრს საცხოვრებელად“ (რომაელ. 10, 1) ამ ქართველ მაჰმადიანთა შორის ბევრს შეუსწავლია წერა-კითხვა იმ წიგნებით, რომელიც გაუვრცელებია მათ შორის ჩვენს ეროვნულს მოღვაწეს ზაქარია ჭიჭინაძეს, საყვარელს მამულის შვილს. თითოეულმა ჩვენთაგანმა მცირედი მსხვერპლი, რომ შესწიროს სამშობლოს საკურთხეველზე, უფალი მაცხოვარი მიიღებს მას სულიერ სწორებელად, ყოთიდ სულნელებად, და მისივე მადლითა შე-

საძლებელი იქმნება ქვალადცა მოქცევა ჩვენ დაკარგულ წარწყმედილთა ძმათა წმ. ეკკლესიის დედობრივს წიაღთა, და ფრიად სასიხარულო იქმნება მოქცევა მათი, ვითარცა უფლების შვილის მობრუნება სახლსა მამისასა. გარნა წმ. მოციქ. პავლეს სიტყვისაებრ: „სარწმუნოება სამე (ხომ) სმენისაგან არს, ხოლო სმენაჲ სიტყვითა ღმრთისაჲთ. გითარ იგი მოუწოდონ, რომელისა მამართ არა რწმენა?“ ესე იგი, როგორ ახსენონ სახელი უფლისა მაცხოვრისა იესო ქრისტესი, რომელიც არა რწამთ? ანუ გითარ აირწმუნონ იგი, რომელზედაც არა სმენიათ? გითარმე ასმინეს თვისიერ ქადაგებისა? ანუ გითარმე ქადაგებდენ, არა თუ წარიველინენ? (რომაელ. 10; 13—17). მაშასადამე, მჴთ მოსაქცეველად ძველს მამა-პაპათა ქრისტეანობრივს სარწმუნოებაზედა, აუცილებელად საჭიროა მქადაგებელნი წმიდისა სახარებისა მშობლიურს ქართულს ენაზედ, ვინაიდგან „ენა ტკბილად შეუბარი გგელსაც ხვრელით გამოიეგანს,“ ამბობს დიდი რუსთაველი. ხოლო მშობლიურს ენაზედ უტკბილესი ხომ არა რომელიმე სხვა ენა იქმნება. ეს ცხადი და შეურყეველი ჭეშმარიტება არს. ამისათვის ჩვენს საღმრთო მოვალეობას შეადგენს გულითადი მეცადინეობა ქრისტეს სარწმუნოებით მათ განათლებისათვის, ხოლო წარმატება და სასურველის ნაყოფის მოტანა ამ წმიდა საქმეში უნდა მივანდოთ მაცხოვარსა ქვეყანისასა, უფალსა იესო ქრისტესა; რამეთუ მოციქულის სიტყვისაებრ სახარების ქადაგების წარმატებაში „არცა დამსხმელი (დამნერგველი) რაჲ არს, არცა მომრწყველი, არამედ აღმაორძინებელი (აღმომაცენებელი) ღმერთი (1 კორინთ. 3, 7); ანუ სახარების იგავისაებრ: „ესრეთ არს სასუფეველი ღმრთისა, გითარცა იგი კაცმან დასთესას თესლი ქვეყანასა, და დაიძინას, და აღსდგეს ღამე და დღე, და გითარ თესლი იგი აღმოსცენდეს, და გაზრდენ, (გაიზრდება), მან არა უწყის“ (მარკოზ. 4; 26, 27).

ქრისტეანმა სახარების მქადაგებელმა (მისიონერმა)

სიყვარულით უნდა უქადაგოს მსმენელთა წმ. სახარების სწავლა-მოძღვრება, სიტყვისაებრ მოციქულისა: მონასა უფლისა არა ჯერ არს ლაღვა, არამედ რ:თა იყოს მგუ-დრო და სასიერ ყოველთა მიმართ, მასწავლელ, უმანკო, მშვიდობაით მასწავლელ წინააღდგომთა მათ, მოხოლო-თუ ჭ:ნცეს მა:ი უფალმან სანანელი მეცნიერებად ჭეშმარიტებისა (2 ტიმოთ. 2; 24, 25). გარნა ნაყოფის გამოღება ამ საღმრთო საქმეში, ესე იგი შეწყნარება, მიღება სახარების მოძღვრებისა მსმენელთაგან, ღვთის ნებას და მადლსა უნდა არწმუნოს მქადაგებელმა, ვინაიდგან ძალით მოქმედება სარწმუნოების საქმეში კეთილს ნაყოფს არ გამოიღებს. ამ შემთხვევაშიაც წმ. სახარება ესრეთ გვამცნებს: „ნუ მიჭ:ნცემთ სიწმიდესა ძაღლთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქჳენსა წინაშე ღორთა“ (მათ. 7, 6). სარწმუნოება უნდა მიიღოს კაცმა სრულის გულითადის რწმუნებითა და დაჯერებითა; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უარჰყოფს ქრისტეს სარწმუნოებასა და კვალადცა მიიქცევა იგი ურწმუნოებაზედა, წმ. მოციქულის პეტრეს იგავისაებრ: „ძაღლი მაექცა ნათჳეგარსა თჳისსა, ესე იგი რაჲცა ძაღლმა ამოანთხია, მიბრუნდება რავდენისამე წამის შემდეგ და თვითონვე შესთქვლეფავს; მეორე იგავიც ამბობს ამავე მოციქულისა: „ღორი ინწუბა (გაიბანა) და სანგორელსა მწჳირასსა (წუმბეში) კჳალადცა მიექცა. ამასთანავე დასძენს წმ. მოციქული; „უმჯობეს იყო მათთჳის (ურწმუნოთათვის) არ ეცნათ გზა იგი სიმართლისა, ვიდრე ცნობასა და მართლ-უკუნ ქცევასა (მიბრუნებასა) მოცემულისა მათდა წმიდისა მცნებისა (2 ეპისტ. პეტრ. 2; 21, 22). ამისათვის კეთილგონიერება მოითხოვს ჩვენის მხრით, რათამცა პირველად გავაღვიძოთ ბათუმის ოლქის მაჰმადიან ქართველთა შორის ეროვნული თვით-ცნობიერება, ვუჩვენოთ ჩვენს დაკარგულ ძმათა თანაგრძნობა და სიყვარული, რათამცა იგინი თავის ეროვნობად თათრობას კი არ უწოდებდნენ, არამედ

ქართველობას. ვინაიდგან ჩვენ ვხედავთ ბევრს სახელმწიფოთა შორის, რომ ერთი და იგივე ერი, ერთის ტომისა და ერთის ენით მოსაუბრე ერთსა და იმავე სახელმწიფოშივე აღიარებს სხვა და სხვა სარწმუნოებას, და ეს სრულიად არ არღვევს მათს ეროვნობას. მაგალითებრ: გერმანიის და ავსტრიის იმპერიებში მომეტებულს ნაწილს შეადგენენ ნემცები, რომელთა შორის ზოგნი აღვიარებენ რომის კათოლიკის სარწმუნოებას და ზოგნიც პროტესტანტობას, მომეტებულად გერმანიაში; და ესრეთი განსხვავება სარწმუნოების აღსარებაში არ აბრკოლებს ერთის ანუ მეორე ხელმწიფისადმი ქვეშევრდომობას და ერთგულ მამულის შვილობას.

როდესაც ეროვნული თვითცნობიერება გამოიღვიძებს ბათუმის ოლქის ძველთა ქართველთა შორის, მაშინ ეს თვითცნობიერება თვითონ გამოიწვევს მათ შორის სრულს ძმობრივს შეერთებასა და შეკავშირებას ჩვენთან, ვითარცა ეროვნულის ნაწევარითა, ეგრეთვე სულიერის სარწმუნოებრივის კავშირითა. ამ წმიდა საქმის განსახორციელებლად ანუ არსებაში მოსაყვანად დიდს სამსახურს გაუწევს ქართველს ერსა ბათუმის ქართული სკოლა და ქართულს ენაზედ შესრულება ღვთისმსახურებისა საკუთარს ქართველთა ეკკლესიაში ბათუმს, კეთილგანწყობილის ქართულისავე გალობითა. ბათუმის სკოლაში ეხლაც სწავლობენ ქართულს ენას ქართველთა მაჰმადიანთა შვილები თანასწორად ქრისტეან ქართველთა ყმაწვილებთანა. აქ ნასწავლი ქართულს ენაზედ მაჰმადიანთა შვილები დაჰკარგვენ ჩვეულებრივ ფანატიზმს ანუ სიძულვილს ჩვენდა მომართ და დიდს გავლენას იქონიებენ იმ სახლობასა, წრესა და საზოგადოებაზედ, რომელთა შორის იგინი იცხოვრებენ და იმოქმედებენ. ბათუმში ეხლაც მომეტებული ნაწილი მცხოვრებელთა ქართველს ეროვნობას ეკუთვნის და მომეტებულად, შინ და

გარეთ, ჯქ ისმის ქართული საუბარი. რავდენთამე ბათუ-
მის ოლქის მაჰმადიანთა ქართველთა უკვე უარ-უყვიათ
მაჰმადის სჯული და მიუღიათ ქრისტეს სარწმუნოება;
ქრისტეანობრივს სარწმუნოებას ბათუმის ოლქის ქა-
რთველნი აღვიარებდენ თითქმის მოციქულთა დროჲდან
მეცხრამეტე საუკუნის დაწყებამდის. ამას ჰმოწმობს პირუთ-
ვნელი ისტორია, მრავალნი დიდად შვენიერნი ტაძარნი
და სავანენი, გაფანტულნი მრთელს ბათუმის ოლქში, და
რომელნიმე მათგანნი სიმრთელით დაცულნი აქამდის;
ხოლო რომელთამე დაჰპატრონებია უცხო ტომის ერი,
რომელიც სპობს ყოველს ძეგლს და წარწერას, რაც კი
მოიპოვება ქართულს ენაზედ იმ დიდებულ ტაძარ-სავა-
ნეთა შორის. ამ შემთხვევაში მოგაგონდება ერთი ქარ-
თული ანდაზა: „აზამბურელი თათარი ჩემს საცალოს თა-
ვისს ტომარად უწოდებდაო“. ქართული ენა-კი, რომელ-
ზედაც დღესაც ლაპარაკობენ თითქმის ტრაპიზონამდის,
სახლში და გარეთაც, მათი ლხინი და სიმღერა ქორწი-
ლებში, მუშაობის დროს ანუ მგზავრობაში, წმინდა გუ-
რულის კილოთი, ყოველივე ეს ხომ ნამდვილი, შეურყე-
ველი და ჭეშმარიტი ნიშნებია მათის ქართულის ეროვ-
ნობისა. ამისათვის შემაერთებელ ხიდათ ბათუმის ოლქ-
ში მცხოვრებელთა ქართველ მაჰმადიანთა ჩვენთანა უნ-
და შეიქმნას პირველად ქართული ენა; ამ ენაზედ საჭი-
როება მოითხოვს გავრცელდეს მათ შორის კითხვა, წე-
რა და ამ საშუალებით თანდათანობით გამოიდევნოს
ხმარებიდამ თათრული და არაბული ენები, ვინაიდგან ამ
ენებზედ ლოცულობენ და კითხულობენ მოლლები ყუ-
რანსა. ყურანს სულ არაბულს ენაზედ კითხულობენ, თუმ-
ცა ბევრს მათგანს არ ესმის შინაარსი ყურანისა, და ჩვე-
ულებრივს საუბარში ხმარობენ ხშირად ფოლოცში (ბა-
ზარში) თათრულს ენას ქართულთან ერთად. ხოლო მე-
ორე, სრულიად შემაერთებელ ხიდად და დამაკავშირებელ

ქართველობას. ვინაიდგან ჩვენ ვხედავთ ბევრს სახელმწიფოთა შორის, რომ ერთი და იგივე ერი, ერთის ტომისა და ერთის ენით მოსაუბრე ერთსა და იმავე სახელმწიფოშივე აღიარებს სხვა და სხვა სარწმუნოებას, და ეს სრულიად არ არღვევს მათს ეროვნობას. მაგალითებრ: გერმანიის და ავსტრიის იმპერიებში მომეტებულს ნაწილს შეადგენენ ნემცები, რომელთა შორის ზოგნი აღვიარებენ რომის კათოლიკის სარწმუნოებას და ზოგნიც პროტესტანტობას, მომეტებულად გერმანიაში; და ესრეთი განსხვავება სარწმუნოების აღსარებაში არ აბრკოლებს ერთის ანუ მეორე ხელმწიფისადმი ქვეშევრდომობას და ერთგულ მამულის შვილობას.

როდესაც ეროვნული თვითცნობიერება გამოიღვიძებს ბათუმის ოლქის ძველთა ქართველთა შორის, მაშინ ეს თვითცნობიერება თვითონ გამოიწვევს მათ შორის სრულს ძმობრივს შეერთებასა და შეკავშირებას ჩვენთან, ვითარცა ეროვნულის ნაწევარითა, ეგრეთვე სულიერის სარწმუნოებრივის კავშირითა. ამ წმიდა საქმის განსახორციელებლად ანუ არსებაში მოსაყვანად დიდს სამსახურს გაუწევს ქართველს ერსა ბათუმის ქართული სკოლა და ქართულს ენაზედ შესრულება ღვთისმსახურებისა საკუთარს ქართველთა ეკკლესიაში ბათუმს, კეთილგანწყობილის ქართულისავე გალობითა. ბათუმის სკოლაში ეხლაც სწავლობენ ქართულს ენას ქართველთა მაჰმადიანთა შვილები თანასწორად ქრისტეან ქართველთა ყმაწვილებთანა. აქ ნასწავლი ქართულს ენაზედ მაჰმადიანთა შვილები დაჰკარგვენ ჩვეულებრივ ფანატიზმს ანუ სიძულვილს ჩვენდა მომართ და დიდს გავლენას იქონიებენ იმ სახლობასა, წრესა და საზოგადოებაზედ, რომელთა შორის იგინი იცხოვრებენ და იმოქმედებენ. ბათუმში ეხლაც მომეტებული ნაწილი მცხოვრებელთა ქართველს ეროვნობას ეკუთვნის და მომეტებულად, შინ და

გარეთ, აქ ისმის ქართული საუბარი. რავდენთამე ბათუმის ოლქის მაჰმადიანთა ქართველთა უკვე უარ-უყვიათ მაჰმადის სჯული და მიუღიათ ქრისტეს სარწმუნოება; ქრისტეანობრივს სარწმუნოებას ბათუმის ოლქის ქართველნი აღვიარებდენ თითქმის მოციქულთა დროჲდან მეცხრამეტე საუკუნის დაწყებამდის. ამას ჰმოწმობს პირუთვნელი ისტორია, მრავალნი დიდად შვენიერნი ტაძარნი და სავანენი, გაფანტულნი მრთელს ბათუმის ოლქში, და რომელნიმე მათგანნი სიმრთელით დაცულნი აქამდის; ხოლო რომელთამე დაჰპატრონებია უცხო ტომის ერი, რომელიც სპობს ყოველს ძეგლს და წარწერას, რაც კი მოიპოვება ქართულს ენაზედ იმ დიდებულ ტაძარ-სავანეთა შორის. ამ შემთხვევაში მოგაგონდება ერთი ქართული ანდაზა: „აზამბურელი თათარი ჩემს საცალოს თავისს ტომარად უწოდებდაო“. ქართული ენა-კი, რომელზედაც დღესაც ლაპარაკობენ თითქმის ტრაპიზონამდის, სახლში და გარეთაც, მათი ლხინი და სიმღერა ქორწილებში, მუშაობის დროს ანუ მგზავრობაში, წმინდა გურულის კილოთი, ყოველივე ეს ხომ ნამდვილი, შეურყეველი და ჭეშმარიტი ნიშნებია მათის ქართულის ეროვნობისა. ამისათვის შემაერთებელ ხიდათ ბათუმის ოლქში მცხოვრებელთა ქართველ მაჰმადიანთა ჩვენთანა უნდა შეიქმნას პირველად ქართული ენა; ამ ენაზედ საჭიროება მოითხოვს გავრცელდეს მათ შორის კითხვა, წერა და ამ საშუალებით თანდათანობით გამოიდევნოს ხმარებიდამ თათრული და არაბული ენები, ვინაიდგან ამ ენებზედ ლოცულობენ და კითხულობენ მოლლები ყურანსა. ყურანს სულ არაბულს ენაზედ კითხულობენ, თუმცა ბევრს მათგანს არ ესმის შინაარსი ყურანისა, და ჩვეულებრივს საუბარში ხმარობენ ხშირად ფოლოცში (ბაზარში) თათრულს ენას ქართულთან ერთად. ხოლო მეორე, სრულიად შემაერთებელ ხიდად და დამაკავშირებელ

ოქროს ჯაჭვად თავისთავად შეიქმნება, ღვთისა შეწევნითა, ქრისტე მაცხოვრის სარწმუნოება. სახარება ქრისტესი ჰქადაგა დასავლეთს საქართველოში წმ. ანდრია მოციქულმა, პირველ-წოდებულმა, და ქრისტეს სარწმუნოებას აღვიარებდნენ შეურყეველად ბათუმის ოლქის, სამცხე-საათაბაგოს ქართველნი ვიდრე 1580 წლამდე, ხოლო ამ უბედურს წელსა ყვარყვარე ათაბეგმა თვითონ უარჰყო სარწმუნოება ქრისტესი და დაუმორჩილა თვისი სამთავრო ოსმალეთის ხონთქარსა, და ამას შემდეგ თანდათანობით წვალება-დევნითა და ქენჯნითა გამოიდევნა სარწმუნოება ქრისტესი სამცხე-საათაბაგოდამ.

მარადიდში მცხოვრებელ მაჰმადიანთა ქართველთა მითხრეს სხვათა შორის შემდგომი: იგინი ბრკოლდებიან ქრისტეს სარწმუნოების მისაღებელად სხვათა შორის იმისაოვისაც, რომ მათ ქრისტეანობის მიღების შემდეგ გაიყვანენ ჯარში სამსახურებელად და სხვა ქრისტეანებთან ერთად აჭმევენ მათ ღორის ხორცსა, რასაც იგინი ვერას გზით ვერ შეიწყნარებენ, ხოლო ეხლა რავდენისამე მანეთის გარდახდით თავისუფლდებიან სავალდებულო სამხედრო ბეგარისაგან. ამაზედ მე ვუპასუხე შემდეგი: ქრისტე მაცხოვრის მოციქულთა მოძღვრებისაებრ: ყოველივე დაბადებული ღმრთისა კეთილ არს, და არა რაჲ არს გასაკიცებელ, მადლობით მადებული, რამეთუ ყოველივე განწმიდნების სიტყვითა ღმრთისათა და ლოცვითა (1 ეპისტ. ტიმოთ. 4, 4). ამავე საგანზედ ივივე წმ. მოც. პავლე გვასწავებს: „ვიცი და მრწამს უფლისა იესო ქრისტეს მიერ, რამეთუ არა რაჲ შეგინებულ არს (უწმინდურია) თავით თვისით; გარნა თუ რომელი იგი შეგინებულად, იგი არს (უწმინდურ); სიტყვისაებრ ამავე მოციქულისა: „არა არს სასუფეველი ღმრთისა სჯულ და სასმელ, არამედ სამართლე, და მშვიდობა, და სიხარული სულითა წმიდითა (რომაელ. 14; 4, 17). ამისათვის ქრისტეანები არა ვსთვლით უწმინდურად ღორის ხორც-

სა, ვინაიდგან წმიდათათვის ყოველივე წმიდა არს: ხოლო შეგინებულთათვის და ურწმუნოთა არა რაჲ არს წმიდა, არამედ შეგინებულ არს მათა გულიცა და გონებაცა (ტიტეს 1, 15). გარდა ამისა, ქრისტეანებში არიან არა მცირენი იმ გვარნი, რომელნიც სრულიად არა სჭამენ ღორის ხორცსა, ანუ აღთქმისაებრ, ვითარცა ჩვენი მთიულები, ანუ არა სჭამენ იმისათვის, რომ მათი სტომაქი ვერ შეიწყნარებს ღორის ხორცსა.

მაჰმადიანნი ქართველნი იქადიან სხვათა შორის იმიც-თაც რომ მაჰმადის სჯულისაებრ იგინი ლოცულობენ დღეში ხუთ გზის, თუმცა ლოცვა მათი გარეგანია მომეტებულად და მდგომარეობს ხელთა და ფერხთა დაბანვაში, და არ გასცილდება ათს წამსა. ამაზედ პასუხად ვამცენ მათ, რომ ქრისტეანობრივი ეკკლესია დღეში ცხრაჯერ მოუწოდებს დედობრივის ხმით ლოცვა-ვედრებისათვის, ანუ ქრისტეს მაცხოვრის მოციქულისაებრ: განუწყვეტელად უნდა ვალოცვიდეთ, რომელნი შეძლებულ არს დატევნად, დაიტიენ. (მათ. 19, 12).

დაბრუნება სამშობლოდ.

კეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალიმ, დაივიწყენ მარჯვენეჲცა ჩემი (ფსალ. 136, 5)

გზანი შენნი, უფალო, მაუწყე მე და ალაგნი შენნი მასწავენ მე. მიძღოლ მე ჭეშმარიტებითა შენითა, და მასწავე მე, რამეთუ შენ ხარ ღმერთი, მაცხოვარი ჩემი, და შენზედა ვსასოებ მარადღღე (ფსალ. 24; 4, 5). მოვიხსენო აწ საქმენი უფლისანი, და რომელი ვიხილე, უთხრობდე. (ზირაქ. 42, 15). ნუ განმაგდებ მე, უფალო, ჟამსა სიბერისა ჩემისასა და მოკლებასა ძალისა ჩემისასა ნუ დამაგდებ მე. და მიმხცოვანებადმდე და სიბერედმდე, ღმერთო

ჩემო, ნუ განმაგდებ, ვიდრემდის მიუთხრა ნათესავსა ამას ძლიერება შენი და მომავალთა საკვირველება შენი. (ფსალ. 70; 9, 18). სლვანი კაცისანი უფლისა მიმართ წარიმართებიან.

ამისათვის სამადლობელსა შევსწირავ ყოვლად მოწყალე ღმერთსა, რომელი თანამავალ მეყო მე ჩემს მოგზაურობასა და მიმოხილვაში წმიდათა ადგილთა და მშვიდობით და უვნებელად მომაქცივა სამშობლოდვე, 31 აგვისტოსა 1899 წ. დიდება ღმერთსა, კეთილისმყოფელსა ჩვენსა აწ და უკუნისამდე!

დროა ბოლო მოელოს!..

(ათონის ქართველთა სავანის ძმათა მდგომარეობის შესახებ)

გაზეთ „ივერიიდან“, № 217, 1899 წ.

ვენმა საზოგადოებამ კარგად უწყის, რა უკიდურესად სამწუხარო მდგომარეობაში არიან ათონში ქართველთა სავანის ბერნი, რომელთაც მოსვენება და თავისუფლად ცხოვრება არ ძალუძთ ბერძენთაგან. ამის შესახებ დიდი ხანია გამოძიება სწარმოებდა და ხმაც დადიოდა, რომ ბერძნები ალაგმულნი იქმნებიან და ჩამოერთმევათ მათ მიერ დაჩემებული ქართველთა მამულები და წმიდა ადგილნიო, მაგრამ აგერ დღესაც ისევ იმავე მდგომარეობაშია საქმე, თუმცა დიდი ხანი დროა ბოლო მოელოს ასეთს ვითარებას. იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორ არიან შევიწროებულნი ქართველნი ძმანი ათონის ძმის სავანისანი, ვბეჭდავთ თვით იმათს წერილს, პატივცემულის პეტრე კონჭოშვილის მიერ მიღებულს, რომელსაც წინ წარემძღვარების თვით მ. დეკანოზის წერილი, ჩვენდა მომართული. აი, რას იწერება პატივცემული მ. კონჭოშვილი:

ჩემის მოგზაურობის აღწერა უკვე შესრულებული მქონდა, როდესაც 30-ს სექტემბერს 1899 წელსა მივიღე გულ-შემზარავი წერილი ათონის მთიდგან ქართველთა სავანის ძმათა. ამ წერილით გვაცნობებენ იგინი, თუ რაოდენს შევიწროებას, დევნულებასა და მწუხარებას ითმენენ ქართველნი ძმანი ივერიის მონასტრის ბერძენთა მონაზონთაგან, ვითარცა პირველ საუკუნოების ქრისტეანენი წარმართთაგან. ბერძენთა მონაზონთ განუზრახავთ სრულიად გამოდევნა ქართველთა ძმათა ათონის მთიდგან და აღგვა მათი პირისაგან ქვეყანისა. ამავე დროს ათონის მთაზედ მყუდროებით ჰმოღვაწეობენ სხვა-და-სხვა ეროვნობათა სავანეთა შინა: რუსნი, ბოლგარნი, მოლდავანნი, სერბიელნი, ვლახელნი, შავმთიელნი, არაბნი და არნაუტნი. მაშ რა არის მიზეზი ქართველთა ძმათა დევნულებისა ბერძენთაგანზ სხვა არა რაიმე, არამედ მხოლოდ ის, რომ ქართველი ერი 1883 წლიდგან დავობს თვისის თავად-აზნაურობის წინამძღოლების შუამავლობით, რათა დაუბრუნდეს ათონის ქართველთა სავანის ძმათა ათონის ივერიის მონასტერი თავის მამულებით, ვითარცა სამკვიდრებელი ქართველის ერისა.

ამისათვის ქართველთა ათონის სავანის ძმათა წერილსა ამასთანავე სრულიად შეუცვლელად და უნაკლულოდ დავურთავ, რათამცა ამ წერილიდგან ნათლად დაინახოს ქართველმა საზოგადოებამ, თუ რა უკიდურესს მდგომარეობაში იმყოფებიან ჩვენნი ძმანი ათონის მთაზედ. ამ წერილის წამკითხველი ანუ მომსმენი ქართველი საზოგადოება, განურჩეველად წოდებისა და სქესისა, ვისაც-კი მცირედი სიყვარული უღვივის გულში სამშობლოს მიმართ, მოვალეა წინაშე ღმრთისა და კაცობრიობისა აღმოუჩინოს შემწეობა ქართველთა ათონის სავანის ძმათა გამოსახსნელად მათდა ბერძენთა ბერების მტარვალობისაგან. ამას მოითხოვს ჩვენი ეროვნული ღირსება, პატი-

ვო, ძველი ისტორიული დიდება ქართველის ერისა და მოყვასთა მიმართ სიყვარული, ვინაიდგან ქართველთა ათონის სავანის ძმანი არიან ხორცნი ხორცთა ჩვენთაგანი და ძვალნი ძვალთა ჩვენთაგანი (შექმ. 2, 23).

ღმერთმან ინებოს, რომ ამ საქმის წარსამართებელად აღმოჩენილ იყვნენ საქართველოს ნიადაგზედ მსგავსნი დიდებულთა, სახელოვანთა წმიდათა მამულიშვილთა: ესთერისა, მარდოქესი, ეზდრასი, ნეემიასი და იერემიასი, რომელი გოდებდა დარღვეულის იერუსალიმის და მის ტაძრისათვის, ზორობაბელ მთავრისა, ისუ და სვიმონ დიდთა მღვდელთა, რომელთაც კვალადცა აღადგინეს დანგრეული ტაძარი და ქალაქი იერუსალიმი და განაშვენეს იგი, ვითარცა თვისი ეროვნული დიდება. ყოველთა ამათ დიდებულთ ზემოხსენებულთა პირთა, ვითარცა სამშობლოს სიყვარულითა შემსჭვალულთა, იშრომეს, იღვაწეს ვიდრე თავგანწირულებადმდე მამულის კეთილდღეობისათვის.

ქრისტეს მოციქულის სიტყვისაებრ: **რაოდენ დაწერილ არს, ყოველივე ჩვენდა სამოძღვრებელად და სასწავლელად დაწერილ არს. აჰასათვის ვბაძვიდეთ მართალთა საქებელთა საქმეთა შინა; ხოლო გვეღტოდეთ ხენეშთა ძათ და ბაღწთა ცოდვათა უკეთურთასა** (წმ. ანდრია კრიტელის მერვე სძლის პირი, დიდ მარხვის პირველის შვიდეულის სამშაბათს).

რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!

დეკანოზი პეტრე კონჭოშვილი

ვბეჭდავთ აქვე შეუცვლელად ათონის ქართველთა სავანის ძმათა წერილს, გამოგზავნილს მ. კონჭოშვილის სახელობაზედ ამ წლის 10 სექტემბერს:

თქვენო მაღალ-კურთხევავ, ყოვლად პატიოსანო დეკანოზო, მამაო პეტრე!

უწინარეს ყოველისა, ძმანი წმიდისა ათონის ქართველთ სავანისასანი, გამოვითხოვთ თქვენგან ლოცვა-კურთხევას, და ამასთანავე ვართ მსურველნი თქვენის მრავალ-ჟამიერ სათნოდ ღვთისა და სასიქადულოდ ივერიისა—სიცოცხლისა.

ვინაიდგან უკვე ვართ დარწმუნებულნი, რომ ჩვენს ჭირსა და ლხინსა, ვითარცა თვისთა მოძმეთასა, განიზიარებთ, როგორც ჭეშმარიტი ქართველი; ამისათვის ვკადნიერობთ, გაუწყოთ ჩვენი გარემოება, რომელი თქვენც დაგაფიქრებსთ, და რასმე საშუალებას მოგაგონებსთ თქვენთა ძმათა მწირთათვის, რომელნიც იმყოფებიან უსამართლოდ დევნულებაში და ფრიად შეიწროებაში ბერძენთა მიერ ეს ოცდა-თორმეტი წელიწადია!...

ფრიადი მიუცილებელ საჭიროებისა გამო ვიწყეთ ერთ კედელზედ მიშენება უბრალო ხის ბოძებზე შეშის დასაწყობად ფანჩატურისა, რომელის მიზეზის გამო, უამისოთაც მეძიებელნი რაიმე შემთხვევისა ბერძენთ ბერნი, აწ მცხოვრებნი ჩვენს ივერიის მონასტერსა შინა, 30 აგვისტ. ამავე წელსა—დილით ადრე, ჟამსა საღმრთო ლიტურღიის შესრულებისასა, როდესაც მწირველი ამბობდა: „შიშითა ღვთისათა და სარწმუნოებით მოვედით“, მოგვიხდნენ რიცხვით ოთხნი პროიღუმენნი, მონასტრის წარჩინებულნი პირნი—ამათში ორს თქვენც იცნობთ, ერთი ამ წლის მეორე ეპიტროპოსი პორფირი, რომელმანც საზოგადო სიყვარული გამოგიცხადათ, როდესაც თქვენ საზოგადო კრებაში სთხოვეთ ბიბლიოთეკის განხილვა, პირველ ნათხოვი არხიმანდრიტ გერასიმეზე. მეორე—მამა დანიელ, რომელიც ლაპარაკობდა ქართულს ენაზედ, და რომელსაც ეოცნების შემდგომში საქართველოში არხიმანდრიტობა და ჩვენი საწყალი ხალხის გლეჯა-ცარცვა. მათის თეთრის კბილით და ორნი ერის კაცნი, მსახურნი მათნი, შეჭურვილნი თოფებით, მახვილებით და რევოლ-

ვერებით და ირგვლივ წელზედ მექონნი სასწრაფოთა სავსე ვაზნებითა.

ვინაიდგან პირველ იყვნენ ბოროტ-მოქმედების განმზრახველნი, ესე ვითარმა მათმა განზრახვამ იმ ზომამდის დაავიწყათ მათ თავიანთი მოვალეობა, რომ სამღვდელო პირნი არც კი შემობრძანდნენ ეკკლესიასა შინა თაყვანის საცემლად იმ წმიდის ხატისა, რომლის სახელსა ზედაცა აღგებულია სავანე ჩვენი, არამედ გარე მდგომნი მსწრაფლ ითხოვდნენ გამოგზავნითა თვისთა იასაულთა, რათა მივიდეს მათთან უფროსი სავანისა; ხოლო ვინაიდგან დროებით მმართველი მ. იონა იყო შინაგან ეკკლესიისა და ლიტურღიაც სრულდებოდა და არ ჰქონდა დრო, ამისთვის მივიდა მათთან მამა გაბრიელი, რომელთაც სთხოვა ბერძულის ენით, რათა მობრძანდენ სასტუმროში ჩაის მისართმევად, ხოლო მათ ცივის სიტყვით უპასუხეს, რომ იგინი არ მოსრულან ჩაისათვის, არამედ აქვსთ სხვა საქმე, რომლისათვისაც მოსრულან. ნახა რა მამა გაბრიელმა იგინი აღშფოთებულად, არღარა მიუგო მათ. ამ დროს წირვაც გათავდა და შეატყობინეს მამა იონას, რომელიც დაუყოვნებლივ გამოეგება მათ თავაზით და მანცა სთხოვა, რათა თითო სტაქანი ჩაი მიერთმიათ. ხოლო მათ განძვინებულთ, თუმცა კადნიერ არს სიტყვა ესე, გარნა შეგვიძლიან ვსთქვათ, რომელ ბარბაროზებრივი შეხედულობით და ქცევით იწყეს ყვირილი და ბრძანება, რათა ჩვენ ქართველებს მსწრაფლ დაგვემგვრიოს ზემოხსენებული ფანჩატური, რომლისთვისცა იყო დასობილი ხოლო ოთხი ხის სვეტი ჯერ-ჯეროობით. მამა იონამ დაუწყო მათ ლაპარაკი სიმშვიდით და სურდა, რათა აეხსნა შესახებ ამ ფანჩატურის აგებისა, ხოლო მათ სიტყვაც არ აცალეს, და გადაწყვეტით ბრძანეს: „დაარღვევთ თუ არა თქვენის ხელით უკვე დაწყებულს?!“ ამაზედ უპასუხა მ. იონამ, რომ დასარღვევად არ გვიშრომია, და არც ჩვენ

დავარღვევთ, და არც სხვას ვაძლევთ ნებას მისის დარღვევისას, თვინიერ ჯეროვანის მართებლობისა. მაშინ თაოსნობითა პროიღუმენი პორფირისათა იქმნა ბრძანება ბერძენთა მიერ თვისთა მსახურთადმი: „აბა, ბიჭებო, დაამგვრიეთ, დაამსხვრიეთ, დალეწეთ“. და მიეშურენ ბიჭები და თან მიჰყვნენ პროიღუმენნი დასამგვრევად სვეტებისა; ხოლო ვინაითგან მ. მ. იონა და გიორგი ახლოს იყვნენ სვეტებთან, ამისათვის არ დაანებეს დაემგვრიათ. მათ ბერძენთ ველურ ყვირილზედ, არა თუ ძმანი წმ. ჩვენისა სავანისანი, არამედ უკეთუ ყოფილ იყვნენ ახლო-მახლოს ვინმე მეზობელნი, იგინიცა იქმნებოდენ მოწამენი ყოველივე აქა შემთხვევისა. იხილეს რა ბერძენთა, რომ არ ვაძლევთ ნებას მათის გულის წადილის აღსრულებისას, უნდოდათ ეხმარათ იარაღებრივ ძალა, და მ. გიორგის და ერთს მონაზონს მახვილით შემოუტივეს, ხოლო განგებითა ღვთისათა ერთმა პროიღუმენთაგანმან უბრძანა მათ, რათა უკან დაბრუნებულიყვნენ და ესრეთ ბრძანებისაებრ მისისა უკან დაიწიეს და დიდის მუქარით, რომ მოვლენ შემდგომში უმეტესის ძალით და არ დაგვტოვებენ აღუოხრებელად, მიბრძანდნენ შინისკენ. ამ ჟამად, წყალობითა ღვთისათა, მფარველობითა ყოვლად-წმიდისა ღვთის-მშობლისათა, მეოხებითა ყოვლად ქებულისა იოანე ღვთის-მეტყველისათა და თქვენის ლოცვით გადავრჩით მშვიდობით. ამავე დღესა ყოველივე ჩვენი გარემოება მოვახსენეთ ადგილობრივ უფროსს, რომელმაც არავითარი ყურადღება არ მოგვაქცია, ვითარცა ყოველის მხრით კაცთა მიერ შეუწევნელთა, ღარიბთა და მწირთა, გარნა მსასოებელთა წყალობასა ზედა ღვთისასა, რომელ იგი ყოვლად ძლიერი და ყოვლისა შემძლებელი შეუწევნელთა შემწე, მწირთა და ობოლთათვის მზრუნველი, არ დაგვიტევებს თვინიერ მისის შეწევნისა, და მით არ გაახარებს ხილულთა და უხილავთა მტერთა ჩვენ მდაბალთა

ზედა—შთაგონებითა ზეგარდამო; მივმართეთ ჩვენს ელჩს კონსტანტინეპოლში და თესალონიკის ვიპატოსს, რომელთაც მოახდინეს ჯეროვანი განკარგულება... აგვისტოს 31-სა მობრძანდნენ ჩვენს სავანეში თხოვნისამებრ ბერძენთა აქაური პროტატიდგან ანტიპროსოპნი (მოადგილენი), რომელთა გამოგვიცხადეს, რადგანაც ივერიის მონასტერს არ სურს, რათა აღშენდეს ჩვენს ეზოში შეშის დასაწყობი, ამისათვის დაგვემგვრია ჩვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თვით იგინი დაამგვრევდენ და შეადგენდნენ განაჩენს ჩვენდა სავნებელად, რომელსაც მოჰყვებოდა ჩვენ ქართველების ათონიდამ გადარეკა. ვიხილეთ რა, რომ სიმართლე თვის მახვილს ვერ მოიქნევდა, რადგანაც ყოველივე ღონე და ძალა ათონის მთაზე არის ბერძნების ხელში და გუშინდელნი შეშინებულნი აქაური მოსამართლისაგან, რომელმანცა გვითხრა სხვათა შორის, რომ თუ ბერძნები უბრძანებენ, რათა ქართველნი იქმნენ განდევნილნი ათონიდამ, მაშინ ის მოვალე არის აღასრულოს დაუყოვნებლივ ბერძნების ბრძანება,—დავემორჩილენით, ვითარცა ცხოვარნი მგელთა, და იმ ზომად დაგვიმონეს, რომელ ჩვენისვე ხელით, მხილველთა მიერ შესაბრალებელად, დაგვანგრევინეს სვეტები თავის მოწყობილებით. როდესაც ბერძნებმა შეასრულეს მათი გულის წადილი, დიდის ბოროტის სიხარულით აღფრთოვანებულნი წაბრძანდნენ თვისად, ხოლო ჩვენ დაგვტოვეს შეუწყალებელად.

იმედი გვაქვს, თქვენო მაღალ-კურთხევავ, რომ ამ ჩვენს გაჭირვებულს მდგომარეობას გაიზიარებთ და სხვასაც გააცნობთ, ვისთან და სადაც ჯერ არს, რათა იცოდეს მთელმა ივერიამ, რომ მათს მამულში მცხოვრებს ქართველებს არ აძლევენ ნებას უკანასკნელ ფანჩატურის აშენებისასაც-კი!

დიდის პატივისცემით მოგიკითხვენ ყოველნი ძმანი

ჩვენის სავანისანი, მარადის მომხსენებელნი უტკბილეს უფროს თაფლისა და გოლეულისა თქვენის საუბრისანი.

გთხოვთ გვანუგეშოთ თქვენის ძვირფასის ეპისტოლით.

რუსის გენერალის შთაგეჰდილება მიმოხილვის დროს ქართველთა წმიდათა სავანეთა პალესტინაში და წმ. ათონის მთაზედა.

ბაფხულში 1900 წელსა მოულოცნია წმ. ადგილები პალესტინისა და წმ. ათონის მთისა ერთს ღვთის-მოყვარე გენერალს რუსთაგანს ა. ვენერ—ს. ეს გენერალი სწერს ერთს სულიერს მამას ქართველთაგანსა გულმტკივნეულობით თავის შთაბეჭდილებას შემდეგ წმ. ადგილების მიმოხილვისა საზღვარს გარეთ: „ქართველებს ოდესმე ჰქონიათ იერუსალიმში სამი მონასტერი, ორს მათგანში ეხლა სცხოვრებენ ბერძენთა ბერებიო, სახელდობრ წმ. მამათმთავარის აბრაამის და წმ. ჯვარის მონასტრებში; ხოლო მესამეში—წმ. იოანნე ღვთისმეტყველის სავანეში—აწ იმყოფებიან ფრანგთა მონაზონნი. აგრეთვე ათონის მთაზედაც ჰქონიათ ქართველებს დიდებული ივერიის კარისა ღვთისმშობლის მონასტერი, რომელშიაც აწ იმყოფებიან ბერძენთა ბერები, რიცხვით 150 სულამდის.“ როდის და რა სახით დაუკარგავთ ქართველებს ეს დიდებული სავანენი? გულმწუხარებით ეკითხება ბოლოს. შემდეგ განაგრძობს: „ათონის კელლიაში მოღვაწენი ქართველნი ძმანი ამ ჟამად დიდს შეწუხებაში არიან, სულგრძელებით ითმენენ ბერძენთა მონაზონთაგან სიყმილსა, მწყურვალებასა და ყოვლის მხრით დევნულებასაო. ხოლო ამავე დროსა მახლობლად ქართველთა ძმათა კელლიისა ივერიის მო-

ნასტერში კი, ძველს ქართველთა სამკვიდრებელში ბერძენთა ბერები დიდს განცხრომაში იმყოფებიანო. ეს უსამართლოება ღმერთს ტირილით შეჰღაღადებსო და გამოითხოვს შურის-ძიებასაო.“ უცხო ტომის შვილს, მაგრამ ჩვენს ძმას მართლმადიდებლობით და ერთის სახელმწიფოს ჩვენთან ერთად ქვეშევრდომობით, საქართველოში უმსახურნია, შეუსწავლია ჩვენი ეროვნული ხასიათი და ზნე ჩვეულებანი და ღირსებანი და ამისათვის გული სტკივა ჩვენს დიდებულ ნაშთთა დაკარგვისათვის; ჩვენ კი ჯერ ღრმა ძილში ვართ და ჩვენს სარწმუნოებრივს სამკვიდრებელსა, რომელიც ამასთანავე შეადგენს დიდებას ქართველის ერისას, არ ვეძიებთ გულმხურვალედ. თვითონ ამ ღვთისნიერს, სარწმუნოებით გაბრწყინვებულს გენერალს, უკვირს ეს ჩვენი გულგრილობა და დაუდევნელობა ამ გვარს წმ. საქმეში. რას აკეთებენ, კითხულობს იგი, საქართველოს დიდებულნი და დარბაისელნი შვილნი? რატომ არ ეძიებენ ამისთანა ძვირფასს სამკვიდრებელსაო? ამასთანავე ასახელებს ქართველთა წარჩინებულ გვარების დიდებულთა წარმომადგენელთა. რომელთა ასხენ ყურნი სმენად. ისმინენ! ამ კეთილმსახურის გენერლის სარწმუნოებრივს გულ-მხურვალეობაზედ მოგვაგონდება სიტყვანი პეტრე მოციქულისა: „ყოველთა შორის თესლთა, რომელსა ეშინის დმრთისა და იქმს სამართლესა, სათნო არს დმრთისა და დიარს არს ქებისა (საქმე მოციქ. 10, 35).

წერილი ათონის ქართველთა სავანის ძმათაგან
10-ს ივნისს 1900 წელსა.

ამაღლესი მთავრობის განკარგულებით ივერიის მონასტრის ბერძნის ბერებს დაუკავეს ბესარაბიის მეტოხის შემოსავალი უმეტეს 90,000 მ., რომელსაც ადარ

აძლევენ, განმავლობს ეს მეათხუთმეტე წელიწადი; შესახებ ჩვენის საჩივრისა ეს შემთხვევა ბერძნებს ძალიან აშინებს.—კონსტანტინეპოლის პოსლანიკი (დესპანი) და თესალონიკის კონსული ეუბნებიან ივერიის მონასტრის ბერძნებს: „ როდესაც საქართველოს გაურიგდებით, მაშინ მიიღებთ ამ ფულებს, თორემ ისე არ შეიძლება“. ეს შემთხვევა და გამოცხადება ძალიან აშინებს ბერებს.

უწინდელმა პოსლანიკმა (დესპანმა) ნელიდოვმა თვით პირის-პირ გვითხრა: „თუმცა უმაღლესმა მთავრობამ მეტოქი რუსეთის და საქართველოჲსა დაუკავა და არ მისცა ბერძნებს, იმ შემთხვევაში სუბუქად გათავდა თქვენი საქმე და მშვიდობიანად. ამისთვის დაკავება მეტოქებისა ინოსტრანის სამინისტროში (პეტერბურგში) მე თითონ წარვადგინე, მაგრამ ჯერ-ჯერობით ცნობა არ მბმიღიაო.“

მოგვიტევეთ, პატიოსანო მამაო, მცირე ბარათისათვის, მაგრამ რადგანაც ცხადად ვხედავთ, რომ თითქო სრული საკუთარი საქმეაო, ისე მონაწილეობ ამ საქმეში, როგორც ჭეშმარიტი ქართველი, მისთვის გწერთ ასე მცირესაც, როგორც საქმის მასალას.

მმართველი მდვდელმონაზონი იონა ქრისტეს მიერ ძმებითურთ.

შეპარული შეცდომანი:

გვ.	სტრიქონი		დაბეჭდილია	უნდა იყოს
35	ზევ.	მე-10	მენელსაცხებელთა	მენელსაცხებლეთა
41	ქვე.	მე 11	წითელის ქვითა	წითელის ქვითა.
52	ზევ.	მე-7	ნიკოლოოზისა	ნიკოლოოზისა;
60	ქვე.	მე-11	.ოსმალთა.	ოსმალთა
77	ქვე.	მე-2	ეღვიარებინა	აღეარებინა
126	ზევ.	მე-17	მოაჯირი	მოაჯარი
182	ზევ.	მე-5	ქვეშ	ქვეშ;
202	ქვე.	მე-9	შეეშინდა	შეუშინდა
203	ქვე.	მე-3	კორინთელ.	1 კორინთ.
210	ზევ.	მე 7	აღვიარებენ	აღიარებენ
211	ზევ.	მე-5	აღვიარებდენ	აღიარებდენ
212	ზევ.	მე-5	აღვიარებდენ	აღიარებდნენ
205	ქვე.	მე-11	გამოტოვებულია შემდეგი სათაური: ჭოროხის ხეობაში მცხოვრებთა ძველთა ქართველთა აწინდელი სარწმუნოებრივი და ზნეობრივი მდგომარეობა.	

505/24

ფასი ერთი მანეთი

ამაგე ავტორისაგან გამოცემულია:

1. საღმრთო სჯულისა და მცნებათათვის. 30 კ.
2. კითხვანი აღსარებასაზედა . . 30 კ.

შეპარული შეცდომანი:

გვ.	სტრიქონი		დაბეჭდილია	უნდა იყოს
35	ზევ.	მე-10	მენელსაცხებელთა	მენელსაცხებლეთა
41	ქვე.	მე-11	წითელის ქვითა	წითელის ქვითა.
52	ზევ.	მე-7	ნიკოლოოზისა	ნიკოლოოზისა;
60	ქვე.	მე-11	.ოსმალთა.	ოსმალთა
77	ქვე.	მე-2	ეღვიარებინა	აღეარებინა
126	ზევ.	მე-17	მოაჯირი	მოაჯარი
182	ზევ.	მე-5	ქვეშ	ქვეშ;
202	ქვე.	მე-9	შეეშინდა	შეუშინდა
203	ქვე.	მე-3	კორინთელ.	1 კორინთ.
210	ზევ.	მე 7	აღვიარებენ	აღიარებენ
211	ზევ.	მე-5	აღვიარებდენ	აღიარებდენ
212	ზევ.	მე-5	აღვიარებდენ	აღიარებდნენ
205	ქვე.	მე-11	გამოტოვებულია შემდეგი სათაური: ჭოროხის ხეობაში მცხოვრებთა ძველთა ქართველთა აწინდელი სარწმუნოებრივი და ზნეობრივი მდგომარეობა.	

505/24

ფასი ერთი მანეთი

ამაკე აგტორისაგან გამოტეემულია:

1. საღმრთო სჯულისა და მცნებათ‌ა‌თვის. 30 კ.
2. კითხვანი აღსარებასაზედა . . 30 კ.